SHOTA DOGONADZE

COUNCIL OF EUROPE AND GEORGIA

"METSNIEREBA"
Tbilisi
2000

შოთა დოლონაძე

ევროპის საბჭო და საქართველო

"მეცნიერება"
თბილისი
2000

63.3(25)
947.922
დ793

წიგნი ასახავს საქართველოსა და ევროპის საბჭოს ურთიერთობებს საქართველოს მიერ ევროპის საბჭოში პირველი განაცხადის შეტანიდან მიმდინარე პერიოდამდე. ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, მოთხრობილია ევროპის საბჭოზე, მის სტრუქტურებზე, საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების პროცესზე. გაანალიზებულია ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებული ძირითადი კონვენციები და დოკუმენტები. მოვლენები, ფაქტები და დოკუმენტები მოტანილია ზუსტი ქრონოლოგიით, განხილულია საქართველოსა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის მოკლე და გრძელვადიანი პერსპექტივები.

წიგნი საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის ურთიერთობის ამსახველი მეტნაკლებად სრული მასალის თავმოყრის პირველი ცდაა.

რედაქტორები: აკად. ლევან ალექსიძე,
ლევან ღვინჯილია.

რეცენზენტები: ნანა ავალიანი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი;
გელა ბეჟუაშვილი, საერთაშორისო და შედარებითი სამართლის მაგისტრი

050100000
ღ ——————— 2000
M 607(06)-2000
ISBN 99928-51-10-4

© "მეცნიერება"

შეკვეთა 601 ტირაჟი 500
დაიბეჭდა გამომცემლობა "საშობლოს" სტამბაში.
თბილისი მ.-ჯოსტავას ქ., 14

ევროპის საბჭო

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ერთსულოვანი და მტკიცე გადაწყვეტილება მიიღეს, აღედგინათ დანგრეული ეკონომიკა, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის გზით შეექმნათ ყველა პირობა მსგავსი უბედურების თავიდან ასაცილებლად. ევროპის სახელმწიფოთა ძალისხმევა მიმართული უნდა ყოფილიყო დემოკრატიის განვითარება-განმტკიცების, პროგრესისა და ადამიანების კეთილდღეობისათვის სათანადო პირობების შექმნისაკენ. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა ამ მიზნების განხორციელების გზაზე 1946 წლის 19 სექტემბერს ქ. ციურიხში გამოსვლისას: "ევროპას ესაჭიროება საშუალება, რომელიც, როგორც საოცრება, გარდაქმნის მთელ სცენას, და რამდენიმე წელიწადში ევროპას აქცევს ისეთივე თავისუფალ და ბედნიერ ქვეყნად, როგორიც დღეს შვეიცარიაა. ჩვენ უნდა შევქმნათ ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანება".[1]

1948 წლის 7 მაისს მოწვეულ იქნა ჰაგის კონგრესი, რომელსაც ეწოდა "ევროპის კონგრესი". კონგრესში მონაწილეობდა 20 ევროპული სახელმწიფოს 1000-ზე მეტი დელეგატი. მიღებულ იქნა რეზოლუციათა პაკეტი, რომელიც შეიცავდა მოწოდებებს ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური ერთობის შექმნისაკენ, უსაფრთხოების, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებისა და სოციალური პროგრესის უზრუნველსაყოფად. კონგრესზე გამოიკვეთა ორი ჯგუფი: ერთი (საფრანგეთი და ბელგია) მხარს უჭერდა ევროპის ფედერაციის შექმნას და მეორე (დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და სკანდინავიის ქვეყნები) მარტივ სამთავრობათაშორისო თანამშრომლობას.

ევროპაში განვითარებულმა მოვლენებმა და კომუნისტური

[1] Совет Европы. Деятельность и результаты, Страсбург, 1998, ст.11

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ 1949 წლის 27-28 იანვარს ხუთი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიაღწია კომპრომისს გადაწყდა ევროპის საბჭოს შექმნა.

ევროპის საბჭო შეიქმნა 1949 წლის 5 მაისს ქ. ლონდონში დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს - ბელგიის, დანიის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, იტალიის, ირლანდიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, საფრანგეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ორგანიზაციის წესდების ხელმოწერის შედეგად.

ევროპის საბჭო შეიქმნა ევროპის კონტინენტზე დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დასამკვიდრებლად და ევროპის სახელმწიფოთა ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის. "ევროპის საბჭო იღვწის პლურალისტური დემოკრატიის, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის. ეს ფასეულობები არის ჰუმანური და ცივილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბების, ასევე ეკონომიკური ზრდისა და სოციალური კეთილდღეობის წინაპირობა".[2]

ევროპის საბჭო იმთავითვე წარმოადგენდა როგორც საერთო ფასეულობათა გაზიარებას, ასევე ერთი ორიენტაციის სახელმწიფოთა გაერთიანებას. 1949-1970 წლებში ორგანიზაციაში გაწევრიანდა დასავლეთ ევროპის კიდევ 8 სახელმწიფო. 1990 წლამდე ორგანიზაცია რჩებოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებად. 1989 წელს ევროპის საბჭომ შემოიღო ქვეყნებისათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭების ინსტიტუტი, რითაც ხელი შეეწყო ორგანიზაციის არაწევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარებას. პოსტკომუნისტურ სივრცეში განვითარებულმა პროცესებმა ევროპის საბჭოს წევრთა შემადგენლობაზეც იქონია გავლენა. 1993 წლის 8-9 ოქტომბერს ქ. ვენაში ჩატარდა ევროპის საბჭოს სამიტი, სადაც ოფიციალურად დადასტურდა ევროპის საბჭოს გაფართოების პოლიტიკა. ევროპის საბჭოში გაწევრიანდა ყოფილი სოციალისტური ბანაკის 17 სახელმწიფო.

დღეისათვის ორგანიზაცია შედგება 41 წევრისა და 3 სპე-

---

[2] "Europe as invention and necessity" Daniel Tarschys Council of Europe Publishing p. 29. Strasbourg 1999.

ციალური "სტუმრის სტატუსის" მქონე სახელმწიფოსაგან, ეს სახელმწიფოებია აზერბაიჯანი, სომხეთი და ბოსნია და ჰერცოგოვინა.

ევროპის საბჭო მდებარეობს ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი).

ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ევროპის საბჭოს წევრი იმ პირობით, თუ აღიარებს კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების გარანტიებს, მის ტერიტორიაზე მცხოვრები თითოეული ადამიანის ძირითადი თავისუფლებების პრინციპებს.

მიზნები

ევროპის საბჭო სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც ასრულებს შემდეგ ამოცანებს:

- ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა;
- ევროპული კულტურის თვითმყოფადობის აღქმისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა;

ევროპის თანამეგობრობის წინაშე მდგარი პრობლემების (ეროვნული უმცირესობის, ქსენოფობიის, შეუწყნარებლობის, გარემოს დაცვის, ადამიანის კლონირების, შიდსის, ორგანიზებული დანაშაულისა და ა. შ.) გადაწყვეტის ერთობლივი გზების ძიება;

პოლიტიკური, საკანონმდებლო და საკონსტიტუციო რეფორმების მხარდაჭერის გზით ევროპაში დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცება.

წევრი სახელმწიფოები

როგორც აღვნიშნეთ, ევროპის საბჭო შეიქმნა 1949 წლის 5 მაისს ათი ქვეყნის (ბელგიის, დანიის, გაერთიანებული სამეფოს, ირლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, საფრანგეთის, შვედეთის) მიერ. 1949 წლის აგვისტოში მათ მიუერთდა თურქეთი და საბერძნეთი. ამჟამად ევროპის საბჭო 41 ქვეყანას აერთიანებს: გერმანია და ესპანეთი (1950), ავსტრია

(1956), კვიპროსი (1961), შვეიცარია (1963), მალტა (1965), პორტუგალია (1976), ესპანეთი (1977), ლიხტენშტეინი (1978), სან-მარინო (1988), ფინეთი (1989), უნგრეთი (1980), პოლონეთი (1991), ბულგარეთი (1992), ესტონეთი, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთის რესპუბლიკა, (1993), ანდორა (1994), ალბანეთი, ლატვია, მაკედონია, მოლდოვა, უკრაინა (1995), რუსეთი, ხორვატია (1996), საქართველო (1999).

კანდიდატი ქვეყნები

ღღეისათვის ასეთი სამია: აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, სომხეთი.

დამკვირვებლის სტატუსის მქონე ქვეყნები

აშშ-ს, კანადასა და იაპონიას ამჟამად აქვთ ევროპის საბჭოს სახელმწიფოთაშორისო სტრუქტურებში დამკვირვებლების სტატუსი.

ევროპის სასახლე

ევროპის სასახლეში - სტრასბურგში (საფრანგეთი) განთავსებულია ევროპის საბჭოს შტაბბინა. აქვე ტარდება ევროპის პარლამენტის პლენარული სხდომებიც.

მოქმედების დიაპაზონი

ევროპის საბჭო განიხილავს ევროპის თანამეგობრობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს, გარდა თავდაცვის საკითხებისა. მისი მოქმედების პროგრამა მოიცავს შემდეგ სფეროებს: ადამიანის უფლებები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, თანამშრომლობა სამართლებრივ სფეროში, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა, სპორტი,

ახალგაზრდობა, ადგილობრივი დემოკრატია და საზღვრისპირა თანამშრომლობა, გარემოს დაცვა და რეგიონალური დაგეგმარება.

ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ თანამშრომლობას

- ევროპის საბჭოს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს მინისტრთა კომიტეტი, რომელშიც წარმოდგენილნი არიან 41 წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები (ან მათი სახელმწიფოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში).

ევროპის საბჭოს სათათბირო ორგანოა საპარლამენტო ასამბლეა, რომლის წევრებიც ინიშნებიან ეროვნული პარლამენტების მიერ.

- ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანოა ევროპის ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესი, რომელშიც წარმოდგენილია ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებები.

ამდენად, მთავრობები, ეროვნული პარლამენტები, ასევე ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებები, ცალ-ცალკე არიან წარმოდგენილნი ევროპის საბჭოში.

შეხვედრები უმაღლეს დონეზე

სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა უმაღლეს დონეზე გამართული შეხვედრების შედეგებმა ევროპის საბჭოს საქმიანობას ახალი იმპულსი მისცა ევროპაში სტაბილურობის განმტკიცებისათვის, განსაკუთრებით, კომუნისტური რეჟიმების დაცემასთან დაკავშირებით.

დღემდე ჩატარდა ორი ასეთი შეხვედრა.

1993 წელს ქ. ვენაში 32 წევრი სახელმწიფოს პოლიტიკურმა ლიდერებმა განსაზღვრეს სწორი კურსი ევროპის საბჭოს წევრთა გაზრდის თვალსაზრისით.

1997 წელს ქ. სტრასბურგში 40 წევრი სახელმწიფოს პოლი-

ტიკურმა ლიდერებმა შეიმუშავეს მოქმედების ახალი გეგმა, რომელსაც საფუძვლად დაედო ოთხი ძირითადი მიმართულება:

დემოკრატია და ადამიანის უფლებები, სოციალური შეკავშირება, მოქალაქეთა უსაფრთხოება, ასევე, დემოკრატიის პრინციპებისა და კულტურული მრავალფეროვნების შესწავლა.

დარგობრივი მინისტრების კონფერენცია

ევროპის საბჭო პერიოდულად აწყობს დარგობრივი მინისტრების (იუსტიციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ოჯახის საკითხების, გარემოს დაცვის, ადგილობრივი მართვის, მიგრაციის, ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის, შრომის, მასობრივი ინფორმაციის, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და ა. შ.) შეხვედრებს.

ასეთ კონფერენციებზე განიხილება სხვადასხვა დარგის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საკითხები, მტკიცდება კონტაქტები იმ სამინისტროებს შორის, რომლებიც წევრ ქვეყნებში ანალოგიურ საკითხებზე მუშაობენ.

კონფერენციების შედეგად ხდება ერთობლივი პროექტების შემუშავება, ევროპის საბჭოს სამუშაო პროგრამებში წინადადებების შეტანა.

ყოველდღიური საქმიანობა ევროპული მშენებლობის ინტერესებისათვის

ევროპის საბჭოს საქმიანობა მიმართულია კონვენციების, შეთანხმებების შესამუშავებლად, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობის უნიფიცირება და ცვლილებები.

ზოგიერთი შეთანხმება და კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა არაწევრი სახელმწიფოებისათვისაც. საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ჩატარებული გამოკვლევების, ანალიზის შედეგები გადაეცემა მთავრობებს, რაც ხელს უწყობს ევროპაში თანამშრომლობასა და პროგრესს.

ევროპის საბჭო ასევე იღებს "დროებით შეთანხმებებს", რომლებიც "ცვლადი გეომეტრიის" თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმაა, რაც საშუალებას აძლევს ზოგიერთ სახელმწიფოს, სხვათა თანხმობით აწარმოოს განსაკუთრებული საქმიანობა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.

თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან

350 არასამთავრობო ორგანიზაციისათვის საკონსულტაციო სტატუსის მინიჭების გზით ევროპის საბჭომ საფუძველი ჩაუყარა ჭეშმარიტ პარტნიორობას მათთან, ვინც ჩვეულებრივი ადამიანების ინტერესების გამომხატველია. საკონსულტაციო ღონისძიებების (დისკუსიებისა და კოლოკვიუმების ჩათვლით) საშუალებით ევროპის საბჭო სახელმწიფოთაშორისო საქმიანობაში აბამს არასამთავრობო ორგანიზაციებს, ხელს უწყობს ამ ორგანიზაციებისა და პარლამენტის წევრთა შორის დიალოგს უმნიშვნელოვანეს სოციალურ საკითხებზე.

დაფინანსება

ევროპის საბჭოს დაფინანსება ხორციელდება წევრ სახელმწიფოთა მიერ, რესურსებისა და მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად.

2000 წლის ბიუჯეტი 159, 5 მილიონ ევროს შეადგენს[3], აქედან წევრი ქვეყნების შენატანი დაგეგმილია 155 043 100 ევრო[4].

ოფიციალური სამუშაო ენები

ევროპის საბჭოს ოფიციალური სამუშაო ენებია ინგლისური და ფრანგული, მაგრამ საპარლამენტო ასამბლეაზე სამუშაო ენე-

---

[3] Adoption du Budget 2000 du Conseil de L'Europe, http://www. coe.fr/cp/99/713f%2899%29.htm.

[4] საქართველოს საწევრო შენატანი 2000 წლისათვის შეადგენს 217 047,74 ევროს, შენატანების 0,14%.

ბად გამოიყენება, აგრეთვე, გერმანული, იტალიური და რუსული. გარკვეულ ვითარებაში, დებატების დროს, შესაძლებელია სხვა ენების გამოყენებაც.

ევროპის საბჭოს საერთაშორისო პერსონალი

ევროპის საბჭოს სამდივნო აერთიანებს დაახლოებით 1300 მუდმივ საფუძველზე მომუშავე ადმინისტრაციულ მუშაკს, რომელთა შერჩევა ხდება 41 წევრი სახელმწიფოს მოსახლეობიდან. სამდივნოს ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი, რომელსაც საპარლამენტო ასამბლეა ირჩევს ხუთი წლის ვადით. იგი წარმართავს და კოორდინაციას უწევს საბჭოს საქმიანობას. ევროპის საბჭოში შექმნილია 6 გენერალური დირექტორატი ევროპის საბჭოს ძირითადი საქმიანობის მიმართულებების შესაბამისად, ესენია: პოლიტიკურ საკითხთა; იურიდიულ საკითხთა; ადამიანის უფლებათა; სოციალურ ურთიერთობათა; განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის; სპორტისა და გარემოს დაცვის საკითხთა; ადმინისტრაციისა და მართვის.[5]

ამჟამად ევროპის საბჭოს გენერალური მდივანია ვალტერ შვიმერი (ავსტრია), რომელიც ამ პოსტზე არჩეულ იქნა 1999 წლის სექტემბერში.

1999 წლის 20 სექტემბერს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლისას მან ჩამოაყალიბა ევროპის საბჭოს ამ უმაღლეს პოსტზე მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები. ბატონ ვალტერ შვიმერის გამოსვლა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იგი მოიცავს ევროპის საბჭოს საქმიანობის უმნიშვნელოვანეს პარამეტრებს ახალი ათასწლეულის დასაწყისში, ამდენად მოგვყავს მისი სრული ტექსტი.

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის, ბატონი ვალტერ შვიმერის საპროგრამო სიტყვა[6]

ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო მეგობრებო,

---

[5] იხ. ლიგრამა I.

[6] Parliamentary Assembly of the Council of Europe, 1999 Ordinary session. Official report Fourth Sitting . september 1999 p.150.

ნება მომეცით, კიდევ ერთხელ მადლობა მოგახსენოთ იმ ნდობისათვის, რომელიც თქვენ გამოავლინეთ ჩემს მიმართ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივნად არჩევით. მე დიდ პატივად მიმაჩნია ისეთი პოლიტიკური მანდატის მიღება, რომლის მიხედვით უფლებამოსილი ვარ, შევუძღვე ჩვენს ორგანიზაციას ახალ საუკუნესა და ათასწლეულში. ამ გზაზე მე ყოველმხრივ ვეცდები, შევასრულო სტატუტით ჩემზე დაკისრებული მოვალეობები. და ვემსახურო ორივე ორგანოს - საპარლამენტო ასამბლეასა და მინისტრთა კომიტეტს.

სამი კვირის წინ მე ჩავიბარე ეს პოსტი ჩემი წინამორბედის - დანიელ ტარშისისაგან, რომელსაც კიდევ ერთხელ მინდა მოვახსენო მადლობა მის მიერ გაწეული საქმიანობისათვის. სამწუხაროდ, ჩემი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ამ თანამდებობაზე იყო სამძიმრის გამოხატვა თურქეთისა და საბერძნეთის ხალხებისათვის ამ ქვეყნებში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრით გამოწვეული მრავალი სიცოცხლის ტრაგიკულ შეწყვეტასთან დაკავშირებით. თუმცა, ნუგეშისმომცემი იყო ჩვენს მიერ არა მარტო სოლიდარობის, არამედ პრაქტიკული დახმარების გაწევაც ევროპის საბჭოს სოციალური ფონდის საშუალებით.

ჩვენ შოკში ვართ იმ საშინელი შედეგებით, რომელიც მოჰყვა ბოლოდროინდელ ტერორისტულ აქტებს რუსეთში. კიდევ ერთხელ გამოვხატავ რა ჩემს ღრმა მწუხარებას და სოლიდარობის გრძნობას რუსი ხალხის მიმართ, რაც მე უკვე მოვახსენე საგარეო საქმეთა მინისტრს, ბატონ ივანოვს, მსურს აღვნიშნო, რომ ასეთ დანაშაულებთან დაკავშირებით, სახელმწიფოებს უფლება აქვთ და მოვალენიც არიან დაიცვან საკუთარ მოქალაქეთა სიცოცხლე და თავიანთი ტერიტორიული მთლიანობა, რა თქმა უნდა, კანონის უზენაესობისა და საერთაშორისო სამართლებრივი და ჰუმანიტარული სტანდარტების დაცვით. მათ ასევე უნდა შეეძლოთ, ისარგებლონ საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობითა და მისი სრული მხარდაჭერით.

უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩვენ ასევე გავხდით მოწმე ძალადობისა და ნგრევის საშინელი ფაქტებისა, რომელიც ინდონეზიის საპარლამენტო ჯარებმა გამოიყენეს აღმო-

სავლეთ ტიმორის მოსახლეობის წინააღმდეგ. არ შეიძლება ინდიფერენტული დაგვტოვოს ადამიანის უფლებათა ამ მასობრივმა და უხეშმა დარღვევებმა, რომლებიც ხელყოფენ უშუალოდ იმ ღირებულებებს, რომელთა დასაცავადაც იქნა დაფუძნებული ევროპის საბჭო. აქედან გამომდინარე, მე მივესალმები თქვენი ასამბლეის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, უმოკლეს ვადაში იქნეს განხილული ეს საკითხი, და გასულ ოთხშაბათს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ რეზოლუციას, რომელმაც დაგმო ძალადობა და ინდონეზიის მთავრობას მოუწოდა პატივი ეცა საერთაშორისო ვალდებულებებისათვის. აღნიშნული რეზოლუცია მე მივაწოდე გაეროს გენერალურ მდივანს.

ბატონო პრეზიდენტო, ნება მომეცით, ასევე, ვისარგებლო შემთხვევით და გულწრფელად მივუსამძიმრო საბერძნეთის დელეგაციას საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ბატონ იანოს კრანიდიოტისის ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით, როდესაც ის მიემგზავრებოდა ბალკანეთზე თანამშრომლობის შესახებ ბულგარეთის მთავრობის მიერ ორგანიზებულ მნიშვნელოვან შეხვედრაზე დასასწრებად.

ბატონო პრეზიდენტო, ახლა მსურს გაგიზიაროთ ჩემი შეხედულებები იმის შესახებ, თუ როგორ ვაპირებ ჩემზე მონდობილი პოლიტიკური მანდატის განხორციელებას. უკანასკნელ წლებში ასამბლეამ არაერთხელ განაცხადა თავისი სურვილი, რომ გენერალურმა მდივანმა შეასრულოს აქტიური როლი ევროპის პოლიტიკურ არენაზე, მონაწილეობა მიიღოს მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებში და სწრაფი რეაგირება მოახდინოს აქტუალურ საკითხებზე.

ნება მომეცით დაგარწმუნოთ, რომ მე განზრახული მაქვს მთლიანად შევასრულო ეს თხოვნა.

მუ ძირითად ამოცანად მიმაჩნია ორგანიზაციის, როგორც ასეთის, პოლიტიკური განვითარება, ასამბლეის მიერ განსაზღვრული მიმართულებების შესაბამისად. ჩვენი მომავალი, ბატონო პრეზიდენტო, იდეებისაგან იქმნება.

ბატონო პრეზიდენტო, ამ კვირაში ასამბლეა განიხილავს სიტუაციას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და კოსოვოში. მე მოხ-

არული ვარ მოგახსენოთ, რომ ევროპის საბჭოს ოფისი გაიხსნა პრიშტინაში. მე ვიზრუნებ, რომ აღნიშნულმა ოფისმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩემი სპეციალური წარმომადგენელი ბატონი ულრიხ ბონერი, მიიღოს ყოველნაირი მხარდაჭერა, რისთვისაც უახლოეს მომავალში დაგეგმილი მაქვს ვიზიტი კოსოვოში. თუმცა, აღნიშნულ საკითხებზე მუშაობასთან დაკავშირებით, მსურს მივმართო ამ ასამბლეის ყველა წევრს, რათა მათ ყურადღება გაამახვილონ თავიანთი ქვეყნების პარლამენტებში იმ მნიშვნელოვან წვლილზე, რომელიც შეაქვს ევროპის საბჭოს კოსოვოში გაეროს დროებითი ადმინისტრაციული მისიის (UNMIK) საქმიანობის პროცესში.

რაც შეეხება მთლიანად ამ რეგიონს, 1999 წლის 30 ივლისის სარაევოს სამიტზე ხაზგასმით აღინიშნა "სტაბილურობის პაქტის" განხორციელების საქმეში ჩვენი ორგანიზაციის როლის შესახებ. ჩემთვის პრიორიტეტულ მიმართულებებად მომავალშიც რჩება ევროპის საბჭოს მიერ წვლილის შეტანა "სტაბილურობის პაქტის" რეალიზაციასა და UNMIK-ის საქმიანობაში. მე, ასევე, მთელს ჩემს ძალისხმევას მოვახმარ ყველა იმ აუცილებელი ზომის გატარებას, რაც საჭიროა იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და დემოკრატიული ძალების გაძლიერებისათვის.

მე უკვე მქონდა შესაძლებლობა, განმეხილა ეს საკითხები ისლანდიისა და რუმინეთის მთავრობების წევრებთან ამ ქვეყნებში ჩემი ოფიციალური ვიზიტების დროს, გასული კვირების განმავლობაში. თუმცა ცხადია, რომ, თუ ჩვენი ძალისხმევა წარმატებული აღმოჩნდება, ჩვენ დაგვჭირდება ადექვატური ფინანსური წყაროები.

რამდენადაც მე ვამზადებ ორგანიზაციის ბიუჯეტს, უნდა მოგახსენოთ, რომ შეფარდება, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, ევროპის წინაშე მდგარ ამოცანებსა და, მეორე მხრივ, რესურსებს შორის, რომელთა გამოყოფაც სურთ წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, არასდროს ყოფილა მნიშვნელოვანი. თუმცა წევრი სახელმწიფოების სულ უფრო მზარდი რაოდენობა იმის მანიშნებელია, რომ ისინი მზად არიან გაზარდონ ჩვენი ბიუჯეტი. მე ასევე მადლიერი

ვარ იმ მთავრობების, რომლებმაც გაიღეს ნებაყოფლობითი შენატანი კონკრეტული პროექტებისათვის.

კოსოვოს კრიზისის გამოცდილებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რა დისპროპორცია არსებობს, ერთი მხრივ, კრიზისის დარეგულირების საკმაოდ დიდ ხარჯებსა და, მეორე მხრივ, კრიზისის თავიდან აცილებასთან დაკავშირებულ ხარჯებს შორის. ჩვენი ორგანიზაციის მთლიანი ყოველწლიური ბიუჯეტი შეადგენს საშუალოდ 200 მილიონ აშშ დოლარს, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია კოსოვოს კრიზისის ხარჯების ერთ პროცენტზე. ნება მომეცით, შეგახსენოთ, რომ ნატოს შეფასებით საჰაერო კამპანიის ხარჯებმა შეადგინა 2.5 მილიარდი აშშ დოლარი.

ევროპის საბჭოს საშუალებით პრევენციული ზომების მხარდაჭერა შეამცირებს ხარჯებსა და დანაკარგებს! და კიდევ ერთხელ გთხოვთ თქვენს მხარდაჭერას ამ ინფორმაციის ეროვნულ დონეზე გასავრცელებლად.

მე ძალისხმევას არ დავიშურებ, ბევრი თვალსაზრისით ჩვენს ბუნებრივ პარტნიორთან, ევროკავშირთან თანამშრომლობის განსავითარებლად, როგორც ჩვენი საერთო თანამშრომლობის, ასევე, მრავალ სხვა საკითხში.

მსურს გავიმეორო ჩემი მოსაზრება, რომელიც გამოვთქვი მინისტრთა კომიტეტში, რომ ევროპის საბჭომ მნიშვნელოვანი მონაწილეობა უნდა მიიღოს ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის შემუშავებისა და განხილვის პროცესში. როგორც თქვენთვის ცნობილია, ევროკავშირში აქტიური მსჯელობა მიმდინარეობს ამ საკითხზე და სავარაუდოა, რომ 1999 წლის 11 ოქტომბრისათვის ზოგად საკითხთა საბჭო შექმნის ამ ქარტიის პროექტის შემმუშავებელ ორგანოს. უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ არ დასუსტდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული და სასამართლოს მიერ გარანტირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა.

ამ კონტექსტში, ნება მომეცით, აღვნიშნო, რომ მე კვლავაც დავუჭერ მხარს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ევროკავშირის შეერთებას, რისი ინიციატივაც გამოავლინა ასამბლეამ და ევროპარლამენტმა. ამიტომ მე დავაყენებ ამ საკითხს ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის მომავალ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება ქალაქ სტრასბურგში, 1999 წლის 6 ოქტომბერს.

დამატებით, მე უკვე შევთავაზე ევროკომისიის ახლად დამტკიცებულ თავმჯდომარეს, ბატონ რომანო პროდის უახლოეს მომავალში შეხვედრა ქ. სტრასბურგში.

ჩვენს კიდევ ერთ ბუნებრივ პარტნიორს, ბატონო პრეზიდენტო, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ეუთო, რომელიც ასევე იღვწის სტაბილური და დემოკრატიული ევროპისათვის. თუმცა მაშინ, როდესაც ეუთო მოგვაგონებს სახანძრო ბრიგადას, რომელსაც მოუხმობენ უკვე გაჩაღებული ხანძრის ჩასაქრობად, მისგან განსხვავებით, ევროპის საბჭო მესახება საერთო ევროპულ სახლში ხანძრის თავიდან ამაცილებელ ორგანიზაციად. თუმცა ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ სრული თანასწორობის საწყისებზე.

ბატონო პრეზიდენტო, ეს ასამბლეა ყოველთვის მიიჩნევდა, რომ ევროპის საბჭოს პოლიტიკური ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის მიმართ გამოჩენილ ნდობაზე. ამ ნდობის შესანარჩუნებლად იგი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს წევრი სახელმწიფოების მიერ აღებული პოლიტიკური ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს. მე მთლიანად ვიზიარებ იმ პირთა მოსაზრებას, რომლებსაც სურთ იხილონ სრული ურთიერთშეთანხმება ასამბლეისა და მინისტრთა კომიტეტის მიერ გამოყენებული მონიტორინგის პროცედურებს შორის. ვფლობ რა ამ ურთიერთშეთანხმების უზრუნველყოფისათვის აუცილებელ უფლებამოსილებათა გარკვეულ ნაწილს, მეც ვაპირებ ახალი ძალა შევძინო მონიტორინგის პროცედურას სამთავრობათაშორისო დონეზე.

ბატონო პრეზიდენტო, თხუთმეტი წლის წინ, 1984 წელს, მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია პოლიტიკურ სფეროში ევროპის საბჭოს მოქმედების შესახებ და (მე ვახდენ მის ციტირებას) "ხაზი გაუსვა, ერთი მხრივ, ევროპის საბჭოს სამთავრობათაშორისი ღონისძიებების განხორციელებისათვის მეტი პოლიტიკური ძალისხმევის მიმართვის და მეორე მხრივ, პოლიტიკურ სფეროში მისი მოქმედებების გაფართოებისა და ინტენსიურობის გაზრდის საჭიროებას." მას შემდეგ ჩატარებულმა ორმა წარმატებულმა სამიტმა, რომელთა გამართვაში დიდი წვლილი შეიტანა ასამბლეამ, დაადასტურა აღნიშნული გადაწყვეტილება. ჩემი სურ-

ვილია უზრუნველვყო 1997 წლის სამიტისა და "ბრძენების" შესაბამისი მოხსენებების ხედვა სწორედ ამ მიმართებით.

ხშირად, განსაკუთრებით ამ ასამბლეაში, გამოითქმის შეშფოთება იმის გამო, რომ გარკვეულწილად მიჩქმალულია ევროპის საბჭოს სახელი. ზოგიერთი მართებულად აღნიშნავს, რომ ევროპის საბჭო უფრო წარმატებულია ისტორიის შექმნაში, ვიდრე თავისი საქმიანობის პროპაგანდაში, მაგრამ, სანამ არსებობს მასმედია, ჩემი აზრით, აუცილებელია ევროპის საბჭომ არამარტო კარგად იმუშაოს, არამედ თვალსაჩინოც გახადოს თავისი კარგი მუშაობა. ჩვენ შეგვიძლია, შევთავაზოთ მაღალი ხარისხის პროდუქცია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მთავრობები სათანადო ძალისხმევას არ იჩენენ ამ მიმართებით.

დამატებით, მიმაჩნია, რომ ევროპის საბჭო და მის მიერ შემუშავებული სტანდარტები შეიძლება წარმატებული მოდელი გახდეს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისათვის. ამიტომაც მე ვეცდები ავამაღლო ჩვენი სახე გაერომდე, რასაც განუწყვეტლივ თხოულობდა ეს ასამბლეა. გარემოებები, რომელთა პირობებში დაფუძნდა გაეროს დროებითი ადმინისტრაცია კოსოვოში, ნათლად მიანიშნებს ჩვენს მიერ იმ პრაქტიკული გამოცდილებისა და შედარებითი შესაძლებლობების გაზიარებას, რაც გაეროს ორგანოებს გააჩნიათ.

ბატონო პრეზიდენტო, არც ერთი ჩვენი პროექტი არ იქნება წარმატებული, მაღალი პროფესიონალიზმისა და მოტივაციის მქონე პერსონალის განუწყვეტელი მხარდაჭერის გარეშე. როგორც გენერალური მდივანი, მე ვაპირებ განვავითარო დიალოგისა და მონაწილეობის პოლიტიკა, რათა სტიმული მიეცეს პერსონალის მოტივაციას, თანაბარ შესაძლებლობებსა და მობილურობას.

ბატონო პრეზიდენტო, როგორც მე შესავალში განვაცხადე, ჩემი პოლიტიკური მანდატის განხორციელებისას მთელს ჩემს ძალისხმევას მივმართავ იმისაკენ, რომ შეუქცევადი გახდეს დემოკრატია ჩვენს კონტინენტზე. ამ გზაზე მე იმედი მაქვს ჩემი მეგობრებისა და ამ ასამბლეაში მყოფი ყოფილი თანაპარლამენტარებისა, რომლებთანაც ახლო ურთიერთობას კვლავაც გავაგრძელებ, განსაკუთრებით, ბატონო პრეზიდენტო, თქვენთან, ჯგუფის ლიდერებთან

და კლერკთან რეგულარული შეხვედრების გზით და, რა თქმა უნდა, ასევე პერიოდული შეხვედრებით კომიტეტის თავმჯდომარეებთან, მომხსენებლებთან და ამ ასამბლეის სხვა წევრებთან.

ბატონო პრეზიდენტო, როგორც შევთანხმდით, 2000 წლის იანვრის სესიის განმავლობაში მე ვაპირებ უფრო სრულყოფილი მოხსენებით წარვსდგე ასამბლეის წინაშე ევროპაში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

დიდ მადლობას მოგახსენებთ, ბატონო პრეზიდენტო.

ევროპის საბჭოს სტრუქტურა

მინისტრთა კომიტეტი

ევროპის საბჭოს ხელმძღვანელი სადირექტივო ორგანოა მინისტრთა კომიტეტი. მასში წარმოდგენილნი არიან 41 წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები და ევროპის საბჭოსთან ამ ქვეყნების მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლები. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი იმავდროულად სამთავრობო ორგანოა, რომლიც თანასწორუფლებიანობის საფუძველზე განიხილავს ეროვნულ მიდგომებს ევროპული თანამეგობრობის პრობლემებისადმი; იგი კოლექტიური ფორუმია, რომლის ფარგლებშიაც, ერთობლივი განხილვის შედეგად, ხდება ამ პრობლემების გადაწყვეტის საერთოევროპული მიდგომების ფორმულირება.

საპარლამენტო ასამბლეასთან ერთად მინისტრთა კომიტეტი დგას ევროპის საბჭოს ფუნდამენტურ ფასეულობათა სადარაჯოზე და ახორციელებს კონტროლს წევრი სახელმწიფოების მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებაზე.

მინისტრთა კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებებს ევროპის საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამასთან ერთად, იგი განსაზღვრავს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის, მთავრობათაშორისი სხვადასხვა კომიტეტებისა და დარგობრივი მინისტრების კონფერენციების წინადადებების განხორციელების გზებს. იგი ამტკიცებს ევროპის საბჭოს სამოქმედო პროგრამასა და ბიუჯეტს.

ევროპის საბჭოს გადაწყვეტილებები, თავდაცვის საკითხების გამოკლებით, მოიცავს საერთო ინტერესების სფეროში შემავალი ყველა პოლიტიკური საკითხის ასპექტებს, ისეთებს, როგორიცაა:

ევროპული ინტეგრაციის პოლიტიკური ასპექტები, თანამშრომლობის განვითარება, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა პრობლემას, რომელიც საერთოევროპულ გადაწყვეტილებებს მოითხოვს.

საგარეო საქმეთა მინისტრები თავიანთ შეხვედრებს ატარებენ წელიწადში ორჯერ მაინც, რათა შეაფასონ პოლიტიკური ვითარება და განიხილონ ევროპაში თანამშრომლობის საკითხები, ასევე საჭირო იმპულსი მისცენ საბჭოს საქმიანობას. პრაქტიკულად მათ მოადგილეებად ითვლებიან ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლები სტრასბურგში. გადაწყვეტილებების მიღებისას მათ აქვთ მინისტრთა უფლებამოსილებანი და შესაბამისად ახორციელებენ კონტროლს ევროპის საბჭოს მიმართ. მათი შეხვედრები ელჩების დონეზე (დონე — ა) იმართება თვეში ორჯერ მაინც, მათი თათბირების დამატებით ეწყობა მუდმივი წარმომადგენლების მოადგილეების (დონე — ბ), ასევე მოხსენებების შემმუშავებელი სპეციალური ჯგუფების შეხვედრები, რომელთა ამოცანაა დეტალურად განიხილონ საკითხები, რომელთა თაობაზედაც მიიღება გადაწყვეტილებები.

ყოველი მინისტრი მორიგეობით, ექვსი თვის ვადით ხელმძღვანელობს მინისტრთა კომიტეტს; ტრადიციულად მონაცვლეობა ხდება მაისსა და ნოემბერში.

იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეული პროექტი ვერ პოულობს ყველა წევრი სახელმწიფოს მხარდაჭერას, მინისტრთა კომიტეტს შეუძლია ასეთი პროექტი გაავრცელოს კერძო შეთანხმების ფორმით, რაც საშუალებას აძლევს ცალკეულ წევრ ქვეყნებს მონაწილეობა მიიღონ განსაზღვრულ სფეროში ერთობლივ საქმიანობაში.

სხვა მხრივ, შეთანხმების მონაწილეთა წრის გაფართოება წევრ სახელმწიფოებს (ან ზოგიერთ მათგანს) საშუალებას აძლევს ითანამშრომლონ არაწევრ სახელმწიფოებთან, ამასთან, შესთავაზონ მათ ყველა ის სიკეთე, რითაც სარგებლობენ საბჭოს მუდმივი წევრები.

სახელმწიფოთა მთავრობებს რეკომენდაციების, ევროპული

კონვენციების ან შეთანხმებების სახით გადაეცემათ მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებები, რომლებიც სახელმწიფოების მიერ რატიფიცირების შემდგომ იღებენ მათთვის სავალდებულო სახეს. მინისტრთა კომიტეტი აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე, ასევე, იღებს დეკლარაციებსა და რეზოლუციებს.

მიმდინარე პერიოდისათვის დამუშავებულია 174 კონვენცია და სხვა ძირითადი დოკუმენტი[7], რომლებიც უმთავრესად ადამიანის უფლებების სფეროს მოიცავს. ამის გარდა, ისინი ეხება ისეთ სფეროებს, რომლებიც განამტკიცებენ ევროპის საბჭოს ქვეყნების კავშირებს დემოკრატიის, სოციალურ და კულტურის სფეროში.

ძირითადი გადაწყვეტილებები მიიღება კვალიფიციური უმრავლესობით, ხოლო პროცედურული საკითხები წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით.

კონვენციებისა და რეკომენდაციების პროექტები მზადდება მინისტრთა კომიტეტთან არსებული სამთავრობო ექსპერტთა კომიტეტის მიერ, რაც პოლიტიკური ინტერესების, პროფესიული და ტექნიკური მიდგომების ურთიერთქმედების საშუალებას ქმნის. ბევრი პოლიტიკური ინიციატივა მიიღება დარგობრივი მინისტრების რეგულარულ კონფერენციებზეც.

ევროპის საბჭომ შეიმუშავა თანამშრომლობისა და ახალ წევრ სახელმწიფოთა მხარდაჭერის პროგრამები, რათა მათ საშუალება მიეცეთ, გამოიყენონ საბჭოს მიერ დაგროვილი გამოცდილება. ეს პროგრამები დაფუძნებულია ევროპის საბჭოს ფარგლებში სამთავრობათაშორისო თანამშრომლობის მიღწევებზე, ექსპერტთა ჩამოყალიბებულ ქსელსა და თანამშრომლობის გამოცდილ სტრუქტურებზე. ამ პროგრამების მიზანია აღნიშნულ ქვეყნებში დემოკრატიული რეფორმების პროცესის აქტივიზაცია, განმტკიცება და დაჩქარება, იმისათვის, რომ მათ შეძლონ ევროპულ სტრუქტურებსა და პროცესებში ჰარმონიული ინტეგრაცია, განიმტკიცონ ადგილი ევროპის საბჭოში. ნდობის განმტკიცების ღონისძიებათა სპეციალური პროგრამის მიზანია სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა, მოსახლეობის სხვადასხვა ეროვნულ ჯგუფებს

---

[7] ქვემოთ მოყვანილია ევროპის საბჭოს კონვენციათა და დოკუმენტების სრული სია

შორის კულტურული ურთიერთგამდიდრებისა და თანამშრომლობის განვითარების სტიმულირება.

წევრი სახელმწიფოები კისრულობენ პასუხისმგებლობას, განუხრელად დაიცვან კანონის უზენაესობა და მოსახლეობის უფლებები, შეუზღუდავად ისარგებლონ უფლებებითა და თავისუფლებებით. ამასთან, ისინი გულწრფელად იღვწიან, ეფექტურად ითანამშრომლონ დიდი ერთობის მისაღწევად, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისათვის. ევროპის საბჭოსთან შეერთებული ყოველი სახელმწიფო პასუხს აგებს ამ ვალდებულებების შესრულებაზე; მინისტრთა კომიტეტი უზრუნველყოფს მათ შესრულებას.

ამ ვალდებულებების შესრულებაში სერიოზული დარღვევებისათვის მინისტრთა კომიტეტი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება წევრობის შეჩერების, გამოწვევის და ევროპის საბჭოს წევრობიდან გარიცხვის შესახებაც კი.

მინისტრთა კომიტეტი თვალყურს ადევნებს წევრ სახელმწიფოებში კონვენციებისა და შეთანხმებების შესრულებას. ეს განსაკუთრებით ეხება დოკუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის ყველაზე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, სრულიად ევროპის სოციალური ქარტია, წამების თავიდან აცილების ევროპული კონვენცია, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენცია) თვით შეიცავენ კონტროლის მექანიზმს.

მინისტრთა კომიტეტი მოწოდებულია, მიუკერძოებლად და კონსტრუქციულად განახორციელოს თავისი ფუნქციები, მხარი დაუჭიროს დიალოგს და თანმიმდევრულად შეისწავლოს პოზიტიური განვითარებისათვის აუცილებელი პოლიტიკური და მატერიალური პირობების არსებობის მდგომარეობა.

ამ მიზნით კომიტეტმა შექმნა მონიტორინგის სპეციალური სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება წევრ სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა. იგი ყველა სახელმწიფოს უქმნის საჭირო პირობებს ევროპის საბჭოს ფუძემდებლური ფასეულობების განმტკიცებისათვის.

ევროპის საბჭოს წევრთა შემადგენლობის გაფართოებამ განა-

პირობა რიგი ცვლილებებისა მინისტრთა კომიტეტის სტრუქტურასა და როლში, მის საქმიანობაში პოლიტიკური ასპექტების ზრდის თვალსაზრისით.

ევროპის საბჭომ მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი დიალოგი ევროპის სახელმწიფოების ადგილობრივი და ეროვნული არჩევითი ორგანოების წევრებთან და თავის პოლიტიკურ დისკუსიებში ჩაება სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები, მათ შორის მეთვალყურის სტატუსის მქონე არაევროპული სახელმწიფოებიც (აშშ, კანადა, იაპონია), ამასთან, უფრო ინტენსიური გახდა საბჭოს თანამშრომლობა ევროპის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უპირველესად, ევროპის კავშირთან და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან.

საპარლამენტო ასამბლეა

საპარლამენტო ასამბლეა ევროპის საბჭოს სათათბირო ორგანოა, რომლის წევრებიც ინიშნებიან ეროვნული პარლამენტების მიერ.

საპარლამენტო ასამბლეა არის ევროპის კონტინენტის ისტორიაში პირველი ყველაზე წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება 41 ეროვნული პარლამენტის დელეგაციებისაგან. საპარლამენტო ასამბლეა თავად ადგენს თავის დღის წესრიგს, იხილავს მიმდინარე ან მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საზოგადოებისა და საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემების ჩათვლით.

მისი შეხედულებები მნიშვნელოვანია მინისტრთა კომიტეტის საქმიანობისათვის.

საპარლამენტო ასამბლეის 291 წევრსა და 291 შემცვლელს (მოადგილეს) ირჩევენ ან ნიშნავენ ეროვნული პარლამენტები. ყოველ სახელმწიფოს, მათი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ასამბლეაში ჰყავს 2-დან 18 წარმომადგენლამდე. ყველა მთავარი პოლიტიკური პარტია აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ეროვნულ დელეგაციაში.

ასამბლეაში ჩამოყალიბებულია ხუთი პოლიტიკური ჯგუფი:

სოციალისტური ჯგუფი, ევროპის ხალხების პარტიის ჯგუფი, ევროპის დემოკრატთა ჯგუფი, ლიბერალთა, დემოკრატთა და რეფორმატორთა ჯგუფი და ევროპის გაერთიანებული მემარცხენეების ჯგუფი. ასამბლეის წევრები, როგორც წესი, წევრიანდებიან ამ ჯგუფებში. თუმცა ზოგიერთი პარლამენტარი არ არის არც ერთი ჯგუფის წევრი.

ასამბლეა იკრიბება წელიწადში ოთხჯერ პლენარულ სესიებზე ქ. სტრასბურგში, ევროპის სასახლის დარბაზში. ასამბლეის სხდომები ღიაა. ამასთან ერთად, საგაზაფხულო სესია ტარდება რომელიმე წევრ სახელმწიფოში.

ასამბლეა თავისი წევრებისაგან 3 წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს. თავმჯდომარე და მისი მოადგილეები (ამჟამად 19) ქმნიან ასამბლეის ბიუროს.

ასამბლეა ირჩევს გენერალურ მდივანს, განერალური მდივნის მოადგილესა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეებს.

საპარლამენტო ასამბლეა თავის მუშაობას წარმართავს სპეციალური კომიტეტების მეშვეობით, რომელებიც კურირებენ შემდეგ საკითხებს: პოლიტიკური ურთიერთობები; სამართლებრივი ურთიერთობები და ადამიანის უფლებები; სოციალური, ჯანდაცვისა და ოჯახის; კულტურა და განათლება; გარემოს, რეგიონალური დაგეგმვისა და ადგილობრივი ხელისუფლების; მეცნიერებისა და ტექნოლოგიების; სოფლის მეურნეობის; ეკონომიკური ურთიერთობისა და განვითარების; არაწევრი სახელმწიფოების; მიგრაციისა და ლტოლვილთა; ეროვნულ პარლამენტებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობების.

ყოველი სესიის დღის წესრიგი ითვალისწინებს დებატებს საერთაშორისო მოვლენათა შესახებ. დებატებში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ მსოფლიოს თვალსაჩინო მოღვაწეები: მეფე ხუან კარლოსი, ფრანსუა მიტერანი, იოანე პავლე მეორე, ჰელმუტ კოლი, მიხეილ გორბაჩოვი, ვაცლავ ჰაველი, ხოსნი მუბარაქი, იასერ არაფატი და სხვები, ასევე უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული დოკუმენტები სახ-

ელმძღვანელო ხასიათს ატარებენ მინისტრთა კომიტეტის, წევრ სახელმწიფოთა მთავრობების, პარლამენტების და პოლიტიკური პარტიებისათვის.

საპარლამენტო ასამბლეის ინიციატივით შემუშავებულ იქნა მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება, ანუ ევროპული კონვენცია, რომლებიც ქმნიან ევროპული კანონმდებლობის ბაზას.

საპარლამენტო ასამბლეა ატარებს რეგულარულ კონფერენციებს, სიმპოზიუმებსა და საზოგადოებისათვის ღია საპარლამენტო მოსმენებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ძალადობა, გარემო, იმიგრაცია, ნარკოტიკები, ბიოეთიკა და მედია. ეს მოსმენები ატარებენ პარლამენტარებისა და სპეციალისტების დიალოგის ხასიათს.

განსხვავება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეასა და ევროპის პარლამენტს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ასამბლეა შედგება 41 წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან, რომლებიც ინიშნებიან ან აირჩევიან ეროვნული პარლამენტების მიერ, ხოლო ევროპის პარლამენტი შედგება 15 წევრ სახელმწიფოში პირდაპირი არჩევნების შედეგად არჩეული წარმომადგენლებისაგან.

საპარლამენტო ასამბლეაში 2000 წლის დასაწყისისათვის წარმოდგენილია 41 სახელმწიფოს ეროვნული პარლამენტი მათ მიერ წარგზავნილი შემდეგი რაოდენობის წევრებით:

ავსტრია (6), ალბანეთი (4), ანდორა (2), ბელგია (7), ბულგარეთი (6), გაერთიანებული სამეფო (18), გერმანია (18), დანია (5), ესპანეთი (12), ესტონეთი (3), თურქეთი (12), იტალია (18), ირლანდია (4), ისლანდია (3), კვიპროსი (3), ლატვია (3), ლიტვა (4), ლიხტენშტეინი (2), ლუქსემბურგი (3), მალტა (3), მაკედონია (3), მოლდოვა (5), ნიდერლანდები (7), ნორვეგია (5), პოლონეთი (12), პორტუგალია (7), რუმინეთი (10), რუსეთი (18), საბერძნეთი (7), სან მარინო (2), საფრანგეთი (18), საქართველო (5), სლოვაკია (5), სლოვენია (3), უკრაინა (12), უნგრეთი (7), ფინეთი (5), შვედეთი (6), შვეიცარია (6), ჩეხეთის რესპუბლიკა (7), ხორვატია (5). როგორც აღვნიშნეთ, კანადისა და ისრაელის სახელმწიფოს პარლამენტები საპარლამენტო ასამბლეაში სარგებლობენ მეთვალყურის სტატუსით. ხოლო აზერბაიჯანის,

ბოსნიისა და ჰერცოგოვინის, სომხეთის პარლამენტებს მინიჭებული აქვთ "სპეციალური სტუმრის" სტატუსი. ბელორუსს ეს სტატუსი შეუჩერდა 1997 წლის 13 იანვარს.

ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესი

ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესი საკონსულტაციო ორგანოა, რომელშიც წარმოდგენილნი არიან წევრი სახელმწიფოების ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების წევრები.

1994 წელს მინისტრთა კომიტეტმა შექმნა ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესი, რომელმაც შეცვალა ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების მუდმივი კომიტეტი. კონგრესში წარმოდგენილნი არიან წევრ სახელმწიფოთა ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების წევრები. საპარლამენტო ასამბლეის მსგავსად ჯერჯერობით კონგრესში არის 291 წევრი და ამდენივე შემცვლელი.[8] ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესში წარდგენილი პირი აუცილებელია არჩეული იყოს წევრი სახელმწიფოს ადგილობრივ ან რეგიონალურ ხელისუფლებაში, ან უნდა იყოს ოფიციალური პირი, რომელიც უშუალოდ ამ ორგანოებს ექვემდებარება.

ეროვნული დელეგაციის დანიშვნისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი:

წევრი ქვეყნის ტერიტორიიდან წარმომადგენელთა დაბალანსებული გეოგრაფიული განაწილება;

---

[8] ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ საქართველოს უფლება მიეცა დაენიშნა დელეგაცია კონგრესში. საქართველოს დელეგაციაში შეიდნენ: გიორგი წერეთელი, ქ. თბილისის საკრებულო, მოქალაქეთა კავშირი რეგიონალურ ხელისუფლებათა პალატაში; თამაზ სულაძე, ქ. თბილისის საკრებულო, ლიბერისტური პარტია - რეგიონალურ ხელისუფლებათა პალატაში; გიორგი აბაშიძე. ქ. ბათუმის საკრებულო, აღორძინების კავშირი; გიორგი მჭედლიშვილი, ქ. გორის საკრებულო, სახალხო პარტია და მაია სიმონიძე, ქ. ქუთაისის საკრებულო, მოქალაქეთა კავშირი – ადგილობრივ ხელისუფლებათა პალატაში (დელეგაციის შემცვლელების ხარჯზე დაბალანსებულია პარტიათა და არჩეით ორგანოთა დაწესებული წარმომადგენლობა)

წევრი ქვეყნის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების თანაბარი განაწილება;

წევრი ქვეყნის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოების სხვადასხვა პოლიტიკური ძალების თანაბარი წარმომადგენლობა;

წევრი ქვეყნის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოების წევრ ქალთა და მამაკაცთა თანაბარი წარმომადგენლობა.

კონგრესი შედგება ორი პალატისაგან:

ადგილობრივი ხელისუფლების პალატა;

რეგიონალური ხელისუფლების პალატა.

თითოეული პალატა ირჩევს თავის პრეზიდენტსა და ბიუროს ორ წელიწადში ერთხელ. კონგრესის პრეზიდენტი ასევე აირჩევა ორი წლის ვადით, მორიგეობით თითოეული პალატისაგან.

მუდმივი კომიტეტი, რომელიც ეროვნული დელეგაციების წარმომადგენლებისაგან შედგება, უზრუნველყოფს კონგრესის საქმიანობას პლენარულ სხდომებს შორის.

კონგრესსა და მის ორ პალატას შეუძლია ჩამოაყალიბონ "ად ჰოც" სამუშაო ჯგუფები კონკრეტულ და სპეციფიკურ საკითხებზე სამუშაოდ.

კონგრესის სამდივნოს უფროსი და მას დაქვემდებარებული სამდივნოს წევრები, რომლებიც ევროპის საბჭოს მუდმივი პერსონალისაგანაა შემდგარი, პასუხს აგებენ კონგრესის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

პლენარული სესიები იმართება წელიწადში ერთხელ, სტრასბურგში, ევროპის სასახლეში.

არაწევრ სახელმწიფოთა ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების დელეგაციები, რომელთა პარლამენტებსაც "სპეციალური სტუმრის" სტატუსი აქვთ საპარლამენტო ასამბლეაში, ასევე დამკვირვებლები, უფლებამოსილნი არიან, მონაწილეობა მიიღონ სესიებში კონგრესის ან მისი კომპეტენტური ორგანოების ნებართვით.

კონგრესის მთავარი მიზანია ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების მონაწილეობა ევროპის გაერთიანების პროცეს-

ებსა და ევროპის საბჭოს საქმიანობაში. მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია არის ადგილობრივი და რეგიონალური დემოკრატიის ხელის შეწყობა და ევროპაში ფართო მასშტაბებით ტრანსსასაზღვრო და მთავრობათაშორისი თანამშრომლობის განმტკიცება.

საერთოევროპული თანამშრომლობის განმტკიცების, ადგილობრივ თვითმმართველობის სფეროში მუშაობის პრაქტიკული ჩვევების გამომუშავების მიზნით, კონგრესის ხელშეწყობით, შექმნილია ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ორგანოების კადრების მომზადების ევროპული ცენტრების ქსელი.

კონგრესმა კონსულტაციები ჩაატარა მრავალ ორგანიზაციასთან, რომლებიც წარმოადგენენ ევროპის მთიან რეგიონებს და დაამტკიცა კონვენციის პროექტი მთიანი რეგიონების განვითარებისა და დაცვის შესახებ.

ევროპის საბჭოს საქმიანობა სქემატურად შეიძლება წარმოვიდგინოთ.[9]

---

[9] იხ. დიაგრამა 2.

თანამშრომლობა სამართლებრივ საკითხებში

ევროპის საბჭო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ევროპის კანონმდებლობის შემუშავების თვალსაზრისით. მისი საქმიანობა სამი მიმართულებით ხორციელდება:

კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად ეროვნული კანონმდებლობების განახლება და უნიფიცირება;

სამართალწარმოების გამარტივების გზით მართლმსაჯულების ორგანოების მუშაობის ეფექტურობის ამაღლება;

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების კვალდაკვალ წარმოქმნილი სამართლებრივი და ეთიკური სახის პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტის გზების ძიება თანამედროვე საზოგადოებისათვის შესაფერი წესებისა და ნორმების მიღების საშუალებებით.

ევროპის საბჭო მრავალი ევროპული ხელშეკრულების ინიციატორია და აქტიურად მონაწილეობს ევროპის სამართლებრივი ნორმების უნიფიცირებაში. მისი საქმიანობა ამ თვალსაზრისით უკავშირდება ორი ტიპის ნორმატიული აქტების შემუშავებას:

კონვენციები და რეკომენდაციები.

კონვენციები – სავალდებულო ძალის მქონე სამართლებრივი აქტები

კონვენციები სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი თანამშრომლობის ძირითადი ელემენტებია, რომლებსაც სავალდებულო ძალა აქვთ ქვეყნებისათვის, რომელთა მიერაც ისინი რატი-

ფიცირებულია, მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ კონვენციას ყველა შიდასახელმწიფოებრივ საკანონმდებლო აქტზე, მათ შორის კონსტიტუციაზეც, უპირატესი ძალა ჰქონდეს. კონვენციის გამოყენებისას მხედველობაში მიიღება ევროპის საბჭოს წევრ ქვეყანაში დამკვიდრებული წესი.

ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში საერთაშორისო ხელშეკრულებები, უპირატესად, კონვენციები, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილად განიხილება, რაც იმას ნიშნავს, რომ მის ნორმებს კონსტიტუციაზე ნაკლები ძალა აქვს, ხოლო მეტი ვიდრე სხვა საკანონმდებლო აქტებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს: "საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ." [10]

რიგ ქვეყნებში კონვენციები დამტკიცებულია საკანონმდებლო ორგანოს მიერ და შიდასამართლებრივ სისტემაში წარმოდგენილია, როგორც სხვა კანონები; შესაბამისად, ისინი მოცემულ ქვეყანაში მიღებული კანონების რანგით სარგებლობენ.

ამავე დროს, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მცირე ნაწილისათვის (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, ირლანდია და სკანდინავიის ქვეყნები) კონვენცია რჩება სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებად შიდა სამართალში ინკორპორაციის გარეშე, რაც ზოგჯერ სამართლებრივ პრობლემებს წარმოშობს. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ცალსახად, არაერთხელ მიუთითა, რომ არ არსებობს კონვენციის შიდა სამართალში ინკორპორირების არანაირი იურიდიული ვალდებულება. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში, იმ ქვეყნების სასამართლოები, რომლებსაც არა აქვთ კონვენციები ინკორპორირებული

---

[10] საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1995, გვ. 7.

თავიანთ სამართალში, ცდილობენ თავიდან აიცილონ კოლიზიები და ძირითადად დაეყრდნონ კონვენციების ნორმებს.

ისეთი სამართლის მქონე ქვეყნებისათვის კი, რომლებსაც საქართველო განეკუთვნება, ევროპის საბჭოს კონვენციებსა და კონსტიტუციას შორის წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტა ხდება დათქმის მექანიზმით, რომელიც ფართოდ გამოიყენება ევროპის საბჭოს პრაქტიკაში.

ევროპის საბჭოს მრავალმხრივი კონვენციები, არა მარტო ხელს უწყობენ თანამშრომლობას, არამედ უფრო აადვილებენ და ამარტივებენ მას, რამდენადაც ერთ კონვენციას ხშირად შეუძლია შეცვალოს წევრ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობისათვის გაფორმებული ბევრი ორმხრივი ხელშეკრულება.

ევროპის საბჭოს ფუძემდებლურ დოკუმენტთა შორის ზოგიერთ კონვენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ისინი განსაზღვრავენ ამ ორგანიზაციის შექმნის უპირველეს მიზნებსა და ამოცანებს.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

დიდია ევროპის საბჭოს როლი საერთო ევროპული კანონმდებლობის შექმნის საქმეში. ევროპის საბჭოს მიერ წლების მანძილზე შემუშავებულ იქნა კონვენციათა მთელი პაკეტი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ევროპულ სახელმწიფოებს შორის სხვადასხვა სფეროებში ურთიერთობების ეფექტურად რეგულირება.

ევროპის საბჭოს მიერ მიღებული 174[11] კონვენცია და დოკუმენტი მოიცავს შემდეგ სფეროებს: ადამიანის უფლებები; ბიოეთიკა; სოციალური სფერო; ცხოველთა დაცვა; სისხლის სამართალი; საჯარო და კერძო საერთაშორისო სამართალი; სამოქალაქო და კომერციული სამართალი; განათლება, კულტურა, სპორტი, ტელევიზია.

---

[11] იხილეთ ევროპის საბჭოს დოკუმენტების სრული სია გვ. 169

ევროპის საბჭოს კონვენციებს შორის, პირველ ყოვლისა, აღნიშვნის ღირსია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (შემდგომში "ადამიანის უფლებათა კონვენცია"). აღნიშნული კონვენცია მიღებულ იქნა 1950 წელს ქ. რომში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის კვალდაკვალ ახდენს კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებების სავალდებულო ხასიათის აღიარებას ევროპის ფარგლებში.

კონვენცია შედგება პრეამბულის, 3 ნაწილისა და 59 მუხლისაგან. 1963-1992 წლებში კონვენციის დებულებებში 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10 ოქმების სახით შეტანილ იქნა შესწორებები. 1994 წელს მე-11 ოქმმა მოახდინა 3, 5, 7, 8, 9 და 10 ოქმების ინტეგრირება.

ადამიანის უფლებათა კონვენცია ევროპის საბჭოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა. თავისი მნიშვნელობით ეს უპრეცედენტო საერთაშორისო ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1953 წელს. კონვენცია აწესებს ყოველი ადამიანის ხელშეუხებელ უფლებებსა და თავისუფლებებს, ავალდებულებს სახელმწიფოებს მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფთათვის ამ უფლებების გარანტირებას. უფრო მეტიც, კონვენციის შესაბამისად შეიქმნა ამ უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმი, რომლის საშუალებითაც სახელმწიფოს, განსაზღვრულ პირობებში ცალკეულ პირებს, მათი ნაციონალობის მიუხედავად, შეუძლიათ დარღვევების თაობაზე მიმართონ შესაბამის იურიდიულ ინსტიტუტებს სტრასბურგში.

ადამიანის უფლებების კონვენცია განსხვავებულია ევროპის საბჭოს ყველა სხვა კონვენციისაგან, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა კონვენციისაგან იმ თვალსაზრისით, რომ მასში ჩამოყალიბებული უფლებების დამცველ მექანიზმად გვევლინება ისეთი საერთაშორისო ორგანო, როგორიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც შესაძლებელს ხდის დარღვეული უფლებისათვის ფიზიკური პირის სარჩელის დაკმაყოფილებას.

ადამიანის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებული უფლე-

ბების დაცვის უზრუნველყოფა ევალებოდა ადამიანის უფლებათა კომისიას (შეიქმნა 1954 წ.), ადამიანის უფლებათა არამუდმივმოქმედ ევროპულ სასამართლოს (შეიქმნა 1959 წ.) და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს.

ეს სამი ორგანო მოწოდებული იყო დაეცვა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში მცხოვრებ ადამიანთა უფლებები. თუმცა, დრომ აჩვენა, რომ ამგვარი პროცედურა სამი ორგანოს მონაწილეობით არაეფექტური იყო და მათი პროცედურები ბევრ დროს მოითხოვდა.

გასულ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიმართვათა რაოდენობა სტრასბურგის დასახელებულ ინსტიტუტებში. 1954 წლიდან მოყოლებული ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა და შეისწავლა 40 000-ზე მეტი ინდივიდუალური საჩივარი. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ 1959 წლიდან ვიდრე 1998 წლამდე გამოიტანა 900-ზე მეტი გადაწყვეტილება.

სასამართლოსა და კომისიაში განხილულმა შემთხვევებმა არამარტო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კონვენციების იურიდიული ნორმების შემდგომ სრულყოფაში, არამედ უმრავლეს შემთხვევაში განაპირობა საჭირო ცვლილებების შეტანა ეროვნულ კანონმდებლობებსა და მათი გამოყენების პრაქტიკაში.

კერძო პირთა მიერ შეტანილი საჩივრები პრობლემათა ფართო სპექტრს მოიცავს:

თავისუფლებააღკვეთილთა უფლებები;

- გონივრულ ვადებში მიუკერძოებელი გამოძიების უფლებები;

სატელეფონო საუბრების უკანონოდ მოსმენა;

იმიგრაცია, დეპორტაცია და გაძევება;

კანონები, რომლებიც ჰომოსექსუალურ პრობლემებს შეეხება;

ორსულობის ვადამდე შეწყვეტის კანონები;

პრესის, რადიოსა და ტელევიზიის თავისუფლება;

- პროფკავშირების საქმიანობა, მათ შორის, დახურულ დაწესებულებებში;

საკუთრების უფლება;

პოლიტიკური პარტიების აკრძალვა;

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ საომარი მოქმედებების წარმოებისათვის;

ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტურობის შემდგომი გაზრდის მიზნით სისტემატური ხასიათი აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შევსებისა და დახვეწის პროცესს, როგორც უფლებათა ჩამონათვალის გაზრდის, ასევე არსებული პროცედურების სრულყოფის თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმის დახვეწის მიზნით 1994 წლის 11 მაისს მიღებულ იქნა კონვენციის დამატებითი ოქმი № 11. აღნიშნული ოქმი ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა მუდმივმოქმედი ევროპული სასამართლოს შექმნას, რომლის დაკომპლექტება მოხდება წევრ სახელმწიფოთა მოსამართლეებისაგან და რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გამოიტანოს იურიდიულად სავალდებულო გადაწყვეტილება ნებისმიერ საქმეზე. აღნიშნული სასამართლო ცვლის ზემოთ ნახსენები სამი ორგანოს ფუნქციას. ყოველი პირი, რომელიც ჩათვლის, რომ მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა კონვენცია, ქვეყნის შიგნით მისი უფლების დაცვის ყველა საშუალების ამოწურვის შემდეგ, უფლებამოსილია მიმართოს მას.

ადამიანის უფლებათა მუდმივმოქმედმა ევროპულმა სასამართლომ ფუნქციონირება დაიწყო 1998 წლის 1 ნოემბრიდან - № 11 ოქმის ძალაში შესვლის მეორე დღიდან.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში მცხოვრებ ადამიანთა ძირითად თავისუფლებათა და უფლებათა დაცვის ეფექტური მექანიზმი.

სასამართლო არის ჭეშმარიტად დემოკრატიული და მიუკერძოებელი ორგანო, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების თითოეული მოქალაქისათვის. იგი ევროპის მოსახლეობის უფლებების დაცვას უზრუნველყოფს მარტივი პროცედურების საშუალებით.

აღნიშნულ სასამართლოს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა ევროპის კონტინენტზე ადამიანის უფლებათა დაცვისა და განვითარების საქმეში.

მისი გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა მონაწილე

მხარისთვის. იგი მუდმივმოქმედია და მის იურისდიქციაში შედის როგორც საქმის წინასწარი განხილვა (ადრე ეს მინისტრთა კომიტეტის პრეროგატივა იყო, რაც დიდ დროს მოითხოვდა), ასევე გადაწყვეტილების გამოტანა.

სასამართლო შედგება 41 მოსამართლისაგან (წევრი ქვეყნების რაოდენობის შესაბამისად). მოსამართლეთა კანდიდატები (არანაკლებ სამი) წინასწარ შეირჩევა წევრი სახელმწიფოს მიერ, მაგრამ შერჩევის პროცედურას საფუძვლიანად აკონტროლებს მინისტრთა კომიტეტი. მოსამართლეთა კანდიდატურები განიხილება საპარლამენტო ასამბლეის შესაბამის კომიტეტზე და წარედგინება საპარლამენტო ასამბლეას. საპარლამენტო ასამბლეა დასახელებული კანდიდატურებიდან ირჩევს ერთ-ერთ მოსამართლეს 6 წლის ვადით.

მოსამართლეთა პირველი არჩევნები ჩატარდა 1998 წლის იანვარში; როგორც აღინიშნა, არჩეული მოსამართლეები თავისი ფუნქციების შესრულებას 1998 წლის 1 ნოემბრიდან შეუდგნენ.

1999 წლის 24 ივნისს საპარლამენტო ასამბლეაზე განხილულ იქნა საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან მოსამართლის არჩევის შესახებ. საქართველოს მიერ წარდგენილი იყო იურისტების სამი კანდიდატურა: თეიმურაზ ბაქრაძე საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი საქართველოს საელჩოში შვეიცარიის კონფედერაციაში, ერიკ სვანიძე საქართველოს პროკურატურის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი და მინდია უგრეხელიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. მოსამართლედ ხმის აბსოლუტური უმრავლესობით (85 ხმა 97-დან) არჩეული იქნა მინდია უგრეხელიძე.

არჩეული მოსამართლეები არ წარმოადგენენ თავიანთი სახელმწიფოების ინტერესებს, მოვალეობის შესრულებისას ისინი სარგებლობენ სრული დამოუკიდებლობით.

უსაფუძვლო საჩივრების განხილვა ხდება ადრეულ სტადიაზე სასამართლოს ანონიმური გადაწყვეტილებით, კომიტეტის სხდომაზე, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას იღებს სამი მოსამართლე.

სასამართლო არ იხილავს კერძო პირის, არასამთავრობო

ორგანიზაციისა თუ პირთა ჯგუფის ყველა საჩივარს. იგი ვალდებულია განსახილველად მიიღოს მხოლოდ ის საჩივრები, რომლებიც აკმაყოფილებენ კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, სასამართლო მიუღებლად ჩათვლის საჩივარს, თუ: პირის, არასამთავრობო ორგანიზაციის ან პირთა ჯგუფის მიერ არ არის ამოწურული თავისი უფლებების დაცვის საშინაო (შიდასახელმწიფოებრივი) საშუალებები; ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების საბოლოო გადაწყვეტილებიდან კომისიაში საჩივრის წარდგენამდე ექვს თვეზე მეტია გასული; საჩივარი ანონიმურია; იგი უკვე განიხილებოდა სასამართლოს მიერ ან სხვა საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოს მიერ; შეუთავსებელია კონვენციის დებულებებთან; აშკარად დაუსაბუთებელია ან საჩივრის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებაა. სასამართლოს უფლება აქვს მიუღებლად გამოაცხადოს საჩივარი, თუ მას მიაჩნია, რომ საჩივარი არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. ამ მიზეზით, ადრე – კომისიის მიერ, ხოლო ამჟამად სასამართლოში რეგისტრირებული საჩივრების დაახლოებით 90 პროცენტი ცხადდება მიუღებლად (ინადმისიბლე) და წყდება მათი განხილვა.

უმრავლეს შემთხვევაში განსახილველად მიღებულ საკითხებზე სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს პალატის სხდომაზე 7 მოსამართლის მონაწილეობით. საჩივრის საფუძვლიანობის დადგენის შემთხვევაში სასამართლო პალატა ცდილობს მიაღწიოს კომპრომისს მხარეებს შორის. თუ კომპრომისი ვერ მიიღწევა, პალატას გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება.

ცალკეულ შემთხვევებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა კონვენციის ინტერპრეტაციას ან გამოყენებას, საქმე გადაეცემა დიდ პალატას, რომელშიც შედის 17 მოსამართლე. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა შესაბამისი სახელმწიფოებისათვის.

ახალი მექანიზმის შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტი არ ერევა სასამართლოში განსახილველ საქმეებში, მაგრამ მას დარჩა უმნიშვნელოვანესი როლი სახელმწიფოების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლის საკითხებში.

სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება გულისხმობს

არამარტო მომჩივანისათვის კომპენსაციის გადახდას, არამედ შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული ანალოგიური დარღვევები.

გარდა ადამიანის უფლებათა კონვენციისა, ევროპის საბჭოს მიღებული აქვს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებისა, რომლებიც ქმნიან ევროპელთათვის მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მექანიზმებს.

ევროპის სოციალური ქარტია

ევროპის საბჭოს მიზნები სოციალურ სფეროში, როგორებიცაა სოციალური ერთობის განმტკიცება, სოციალური უსაფრთხოების გარანტირება და დასაქმება, ეხმაურება მისი წევრი ქვეყნების ანუ ევროპის მთელი მოსახლეობის ინტერესებს, რაც ორგანიზაციის საქმიანობას აღნიშნულ სფეროში კონტინენტზე გლობალურს ხდის.

ევროპის საბჭოს დოკუმენტთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ევროპის სოციალურ ქარტიას". ევროპის სოციალური ქარტია ხელმოწერილ იქნა ქ. ტურინში 1961 წლის 18 ოქტომბერს. 1988 წელს მიღებულ იქნა დამატებითი ოქმი, 1991 წელს მიღებულ იქნა დამატებითი ოქმი, რომელმაც ცვლილებები შეიტანა ქარტიაში, ხოლო 1995 წელს მიღებულ იქნა ოქმი, რომელიც უზრუნველყოფდა კოლექტიური საჩივრების წარდგენის სისტემას. 1996 წელს მიღებულ იქნა და ძალაში შევიდა ევროპის სოციალური ქარტიის გადასინჯული ვერსია, რომელიც ერთ დოკუმენტში აერთიანებს ქარტიის ძველი ვარიანტითა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებულ უფლებებს.

1997 წლის ოქტომბერში ქ. სტრასბურგში წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკური ლიდერების მეორე სამიტის დროს მათ იკისრეს ვალდებულება „დანერგონ სოციალური სტანდარტები იმ სახით, როგორც ისინი ასახულია სოციალურ ქარტიაში და ევროპის საბჭოს სხვა დოკუმენტებში" და მოუწოდეს ქვეყნებს „ამ ღონისძიებათა რაც შეიძლება თანმიმდევრულობის მიღწევისაკენ". სოციალური ქარტია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ჩამოყალიბებულ უფლე-

ბებს უმატებს სოციალურსა და ეკონომიკურს, რომლებიც ქარტიის დასაწყისში 31 უფლებად არის ჩამოყალიბებული.

დღეისათვის ევროპის საბჭოს თითქმის ყველა წევრი სახელმწიფო მონაწილეობს ევროპის სოციალური ქარტიის ძველ ან გადასინჯულ ვარიანტში. ევროპის სოციალური ქარტია და მისი 1998 წლის დამატებითი ოქმი ქმნიან მთელი რიგი ძირითადი უფლებების გარანტიას. ეს უფლებები პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველი - უფლებები, რომელებიც დასაქმების პირობებს არეგულირებს, და მეორე უფლებები, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალურ შეკავშირებას.

დასაქმების უფლებები არეგულირებენ სამუშაო ადგილებზე დისკრიმინაციის საკითხებს, კრძალავენ იძულებით შრომას, ითვალისწინებენ შრომის სამართლიან პირობებს, შრომის უსაფრთხო და ჰიგიენურ პირობებს, შრომის სამართლიან ანაზღაურებას, ბავშვებისა და ახალგაზრდების სპეციალურ დაცვას, დასაქმებულ ქალთა დაცვას, მომუშავეთა სოციალურ უზრუნველყოფას, სოციალურ და სამედიცინო დახმარებას, მიგრანტ მუშათა დაცვას და მოხუცთა სოციალურ დაცვას.

სოციალური უფლებების დაცვა წარმოადგენს ყველა მოქალაქის ინტერესს და სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთ წინაპირობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის სოციალური ქარტიის დიდი მნიშვნელობა ასევე გაზიარებულ იქნა ევროგაერთიანების მიერ. ამ ახალი, „ზესახელმწიფოებრივი“ ორგანიზაციის ფარგლებში, რომელშიც ევროკავშირის მოქალაქეთა სოციალური უზრუნველყოფა ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, შემუშავებულ იქნა ევროგაერთიანების სოციალური ქარტია, რომელიც თითქმის იდენტურია ევროპის სოციალური ქარტიისა, რაც, თავის მხრივ, ამ უკანასკნელის ეფექტურობაზე მიგვანიშნებს.

ევროპის სოციალური ქარტია წარმოადგენს საერთო ევროპულ მიდგომას სოციალური უფლებების ჩამოყალიბების სახით, რაც, რა თქმა უნდა, გულისხმობს ევროპის წამყვანი ქვეყნების გამოცდილების ასახვას და დიდ ფასეულობასაც მატებს მას.

წამების და სხვა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია

ჩვენ ცოტა ვიცით იმის თაობაზე, თუ რა ხდება ციხეების დახურულ კარს მიღმა, პოლიციის უბნებში, ფსიქიატრიულ კლინიკებსა და სხვა ანალოგიურ დაწესებულებებში. სწორედ ამ მიზეზებით იყო განპირობებული "წამების და სხვა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის შესახებ" ევროპული კონვენციის მიღება, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ხელშეკრულებას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

კონვენცია გაიხსნა ხელმოსაწერად 1987 წლის 26 ნოემბერს (ძალაში შევიდა 1989 წლის 1 თებერვალს) და დღეისათვის მისი მონაწილეა ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფო, საქართველოს გარდა.[12]

კონვენციის ძირითად მიზანს წარმოადგენს წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთა. მისი გამოყენება უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების კონვენციით განსაზღვრულ უფლებათა ფარგლებში დამატებითი დაცვითი მექანიზმების განხორციელებას წამების თავიდან აცილების ევროპული კომიტეტის საშუალებით.

კომიტეტი შედგება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტებისაგან, რომლებიც სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის სფეროს წარმოადგენენ. ესენი არიან: იურისტები, ექიმები, პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და სხვა. კომიტეტის წევრად აირჩევა მაღალი მორალური თვისებების მქონე პირი, რომელიც ცნობილია თავისი კომპეტენტურობით ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში ან აქვს ამ კონვენციით მოცულ სფეროში მუშაობის პროფესიული გამოცდილება. ამასთან, დაუშვებელია კომიტეტის წევრად ერთი და იმავე სახელმწიფოს ორი მოქალაქის არჩევა.

კომიტეტის წევრები თავიანთი ფუნქციების განხორციელები-

---

[12] საქართველოში მიმდინარეობს კონვენციასთან შეერთების შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები.

სას სარგებლობენ სრული დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით.

კომიტეტის წევრები პირადად ეცნობიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსებულთა პირობებს, სარგებლობენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შეუზღუდავი შესვლის, იქ მოთავსებულებთან გულახდილი საუბრის უფლებებით. კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად, თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია დაუშვას ევროპული კომიტეტის ვიზიტები "მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ადგილას, სადაც პირებს აღკვეთილი აქვთ თავისუფლება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ".

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-17 მუხლის შესაბამისად, "კომიტეტი არ მოინახულებს იმ ადგილებს, სადაც უფლებადამცავი ორგანოების ან წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები ან დელეგატები ახორციელებენ ეფექტურ ვიზიტებს რეგულარულ საფუძველზე 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციისა და მისი 1977 წლის 8 ივნისის დამატებითი ოქმის ძალით."

კომიტეტის წევრების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო მოვალეა უზრუნველყოს:

1. სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლა და შეუზღუდავი მგზავრობის უფლება; ამასთან, მე-14 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ ექსპერტს ან სხვა პირს, რომელიც ეხმარება კომიტეტს, არ მიეცემა უფლება მონაწილეობა მიიღოს ვიზიტში, რომელიც განხორციელდება მოცემული სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ადგილებში;

2. მთლიანი ინფორმაცია იმ ადგილების შესახებ, სადაც დაკავებულნი არიან თავისუფლებააღკვეთილი პირები (ციხეები, პოლიციის განყოფილებები, ჰოსპიტალები და ა.შ.);

3. თავისუფლებააღკვეთილი პირების. სამყოფელი ნებისმიერი ადგილის შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა, ამგვარ ადგილებში შეუზღუდავი გადაადგილების უფლების ჩათვლით;

4. მხარისათვის ხელმისაწვდომი სხვა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია კომიტეტისათვის მისი საქმიანობის განსახორციელებლად. თავის მხრივ, ინფორმაციის მოთხოვნისას კომიტეტი ვალდე-

ბულია გაითვალისწინოს ეროვნული კანონმდებლობის ნორმები და პროფესიული ეთიკა, განსაკუთრებით, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და სამედიცინო საიდუმლოების წესებთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტის მიერ შეკრებილი ინფორმაცია ვიზიტთან, კომიტეტის მიერ მომზადებულ მოხსენებასთან და შესაბამის მხარესთან გამართულ კონსულტაციებთან დაკავშირებით კონფიდენციალურ ხასიათს ატარებს.

კონვენციის მე-15 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო მოვალეა, აცნობოს კომიტეტს იმ ორგანოს სახელწოდება და მისამართი, რომელიც უფლებამოსილი იქნება მიიღოს მთავრობისადმი გაგზავნილი შეტყობინებები.

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის საქმიანობა პრევენციულ ხასიათს ატარებს. კომიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს სასამართლო ფუნქციები. მის კომპეტენციაში შედის დაინტერესებულ სახელმწიფოსთან თანამშრომლობით რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება, წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯისაგან თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებათა დაცვის გასაძლიერებლად.

აღსანიშნავია, რომ კონვენცია არ იცნობს დათქმის ინსტიტუტს. ამასთან, კონვენციის 20-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოს უფლებას ხელმოწერის ან რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების შესახებ სიგელის დეპონირების დროს განსაზღვროს თავისი სახელმწიფოს ტერიტორიის ის ნაწილი, რომელზედაც ვრცელდება კონვენციის მოქმედება.

"წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის შესახებ" ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი ხელმოსაწერად გაიხსნა 1993 წლის 4 ნოემბერს. დღეისათვის ეს საერთაშორისო ხელშეკრულება არ არის შესული ძალაში, ვინაიდან ოქმის მე-8 მუხლის შესაბამისად ამისათვის აუცილებელია კონვენციის ყველა მხარე სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიცირება.

ოქმის ძირითად დებულებას წარმოადგენს მე-3 მუხლი, რომ-

ლის შესაბამისად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მოიწვიოს ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფო, რათა იგი შეუერთდეს "წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის შესახებ" ევროპულ კონვენციას.

"წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის შესახებ" ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი ხელმოსაწერად გაიხსნა 1993 წლის 4 ნოემბერს.

პირველი დამატებითი ოქმის მსგავსად, აღნიშნული ოქმიც არ არის შესული ძალაში, ვინაიდან ოქმის 3-ე მუხლის შესაბამისად ამისათვის აუცილებელია კონვენციის ყველა მხარე სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიცირება.

ოქმი განსაზღვრავს კონვენციაში შეტანილ ტექნიკური ხასიათის ცვლილებებს. კერძოდ, ოქმის 1-ლი მუხლი ადგენს, რომ დაშვებულია კომიტეტის წევრების მეორეჯერ არჩევა; იმისათვის, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი კომიტეტის შემადგენლობის ნახევრის განახლება ყოველ ორ წელიწადში, შემდგომი არჩევნების ჩატარებამდე მინისტრთა კომიტეტს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ერთი ან მეტი ასარჩევი წევრის უფლებამოსილების ვადა იყოს არა ოთხი, არამედ არაუმეტეს ექვსი და არანაკლებ ორი წლისა.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენცია

"ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" ევროპული კონვენცია პირველი მრავალმხრივი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც ეროვნულ უმცირესობათა დაცვის მიზნებს ემსახურება. კონვენცია მიღებულია 1994 წელს, ხელმოსაწერად გაიხსნა 1995 წლის 1 თებერვალს და დღეისათვის მისი მონაწილეა ევროპის საბჭოს 27 წევრი სახელმწიფო.

კონვენცია მიზნად ისახავს სახელმწიფოს მხრიდან ეროვნულ უმცირესობათა დაცვისათვის აუცილებელი სამართლებრივი საფუძვლისა და პრინციპების განსაზღვრას. ამ მიზნით, კონვენციის

შემუშავების დროს, ევროპის საბჭომ დიდი ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კონვენციას გაეთვალისწინებინა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო-ს) 1993 წელს მიღებული ე. წ. "ვენის დეკლარაციის" დებულებები და პრინციპები.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის სფეროში არსებული სხვადასხვა სახის პრობლემების გათვალისწინებით, კონვენციაში აისახა ე. წ. პროგრამული ტიპის დებულებანი, რომლებიც ზოგადად განსაზღვრავენ სახელმწიფოთა მხრიდან მისაღწევ მიზნებს. ამავე დროს ეს დებულებები, რომლებსაც არათვითშესრულებადი ხასიათი აქვთ, სახელმწიფოს საშუალებას აძლევენ თვითონ აირჩიოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის კონკრეტული საშუალებები და მეთოდები.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩარჩო-კონვენციაში არ არის მოცემული "ეროვნული უმცირესობის" განსაზღვრება. ამავე დროს, არსებული ჩვეულების შესაბამისად, სახელმწიფო, კონვენციასთან შეერთების მომენტში აკეთებს შესაბამის განცხადებას, რომელშიც განსაზღვრავს "ეროვნული უმცირესობების" ტერმინის მნიშვნელობას (ავსტრია, ესტონეთი, გერმანია, ლუქსემბურგი, რუსეთი, სლოვენია, შვეიცარია) ან ასახელებს კონკრეტულ ეროვნულ უმცირესობებს, რომლებზეც გავრცელდება ჩარჩო-კონვენციის დებულებები (დანია, გერმანია, სლოვენია, მაკედონია).

კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში ვალდებულია მიაწოდოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს სრული ინფორმაცია კონვენციაში მოცემული პრინციპების ასამოქმედებლად მიღებული საკანონმდებლო და სხვა სახის ზომების შესახებ.

"ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ" ჩარჩო-კონვენციის დებულებების მონიტორინგის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია კონვენციის 26-ე მუხლი, რომელიც კონვენციაში მოცემული პრინციპების ასამოქმედებლად მიღებული ზომების ადეკვატურობის შეფასებაში მინისტრთა კომიტეტის დახმარების მიზნით, ითვალისწინებს საკონსულტაციო კომიტეტის შექმნას (მინიმუმ 12, მაქსიმუმ 18 წევრის შემადგენლობით).

საკონსულტაციო კომიტეტის სტრუქტურული და პროცედურული საკითხები განსაზღვრულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის (97)10 რეზოლუციაში. რეზოლუციის შესაბამისად, "ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ" ევროპული ჩარჩო-კონვენციის წევრ სახელმწიფოს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების წესით, შეუძლია წარადგინოს შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე ექსპერტები საკონსულტაციო წევრის თანამდებობაზე არჩევის მიზნით.

29-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული კონვენცია სახელმწიფოსათვის ძალაში შედის ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეერთების სიგელის შესანახად ჩაბარებიდან 3 თვის შემდეგ.

კონვენციის 30-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოს უფლებას ხელმოწერის ან რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ სიგელის დეპონირების დროს განსაზღვროს კონვენციის მოქმედების ტერიტორია.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან განახორციელონ ღონისძიებები იმისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელთათვის თანასწორუფლებიანობა; უპირველესად, ისეთი საკითხების მოწესრიგებას, როგორიცაა ეროვნული ენები, ეროვნულ უმცირესობათა აღიარება, განათლება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, იძულებითი ასიმილაციის აკრძალვა, ასევე კულტურის დაცვა

განვითარება. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ წარადგინონ დეტალური ინფორმაციები მისი რეალიზაციის შესახებ. ქვეყნისაგან შესაძლებელია გამოთხოვილ იქნეს დამატებითი ინფორმაცია, ან რიგგარეშე ანგარიში.

კულტურის ევროპული კონვენცია

„კულტურის ევროპული კონვენცია“ მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს ეგიდით პარიზში 1954 წლის 19 დეკემბერს და განეკუთვნება ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ძირითად საერთაშორისო აქტს.

„კულტურის ევროპული კონვენციის“ მონაწილეა ევროპის საბჭოს წევრი ყველა სახელმწიფო და რიგი სხვა ევროპული სახელმწიფოები (ბელორუსია, ვატიკანი, მონაკო).

იგი წარმოადგენს „ღია კონვენციას“, რაც გულისხმობს ამ კონვენციაში ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფოების მონაწილეობის შესაძლებლობას.

კონვენციის მიზანია ევროპის კულტურული სივრცის შექმნა და განმტკიცება, საერთო ევროპულ კულტურაში ევროპის ხალხების მიერ შეტანილი წვლილის წარმოჩენა. კონვენცია მოითხოვს სახელმწიფოებისაგან ევროპის კულტურული სტანდარტების შესრულებასა და ამ მიზნით ერთობლივი ღონისძიებების გატარებას, სახელმწიფოთა მიერ ევროპის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას.

კონვენცია განსაზღვრავს ევროპის საბჭოს საქმიანობას განათლების, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში. აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება კულტურული თანამშრომლობის საბჭოსა და კულტურის ფონდის მეშვეობით.

მრავალფეროვანება საერთოევროპული მონაპოვარია, იგი ევროპის კულტურული სიმდიდრის საფუძველთა საფუძველია, ამდენად ევროპის კულტურული პროგრამა მოიცავს:

კულტურული თვითმყოფადობისა და მრავალფეროვნების აღქმისა და განვითარების ხელშეწყობას;

ევროპის საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტის თანამედროვე მეთოდების ძიებას.

კულტურის სფეროში ეროვნული პოლიტიკის შესწავლის ევროპული პროგრამა მიმართულია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლისა და ანალიზისაკენ, ცალკეული წარმატებებისა და წარუმატებლობისაგან გაკვეთილების გამოტანისაკენ, როგორც ქვეყნების, ასევე რეგიონალურ დონეზე.

კონვენცია ითვალისწინებს მასში მონაწილე სახელმწიფოების მიერ ერთობლივი კომპლექსური ღონისძიებების გატარებას. კერძოდ, კონვენციის ფარგლებში სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მოაწყონ ერთობლივი კულტურული გამოფენები, შექმნან საინ-

ფორმაციო ცენტრები ევროპის კულტურის განვითარების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, შეიმუშაონ სასკოლო პროგრამები ევროპის ქვეყნების ენების შესწავლის მიზნით, ხელი შეუწყონ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ევროპის კულტურის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

სახელმწიფოების მიერ კონვენციის ცხოვრებაში გატარებაზე კონტროლს ახორციელებს ევროპის საბჭოს კულტურის საკითხების ექსპერტთა კომიტეტი. აღსანიშნავია, რომ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები, შეუძლიათ დანიშნონ თავიანთი წარმომადგენლები ზემოაღნიშნულ კომიტეტში. ექსპერტთა კომიტეტის ძირითადი მიზანია კონვენციის შესრულების ანალიზი და მის საფუძველზე სახელმწიფოებისათვის რეკომენდაციების მიცემა.

კორუფციასთან ბრძოლის სისხლის სამართლის კონვენცია

1998 წლის 4 ნოემბერს მინისტრთა კომიტეტის 103-ე სესიაზე მიღებულ იქნა კორუფციასთან ბრძოლის სისხლის სამართლის კონვენცია, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა 1999 წლის 27 იანვარს.

აღნიშნული კონვენცია მნიშვნელოვანია საქართველოსათვის იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს დელეგაცია დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდა კონვენციის შემუშავების პროცესში. ამდენად, მასზე უფრო დეტალურად შევჩერდებით.

აღნიშნულ კონვენციას საფუძველი ჩაეყარა ქ. ვალეტაში 1994 წელს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების იუსტიციის მინისტრთა შეხვედრაზე, რომლის დროსაც კორუფცია აღიარებული იქნა დემოკრატიის, სამართლიანობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სერიოზულ საფრთხედ. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ კორუფციასთან ბრძოლა უნდა ხასიათდებოდეს განსხვავებული მიდგომით ამ დანაშაულის მრავალსახეობის გამო. ხაზი გაესვა შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისის ჩამოყალიბების აუცილებლობას, რაც შექმნის ახლებური

მიდგომის მყარ საფუძველს. მინისტრთა შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ კორუფციასთან ბრძოლისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა შორის მჭიდრო თანამშრომლობა, არამედ არაწევრ სახელმწიფოთა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა აქტიური მონაწილეობა ამ თანამშრომლობაში.

კორუფციასთან უფრო ეფექტიანი გზებით ბრძოლის მიზნით 1994 წლის სექტემბერში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ჩამოაყალიბა კორუფციასთან ბრძოლის მრავალდარგობრივი ჯგუფი (GMC), რომელსაც დაევალა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო პროგრამების შემუშავება და მათ ფარგლებში ეფექტიანი ღონისძიებების ჩატარება. კორუფციასთან ბრძოლის მრავალდარგობრივი ჯგუფი თავის საქმიანობას შეუდგა 1995 წლის მარტში და პირველ რიგში მოამზადა კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებათა პროგრამა, რომელიც მოიცავდა ამ დანაშაულის წინააღმდეგ საერთაშორისო ბრძოლის მნიშვნელოვან ასპექტებს. მინისტრთა კომიტეტის მიერ აღნიშნული პროგრამის განხილვის შემდეგ მოწვეულ იქნენ დანაშაულის პრობლემებისა და სამართლის თანამშრომლობის ევროპული კომიტეტები, რომლებმაც ერთობლივად განიხილეს ხსენებული პროგრამა და კორუფციასთან ბრძოლის მრავალდარგობრივ ჯგუფს რამოდენიმე საერთაშორისო დოკუმენტის შემუშავება დაავალეს. კონვენციის პროექტის შემუშავებაში ევროპის საბჭოს სპეციალური მოწვევით მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამაც.

1997 წლის ივნისში ქ. პრაღაში ჩატარებულ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების იუსტიციის მინისტრთა შეხვედრაზე გამოთქმულ იქნა შეშფოთება თანამედროვე დანაშაულის უფრო მეტად ორგანიზებული და ტრანსნაციონალური ხასიათის გამო. მინისტრების მიერ შემუშავებულ იქნა წინადადებები კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებათა პროგრამის, მათ შორის, კორუფციასთან ბრძოლის სისხლის სამართლის კონვენციის მიღების დაჩქარების თაობაზე.

1997 წლის 6 ნოემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 101-ე სესიაზე მიღებული იქნა კორუფციასთან ბრძოლის

20 სახელმძღვანელო პრინციპი. ამავე სესიაზე აღნიშნულ იქნა კორუფციასთან ბრძოლის მრავალდარგობრივი ჯგუფის მიერ შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტის პროექტის ახლო მომავალში წარდგენის აუცილებლობა.

1998 წლის 5 მაისს მინისტრთა კომიტეტის 102-ე სესიაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია კორუფციასთან ბრძოლის სახელმწიფოთა ჯგუფის, ე. წ. "გრეკოს" ჩამოყალიბების თაობაზე სახელმწიფოთა შორის შეთანხმების სახით. კორუფციასთან ბრძოლის სახელმწიფოთა ჯგუფი შექმნილია კორუფციასთან ბრძოლის სახელმძღვანელო პრინციპების მონიტორინგისა და კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში შემუშავებული საერთაშორისო დოკუმენტების შესრულებაზე ზედამხედველობის მიზნით.

კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში, 1996 წლის თებერვალში კორუფციასთან ბრძოლის მრავალდარგობრივი ჯგუფის სისხლის სამართლის სამუშაო ჯგუფმა დაიწყო მუშაობა კორუფციასთან ბრძოლის სისხლის სამართლის კონვენციის პროექტის შექმნის მიზნით.

1997 წლის ნოემბერში კორუფციასთან ბრძოლის სისხლის სამართლის კონვენციის პროექტი განსახილველად გადაეცა კორუფციასთან ბრძოლის მრავალდარგობრივ ჯგუფს, რომელმაც მოამზადა მისი საბოლოო ვარიანტი და კონვენცია განსახილველად გადასცა მინისტრთა კომიტეტს.

1998 წლის 4 ნოემბერს ჩატარებულ შეხვედრაზე მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული იქნა კონვენციის საბოლოო პროექტი.

სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციაზე შედგება ხუთი თავისა და ორმოცდაათი მუხლისაგან.

I თავი ეხება კონვენციაში გამოყენებულ ტერმინებს.

II თავი განსაზღვრავს იმ ზომებს, რომლებიც უნდა იქნეს მიღებული სახელმწიფოების მიერ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე.

III თავი იძლევა კონვენციის შესრულების მონიტორინგის სისტემას.

- IV თავი აფუძნებს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის მექანიზმებს.

V თავი აყალიბებს დასკვნით დებულებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი თავი წარმოადგენს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ დამტკიცებულ მოდელს და უცვლელად გამოიყენება ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებულ ყველა კონვენციაში.

კონვენციის ნორმები არათვითშესრულებადი ხასიათისაა, რაც თავის მხრივ გულისხმობს ამ კონვენციის იმპლემენტაციისათვის სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის იურიდიული ძალის აღიარების შემდეგ შიდასახელმწიფოებრივი აქტის ან კონკრეტული ნორმის შექმნის საჭიროებას.

კონვენცია ატარებს მითითებით ხასიათს. მისი თითოეული მუხლი ხელმომწერ სახელმწიფოს მიუთითებს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა იქნეს გატარებული კორუფციის ყოველგვარ გამოვლინებასთან წინააღმდეგ საბრძოლველად. მოუწოდებს საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს სათანადო ცვლილებები ქვეყნის კანონმდებლობაში, ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოებთან, უზრუნველყოს კონვენციის განხორციელების პროცესის მონიტორინგი.

კონვენციის თითოეული მუხლი იძლევა სისხლის სამართლებრივი იურისდიქციის გავრცელების ეფექტურ მექანიზმს კორუფციის გამოვლენის ყველა ფორმაზე.

კონვენცია მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ იგი იძლევა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ კორუფციის დანაშაულის ჩადენის შემთხვევების ინკრიმინაციის საშუალებას. რაც თავისთავად აადვილებს ტრანსსასაზღვრო კორუფციასთან ბრძოლას. აღნიშნული კონვენცია ტრანსსასაზღვრო კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერებისკენაა მიმართული, რამდენადაც მის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფოებს მიაჩნიათ, რომ სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი კორუფციასთან ეფექტური ბრძოლა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრების ამოცანების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ამ კონ-

ვენციის მე-7 და მე-8 მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ კორუფციასთან ბრძოლას კერძო სექტორში.

კონვენცია მიჯნავს პასიურ და აქტიურ მექრთამეობას, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად ნიშნავს ქრთამის როგორც ამღების, ასევე მიმცემის დადგენასა და დასჯას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად საერთაშორისო ხელშეკრულება ან შეთანხმება, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ უპირატეს იურიდიულ ძალას იძენს. ამდენად, აღნიშნული კონვენცია წარმოადგენს კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივ დოკუმენტს, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობაში სასურველი ცვლილებები მოჰყვება მისი შემდგომი დახვეწის მიმართულებით, იქნება ეს სისხლის სამართლისა თუ სამოქალაქო კოდექსი.

ამასთან, კონვენცია უტოვებს ხელმომწერ სახელმწიფოებს კონვენციის კონკრეტული მუხლების მიმართ დათქმების გაკეთებისა და, შესაბამისად, რომელიმე მუხლის საავალდებულო ხასიათის შეზღუდვის უფლებას.

გარდა დასახელებული დოკუმენტებით განსაზღვრული პრინციპებისა, ევროპის საბჭო აქტიურობს ყველა იმ საკითხში, რომელიც ქმნის ადამიანის უფლებათა გარანტიებს. ასეთებია: ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლა, რასიზმისა და შეუგუებლობის წინააღმდეგ ბრძოლა, ადამიანის უფლებათა განმტკიცება, ცოდნის სრულყოფა, პრესისა და მასმედიის თავისუფლება, ტრანსსასაზღვრო საკითხები, ინტელექტუალური უფლებების დაცვა და სხვა მრავალი.

გენერალური ხაზის განმსაზღვრელი რეკომენდაციები

ყველა პრობლემა არ შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ კონვენციების მიღების გზით. როდესაც პოლიტიკის ან კანონმდებლობის სფეროებში გენერალური ხაზის განსაზღვრის აუცილებლობა დგება, მინისტრთა კომიტეტი იღებს რეკომენდაციებს. მათ საფუძველზე მთავრობები საზღვრავენ წარმოქმნილი პრობლემების ეფექტურ გზებს.

არაწევრი სახელმწიფოები და ევროპის კონვენციები

ევროპის საბჭოს კონვენციათა დიდი ნაწილი ღიაა არაწევრი სახელმწიფოების მონაწილეობისათვის. ამდენად, სამართლებრივ სფეროში თანამშრომლობა მოიცავს არამხოლოდ "რჩეულ ქვეყანათა" წრეს.

ასეთი ტიპის კონვენციები ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მაგალითად:

- დამნაშავეთა გადაცემა;
- გარემოსა და ცოცხალი ბუნების დაცვა;
- დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის "გათეთრება";
- სპორტში სტიმულატორების გამოყენება;
- ბიოეთიკა, კლონირება და სხვა.

ყველაფერი, რაც სამართალს განეკუთვნება, ევროპის საბჭოს საქმიანობის საგანს წარმოადგენს. ამის ნათელი მაგალითია თანმიმდევრული მუშაობა ეროვნული კანონმდებლობების საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ხორციელდება გეგმაზომიერი ღონისძიებები სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასამართლო საქმისწარმოების ეფექტურობის ასამაღლებლად, საოჯახო სამართლისა და ეროვნებათა შესახებ კანონის რეფორმისათვის.

სოციალური განვითარების ფონდი

ევროპის საბჭოსაგან განცალკევებულად მდგომ სტრუქტურებს შორის, რომლებიც მისი ძირითადი ამოცანებისა და მიზნების რეალიზაციის ხელშესაწყობადაა შექმნილი, თავისი მნიშვნელობით გამორჩეულია ევროპის სოციალური განვითარების ფონდი. სოციალური განვითარების ფონდი ევროპის საბჭოს საფინანსო ორგანო 1956 წელს შეიქმნა და დღეისათვის ფუნქციონირებს, როგორც განვითარების ბანკი.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1956 წლის 16 აპრილს მიღებული იქნა რეზოლუცია (56) 09, რომლითაც დაფუძნდა შეთანხმების მუხლები ევროპის საბჭოს ხელახალი დასახლებისა და ევროპაში მოსახლეობის ფონდისა. ეს იყო პირველი დოკუმენტი, რომელიც ითვლებოდა ფონდის ძირითად დამაარსებელ ინსტრუმენტად.

1999 წლის 28 ივნისს ფონდის მმართველი საბჭოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით შეიცვალა ფონდის სახელი და მას ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი (CEB) ეწოდა.

1999 წლის 1 ნოემბერს ძალაში შევიდა მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული ახალი სახელმძღვანელო ინსტრუმენტი, რომელმაც ფაქტობრივად შეწყვიტა და იმავდროულად შეცვალა 1956 წლის დამაარსებელი დოკუმენტის მოქმედება.

ფონდის შესახებ არსებული შეთანხმების მუხლები განსაზღვრავენ, რომ იგი იმართება ევროპის საბჭოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ. თუმცა, ფონდი სრულიად განცალკევებულია ევროპის საბჭოსაგან და წარმოადგენს ბანკს, რომელიც სარგებლობს სრული ფინანსური ავტონომიით, იურიდიული პირია, ადმინისტრაციული შტაბბინით პარიზში.

ფონდი და ევროპის საბჭო მჭიდროდ თანამშრომლობენ. ორ ორგანიზაციას შორის კავშირი, ამის გარდა, განმტკიცებულია

ნაწილობრივი შეთანხმებით სამდივნოსთან, რომელიც არის სტრასბურგში და ექვემდებარება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

ეს ორი ორგანიზაცია, ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული მათი ისტორიული განვითარების თვალსაზრისით. ევროპის საბჭოს გაფართოების შემდგომ სახელმწიფოთა დიდმა რიცხვმა გადაწყვიტა ფონდში გაწევრიანება.

დღეისათვის ევროპის საბჭოს განვითარების ბანკში გაწევრიანებულია 34 სახელმწიფო.

ევროპის საბჭოს მეცადინეობით, სოციალური პროგრესის იდეა ევროპაში განვითარების გზას დაადგა, ფონდმა შეავსო მისი საქმიანობის სფერო. თუ თავდაპირველად იგი შემოიფარგლებოდა მხოლოდ საგანგებო მდგომარეობებით (ლტოლვილებისა და მიგრანტების დახმარება, სტიქიური უბედურებების მსხვერპლთა მხარდაჭერა), დროთა განმავლობაში ფონდმა გააფართოვა თავისი საქმიანობის სფერო სოციალური დაბინავების, ჯანდაცვის, განათლების, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი საქალაქო ზონების რეაბილიტაციის, მემკვიდრეობის დაცვისა და სამუშაო ადგილთა შექმნის სექტორში ფინანსური საკითხების მოგვარებაში დახმარების თვალსაზრისით.

ევროპის საბჭოს მეორე სამიტზე, რომელიც გაიმართა ქ. სტრასბურგში 1997 წლის 10-11 ოქტომბერს, განმტკიცდა თანამშრომლობა ორ ორგანიზაციას შორის. სამიტის დროს მრავალი სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური მიესალმა იმ როლს, რომელიც შეასრულა სოციალური განვითარების ფონდმა და გამოხატა მისი საქმიანობის გაფართოების სურვილი, კერძოდ, ევროპაში სოციალური ერთობისათვის ხელშეწყობის მიმართულებით. ეს ის სფეროა, სადაც სრულ ჰარმონიაშია ფონდისა და ევროპის საბჭოს მიზნები.

ევროპის საბჭოს განვითარების ბანკი დღითიდღე ვითარდება. მისი საქმიანობა ხასიათდება სტაბილური მოგებით, მტკიცე პოლიტიკით - ფინანსური სტრატეგიით ემსახუროს ევროპის სოციალურ ერთობას, რაც, რისკის მუდმივი კონტროლის გათვალისწინებით, ინვესტორების მოწონებას იმსახურებს.

ფონდის საქმიანობის განსაკუთრებული გაფართოება მოხდა 1998 წელს. ამასთან ერთად, უკვე მესამე წელია ფონდი აღწევს სარეკორდო მაჩვენებლებს დამტკიცებული პროექტების თვალსაზრისით, რომელთა საერთო ფინანსური მოცულობა 2,3 მილიარდ ეკიუს შეადგენს.

შემუშავებულია სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია მმართველი და ადმინისტრაციული საბჭოების მიერ.

ფონდი ყოველწლიურად აკმაყოფილებს მრავალ მოთხოვნას დახმარების აღმოჩენაზე ბუნებრივი და ეკოლოგიური კატასტროფებით დაზარალებულ რეგიონებში, რაც მისი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორს წარმოადგენს. დამტკიცებული პროექტები ძირითადად ფარავენ საცხოვრებელი ფართისა და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მშენებლობა-შეკეთებას, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ინფრასტრუქტურების განვითარებას, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ინვესტირებას, ახალი კატასტროფების თავიდან აცილების მიზნით სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ზომების გატარებას.

ასე, მაგალითად, ფონდის მიერ დაფინანსებულ იქნა 1997 წლის 26 სექტემბერს იტალიის, უმბრიისა და მარჩის რეგიონებში მომხდარი მიწისძვრების შედეგად დაზარალებული ტერიტორიების აღდგენის, სლოვენიის პოსოჩეს რეგიონში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის, 1998 წლის 24 აპრილს ანდალუზიაში (ესპანეთი) ეკოლოგიური კატასტროფის შედეგად გამოწვეული ზიანის აღდგენის სამუშაოები.

ფონდის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა დასაქმების ხელშეწყობა.

ამ მიმართულებით ფონდის საქმიანობის ძირითადი ფორმა იმაში მდგომარეობს, რომ გამოიყოფა ფინანსური დახმარება იმ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ, რომ ახალგაზრდებს, რომლებსაც არ გააჩნიათ არანაირი პროფესიული კვალიფიკაცია, შესთავაზონ დამატებითი სასწავლო პროგრამები.

სტატისტიკიდან ჩანს, რომ სასწავლო პროგრამამ, რომელიც დაახლოებით 1 მილიარდი გერმანული მარკა დაჯდა, დიდი ზეგავ-

ლენა იქონია რეგიონში უმუშევრობის ზღვარზე 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისათვის, რაც 1997 წელს დაფიქსირებული 7,5 %-დან 1998 წლისათვის 5,3%-მდე ჩამოვიდა.

1998 წელს ფონდში გაწევრიანდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები: უნგრეთი, მოლდოვა, ესტონეთი, ლატვია, პოლონეთი და სლოვაკეთი, 1999 წელს კი ჩეხეთის რესპუბლიკა. დღეისათვის ფონდში ევროპის ამ ნაწილიდან გაწევრიანებულია 13 სახელმწიფო.

1997-2001 წლების განვითარების გეგმის შესაბამისად, ფონდი აფინანსებს ამ ქვეყნებში სოციალურ პროექტებს. დასაფინანსებელი პროექტები შერჩეულია არა მხოლოდ ისეთი პრიორიტეტული სექტორიდან, როგორიცაა ლტოლვილთა და ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებულთა დახმარება, არამედ მოიცავს ჯანდაცვას, განათლებასა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ხელშეწყობას. ამ ქვეყნებისათვის გამოყოფილი სესხების საერთო ოდენობა დღეისათვის შეადგენს 212,3 მილიონ ეკიუს.

მაგალითად, 1998 წლიდან ხორციელდება უნგრეთის მიერ წარდგენილი გლობალური სადანახარჯო (სადისბურსმენტო) სასესხო პროგრამა. ეს პროგრამა, რომელსაც გარანტად უდგას უნგრეთის მთავრობა, იმპლემენტირებულია უნგრეთის განვითარების ბანკის მიერ. ფონდმა გასცა სესხი 40 მილიონი ეკიუს ოდენობით, რომელიც ხმარდება: უნგრეთში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსებას; იუნესკო-ს მსოფლიო ძეგლთა სიაში შესული ნაგებობების რესტავრაციას; ბუნების დაცვასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და სოფლის მოდერნიზაციის პროექტების დაფინანსებას.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საქმიანობის გაფართოების მიზნით, ფონდი მჭიდროდ თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო ინსტიტუტებთან, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროკავშირი, ასევე ეროვნულ-საჯარო თუ კერძო ფინანსური ინსტიტუტები.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 6 დეკემბრის გან-

კარგულებით შექმნილია კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს წინადადებები საქართველოს ევროპის საბჭოს განვითარების ბანკში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ამდენად ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მისი სტრუქტურა.[13]

ევროპის საბჭო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ახალი დემოკრატიების განვითარება-განმტკიცებისათვის სათანადო პირობების შექმნას, ახალი დემოკრატიის სახელმწიფოთა ევროპაში ინტეგრაციას.

ევროპის საბჭოს საბაზისო პრინციპების განვითარების საკონსტიტუციო, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებების შესწავლის მიზნით, 1990 წლის მაისში დაფუძნებულ იქნა ევროპული კომისია "დემოკრატიისათვის სამართლის საშუალებით", რომელიც ცნობილია, როგორც ვენეციის კომისია. 1997 წლის ბოლოს მის საქმიანობაში 37 წევრი სახელმწიფო, 5 ასოცირებული წევრი ქვეყანა და 7 დამკვირვებელი წევრი (მათ შორის, საქართველო) მონაწილეობდა.

დღეისათვის კომისიის დღის წესრიგში დგას შემდეგი ძირითადი საკითხები:

საკონსტიტუციო სამართალი და საკონსტიტუციო რეფორმა, მიმართული, კერძოდ, დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცებისაკენ;

ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელთა მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

ფედერალური და რეგიონალური დაყოფის მქონე ქვეყნები;

საკონსტიტუციო სამართალი და ევროპული ინტეგრაცია;

საგარეო პოლიტიკის საკანონმდებლო საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად ევროპის საბჭოს ყურადღების ცენტრშია საკითხთა და პრობლემათა ფართო წრე, რომელთა მიმართაც ევროპის საბჭოს, წევრ ქვეყნებთან ერთად, მიღწეული აქვს მათი შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მაღალი დონე. მათ შორის, ისეთ საკითხებთან და პრობლემებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ინფორმაციის დაცვა, ცხოველთა და გარემოს დაცვა, საზღვრების გამჭვირვალეობა,

[13] იხ. დიაგრამა 3.

მართლმსაჯულება და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ლტოლვილები, ეროვნული უმცირესობები, სახელმწიფო ადმინისტრაცია და კერძო პირი, საკანონმდებლო ინფორმაციის დამუშავება, ადგილობრივი დემოკრატია, ევროპაში არსებული ენების თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნება, ადგილებზე საზღვარგარეთელ მოქალაქეთა უფლებები, რეგიონალური დაგეგმარება და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონესთან ცხოვრების პირობების ხარისხის გათანაბრება, სტიქიური უბედურებებისა და ტექნოლოგიური კატასტროფების საკითხებში სამეცნიერო თანამშრომლობა, სოციალური პრობლემების ფართო წრე, დემოგრაფია, ჯანმრთელობის დაცვა, ავადმყოფობის პროფილაქტიკა, მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, სპორტი, ახალგაზრდობის სპეციფიკური პრობლემები და სხვა.

საქართველო და ევროპის საბჭო

საქართველოს პარლამენტმა 1993 წლის 4 მარტს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში სპეციალური სტუმრის სტატუსი მოითხოვა.

1993 წლის დასაწყისიდან იღებს სათავეს დაძაბული საქმიანობა, რომელსაც საქართველოს პარლამენტი, ქვეყნის ხელისუფლება ეწეოდა საქართველოს ევროპის ოჯახში დასაბრუნებლად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ წერილით მიმართა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას. წერილში აღნიშნული იყო, რომ საქართველო აღიარებს ევროპის საბჭოს პრინციპებს, არჩეული აქვს დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის გზა, მზად არის ემსახუროს ევროპის საბჭოს მიერ გაცხადებული მიზნების განხორციელებას და რომ ევროპაში ინტეგრაცია ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნისათვის უპირველესი ამოცანაა, რამდენადაც მხოლოდ ეს შექმნის მისი დემოკრატიული განვითარების უმთავრეს გარანტიებს.

მოგვიანებით, ანალოგიური შინაარსის წერილით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს დანიელ ტარშისსაც მიმართა:

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიმართვა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ მიგელ ანხელ მარტინესისადმი [11]

4 მარტი. 1993 წელი

პატივცემულო პრეზიდენტო,

მაქვს პატივი მოგმართოთ თხოვნით, რათა მიანიჭოთ საქართველოს რესპუბლიკას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სპეციალური სტუმრის სტატუსი.

[11] არაოფიციალური თარგმანი

ამგვარი მომართვა განპირობებულია საქართველოს პარლამენტისა და ჩვენი ხალხის მისწრაფებით, ემსახუროს ევროპის საბჭოს მიერ გაცხადებულ მიზნებს, რაც გამოიხატება ევროპის ქვეყნებს შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარებაში, მშვიდობის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვაში.

გასულ წელს არჩეულ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია ოცზე მეტი პოლიტიკური პარტია და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები მრავალი ეროვნული უმცირესობა. ახლახან საქართველოს პარლამენტმა შექმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომლის მიზანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემუშავება - შემდგომში მისი საერთო-სახალხო რეფერენდუმზე განსახილველად. ამ კომისიის თავმჯდომარეობა პარლამენტმა მე დამაკისრა. ვფიქრობ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეასთან თანამშრომლობა და მუდმივი კონტაქტი ამ საქმეში დიდად დაგვეხმარება.

ჩვენ იმედის თვალით შევყურებთ ევროპული ინტეგრაციის პროცესს, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ოცდამეერთე საუკუნის მსოფლიოში სტაბილური და დემოკრატიული ევროპა იქნება სტაბილური და დემოკრატიული მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტი.

ვითხოვთ რა ჩვენი ქვეყნისთვის სპეციალური სტუმრის სტატუსს, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ცივილიზებული საერთაშორისო ურთიერთობების ფუნდამენტური პრინციპების ამსახველი ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტისადმი, პარიზის ქარტიისა და სხვა დოკუმენტებისადმი მხარდაჭერას.

ჩვენს თხოვნაზე დადებითი პასუხის მიღება დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს მონაწილეობას ევროპული ინტეგრაციის სფეროში.

ვსარგებლობ შემთხვევით და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

გულწრფელად, თქვენი ედუარდ შევარდნაძე

მის აღმატებულებას, მიგელ ანხელ მარტინესს,
ევროპის საბჭოს საპარლამენტო
ასამბლეის პრეზიდენტს,
სტრასბურგი, საფრანგეთი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიმართვა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის დანიელ ტარშისისადმი[5]

1994 წლის 21 დეკემბერი

ბატონო ტარშის,

მოგესალმებით ქართველი ხალხისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით.

ბოლო წლებში ჩემმა ქვეყანამ გადაიტანა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, მაგრამ ჩვენ დავიწყეთ ამ შეფერხებათა გადალახვა და ყოვლისმომცველი რეფორმების გატარება, რაც ხელს შეუწყობს დემოკრატული ინსტიტუტებისა და საბაზრო ეკონომიკის მყარად დამკვიდრებას.

სრული ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის შედეგად, ჩვენ გვესახება საქართველოს მომავალი, როგორც ერთა ევროპულ ოჯახში ინტეგრირებული ქვეყანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მე თხოვნით მოგმართავთ საქართველოსათვის ევროპის საბჭოში სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭების თაობაზე. მე მჯერა, რომ ეს მოვლენა იქნება სტიმული უკვე მიმდინარე რეფორმებისათვის და ხელს შეუწყობს აქტიურ თანამშრომლობას, რის გარეშეც ჩვენი მიდგომა იქნება არასრული.

მე მჯერა, რომ საქართველოს წევრობა ევროპის საბჭოში შესაძლებლობას მისცემს საქართველოს რესპუბლიკას თავის თავზე აიღოს ახალი როლი წვლილის შემტანის და არა მთხოვნელის.

მე მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენი გულისხმიერებისათვის აღნიშნულ საკითხზე და მოგიწვიოთ საქართველოში ნებისმიერ თქვენთვის ხელსაყრელ დროს. ვიყენებ ამ შესაძლებლობას, რათა გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა თქვენდამი.

პატივისცემით, ედუარდ შევარდნაძე

მის აღმატებულებას დანიელ ტარშისს,
ევროპის საბჭოს გენერალური მდივანს

---

[5] არაოფიციალური თარგმანი.

გარკვეული დროის მანძილზე, ევროპის საბჭოში მიმდინარეობდა ბჭობა ევროპის საბჭოს გეოგრაფიული საზღვრების თაობაზე. ამ პერიოდში გრძელდებოდა საქართველოს ხელისუფლებისა და ევროპის საბჭოს ხელმძღვანელობას შორის ინტენსიური მიმოწერა და კონსულტაციები. მიზანმიმართულ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს დიპლომატიური კორპუსიც. გაიმართა არაერთი შეხვედრა და კონსულტაცია ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ უწყებათა ხელმძღვანელებთან. ქართველი დიპლომატები ისტორიული წყაროების მოხმობით, ფაქტობრივი მასალის ილუსტრირებით აცნობდნენ ევროპელ კოლეგებს საქართველოსა და ევროპის ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების მაგალითებს, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ გარდაქმნებს.

სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოსათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭების განხილვის პროცედურა საპარლამენტო ასამბლეაში

საქართველოსათვის, სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო ევროპის საბჭოს გაფართოების შესახებ 1247-ე (1994) რეკომენდაცია, სადაც საპარლამენტო ასამბლეამ განაცხადა: "ევროპასთან კულტურული ურთიერთობიდან გამომდინარე, სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შეუძლიათ მოითხოვონ ევროპის საბჭოში გაწევრიანება, თუ ისინი თავს ევროპულ სახელმწიფოებად მიიჩნევენ"

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 1995 წლის 3 თებერვალს საფრანგეთში საქართველოს საელჩოდან მიიღო შემდეგი შინაარსის ინფორმაცია:

სტრასბურგი, 3. 2. 95 – **ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიურომ დღეს გადაწყვიტა დაიწყოს სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პარლამენტების მიერ წარმოდგენილი განცხადების განხილვის პროცედურა.**

ქვეყანათა განცხადებები გადაეცემა ასამბლეის კომპეტენტურ კომიტეტებს, კერძოდ, ევროპის არა-წევრ ქვეყნებთან ურთიერთო-

ბისა და პოლიტიკურ საქმეთა კომიტეტებს, რომლებიც დანიშნავენ მომხსენებლებს აღნიშნულ საკითხზე.

ასამბლეამ თაყვის 1247 (1994) რეკომენდაციაში გადაწყვიტა, რომ ევროპასთან კულტურული კავშირების გათვალისწინებით კავკასიის ქვეყნებს "უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, მიმართონ ორგანიზაციას წევრობისათვის, სადაც მკაფიოდ იქნება მითითებული მათი ნება, განხილულ იქნან, როგორც ევროპის ნაწილი".

1995 წლის 3 თებერვალს ასამბლეამ დაიწყო საქართველოსათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვა. ამასთან დაკავშირებით, საპარლამენტო ასამბლეის ად ჰოც კომისიამ შეისწავლა საქართველოში 1995 წლის 5 ნოემბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები. კომისიამ დაასკვნა, რომ მცირე დარღვევების გამოკლებით არჩევნებმა მშვიდად, წესების ზუსტი დაცვით და ყოველმხრივ მისაღებ პირობებში ჩაიარა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის მიგელ ანხელ მარტინესის წერილი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძისადმი[15]

სტრასბურგი, 10 თებერვალი 1995 წელი

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო მეგობარო,

გმადლობთ 1994 წლის 21 დეკემბრის თქვენი წერილისათვის, რომელიც ევროპის საბჭოსთან საქართველოს მომავალ ურთიერთობებს შეეხებოდა. მოხარული ვიყავი ჩემს ოფისში მიმეღო თქვენი სახელმწიფო მრჩეველი, ბატონი ქენქაძე.

მოხარული ვარ, აგრეთვე, გაცნობოთ, რომ 1995 წლის 3 თებერვალს, არსებული პროცედურის გათვალისწინებით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიურომ ასამბლეის არაწევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობის კომიტეტს გადასცა საქართვე-

[15] არაოფიციალური თარგმანი.

ლოს პარლამენტის განცხადება სპეციალური სტუმრის სტატუსის მოთხოვნის შესახებ მოხსენების მოსამზადებლად, ხოლო პოლიტიკური საქმეების კომიტეტს — განსახილველად. ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი, წინგადადგმული ნაბიჯია ევროპის საბჭოსთან თქვენი ქვეყნის თანამშრომლობის გზაზე.

იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში ჩვენს შორის ვიხილავ საქართველოს პარლამენტის დელეგაციას.

მინდა მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ ბატონ ქენქაძის საშუალებით მივიღეთ საქართველოში ხელმეორედ ოფიციალური ვიზიტით მოწვევა. ეს ჩემთვის დიდი პატივია და სიამოვნებით ვესტუმრები საქართველოს ამ წლის ბოლომდე.

გულწრფელად, თქვენი

მიგელ ანხელ მარტინესი,
ევროპის საბჭოს საპარლამენტო
ასამბლეის პრეზიდენტი

1995 წლის 17 მარტი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის წერილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ მიგელ ანხელ მარტინესისადმი[17]

ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო,

დიდი სიამოვნებით წავიკითხე 1995 წლის 10 თებერვლის წერილი და მსურს გულითადი მადლობა გადავუხადო ევროპის საბჭოს საქართველოს რესპუბლიკისათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭების პროცედურის დაწყებისათვის.

მე ვიცი, თუ რა დიდი წვლილი შეიტანეთ ამ პროცესის დაწყების საქმეში პირადად თქვენ, რისთვისაც ჩემი და ქართველი ხალხის სახელით ასევე მსურს გადაგიხადოთ გულწრფელი მადლობა.

---

[17] არაოფიციალური თარგმანი.

თანამედროვე ევროპულ ცივილიზაციასა და ქართული სახელმწიფოს კულტურულ ღირებულებებს საერთო საფუძველი აქვთ, რაც ისტორიული პროცესის გაგრძელებაა. სწორედ ეს არის საქართველოს საერთო ევროპულ პროცესებში სრული ინტეგრაციისაკენ სწრაფვის მიზეზი.

ბატონო პრეზიდენტო, ჩვენი სურვილი, გავხდეთ ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი, საერთო ევროპულ ოჯახში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისაკენ არის მიმართული და გამოვთქვამ იმედს, რომ ამ ჩვენს თხოვნასაც თქვენთვის ჩვეული გულისხმიერებით მოეკიდებით.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ ვსარგებლობ შესაძლებლობით მოგიწვიოთ საქართველოში თქვენთვის სასურველ დროს. მიიღეთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა.

გულწრფელად, ედუარდ შევარდნაძე

ევროპის საბჭოს
ასამბლეის პრეზიდენტს
ბატონ მიგელ მარტინესს

1996 წლის მაისში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი მონაწილეობდა ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის მუშაობაში. თავის გამოსვლაში საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი დეტალურად შეეხო საქართველოში მიმდინარე პროცესებს, გამოხატა ქვეყნის ხელისუფლების სურვილი საქართველოს ევროპის საბჭოში შესვლასთან დაკავშირებით. მიმოიხილა ის საქმიანობა, რომელიც იგეგმება საქართველოში სამართლებრივი რეფორმის, საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით; ის პერსპექტივები, რომლებიც დაისახება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოსათვის ევროპის საბჭოს სტუმრის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში.

კომიტეტის სხდომის მონაწილეები გაგებით შეხვდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გამოსვლას, გამოხატეს მის მიერ დასმული საკითხებისადმი მხარდაჭერა, რაც შესაბამისად საფუძვლად დაედო საპარლამენტო ასამბლეის მიერ მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებას.

საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს სპეციალური სტუმრის სტატუსი 1996 წლის 28 მაისს მიანიჭა. ამის შემდეგ საქართველო მონაწილეობას იღებს ევროპის საბჭოს თანამშრომლობისა და დახმარების სამთავრობათშორისო პროგრამებში, საპარლამენტო ასამბლეის კომისიებისა და კომიტეტების მუშაობაში. საქართველოს პარლამენტის მიერ საპარლამენტო ასამბლეაში წარგზავნილ პირველ დელეგაციაში შედიოდნენ პარლამენტის წევრები: ლანა ღოღობერიძე (საქართველოს მოქალაქეთა კავშირი) - დელეგაციის მეთაური; მიხეილ სააკაშვილი (საქართველოს მოქალაქეთა კავშირი); ირინა სარიშვილი (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია); კახა ჩიტაია (საქართველოს მოქალაქეთა კავშირი) და ვანო ხუხუნაიშვილი (საქართველოს სახალხო პარტია). დელეგაციის მდივნად დასაწყისში მუშაობდა ვერონიკა მეტონიძე, მოგვიანებით იგი შეცვალა პაატა მაჭავარიანმა (ორივე საქართველოს მოქალაქეთა კავშირიდან).

საქართველოში 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ნაწილობრივ შეიცვალა საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა, ამჟამად დელეგაციას მეთაურობს მიხეილ სააკაშვილი (საქართველოს მოქალაქეთა კავშირი), დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: თამარ ნინოშვილი (საქართველოს მოქალაქეთა კავშირი); ნათელა პატარქალიშვილი (ბლოკი "აღორძინება"); დავით სალარიძე (საქართველოს მრეწველთა კავშირი); გიორგი ბარამიძე (საქართველოს მოქალაქეთა კავშირი). დელეგაციის მდივნის ფუნქციას დროებით ასრულებს პაატა მაჭავარიანი.

საქართველოს დელეგაციამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა საქართველოს ევროპის საბჭოში წევრად მიღების საქმეში. დელეგაციის ხელმძღვანელის ლანა ღოღობერიძის, დელეგაციის წევრების გამოსვლები საპარლამენტო ასამბლეის სესიებზე (უპ-

ირველესად, მ. სააკაშვილი) თანმიმდევრულად აცნობდნენ საპარლამენტო ასამბლეის წევრებს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ გარდაქმნებს. ნაყოფიერი იყო დელეგაციის წევრთა საქმიანობა კომიტეტებში, კომისიებსა და ევროპის საბჭოს სხვა ღონისძიებებში, რამაც შესაბამისი შედეგიც გამოიღო.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა სპეციალური დეპარტამენტთაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მალხაზ კაკაბაძე[17]. სამუშაო ჯგუფი მოქმედებდა დეტალურად დამუშავებული პროგრამით, რომელიც ითვალისწინებდა სხვა ქვეყნების პრაქტიკულ გამოცდილებას, საქართველოს წინაშე არსებულ პრობლემებს. ჯგუფის საქმიანობის ეფექტურობას ბევრად განაპირობებდა სამინისტროებისა და უწყებების დაინტერესება ევროპის საბჭოს სტრუქტურებთან თანამშრომლობით, უპირველესად, იუსტიციის სამინისტროსა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. მალხაზ კაკაბაძე,[18] სამუშაო ჯგუფის წევრები, მიუხედავად საქართველოს შეზღუდული მატერიალური შესაძლებლობებისა, მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს მიერ გამართულ ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში, აქტიურად თანამშრომლობდნენ ევროპის საბჭოს თითქმის ყველა დირექტორატთან.

ევროპის საბჭოსა და საქართველოს შორის ურთიერთობას ასახავს ფართო დიპლომატიური მიმოწერა, ქვემოთ მოგვყავს მათ შორის ყველაზე საგულისხმო და მნიშვნელოვანი მაგალითები.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის წერილი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის დანიელ ტარშისისადმი[19]

14 ივლისი 1996 წელი

ბატონო გენერალურო მდივანო,

გასულ 28 მაისს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გაფართოებულმა ბიურომ სპეციალური სტუმრის სტატუსი მიანი-

[18] ამჟამად საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი.

[19] არაოფიციალური თარგმანი.

ჭა საქართველოს პარლამენტს. საქართველოს მთავრობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამ ფაქტს, თუმცა, ამავდროულად მიაჩნია, რომ იგი მას დიდი გამოცდის წინაშე აყენებს და მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას აკისრებს.

ქართველმა ხალხმა აირჩია ნამდვილი პლურალისტური დემოკრატიის გზა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა. ეს სურვილი განაპირობებს იმას, რომ საქართველოს მთავრობა პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპასთან დაახლოებას და ცდილობს ქვეყნის ჩართვას ევროპული ინტეგრაციის პროცესში.

ქართველი ხალხის სურვილის თანახმად, საქართველოს მთავრობის სახელით, მაქვს პატივი გთხოვოთ, ბატონო გენერალურო მდივანო, აცნობოთ მინისტრთა კომიტეტს, რომ საქართველოს სურს გახდეს ევროპის საბჭოს წევრი მისი წესდების მე-4 მუხლის თანახმად.

ამასთან ერთად, გიდასტურებთ საქართველოს გადაწყვეტილებას, მონაწილეობა მიიღოს ევროპის საბჭოს წესდებით დასახული მიზნებისა და ამოცანების უპირობო განხორციელებაში, მისივე წესდებით აღიარებული პრინციპებისა და ფასეულობების საფუძველზე.

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ საქართველოს მთავრობა მზად არის ევროპის საბჭოში მიღების დროს შეუერთდეს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციას.

გთხოვთ, ირწმუნოთ, ბატონო გენერალურო მდივანო, ჩემი ღრმა პატივისცემა.

ირაკლი მენაღარიშვილი

ბატონ დანიელ ტარშისს
ევროპის საბჭოს გენერალურ
მდივანს

საქართველომ ევროპის საბჭოში გაწევრიანება 1996 წლის 14 ივლისს მოითხოვა.

1996 წლის 14-15 ივლისს საქართველოს ეწვია ევროპის საბჭოს უმაღლესი დონის პირველი დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სიიმ კალასი, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დ. ტარშისი და სხვა ოფიციალური პირები.

დელეგაციას შეხვედრები ჰქონდა: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ირაკლი მენაღარიშვილთან, საქართველოს იუსტიციის მინისტრ თედო ნინიძესთან, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ კახა თარგამაძესთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მინდია უგრეხელიძესთან. დელეგაცია მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი. დელეგაციის წევრები ასევე შეხვდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიასა და საპარლამენტო ფრაქციათა წარმომადგენლებს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სიიმ კალასი, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დ. ტარშისი და დელეგაციის სხვა წევრები ცალკე შეხვდნენ არასაპარლამენტო პარტიების საკოორდინაციო საბჭოს წევრებს.

საქართველოს პრეზიდენტთან, საქართველოს პარლამენტში, სამინისტროებში და უზენაეს სასამართლოში გამართულ შეხვედრებზე გაანალიზდა საქართველოში მიმდინარე მოვლენები. განხილული იქნა ევროპის საბჭოს სპეციალური სტუმრის სტატუსში საქართველოსა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის საკითხები. ევროპის საბჭოს დელეგაციის წევრებსა და საქართველოს მხარის მიერ განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული იმ საკითხებზე, რომლებიც დადგა დღის წესრიგში საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს წევრად მიღების განაცხადის შემდეგ.

1996-1998 წლებში დამყარდა "პოლიტიკური დიალოგი" საქართველოსა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შორის.

პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში ქ. სტრასბურგში არაერთხელ მოეწყო შეხვედრა ევროპის საბჭოს ქვეყნების მინისტრის მოადგილეებთან, სადაც ხდებოდა აზრთა ურთიერთგაზიარება. 1997 წლის აპრილში მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრები. კომიტეტის სხდომაზე შედგა აზრთა ურთიერთგაზიარება საკითხთა ფართო სპექტრის ირგვლივ. საქართველოს რამდენჯერმე ესტუმრა ევროპის საბჭოს მაღალ ჩინოსანთა დელეგაცია. ასე მაგალითად, 1997 წლის მაისში საქართველოში შედგა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის ქალბატონი ლერი ფიშერის ვიზიტი. საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარეს ვიზიტის პერიოდში შეხვედრები ჰქონდა საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ზურაბ ჟვანიასთან, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან ირაკლი მენაღარიშვილთან, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სხვა მაღალი თანამდებობის პირებთან, ოპოზიციის წარმომადგენლებთან.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მონაწილეობა მიიღო და სიტყვით გამოვიდა ევროპის საბჭოს მეორე სამიტზე, რომელიც ქ. სტრასბურგში 1997 წლის 10-11 ოქტომბერს გაიმართა.

თავის გამოსვლაში საქართველოს პრეზიდენტმა სამიტის მონაწილეებს შეახსენა ევროპასთან საქართველოს ისტორიული კავშირების თაობაზე, აღნიშნა იმ ქარტეხილების შესახებ, რომლებიც საქართველომ გადაიტანა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

შეეხო რა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, მიუთითა დემოკრატიული გარდაქმნების შესახებ; ღონისძიებებზე, რომლებიც საქართველოში ხორციელდება: დემოკრატიულად ჩატარებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, სამართლებრივი რეფორმა, ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტენდენცია, ინფლაციის პროცენტული კლება და სხვა მაჩვენებლები, რომლებიც მიუთითებენ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას.

პრეზიდენტმა მიუთითა საქართველოს ხალხის დიდ სურვილზე, დაუბრუნდეს ევროპას, აღნიშნა, რომ საქართველო უერთდება

ევროპას თავისი სამიათასწლიანი ისტორიით, სახელმწიფოებრიობის დიდი გამოცდილებით.

ბატონი ედუარდ შევარდნაძე თავის გამოსვლაში შეეხო მსოფლიოს სხვადასხვა ადგილებში ცხელი წერტილების არსებობის ფაქტებს, რაც საფრთხეს უქმნის თავისუფლებას, სუვერენიტეტსა და პირად ხელშეუხებლობას.

საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სახელმწიფოთა მხრიდან მხოლოდ კოლექტიური ძალისხმევით შეიძლება განხორციელდეს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა და სოციალური ჰარმონიის მიღწევა. იგი შეეხო ევროპის საბჭოს ორმაგ როლს საქართველოსთან მიმართებაში. პირველი - საქართველოს დაბრუნება საერთო ევროპულ თანამეგობრობაში, რომელსაც იგი განვითარებულ მოვლენათა შედეგად მოწყდა. მეორე ევროპის საბჭოს ფასეულობების დამკვიდრება ქვეყანაში. მან ასევე ისაუბრა დიდი აბრეშუმის გზის აღორძინების მნიშვნელობაზე.

გამოსვლის დასასრულს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: "საქართველოს აქვს სპეციალური სტუმრის სტატუსი ევროპის საბჭოში. რამდენადაც საამაყო არ უნდა იყოს ეს სტატუსი, არც სტუმარი და არც მასპინძელი არ იგრძნობს თავს მოხერხებულად, როდესაც სტუმარი ზედმეტად დიდ ხანს შეყოვნდება. გამომდინარე აქედან, მე მინდა გამოვხატო იმედი, რომ 1999 წლისათვის საქართველო იქნება ევროპის დიდი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი."[20]

მინისტრთა კომიტეტმა 33-ე (96) რეზოლუციით საპარლამენტო ასამბლეას 1996 წლის 11 სექტემბრს მიმართა, რათა მას 51-ე (30) რეზოლუციის თანახმად საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების მოთხოვნასთან დაკავშირებით ჩამოეყალიბებინა საკუთარი აზრი.

ასამბლეის დავალებით ცნობილ იურისტთა დელეგაცია 1997 წლის ივნისში ეწვია საქართველოს, რათა შეემოწმებინა თუ რამდენად შეესაბამებოდა საქართველოს სამართლებრივი სისტემა

---

[20] ევროპის საბჭოში საქართველოს წარმომადგენლობის მასალები, 01/19-02/97,18 ოქტომბერი, 1997.

პლურალისტური დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: პროფესორი სტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის თავმჯდომარე (დანია), იზი ფოიგელი, ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოასამართლე (დანია), მოდ ბუკიჩიო-დე ბო, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კომისიის მდივანი, ადამიანის უფლებათა სასამართლოს პირველი პალატის მდივანი (ჰოლანდია). იმავე წლის სექტემბერში დელეგაციამ წარადგინა მოხსენება საქართველოში არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, რომლის დასკვნებში აღნიშნული იყო, რომ: "დემოკრატიასთან მიმართებაში საქართველო წარმატებით მიისწრაფვის დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ, რაც ძალაუფლების ეფექტურ გადანაწილებას, დემოკრატიული გზით არჩეულ ხელისუფლებასა და კანონიერების ფუნქციონირებას გულისხმობს. რაც შეეხება კანონის უზენაესობას, შეიძლება ითქვას, რომ გამოხატული ძალისხმევა და მისი გაგრძელება საქართველოს აქცევს სამართლებრივ სახელმწიფოდ. უეჭველია, რომ საკანონმდებლო პროცესი გამოიყენება სახელმწიფოს სრულყოფისათვის და შექმნილ საკანონმდებლო ბაზას შეიძლება მყარი ნორმატიული ინფრასტრუქტურა ეწოდოს. რაც შეეხება ადამანის უფლებათა დაცვის საკითხს, უკანასკნელ პერიოდში ამ სფეროში აშკარა გაუმჯობესება შეიმჩნევა. დღესდღეობით ქვეყანაში მოქმედებს ტრადიციულ დემოკრატიულ საფუძველზე აგებული კონსტიტუცია".

ევროპის საბჭოს სტრუქტურებთან საქართველოს ხელისუფლების ურთიერთობის პრაქტიკული საკითხები საფრანგეთსა და იუნესკოში საქართველოს საელჩოს მეშვეობით ხორციელდებოდა. 1997 წლის სექტემბერში კი, ამ ურთიერთობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ქ. სტრასბურგში შეიქმნა საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა ევროპის საბჭოსთან.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის შექმნის შესახებ

№ 472 1997 წლის 28 სექტემბერი ქ. თბილისი

1. ევროპის საბჭოს სტრუქტურებთან საქართველოს ხელისუფლების ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შეიქმნას ქ. სტრასბურგში ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა ორი დიპლომატიური მუშაკის შემადგენლობით.

2. ევროპის საბჭოსთან მუდმივი წარმომადგენლობის დაფინანსება განხორციელდეს ახალი დიპლომატიური წარმომადგენლობებისათვის გათვალისწინებული სახსრებიდან "საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს 1997 წლის 21 თებერვლის კანონის № 2 დანართის თანახმად.

3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი. მენაღარიშვილი) განახორციელოს ევროპის საბჭოსთან მუდმივი წარმომადგენლობის შექმნასთან დაკავშირებული პროცედურები და დააკომპლექტოს წარმომადგენლობა სათანადო კადრებით.

ე. შევარდნაძე

1997 წლის 4 დეკემბერს არჩეულ იქნა სპეციალური მომხსენებელი, ბატონი ტერი დევისი (პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის წევრი, დიდი ბრიტანეთი), რომელიც 1998 წლის აპრილსა და ივნისში ესტუმრა საქართველოს. მომხსენებელთა ჯგუფში ასევე შედიოდნენ: ზოლტ ნემეტი (სამართლებრივ საკითხთა და ადამიანის უფლებების კომიტეტის წევრი, უნგრეთი), რომელიც 1998 წლის ივნისში შეცვალა ანდრეს კლემენტმა (უნგრეთი).[21]

[21] ზოლტ ნემეტი 1998 წლის ივნისში გადაყვანეს უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

ანდრეს კლემენტის მიერ იქნა წარდგენილი 1998 წლის ივნისში კომიტეტის საბოლოო შეხედულება.

1998 წლის 29-30 ოქტომბერს საქართველოში ვიზიტით იყო ევროპის საბჭოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. კრანიდიოტისი, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დ. ტარშისი, ევროპის საბჭოში საბერძნეთის მუდმივი წარმომადგენელი დ. კონსტასი და სხვა ოფიციალური პირები.

დელეგაციამ დიალოგი გამართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დელეგაციასთან, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი ხელმძღვანელობდა. დელეგაცია მიიღეს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ.

დიალოგის დროს აღინიშნა, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანება გულისხმობს არა მარტო საქართველოს შეერთებას ევროპის საბჭოს წესდებასთან, არამედ მოითხოვს წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების განუხრელად შესრულებას. საქართველოსა და ევროპის საბჭოს ერთობლივი ღონისძიებების დროს არაერთხელ დაფიქსირდა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული გარდაქმნები, სერიოზული ძვრები, რომლებიც მიმდინარეობს სასამართლო ხელისუფლებაში, მასმედიაში, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში და ა. შ.

დიალოგის მონაწილენი შეეხენ არსებულ პრობლემებს. მიუხედავად პოზიტიური ძვრებისა, ჯერ კიდევ ბევრი სირთულე არსებობს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, არასახარბიელო მდგომარეობაა წინასწარი დაკავებისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში; პენიტენციალურ სისტემაში არსებობს მატერიალურ-ტექნიკური პრობლემები. გაღრმავებას მოითხოვს სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა ცოდნა ადამიანის

უფლებათა დაცვის საერთაშორისო დონეზე დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ. სერიოზულ პრობლემად რჩება ქვეყნის კონფლიქტების მოგვარება და საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხის გადაწყვეტა, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნება საცხოვრებელ ადგილებში.

ევროპის საბჭოსა და საქართველოს დელეგაციებმა თავისი მოსაზრებები გაუზიარეს ერთმანეთს აფხაზეთში, საქართველო და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარებაში ევროპის საბჭოს მონაწილეობის თაობაზე.

საქართველოს ევროპის საბჭოში მიღების პროცესისათვის მნიშვნელოვანია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1998 წლის 22 სექტემბრის სხდომაზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ გიორგოს პაპანდრეუს საანგარიშო მოხსენების ნაწილი, რომელიც კავკასიას შეეხება.

მან მიმოიხილა მინისტრთა კომიტეტისა და საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელთა კავკასიაში ბოლო მივლინების შედეგები. 1998 წლის 30-31 აგვისტოს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დანიელ ტარშისი საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივან იანოს კრანიდიოტისთან ერთად, ესტუმრა თბილისს, ბაქოსა და ერევანს. ისინი გაეცნენ მოვლენათა მსვლელობას ბოლო ორი წლის განმავლობაში ესტონეთის თავმჯდომარეობის დროს ჩატარებული ანალოგიური ვიზიტის შემდეგ.

ევროპის საბჭოს დელეგაციამ სამსავე ქვეყანაში გააკრცელა თავისი ძირითადი მოსაზრება, კერძოდ, "კავკასია და მისი მოსახლეობა, ხანგრძლივი ისტორიული და კულტურული კავშირების წყალობით, მიეკუთვნება ევროპულ ოჯახს და, ევროპის საბჭოს ძირითადი მიზნების გაზიარების შემთხვევაში, შესაძლებელია მათი შეერთება ჩვენს ორგანიზაციასთან უმოკლეს ვადაში."[22] გიორგოს

[22] ევროპის საბჭოში საქართველოს წარმომადგენლობის მასალები. 01/129-02/98. 1 ოქტომბერი. 1998.

პაპანდრეუმ ნიშანდობლივად მიიჩნია ისიც, რომ 1997 წლის ოქტომბერში ევროპის საბჭოს მეორე სამიტზე სამივე ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურთა სხვა ევროპულ კოლეგებთან ერთად მონაწილეობა. აღნიშნა, რომ ეს იყო ევროპულ ოჯახში მათი თანამონაწილეობის დასტური.

სამსავე ქვეყანაში უმაღლეს დონეზე დიალოგის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანება არ არის თვითმიზანი. მათი ვალდებულებები ისეთი ფასეულობებისა და პრინციპების მიმართ, როგორიცაა ადამიანის უფლებები, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და საბაზრო ეკონომიკა, ეხმიანება მათი ხალხების მისწრაფებებს. სწორედ ეს გახდა ევროპის საბჭოში გაწევრიანების მიზნით მათი მიმართვის საფუძველი. მათ კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ ჯერ კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი, მაგრამ თვლიდნენ, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანება ხელს შეუწყობდა ამ პროცესის დაჩქარებასა და კონსოლიდირებას.

"თითოეული ქვეყნის კანდიდატურა, რა თქმა უნდა, ფასდება ინდივიდუალურად და ჩემთვის გასაგებია, რომ ასამბლეის აზრი საქართველოს თაობაზე შესაძლოა უკვე იანვრისათვის ჩამოყალიბდეს",[23] თქვა გამოსვლის დასასრულს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარემ.

საქართველოს გაწევრიანებას ევროპის საბჭოში წინ უძღოდა საქართველოს მთავრობის მიზანმიმართული, სისტემატური საქმიანობა და ხელისუფლების მიერ გატარებული მთელი რიგი სახელმწიფო რეფორმებისა. სამართლებრივ და ადამიანის უფლებათა სფეროებში საქართველოს მიერ გადადგმულ იქნა მნიშვნელოვანი ნაბიჯები:

1. ჩამოყალიბდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;
2. შეიქმნა საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) ინსტიტუტი;
3. ჩამოყალიბდა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში

[23] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის, საგარეო საქმეთა მინისტრის, ბატონი გიორგოს პაპანდრეუს საანგარიშო მოხსენება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1998 წლის 22 სექტემბრის სხდომაზე. ევროპის საბჭოში საქართველოს წარმომადგენლობის მასალები. 01/129-02/98. 1 ოქტომბერი, 1998.

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მომუშავე სპეციალური სამსახური ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის ხელმძღვანელობით;

4. მიღებულ იქნა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები და კანონი საერთო სასამართლოების შესახებ;

5. საქართველო შეუერთდა კონვენციებს ევროპის კულტურულ, მსჯავრდებულ პირთა გადაცემის და უცხოურ კანონმდებლობაზე ინფორმაციის შესახებ, ხელი მოაწერა კონვენციას ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ და სისხლის სამართლის კონვენციას კორუფციაზე (ამ უკანასკნელზე მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურა მისი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებისათვის);

6. გაუქმდა სიკვდილით დასჯა;

7. გაუქმდა ე. წ. ჩაწერის ინსტიტუტი;

8. შემუშავების სტადიაშია სისხლის სამართლის კოდექსი და კანონი ადვოკატურის შესახებ;

9. საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ევროპის საბჭოს სტატუტის რატიფიკაცია;

10. საქართველოს პარლამენტი განიხილავს „საგზაო დანაშაულებზე სასჯელის შესახებ“ და „სისხლის სამართლებრივ საკითხებზე ურთიერთდახმარების შესახებ“ ევროპულ კონვენციებთან საქართველოს შეერთების საკითხს;

11. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის იანვარში 1213 (ათასორასცამეტი) პიროვნება იქნა შეწყალებული.

1996-1998 წლებში საქართველოს ექსპერტები მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს ქვედანაყოფების მუშაობაში, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა განხორციელებული:

1. საქართველო დიდ დახმარებას იღებს საკანონმდებლო ექსპერტიზის, სამართალდამცველი ორგანოების კადრების მომზადებისა და ადამიანის უფლებათა განმტკიცების საქმეში, რამდენადაც აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საბჭოსთან ყოველწლიური თანამშრომლობის პროგრამების ფარგლებში;

2. საქართველოს წარმომადგენლები დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობენ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის (GMC) მუშაობაში, რომლის ძალისხმევითაც მიღებულ იქნა კორუფციასთან ბრძოლის 20 ძირითადი პრინციპი და „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია", საქართველოს ექსპერტები განაგრძობენ მუშაობას „კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენციის" შემუშავებაზე;

3. საქართველო ასევე აქტიურადაა ჩართული იურიდიულ საკითხთა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის საქმიანობაში.

4. საქართველოს ექსპერტები მონაწილეობენ „პომპიდუს ჯგუფის" საქმიანობაში (ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფში).

ხორციელდებოდა და ხორციელდება საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის თანამშრომლობის პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ თანამშრომლობას როგორც ადამიანის უფლებების, ისე სამართლებრივი ურთიერთდახმარების სფეროებში.

1997 წელს საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის სამართლებრივი თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ქ. თბილისში ევროსაბჭოს მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროსა და შესაბამის უწყებებთან ერთად ორგანიზებული იქნა სემინარები: "მასმედია დემოკრატიულ საზოგადოებაში" (16-17 ივნისი); "მოსამართლეთა ატესტაცია და მათი სამუშაოზე აყვანა" (7-8 ოქტომბერი); "ციხეებს შორის თანამშრომლობის შესახებ" (14-15 ოქტომბერი); "პოლიცია გარდამავალ საზოგადოებაში" (22-25 ოქტომბერი);

1998 წელს ანალოგიური პროგრამის ფარგლებში მოწყობილ იქნა 9 სემინარი: " მაუწყებლობის წესის შესახებ" (19-20 მარტი); "პროკურატურის თანამშრომლების მომზადება" (30 აპრილი); "სამართლებრივი განხრით მომუშავე სახელმწიფო მოხელეთა მომზადება და გამოცდა" (29-30 აპრილი); "კანონშემოქმედების ფუნდამენტური პრინციპები სამართლებრივ სახელმწიფოში" (2-3 ივლისი); "იუსტიციის სამინისტროს კომპეტენცია და ორგანიზაცია კანონშემოქმედების განვითარების პროცესში" (9-10 ივლი-

სი); საქართველოს პოლიციის ფუნქციონირების შესახებ" (2-3 ნოემბერი); " მედიის პროფესიონალიზმისა და ეთიკის შესახებ" (4 დეკემბერი). აღნიშნული სემინარების ჩატარებაში მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოს ექსპერტები, საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო კანცელარიის, სამინისტროებისა და უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სპეციალისტები.

სემინარებზე საქართველოს სამართალდამცველი და ადმინისტრაციული ორგანოებისა და, აგრეთვე, საზოგადოებრივი და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიეწოდათ კვალიფიციური ინფორმაცია მოწინავე ევროპულ სახელმწიფოებში არსებული პრაქტიკისა და გამოცდილების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებშივე 13-20 ივნისს ჩატარებულ იქნა ევროპის საბჭოს ექსპერტთა მისია საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის შეფასების მიზნით, ხოლო 31 ნოემბრიდან 12 დეკემბრამდე საქართველოს პენიტენციალური სისტემის შეფასებისათვის. მისიების შეფასებები ძირითადად დადებითი შედეგებით აღინიშნა ამ სფეროებში მიმდინარე სერიოზულ გარდაქმნებთან დაკავშირებით. ორივე სისტემისათვის შეთავაზებულ იქნა რეკომენდაციები.

1999 წელს გრძელდებოდა საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის სამართლებრივი თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ერთობლივი სემინარების ჩატარების პრაქტიკა:

10-11 თებერვალი	სემინარი "ადამიანის უფლებათა დაცვა საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით";
25-26 მარტი	სემინარი - "მაუწყებლობის შესახებ" კანონ-პროექტის სამართლებრივი ექსპერტიზის მიზნით;
20-21 მაისი	სემინარი -"ჟურნალისტთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ";
16-17 სექტემბერი	სემინარი "ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ" ევროპის კონვენციაზე და

	მასთან საქართველოს შესაძლო შეერთების თაობაზე".
23-24 ნოემბერი	სემინარი "ევროპის სოციალური ქარტია";
13-14 დეკემბერი	სემინარი - "ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა".

ევროპის საბჭოს ექსპერტების მიერ განხორციელდა საქართველოს მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებისა და მათი პროექტების ექსპერტიზა ევროპულ ნორმებთან მათი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ევროპის საბჭოს იუსტიციის მინისტრთა კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ქ. კიშინეუში, მიღწეულ იქნა შეთანხმება დიდ ბრიტანეთთან, გერმანიასა და საფრანგეთთან ამ ქვეყნების სასამართლოებში ქართველი მოსამართლეების სტაჟირების თაობაზე.

ევროპული ნორმების საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად შეიქმნა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენისა და შედარებითი ანალიზის კომისია.

საქართველოს პარლამენტის თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქართველოს რეგიონების საგარეო ურთიერთობათა კოორდინაციისა და ანალიზის სამმართველო ასევე აქტიურად თანამშრომლობენ ევროპის საბჭოს ევროპის ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესთან, რაც უდაოდ უწყობს ხელს საქართველოში ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების მიმდინარე რეფორმას.

ევროპის საბჭოს ევროპის ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესთან თანმიმდევრულ თანამშრომლობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების სრულყოფისა და ეფექტიანობის ამაღლების საქმეში.

1998 წელს ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები და 1995 წლის კონსტიტუციის საფუძველზე მიღებული კანონის შესაბამისად არჩეულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საკრებულოები.

საქართველოში ხელისუფლება უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას იმ პრინციპებით, რომელიც აღიარებულია საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციის მე-7 მუხლში: "სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით." [24]

[24] საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი, 1995, გვ. 7.

საქართველოს ევროპის საბჭოს წევრად მიწვევის საკითხის განხილვა ევროპის საბჭოში

1998 წლის 27 ნოემბერს ქ. ბუდაპეშტში გაიმართა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების განაცხადთან დაკავშირებული მოხსენება.

სხდომაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ლანა ღოღობერიძემ და დელეგაციის წევრმა ბატონმა კახა ჩიტაიამ.

მომხსენებელმა ბატონმა ტერი დევისმა დეტალურად მიმოიხილა საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება, აღნიშნა, რომ საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტია მხარს უჭერს საქართველოს გაწევრიანებას ევროპის საბჭოში. საქართველოს შესვლას ევროპის საბჭოში მხარს უჭერს ასევე ყოფილი სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერი ლუდვიგ ჩიბიროვი; რაც შეეხება ვლადისლავ არძინბას, აფხაზ სეპარატისტთა ლიდერს, მისთვის ეს საკითხი აქტუალური არ არის, რამდენადაც იგი აფხაზეთს განიხილავს, როგორც საქართველოსაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

მომხსენებელი შეეხო საქართველოში ჩატარებულ ადგილობრივ არჩევნებს. მან მოახსენა სხდომას, რომ დილით მიიღო დამატებები ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური მმართველობის კონგრესიდან, რომლებიც უკვე შესულია მოხსენებაში. კერძოდ, 47-ე პუნქტში აღნიშნულია, რომ ჩატარებული ადგილობრივი არჩევნები კონგრესს მიაჩნია მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯად ადგილობრივი დემოკრატიისა და თვითმმართველობის დამკვიდრებისაკენ, რაც რეალურად პასუხობს ადგილობრივი საზოგადოების მოლოდინს. ბატონმა დევისმა მოიშვე-

ლია ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონალური მმართველობის კონგრესის განცხადება, რომ „არჩევნები საქართველოში ჩატარდა ინციდენტების გარეშე, რაც ადასტურებს, რომ საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ევროპის საბჭოს ევროპული ერების ოჯახისაკენ მიმავალ გზაზე".

ბატონმა ტ. დევისმა დიდი შეფასება მისცა იმ ფაქტს, რომ საქართველომ ევროპის საბჭოში გაწევრიანებამდე გააუქმა სიკვდილით დასჯა, შემოიღო „ომბუდსმენის" ინსტიტუტი, რომ საქართველოში ძალიან მაღალ დონეზეა აყვანილი პრესის თავისუფლება.

ტერი დევისმა აღნიშნა, რომ მას შეხვედრები ჰქონდა საქართველოში ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ელჩებთან, გაეროსა და ეუთოს წარმომადგენლებთან; საქართველოში აკრედიტებული დიპლომატები ასევე მაღალ შეფასებას აძლევენ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს და ერთსულოვნად უჭერენ მხარს საქართველოს გაწევრიანებას ევროპის საბჭოში.

მომხსენებელმა გააანალიზა კომიტეტის დასკვნის პროექტი, აღნიშნა, რომ გაითვალისწინა რუსი დეპუტატის ვლადიმერ ლუკინის წინადადებები, რომლებსაც საქართველოს დელეგაცია გაგებით შეხვდა.

პროექტი პუნქტობრივ იქნა განხილული. რედაქტირებულ იქნა მე-6 პუნქტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ასამბლეა საქართველოს განიხილავს, როგორც პლურალისტურ დემოკრატიულ საზოგადოებას, რამდენადაც იგი პატივს სცემს ადამიანის უფლებებს და აღიარებს კანონის უზენაესობის პრინციპს, მაგრამ იმავდროულად ასამბლეა მიუთითებს დემოკრატიული რეფორმების გაგრძელების აუცილებლობაზე, რათა ქვეყნის კანონმდებლობა და პრაქტიკა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ევროპის საბჭოს პრინციპებსა და სტანდარტებთან.

საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველო დღეისათვის უკვე არის პლურალისტური დემოკრატიული საზოგადოება, თუმცა, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

სიტყვით გამოვიდა რუსეთის დეპუტატი სერგეი გლოტოვი

(კრასნოდარის მხარიდან). მან აღნიშნა, რომ ადრე კავკასიის სამივე სახელმწიფოს გაწევრიანების საკითხი ერთად განიხილებოდა, ხოლო ახლა საქართველო ცალკე ფიგურირებს, ამიტომ მომხსენებელმა კომიტეტს შესთავაზა, განეხილა აზერბაიჯანისა და სომხეთის გაწევრიანების საკითხი მომავალ წელს, მაისის თვეში, ევროპის საბჭოს 50 წლისთავთან დაკავშირებით. მე-9 პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც აფხაზეთის მხარეს მოუწოდებს, აწარმოოს მოლაპარაკებები ქართულ მხარესთან აფხაზეთის ავტონომიის სტატუსის განსაზღვრისა და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ არასწორია, ასამბლეამ მხოლოდ აფხაზეთს მოსთხოვოს დიალოგის დაწყება. მისი აზრით, იგივე მოწოდება საჭიროა გაკეთდეს საქართველოს მისამართითაც. ს. გლოტოვმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობებისა და სასაზღვრო თანამშრომლობის განვითარებით, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროპის საბჭო.

გლოტოვის მიერ დასმულ პირველ საკითხზე პასუხი გასცა კომიტეტის თავმჯდომარემ ანდრაშ ბარსონიმ. მან აღნიშნა, რომ კავკასიის სამივე სახელმწიფოს ერთდროული გაწევრიანების შესახებ მართლაც არსებობდა მოსაზრება, მაგრამ ევროპის საბჭოში გაწევრიანების კანდიდატურები ყოველთვის ინდივიდუალურად განიხილება. საქართველოში დემოკრატიის განვითარების დონემ გახადა შესაძლებელი მის გაწევრიანებაზე მსჯელობა მომავალი წლის იანვარში.

მეორე საკითხზე პასუხი გასცა ტერი დევისმა. მან აღნიშნა, რომ იგი შეხვდა არძინბას, ჰქონდა შეხვედრები სოხუმში დეპუტატებთან, მთავრობის წარმომადგენლებთან და დარწმუნებულია, რომ სწორედ არძინბას არ სურს კონფლიქტის მოგვარება, ამიტომაც მთელი პასუხისმგებლობა მას უნდა დაეკისროს. არძინბას კარგად ესმის, რომ კონფლიქტის მოგვარებისა და ლტოლვილების დაბრუნების შემთხვევაში მას აღარ აირჩევენ. რაც შეეხება კონფლიქტის ეკონომიკური განვითარებით მოგვარებას, ბატონი დევისის ღრმა რწმენით, პირიქით, სწორედ ეკონომიკური სან-

ქციები არის ერთადერთი საშუალება მდგომარეობის გამოსწორებისა. მან გაკვირვება გამოხატა გლოტოვის პოზიციის გამო. იმის გათვალისწინებით, რომ ეს სანქციები დსთ-ს გადაწყვეტილებით იქნა შემოღებული და ბატონი დევისი მხარს უჭერს დსთ-ს ამგვარ პოლიტიკას.

გარკვეული ცვლილებები განიცადა მე-10 პუნქტმა, რომელშიც ჩამოყალიბებულია გაწევრიანების შემთხვევაში საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

ასე, მაგალითად:

II d ადრე ითვალისწინებდა გაწევრიანებიდან ერთი წლის ვადაში კანონის მიღებას, რომელიც შესაძლებელს გახდის თურქი მესხების დაბრუნებასა და მათ ინტეგრაციას, საქართველოს მოქალაქეობის მიღების ჩათვლით. კანონის მიღების ვადა გაიზარდა ორ წლამდე გაწევრიანების შემდეგ. ამ პუნქტს დაემატა პირობა, რომლის თანახმადაც დაბრუნების პროცესი უნდა დაიწყოს გაწევრიანებიდან სამი წლის შემდეგ და დასრულდეს შვიდ წელიწადში გაწევრიანების შემდეგ;[25]

IV - e პუნქტს, რომელშიც საქართველო იღებს ვალდებულებას, გადახედოს იმ პირთა საქმეებს, რომელებიც დაკავებულნი ან მსჯავრდებულნი არიან 1991-1992 წლების პოლიტიკურ მღელვარებებში მონაწილეობისათვის, დაემატა განხორციელების ვადა გაწევრიანებიდან ორი წელი;

IV f პუნქტში ნახსენები იყო კონფლიქტები აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, რაც საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის მოთხოვნით შესწორდა, როგორც კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

შვეიცარელმა დეპუტატმა ანდრეას გროსმა გამოთქვა აზრი პოლიციასთან დაკავშირებით. მისი თქმით, პოლიცია, რომელსაც ისედაც დაბალი ხელფასი თვეების განმავლობაში არ ეძლევა, ავტომატურად იქცევა კორუფციის წყაროდ. ამიტომ მან შესთავაზა კომიტეტს, ვალდებულებებში შეეტანათ საკითხი პოლიციის სისტემის სტრუქტურული ცვლილებების თაობაზე. ბატონმა დევისმა ზემოაღნიშნულზე უპასუხა, რომ, მართალია, საქართველოში,

[25] საბოლოო დოკუმენტში დაფიქსირდა 12 წლიანი ვადა.

როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, არსებობს კორუფცია, მაგრამ იგი ხედავს საქართველოს ხელმძღვანელობის მონდომებას, წარმატებით ჩაატაროს სასამართლოს, პროკურატურისა და პოლიციის სისტემათა რეფორმა და აღმოფხვრას კორუფცია, რის გამოც III - a პუნქტში დამატება არ მიაჩნია საჭიროდ.

III - b პუნქტით დადგენილი იყო, რომ საქართველოს გაწევრიანებიდან ექვსი თვის განმავლობაში უნდა მიეღო კანონი პენიტენციალური სისტემის შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროს გამგებლობაში გადაყვანის შესახებ და ამ კანონის რეალური განხორციელება მომხდარიყო მისი მიღებიდან სამი თვის ვადაში. ახალი რედაქციით ეს პუნქტი გახდა III - c და იგი შემდეგნაირად შეიცვალა: კანონი პენიტენციალური სისტემის ახალ გამგებლობაში გადაყვანაზე მიღებულ უნდა იქნეს სამი თვის ვადაში გაწევრიანების შემდეგ, ხოლო მისი განხორციელება უნდა მოხდეს კანონის მიღებიდან ექვს თვეში.

ასეთი შესწორებებით კომიტეტმა ძირითადად მოიწონა დასკვნის და მოხსენების პროექტი, რომლითაც ტერი დევისი წარდგა საპარლამენტო ასამბლეის წინაშე.

საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ასევე ევროპის საბჭოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომას, რომელიც 1998 წლის 7 დეკემბერს გაიმართა პარიზში. კომიტეტმა განიხილა დასკვნები საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე.

კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გაწეულ საქმიანობას, აღნიშნა, რომ მას აქვს მიზანმიმართული ხასიათი. ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში საქართველო ახორციელებს კანონმდებლობის სრულყოფის თანმიმდევრულ ღონისძიებებს, სახელმწიფოებრივ დონეზე აყალიბებს ისეთ შეხედულებებს, რომლებიც ახლოს დგას "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციაში" აღიარებულ პრინციპებთან.

კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრმა მიხეილ სააკაშვილმა.

ევროპის საბჭოს წევრად საქართველოს მიღების საკითხის განხილვა საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი ვალტერ შვიმერი.

საქართველოს მოთხოვნა ევროპის საბჭოში გაწევრიანების შესახებ მე-4 საკითხად იქნა განხილული. დღის წესრიგში შეიტანეს დებატები პოლიტიკურ საქმეთა კომიტეტის მოხსენებაზე (დოკუმენტი 8275. მომხსენებელი ტერი დევისი) და სამართლებრივ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მოხსენებაზე (დოკუმენტი 8296. მომხსენებელი ანდრას კელემენი).

ტერი დევისისა და ანდრას კელემენის მოხსენებები წინასწარ ჰქონდათ დარიგებული ასამბლეის მონაწილეებს. მოგვყავს ამ მოხსენებების სრული ტექსტები.

ტერი დევისის მოხსენება

"საქართველო ევროპის საბჭოში გაწევრიანებას ითხოვს"
მოხსენება

პოლიტიკურ საკითხთა კომისია
მომხსენებელი: ტერი დევისი, გაერთიანებული სამეფო, სოციალისტური ჯგუფი

რეზიუმე

1996 წლის 14 ივლისს საქართველომ ევროპის საბჭოში გაწევრიანება ითხოვა. 1996 წლიდან იგი მონაწილეობს ევრო-

პის საბჭოს თანამშრომლობისა და დახმარების სამთავრობათ-შორისო პროგრამებში, საპარლამენტო ასამბლეის საპატიო სტუ-მართა დელეგაციის მუშაობაში.

ასამბლეის აზრით, საქართველომ ადამიანის უფლებათა დაცვითა და სამართლებრივ სახელმწიფოს პრინციპებზე დაყრდნობით, პლურალისტურ საზოგადოებად ჩამოყალიბების საქმეში მნიშვნელო-ვან პროგრესს მიაღწია. საპარლამენტო ასამბლეა მინისტრთა კომიტეტს აძლევს რეკომენდაციას - მოიწვიოს საქართველო ევრო-პის საბჭოს სრულუფლებიან წევრად. საქართველო ვალდებულია განაგრძოს რეფორმების გატარება, აუცილებლად შეასრულოს ასამბლეის მიერ დაკისრებული ვალდებულებები.

დასკვნა

1. საქართველომ ევროპის საბჭოში გაწევრიანება 1996 წლის 14 ივლისს ითხოვა. მინისტრთა კომიტეტმა 1996 წლის 11 სე-ქტემბრის 33 (96) რეზოლუციით მოიწვია საპარლამენტო ასამბლეა, რათა მას, 51 (30) რეზოლუციის თანახმად, საქართველოს თხოვნასთან დაკავშირებით ჩამოეყალიბებინა საკუთარი მოსაზრე-ბა.

2. 1993 წლის 4 მარტს საქართველომ საპარლამენტო ასამბლეა-ში სპეციალური სტუმრის სტატუსი ითხოვა, რომელიც მან 1996 წლის 28 მაისს მიიღო.

საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების საკითხი ასამ-ბლეის 1247 რეკომენდაციით გადაწყდა, სადაც ასამბლეამ გა-ნაცხადა: „ევროპასთან კულტურული ურთიერთობიდან გამომ-დინარე, სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შეუძლიათ გახდნენ ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრები, თუ ისინი თავს ევროპულ სახელმწიფოებად აღიარებენ“.

3. ასამბლეის ად ჰოც კომისიამ საქართველოში 1995 წლის 5 ნოემბრის საკანონმდებლო არჩევნები შეისწავლა, რის შემდეგაც

დაასკვნა, რომ, მცირე დარღვევების გამოკლებით, "არჩევნებმა მშვიდად, წესების ზუსტი დაცვით და ყოველმხრივ მისაღებ პირობებში ჩაიარა."

4. 1996 წლიდან საქართველო მონაწილეობს ევროპის საბჭოს თანამშრომლობისა და დახმარების სამთავრობათშორისო პროგრამებში, ასამბლეისა და მისი კომისიის, ევროპის საბჭოს საპატიო სტუმართა დელეგაციის საქმიანობაში.

5. საქართველომ მოახდინა ევროპის საბჭოს "კულტურის კონვენციისა" და "მსჯავრდებულთა გადაცემის შესახებ" კონვენციის რატიფიცირება. ასევე საქართველომ ხელი მოაწერა კონვენციას ევროპის რეგიონში უმაღლესი სამეცნიერო ხარისხების აღიარების შესახებ.

6. ასამბლეა საქართველოს დემოკრატიულ, პლურალისტურ სახელმწიფოდ მიიჩნევს. ეს არის ქვეყანა, სადაც აღიარებენ კანონის უზენაესობას, პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს. საქართველოს სურს და შეუძლია, წესდების მე-4 მუხლის გათვალისწინებით, ევროპის საბჭოს ნორმებთან და პრინციპებთან ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა, რაც ხელს შეუწყობს დემოკრატიულ რეფორმათა გატარებას.

7. საქართველოში ადგილი ჰქონდა ორ შეიარაღებულ კონფლიქტს - აფხაზეთსა (1990-1994) და სამხრეთ ოსეთში (1990-1993). საქართველო კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრეა, რასაც სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების დარეგულირება ადასტურებს.

8. ასამბლეა მიიჩნევს, რომ საქართველოს მხრიდან აფხაზი და ოსი ხალხის მიმართ მეგობრული დეკლარაციის მიღება მათთან ურთიერთობის აღდგენასა და განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

9. ასამბლეა აფხაზეთის ავტონომიური სტატუსის განსაზღვრასა

და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნებასთან დაკავშირებით მოუწოდებს აფხაზთა მხარის წარმომადგენლებს, აწარმოონ მოლაპარაკებები ქართულ მხარესთან.

ასამბლეა საქართველოს აკისრებს შემდეგ ვალდებულებებს:

I. კონვენციათა მიმართებით:

a. გაწევრიანების პროცესში 2 და 11 ოქმებით შეტანილ ცვლილებათა დართვით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (ECHR) ხელმოწერა;

b. გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციისა და მისი 1, 4, 6 და 7 ოქმების რატიფიცირება;

c. გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის თავიდან აცილების კონვენციის (მისი ოქმებითურთ) ხელმოწერა და რატიფიცირება;

d. გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო-კონვენციისა და რეგიონალურ და ეროვნულ უმცირესობათა ენების შესახებ ევროპული ქარტიის ხელმოწერა და რატიფიცირება;

e. გაწევრიანებიდან სამი წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის, ტრანსსაზღვრული თანამშრომლობის შესახებ ევროპული კონვენციის (მისი დამატებითი ოქმებითურთ) და ექსტრადიციაზე, სისხლის სამართლებრივ საკითხებში ურთიერთდახმარებაზე, დანაშაულის გზით მოპოვებული ფულის "გათეთრების", ძებნის, ჩამორთმევისა და კონფისკაციის ევროპულ კონვენციათა ხელმოწერა და რატიფიცირება, და იმავდროულად, აღნიშნულ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპების გამოყენება;

f. გაწევრიანებიდან სამი წლის განმავლობაში ევროპის საბ-

ჭოს სოციალური ქარტიის ხელმოწერა და რატიფიცირება და, იმავდროულად, ქარტიით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისი პოლიტიკის გატარების მცდელობა;

g. გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ ზოგადი შეთანხმების (მისი ოქმებითურთ) ხელმოწერა და რატიფიცირება;

h. გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენციის (მისი 1967 წლის ოქმის ჩათვლით) ხელმოწერა და რატიფიცირება.

II. შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით:

a. გაწევრიანებიდან ოთხი წლის განმავლობაში, კონსტიტუციურ მოთხოვნათა შესაბამისად, მეორე პალატის ჩამოსაყალიბებლად სამართლებრივი ბაზისის შექმნა;

b. გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში ავტონომიური ტერიტორიების სტატუსის განმსაზღვრელი სამართლებრივი ბაზისის შექმნა, რომელიც მათთვის ფართო ავტონომიას გაითვალისწინებს და რომლის ზუსტ პირობებსაც ერთმანეთთან შეითანხმებენ შესაბამისი ტერიტორიების წარმომადგენლები;

c. გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში ელექტრონული მედიის შესახებ კანონის მიღება;

d. გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში ადვოკატთა პროფესიის შესახებ კანონის მიღება;

e. გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში სამართლებრივი ბაზისის შექმნა, რომელიც დაუშვებს საბჭოთა რეჟიმის მიერ დეპორტირებული მესხეთის მოსახლეობის რეპატრიაციას და ინტეგრაციას (ქართველ ეროვნებაზე უფლების ჩათვლით), კონსულტაციები ევროპის საბჭოსთან ამ სამართლებრივი საფუძველის შესახებ მის მიღებამდე; გაწევრიანებიდან სამი წლის განმავლობაში რეპატრიაციისა და ინტეგრაციის პროცესის დაწყება, ხოლო გაწევრიანებიდან თორმეტი წლის განმავლობაში მესხი მოსახლეობის რეპატრიაციის პროცესის დასრულება;

f. გაწევრიანებიდან ექვსი თვის განმავლობაში ომბუდსმენის

შესახებ კანონში შესწორების შეტანა, რომელიც გაითვალისწინებს ომბუდსმენის ყოველ ექვს თვეში მოხსენებით პარლამენტის წინაშე წარდგომას და აღნიშნული მოხსენების საზოგადოების ფართო ფენებისათვის გაცნობას;

g. გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში საჭირო საკანონმდებლო, ხოლო გაწევრიანებიდან სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული ზომების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს 1990-1994 წლების კონფლიქტების განმავლობაში იმ ხალხის საკუთრებისა და საიჯარო უფლებების აღდგენას ან დაკარგული ქონების კომპენსაციას ფულადი გადასახადების სახით, რომლებმაც ზემოაღნიშნული კონფლიქტების გამო იძულებით დატოვეს საკუთარი სახლ-კარი;

h. გაწევრიანებიდან სამი წლის განმავლობაში ავტონომიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის შესწორება, რომელიც გამგებლებისა და მერების ინსტიტუტს დანიშვნითის ნაცვლად არჩევითს გახდის;

i. გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში ასამბლეის 1201 (1993) რეკომენდაციის პრინციპებზე დაყრდნობით უმცირესობების შესახებ კანონის მიღება;

III. რეფორმათა გატარების მიმართებით

a. სასამართლო, პროკურატურისა და პოლიციის სისტემათა რეფორმების განმტკიცება და გაგრძელება;

b. სასამართლო სისტემაში, პროკურატურასა და პოლიციაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრება;

c. გაწევრიანებიდან სამი თვის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროსათვის პენიტენციალური სისტემის გადაცემის შესახებ კანონის მიღება და მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში აღნიშნული კანონის ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფა;

d. სანქციათა მასშტაბის გადასინჯვა დაკავების ხანგრძლივობის შემცირებისა და თავისუფლების აღმკვეთ სასჯელთა ალტერნატიული სანქციების გათვალისწინების თვალსაზრისით;

IV. ადამიანის და უმცირესობების უფლებების მიმართულებით

a. დაკავებულ პირთა უფლებების მკაცრი დაცვა და გაწევრიანებიდან ექვსი თვის განმავლობაში არსებული ციხის სისტემის გაუქმება და ციხეებსა და წინასწარი პატიმრობის საკნებში დაკავებულთ პირთა პირობების გაუმჯობესება;

b. ევროპის საბჭოს დახმარებით ციხისა და პოლიციის თანამშრომელთათვის ადამიანის უფლებების საკითხებზე მეცადინეობების ჩატარება;

c. პრევენციული დაკავების მაქსიმალური ხანგრძლივობის პატივისცემა;

d. გაწევრიანებიდან ექვსი თვის განმავლობაში დაკავებულის უფლების განხორციელება, აირჩიოს საკუთარი ადვოკატი;

e. გაწევრიანებიდან ორი წლის განმვლობაში 1991-1992 წლებში პოლიტიკური არეულობის დროს დაკავებულ პირთა საქმეების ხელახლა გადასინჯვა;

f. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დროს სამხედრო დანაშაულის განმეორებით ჩამდენ პირთა მიმართ მიუკერძოებელი და ორგანიზებული სისხლის სამართლებრივი დევნა, იმ პირების ჩათვლით, რომლებიც იმყოფებოდნენ შეიარაღებულ ძალებში;

V. აფხაზეთის კონფლიქტის მიმართულებით

a. კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მცდელობის გაგრძელება, კონფლიქტის ზონაში არარეგულარულ შეიარაღებულ ჯგუფთა საქმიანობის აღკვეთისათვის ყველაფრის გაკეთება, გაეროს დამკვირვებელთა, დსთ-ს სამშვიდობო ძალებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების უსაფრთხოების გარანტირება;

b. კონფლიქტის შედეგებით მოსახლეობის ყველაზე დაზარალებულ ჯგუფებში ჰუმანიტარულ დახმარებათა გაწევის ხელშეწყობა;

VI. ვალდებულებათა მონიტორინგის მიმართულებით

აქტიური თანამშრომლობა ასამბლეის მიერ წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებების დაცვის შესახებ შემუშავებული 1115 (1997) რეზოლუციის განხორციელებისა და მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წლის (95-ე სესიაზე) დაფუძნებული კონტროლის პროცედურის გატარების საქმეში.

11. ამ ვალდებულებათა საფუძველზე, ასამბლეა მიიჩნევს, რომ ევროპის საბჭოს სტატუსის განმსაზღვრელ მეოთხე მუხლის შესაბამისად, საქართველოს აქვს სურვილი და შესაძლებლობა, გაითავისოს მესამე მუხლში წარმოდგენილი მითითება, რომელიც ევროპის საბჭოში გაწევრიანების პირობებს ეხება: "ევროპის საბჭოს ყველა წევრი აღიარებს კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ძირითადი თავისუფლების პრინციპებს. ყოველ წევრს აქტიური თანამშრომლობით გარკვეული წვლილი შეაქვს ევროპის საბჭოს მიერ დასახული მიზნის მისაღწევად."

12. ამ ვალდებულებათა შესრულების მიზნით, ასამბლეა საჭიროდ მიიჩნევს რეზოლუციის ფარგლებში უფრო ახლოს ადევნოს თვალყური საქართველოში არსებულ სიტუაციას.

13. ასამბლეა ზემოთ ჩამოთვლილ ვალდებულებათა საფუძველზე რეკომენდაციას აძლევს მინისტრთა კომიტეტს, რათა:

1. მოიწვიოს საქართველო ევროპის საბჭოს წევრად;

2. საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს გადასცეს ხუთი მანდატი.

შესავალი

1. 1993 წლის 4 მარტს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა თხოვნით მიმართა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას ქვეყნისთვის საპატიო სტუმრის სტატუსის მინიჭების შესახებ. გარკვეული დროის მანძილზე, ევროპის საბჭოში მიმ-

დინარეობდა ბჭობა ევროპის საბჭოს გეოგრაფიული საზღვრების თაობაზე. ხოლო საქართველოსათვის საპატიო სტუმრის სტატუსის მინიჭების საკითხი გადაჭრილი იქნა ევროპის საბჭოს გაფართოების 1247 (1994) რეკომენდაციით, სადაც საპარლამენტო ასამბლეამ განაცხადა: "ევროპასთან კულტურული ურთიერთობიდან გამომდინარე, სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შეუძლიათ მოითხოვონ ევროპის საბჭოში გაწევრიანება, თუ ისინი თავს ევროპულ სახელმწიფოდ მიიჩნევენ".

2. 1995 წლის 3 თებერვალს ასამბლეამ დაიწყო საქართველოსათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვა. ამასთან დაკავშირებით, საპარლამენტო ასამბლეის (ად ჰოც) კომისიამ შეისწავლა საქართველოში 1995 წლის 5 ნოემბერს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები.

3. საქართველომ სპეციალური სტუმრის სტატუსი 1996 წლის 28 მაისს მიიღო. 1996 წლის 14 ივლისს საქართველომ მოითხოვა ევროპის საბჭოში გაწევრიანება. მინისტრთა კომიტეტმა შემუშავებულ რეზოლუციაში გარკვეული მოსაზრების გამოხატვის მიზნით საპარლამენტო ასამბლეა მოიწვია.

4. ასამბლეის მოთხოვნით ცნობილ იურისტთა დელეგაცია (ადამიანის უფლებათა ევროკომისიის პრეზიდენტი სტეფან ტრეხსელი და მ. იზი ფოიგელი, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მოსამართლე) 1997 წლის 16-დან 20 ივნისამდე საქართველოს ეწვია, რათა შეემოწმებინა, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოში იურიდიული სისტემა ევროპის საბჭოს ფუნდამენტურ პრინციპებს - პლურალისტური დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებათა დაცვა. ამ ვიზიტთან დაკავშირებული მოხსენება (საქართველო (1997)) 1997 წლის 7 ნოემბერს იქნა წაკითხული. დასკვნითი საკითხები ამავე მოხსენების დანართშია წარმოდგენილი.

5. 1997 წლის 4 დეკემბერს აირჩიეს მომხსენებელი, რომელ-

იც ადამიანის უფლებათა და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მომხსენებლის ნემეტის თანხლებით, 1998 წლის 13-16 აპრილის ჩათვლით (თბილისი), ისევე როგორც 28 ივლისიდან 3 აგვისტომდე (თბილისი, აფხაზეთი, აჭარა, სამხრეთ ოსეთი) საქართველოს ესტუმრა. აღნიშნულ ვიზიტთა პროგრამები № 3 და 4 დანართშია წარმოდგენილი.

6. მომხსენებელი ევროპის საბჭოდან მადლობას უხდის საქართველოს ხელისუფლებას, განსაკუთრებით, საქართველოს პარლამენტს სამუშაო პროგრამის სანიმუშოდ ჩამოყალიბებისა და არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობისათვის, ასევე, იგი მადლობას უხდის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს თბილისში ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა დიპლომატებთან შეხვედრის ხელშეწყობისათვის.

ისტორია

7. საქართველოს ტერიტორია 69 700 კმ-ს მოიცავს. მოსახლეობა 5,4 მილიონი მაცხოვრებლისაგან შედგება. სახელმწიფოს ჩამოყალიბება იესო ქრისტეს დაბადებამდე III საუკუნით თარიღდება. მე-18 საუკუნიდან ცარისტული რუსეთი საქართველოში პროტექტორის როლით გვევლინება. 1801 წელს იგი ქვეყნის ანექსიას ახდენს. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წითელი არმიის შემოსვლამდე საქართველო დამოუკიდებელია. საქართველო ჯერ ტრანსკავკასიის[26] სოციალისტური რესპუბლიკის ნაწილი ხდება, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის.

8. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ საქართველო დამოუკიდებლობის გზას დაადგა. 1990 წლის ოქტომბერის საკანონმდებლო არჩევნებში ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ბლოკი-ხმათა 57%-ს აგროვებს. 1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმში ქართველი მოსახლეობის 99% საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებს. ოფიციალურად საქართვე-

[26]. იგულისხმება ამიერკავკასიის ფედერაცია.

ლო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, 1991 წლის 9 აპრილს იქნა გამოცხადებული. 1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმათა 87%-ით ქვეყნის პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია იქნა არჩეული.

9. ეროვნული ბლოკის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა ქვეყანაში გამოუვალი სიტუაცია შექმნა, 1992 წლის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში გამარჯვებული სამხედრო მხარე მოდის. თ. კიტოვანისა და ჯ. იოსელიანის მეთაურობით სამხედრო საბჭო დაარსდა. გამსახურდია ტოვებს საქართველოს ტერიტორიას. ექს-პრეზიდენტი 1994 წ. 31 დეკემბერს გარდაიცვალა.

10. 1993 წელს პლურალისტური არჩევნები მეორედ ჩატარდა, რომელშიც გამარჯვებულად პირდაპირი კენჭისყრით, ძლიერი ძალაუფლების მქონე პოლიტიკოსი ე. შევარდნაძე მოგვევლინა. ფართო კონსესუსზე დაყრდნობით პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია. 1995 წელს ჩატარებულმა საპარლამენტო არჩევნებმა წერტილი დაუსვა ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ქაოსს და ხელი შეუწყო დემოკრატიის ამოძრავებას.

პოლიტიკური ვითარება

პლურალისტური დემოკრატიის დაცვა

12. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საპარლამენტო არჩევნების (ად ჰოც) კომისიამ შეისწავლა 1995 წლის ნოემბრის არჩევნები: "უმნიშვნელო დარღვევების მიუხედავად არჩევნები მშვიდობიანი გზით, ყოველმხრივ მისაღებ პირობებში ჩატარდა." კომისიამ ხაზი გაუსვა არჩევნების მომზადების მაღალ დონეს, პოლიტიკურ პარტიათა ვალდებულებებს, მონაწილეთა კეთილგანწყობას და ქართველ ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის მზადყოფნას.

13. საქართველოში პოლიტიკური პარტიები არანაირ დაბრკოლე-

ბას არ აწყდებიან თავიანთი საქმიანობის განხორციელების საქმეში. პარლამენტი დამოუკიდებელია და აწონასწორებს პრეზიდენტის ფართო ძალაუფლებას. პარლამენტმა უკვე წამოიწყო მთავრობის წევრთა წინააღმდეგ იმპიჩმენტის სამი ცდა. სამმა მინისტრმა (სახელმწიფო უშიშროების, ფინანსთა და ენერგეტიკის) ამ პროცედურათა განხორციელებამდე გადადგომა არჩია. 1998 წლის აგვისტოში პარლამენტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამთავრობო რეორგანიზაციის საქმეში.

14. პარლამენტი 235 დეპუტატისგან შედგება, რომელთაგან 150 პროპორციული სისტემითაა არჩეული, 85 - მაჟორიტარული სისტემით. პარლამენტში 11 პარტიაა წარმოდგენილი. მათგან მხოლოდ სამმა პარტიამ შეძლო პროპორციული სისტემის საფუძველზე აუცილებელი 5%-იანი ბარიერის გადალახვა: მოქალაქეთა კავშირი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს აღორძინების კავშირი. მოქალაქეთა კავშირი, ანუ პრეზიდენტ შევარდნაძის პარტია, ქვეყნის სათავეშია და დანარჩენ ორ ფრაქციასთან კოალიციის საფუძველზე მოპოვებულ ხმათა უმრავლესობით სარგებლობს.

15. თუ "ოფიციალური პოლიტიკური პეიზაჟი ნორმალური დემოკრატიის ფუნქციონირების პროცესშია, არსებობენ ძალები, რომლებიც 1993-95 წლებში ჩატარებული არჩევნების ლეგიტიმურობის შესახებ კამათობენ. მათ შორისაა ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ("ზვიადისტთა") ჯგუფი. მეორე პოლიტიკური მოძრაობა კი სამხედრო საბჭოს ყოფილი წევრის ჯ. იოსელიანის მომხრეებს აერთიანებს. ამჟამად იოსელიანი დაკავებულია და ელოდება სასამართლოს განაჩენს. სწორედ ამ ორი მოძრაობის წარმომადგენლებს ედებათ ბრალად 1995 წლის აგვისტოსა და 1998 წლის თებერვალში პრეზიდნტ შევარდნაძეზე თავდასხმა, აგრეთვე, 1998 წლის თებერვალში გაეროს ოთხი დამკვირვებლის მძევლად აყვანა.

16. საქართველოში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური ძალა

"ზვიადისტთა" ჩათვლით, პოლიტიკურ პარტიებად ჩამოყალიბების საქმეში არანაირ დაბრკოლებებს არ აწყდებიან, სრული უფლება აქვთ ჩაებან პოლიტიკურ ცხოვრებაში, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, რაშიც მომხსენებელს თვით ექს-პრეზიდენტის მეუღლე მანანა არჩვაძე-გამსახურდია დაეთანხმა, რომელიც "მრგვალი მაგიდა-თავისუფალ საქართველოს" წარმოადგენს. "მრგვალი მაგიდა" მოითხოვს 1990 წლის პარლამენტის აღდგენას, დღევანდელი ხელისულების პროტესტის ნიშნად, უარს ამბობს ჩაებას პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ავტონომიური ტერიტორიები

17. საქართველო შემდეგი ავტონომიური ტერიტორიებისგან შედგება:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა (დედაქალაქი სოხუმი)
  აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (დედაქალაქი ბათუმი)
- სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (დედაქალაქი ცხინვალი)

18. ჩამოთვლილი სამი ტერიტორიიდან მხოლოდ აჭარა შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო სტრუქტურებში მთლიანად ინტეგრირებულ რესპუბლიკად. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებულმა დაძაბულმა სიტუაციამ შეაფერხა 1995 წლის ნოემბრის არჩევნების ჩატარება.

19. დღევანდელი პარლამენტი ერთპალატიანია. თუმცა, კონსტიტუცია ითვალისწინებს "საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადექვატური პირობების შექმნისა და ადგილობრივ ავტონომიურ ორგანოთა ფორმირების შემდგომ" ორი პალატისგან შემდგარ პარლამენტს, რესპუბლიკის საბჭოსა და სენატს. სენატში შევლენ აფხაზეთის, აჭარისა და საქართველოს სხვა ტერიტორიებზე არჩეული პირები, ასევე პრეზიდენტის მიერ არჩეული სენატორები.

20. მომხსენებელი მიიჩნევს, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის ევროპის საბჭოში გაწევრიანებას. სწორედ აქედან გამომდინარე, მომხსენებელი აჭარის დეპუტატთა მიწვევით აჭარას, ასევე სამხრეთ ოსეთს ეწვია (1998 წლის 28 ივლისი 3 აგვისტო).

აფხაზეთი

21. 1992 წლის აგვისტოში აფხაზ სეპარატისტთა და საქართველოს ხელისუფლებას შორის მწვავე კონფლიქტური სიტუაცია წარმოიშვა. საბრძოლო ვითარება შეწყდა 1994 წლის 14 მაისს. ცეცხლი შეწყვეტის თაობაზე ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად CIS-ის[27] ძალებმა სეპარატისტთა ზონაში ვრცელი ტერიტორია დაიკავეს. გაეროს 120-მდე შეუიარაღებელი დამკვირებელი თვალყურს ადევნებდა საბრძოლო ვითარებას.

22. ომმა სამხედრო თუ მშვიდობიან მოსახლეობას შორის ათასობით სიცოცხლე შეიწირა. აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი განადგურებულ იქნა. მშვიდობიანი მოსახლეობის 250 ათასამდე პირი რეგიონიდან გამოაძევეს. ბუდაპეშტსა და ლისაბონში ჩატარებულ სამიტებზე ხელმოწერილ დოკუმენტებში ამგვარი სისასტიკე მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტად იქნა მიჩნეული.

23. კვლავ დიდ პრობლემად დგას აფხაზეთის ტერიტორიაზე ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი. 1994 წლის 4 აპრილს (საქართველო, აფხაზეთი, რუსეთი და გაერო) ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა აფხაზეთის ტერიტორიაზე დაბრუნების შესახებ ოთხმხრივ შეთანხმებას მოეწერა ხელი. აფხაზეთის მხარემ ეს შეთანხმება დაარღვია.

24. 1989 წელს აფხაზეთის მოსახლეობა დაახლოებით

[27] დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის.

240 000 ქართველისგან, 93 000 აფხაზისაგან და 7 000 რუსისგან შედგებოდა. აფხაზთა რიცხობრივი სიმცირიდან გამომდინარე, საფუძველს მოკლებულია მათი მხრიდან წამოყენებული პრეტენზიები აფხაზეთის დამოუკიდებლობის თაობაზე.

25. 250 000 ლტოლვილთაგან 50 000 სპონტანურად დაბრუნდა აფხაზთა მიერ ყველაზე ნაკლებ კონტროლირებად, სეპარატისტულ ზონასთან მიმდებარე ტერიტორიაზე (გალის რაიონი). თუმცა 1998 წლის მაისში მდგომარეობა კვლავ დაიძაბა, რასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. გალის რეგიონში დაბრუნებულნი (დაახლოებით 40000) მეორეჯერ ტოვებენ თავიანთ მიწა-წყალს. დამაფიქრებელია ლტოლვილთა ჰუმანიტური მდგომარეობა.

26. მომხსენებელი იწონებს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას 1998 წლის მაისის უთანხმოების დროს ქართული ჯარის ჩაურევლობის თაობაზე. აღსანიშნავია "პარტიზანთა" თარეში აფხაზთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, რომლებიც CIS-ს ძალთა შეტევაზეც გადადიან. სწორედ ამგვარმა შეტაკებებმა იმსხვერპლა სამოცამდე რუსი ჯარისკაცი.

27. აფხაზთა მხარემ კანონიერად გამოაცხადა აფხაზეთის "ხელისუფლება". 1994 წლის დეკემბერში მიიღეს "კონსტიტუცია", არძინბას მიენიჭა "პრეზიდენტის" ტიტული. აფხაზთა მხრიდან ამგვარი დაუმორჩილებლობა გაერომ აღიარა საქართველოს სუვერენიტეტისა და მთლიანობის დარღვევის ფაქტად. 1996 წლის ნოემბერსა და დეკემბერში აფხაზეთში ჩატარდა "საპარლამენტო" არჩევნები, ხოლო 1996 წლის მარტში "ადგილობრივი არჩევნები". ეს ფაქტი ეუთოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დაგმობილი იქნა.

28. აფხაზეთში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ემბარგოს დაკისრებამ უფრო მეტად დაამძიმა. კონფლიქტამდე აფხაზეთის მოსახლეობის 2/3 მოსკოვში გადაიხვეწა.

მასიური ემიგრაცია დღესაც გრძელდება. აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენილი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჰუმანიტარული დახმარებით ცხოვრობს.

29. ურთიერთობა აფხაზ სეპარატისტთა და საქართველოს ხელისუფლებას შორის დაძაბულია. ამ პრობლემის გადასაჭრელად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ჟენევაში მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ჯერჯერობით არანაირი შედეგი არ ჩანს. მომხსენებელი მიიჩნევს, რომ ორივე მხარემ უნდა შეასრულოს 1994 წლის შეთანხმებაში (ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე) გათვალისწინებული პირობები, ასევე უნდა გადაიჭრას იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხი.

30. არძინბას აზრით, აფხაზეთის ტერიტორიის საქართველოსათვის დაბრუნება აფხაზი ხალხის უფლებებში ჩარევასა და, უფრო მეტიც, აფხაზი ერის გაქრობას ნიშნავს. იგი აღნიშნავს, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელსაც არავითარი იურიდიული კავშირი არა აქვს საქართველოსთან.

31. შეუძლებელია აფხაზეთს გააჩნდეს ვეტოს უფლება საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. მომხსენებელი დარწმუნებულია, რომ ქართველი ერი აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრეა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა მომხსენებელთან შეხვედრისას აღნიშნეს, რომ საქართველო მზადაა, მიანიჭოს აფხაზეთს ფართო ავტონომია.

32. მომხსენებელი ლტოლვილთა დაბრუნებისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე (რომელიც საერთაშორისო დონეზე საქართველოს ტერიტორიადაა აღიარებული) აფხაზთა მხარეს მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან წარმართოს პოლიტიკური დიალოგი.

33. მომხსენებელი მიიჩნევს, რომ აფხაზეთთან სანდო ურთიერთობების აღსადგენად საქართველომ უნდა მიიღოს მეგობრული დეკლარაცია ყველა დონეზე მხარეთა შორის ინტენსიური ურთიერთობების დამყარების მიზნით. ქართულმა მხარემ უნდა იკისროს აფხაზეთის კონფლიქტის დროს დამნაშავეთა, ისევე, როგორც შეიარაღებულ ძალათა შორის დამნაშავე პირთა საქმის ძიება.

34. "ქართულმა მხარემ" უნდა გამოიყენოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი "პარტიზანთა" თარეშის აღკვეთისა და CIS-ის ძალებისა თუ UNIMOG-ის პერსონალის უსაფრთხოების გარანტიის მიზნით. აფხაზთა მხარის წარმომადგენელთა ჩათვლით კონფლიქტის ზონაში დაცული უნდა იქნეს ადამიანის უფლებები.

სამხრეთ ოსეთი

35. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია 3 900 კმ-ს მოიცავს, რაც საქართველოს ტერიტორიის 5,5% შეადგენს. ექს-პრეზიდენტ გამსახურდიასა და ოსურ მხარეს შორის დაძაბული ურთიერთობების შედეგად 53 000 პირმა (რომელთაგანაც 39 000 ოსი და 11 000 ქართველი იყო) იძულებით დატოვა ტერიტორია. 1990 წელს სამხრეთ ოსეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ ფაქტმა მხარეებს შორის მწვავე კონფლიქტი წარმოქმნა, რომელიც 1992 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების თანახმად შეჩერებული იქნა. 1993 წელს სამხრეთ ოსეთში მიღებული კონსტიტუცია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ითვალისწინებს.

36. საქართველოს მთავრობა აღიარებს, რომ სწორედ გამსახურდიას ნაციონალისტურმა პოლიტიკამ შეუწყო ხელი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის წარმოქმნას. დღესდღეობით ქართული მხარე ცდილობს, დაამყაროს გლობალური პოლიტიკური წესრიგი, მოაგვაროს გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხი, შერიგებისკენ მოუწოდოს ქართველ და ოს მოსახლეობას.

37. ერთობლივმა საზედამხედველო კომიტეტმა განიხილა სამხრეთ ოსეთსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის არსებული პრობლემები. ყველაზე მწვავე პრობლემად დღეს სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხი დგას, ისევე, როგორც მათ მიერ კონფლიქტური სიტუაციის შედეგად მიტოვებულ ფასეულობათა დაბრუნება და ზარალის ანაზღაურება.

38. მომხსენებელი შეხვდა ქართველ, ოს და რუს მშვიდობისდამცველ კომენდანტებს. როგორც სიტუაციის ნორმალიზაციის მომხრე პირებმა, მათ განაცხადეს, რომ ამ მხარეში სამი წელია, არ ყოფილა არანაირი ეთნიკური კონფლიქტი. სამშვიდობო ძალები შემრიგებლობის კარგ მაგალითს წარმოადგენს. რუსი, ქართველი და ოსი კომენდანტები ერთად ახდენენ პატრულირებას, აქვთ ერთი საერთო ყაზარმა. რუსეთისა და მისი შეიარაღებული ძალების როლი კონფლიქტის მოგვარების საქმეში დადებითადაა შეფასებული.

39. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ოსი და ქართველი ერის წარმომადგენლები კეთილგანწყობილნი არიან ერთმანეთის მიმართ. ბატონი ჩიბიროვი საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებას უჭერს მხარს.

აჭარა

40. ტერიტორია 2 900 კვ. კმ-ს მოიცავს, რაც საქართველოს 4,2 % შეადგენს. მოსახლეობა 392 000 შეადგენს, აქედან: ქართველი (78%), რუსი (7%), სომეხი (4%) და ბერძენი (2%).

აჭარის რესპუბლიკა ერთადერთი ტერიტორიაა, სადაც შეიარაღებული კონფლიქტური სიტუაცია არ შექმნილა. იგი საკუთარი კონსტიტუციის თანახმად მყარი ავტონომიური სტატუსით სარგებლობს. აჭარასა და თბილისს შორის წარმოშობილი უთანხმოების დროსაც კი აჭარა საქართველოს ტერიტორიად რჩება.

41. 1995 წლის საკანონმდებლო არჩევნების შედეგად აჭარის

აღორძინების პარტიამ საქართველოს პარლამენტში 31 მანდატი მოიპოვა. აღორძინების პარტია ორ ჯგუფად გაიყო, რომელთაგან დაახლოებით 2/3 შევარდნაძის ხელისუფლების ოპოზიციად წარმოგვიდგება, მეორე ჯგუფი კი საპარლამენტო უმრავლესობას მიეკუთვნება.

42. 1996 წელს აჭარის უზენაეს საბჭოში ჩატარებულმა არჩევნებმა აბაშიძესა და მის ჯგუფს გადამწყვეტი უპირატესობა მოუტანა. აქ საერთაშორისო დამკვირვებლებს არ დართეს არჩევნების შესწავლის ნება. აბაშიძემ მომხსენებელთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ არჩევნების საერთაშორისო დაკვირვების ხელშეწყობის მიზნით, სასურველი იქნებოდა აჭარის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა.

43. აბაშიძემ განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ავტონომიურ ტერიტორიათა სტატუსი ნათლადაა წარმოდგენილი. მან გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ მის პარტიას ნაკლებ დროს უთმობს თბილისის მედია და განსაკუთრებით კი ტელევიზია. აბაშიძემ მტკიცედ დაუჭირა მხარი საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებას.

44. აჭარა ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრია, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენს და ევროპის საბჭოში საკონსულტაციო სტატუსით სარგებლობს.

დასკვნა

45. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვიზიტმა მომხსენებელი დაარწმუნა, რომ საქართველო ავტონომიურ ტერიტორიათა დაცვისა და მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოგვარების მომხრეა. ავტონომიურ ტერიტორიათა სტატუსის განსაზღვრის მიზნით, რაც შემდგომში ამ ტერიტორიათა წარმომადგენლებთან შეხვედრას შეუწყობს ხელს, აუცილებელობას წარმოადგენს კონსტიტუციურ მითითებათა მიღება.

რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლებები

46. 1997 წელს, კვალიფიციურ იურისტთა გადმოცემით, საქართველო დიდ დეფიციტს განიცდიდა ადგილობრივი მართვის სფეროში. მომხსენებლის აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია ამ დეფიციტის ამოსავსებად. 1998 წელს მიღებულ იქნა კანონი ადგილობრივი მართვის შესახებ, ამავე წლის 15 ნოემბერს ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები.

47. ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის წარმომადგენელთა მიერ შესწავლილი იქნა 15 ნოემბრის ადგილობრივი არჩევნები. კონგრესის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ არჩევნების ჩატარებით საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ადგილობრივი მართვის წინსვლის საქმეში. არჩევნებმა ყოველგვარი სერიოზული ინციდენტის გარეშე ჩაიარა, რაც იმის დასტურია, რომ ქვეყანა პროგრესულ გზას ადგას, გახდეს დიდი ევროპული ოჯახის წევრი.

48. თუმცა ოპოზიცია კრიტიკულად მიუდგა ხელისუფლების მიერ შემუშავებულ კანონმდებლობას, რომელიც მეორე დონეზე (ოლქები, დიდი ქალაქების ჩათვლით) საბჭოს არჩევასა და პრეზიდენტის მიერ მერთა დანიშვნას ითვალისწინებს. მომხსენებლის აზრით, სასურველია ხელისუფლების მიერ კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რაც ხელს შეუწყობს მერთა დანიშვნის სისტემის გაუქმებას.

სამართლებრივი სახელმწიფო
იურიდიული სისტემის ჩამოყალიბება

49. 1995 წლის კონსტიტუციის ამოქმედების შედეგად, დაახლოებით, ორასამდე კანონი იქნა მიღებული. კანონები სასამართლოს, კონსტიტუციური სასამართლოს, ომბუდსმენის, რეფერენდუმის, ადგილობრივი ავტონომიის, ადმინისტრაციული მართვის, პროკურატურის, სახელმწიფო უზრუნველყოფის სფეროებში, ასევე კანონები სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კოდექსთა შესახებ

(ცვლილებები შეტანილია სისხლის სამართლის კოდექსში). კანონთა უმრავლესობა დემოკრატიულ სახელმწიფოთა გამოცდილებაზე დაყრდნობითა და საერთაშორისო ორგანიზაციების რჩევათა გათვალისწინებით შემუშავდა. მომხსენებელი იზიარებს გამოცდილ იურისტთა აზრს, რომლის მიხედვით: "დიდი ძალისხმევა იქნა გაღებული და ახლაც გრძელდება ბრძოლა საქართველოს სამართლიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საქმეში."

კანონის ამოქმედება

50. სასამართლო სისტემის გაუმჯობესების მიზნით მიღებულ იქნა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კოდექსები. იუსტიციის საბჭო პასუხისმგებელია მოსამართლეთა არჩევისა და მათი გადარჩევის საქმეში.

51. იურიდიული რეფორმა, რომელიც განხორციელების პროცესშია, მოსამართლეთა კორპუსის ფორმირების საკითხს ეხება და იგი იურისტთა გამოცდების ჩატარებას გულისხმობს. იურიდიული რეფორმის გატარება მოსამართლეთა შორის კორუფციისა და არაკომპეტენტურობის აღმოფხვრას ითვალისწინებს.

52. მოსამართლეთა პირველი გამოცდა 1998 წლის მაისში საერთაშორისო ექსპერტთა კონტროლით ჩატარდა. 296 მოსამართლის კანდიდატიდან 45-მა შეძლო წარმატების მოპოვება. შემდეგი ტური 1998 წლის ოქტომბერში უნდა ჩატარდეს. შემდეგ გამოცდები წელიწადში ორჯერ ჩატარდება. მოსამართლეთა სრული გადარჩევა ერთ წელიწადში დასრულდება. ახლადარჩეულ მოსამართლეებს უმაღლესი კატეგორიის ხელფასებით უზრუნველყოფენ.

პროკურორთა ოფისი

53. კონსტიტუციასთან და პროკურატურის შესახებ კანონთან შეთანხმებით, პროკურატურის ფუნქციები დემოკრატიულ ნორმებს

პასუხობს: სისხლის სამართლის დანაშაულის ძიება, გამოძიებაზე თვალყურის დევნება, განაჩენის შესრულება, ტრიბუნალის მიერ ბრალდების წაყენება. საბჭოთა რეჟიმის დროს პროკურატურისადმი დაკისრებული სახელმწიფო საქმიანობის ლეგიტიმურობის დადგენა გაუქმებულია.

54. პროკურორთა გადარჩევის პროცესი 1999-2001 წლებში იგივე პრინციპებზე დაყრდნობით არის დაგეგმილი, რაც გამოყენებული იქნა მოსამართლეთა შერჩევის დროს. გენერალური პროკურორის თქმით, 1997 წელს ოთხი პროკურორი არაკანონიერი გზით" იქნა გადაყენებული. ახლახან დაიწყო კორუფციაში ეჭვმიტანილ პირთა საქმის ძიება.

პოლიცია

55. პოლიციის მიერ კანონის მრავალი დარღვევის ფაქტი (კორუფცია, წამება, ძალადობა და უკანონოდ დაკავება) უმაღლეს სასამართლოს გადაეცა. ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, პოლიციელთა წრეებში ადგილი აქვს კანონის დარღვევას, დარღვევის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში ტარდება უმკაცრესი ზომები.

56. ბოლო ორი წლის მანძილზე 1000-მდე პოლიციელი იქნა განთავისუფლებული. გენერალური პროკურორის თქმით, 96 პოლიციელი დაისაჯა 1997-1998 წლებში (პირველი ექვსი თვის მანძილზე) ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულის გამო.

57. ევროპის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ინსტანციებთან თანამშრომლობით განხილულ იქნა პოლიციელთა რიგების ფორმირების საკითხი.

58. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად მუშაობს სახელმწიფოს უშიშროების სამინისტრო, რომელიც უშიშროების კომიტეტის საფუძველზე შეიქმნა. მის კომპეტენციაში შედის: კონტრდაზვერვა, კონსტიტუციის დაცვა, კონტრაბანდისა და ნარკო-

ტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა. ახლახანს ამ სფეროში შემუშავებულ იქნა კანონი სახელმწიფოს უსაფრთხოების შესახებ.

ადვოკატთა ბიურო

59. მზადების პროცესშია კანონი ადვოკატთა შესახებ, რომელსაც შემოდგომაზე მიიღებენ. მომხსენებელმა ქართველ ადვოკატებთან საუბარში შეიტყო, რომ მათ წრეებში უარყოფითი აზრია მოსამართლეთა, პოლიციელთა და პროკურორთა მიმართ ბევრი მათგანის არაკომპეტენტურობის გამო.

ადამიანის უფლებათა დაცვა და ფუნდამენტური თავისუფლება

60. ადამიანის უფლებათა დაცვა აღიარებულია კონსტიტუციით და გარანტირებულია სპეციფიკურ ინსტიტუტთა მიერ. ნებისმიერ პირს, ისევე, როგორც ომბუდსმენს, უფლება აქვს უშუალოდ მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ ნორმატიული აქტი კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებზე არ იქნება დაფუძნებული. მოქმედებს ადამიანის უფლებათა და ეთნიკურ უმცირესობათა საპარლამენტო კომისია. პრეზიდენტ შევარდნაძის ინიციატივით დაარსებულ იქნა ადამიანის უფლებათა ეროვნული უსაფრთხოების საბჭო. ახლახანს ამოქმედდა ომბუდსმენის ინსტიტუტი.

სიკვდილით დასჯა

61. 1995 წლის თებერვალში სიკვდილით დასჯაზე ფაქტიური მორატორიუმისა და 1996 წლის დეკემბერში ოფიციალური მორატორიუმის გამოცხადების შემდეგ, 1997 წლის შემოდგომაზე სიკვდილით დასჯა სიხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანით გაუქმდა. სიკვდილით დასჯა სასჯელის გრძელვადიანი სახით შეიცვალა.

პოლიტიკური პატიმრები

62. ადამიანთა უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი ორგანიზაციები (ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაცია, ადამიანის უფლებათა და კონფლიქტთა შესწავლის კვლევის ცენტრი კავკასიაში) ადასტურებენ, რომ გამსახურდიას მომხრეები პოლიტიკურ პატიმრებს წარმოადგენენ. ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, ისინი დაკავებული არიან შემდეგი დანაშაულის გამო: იარაღის ტარება, დივერსიული მოქმედებები, მკვლელობა თუ მკვლელობის მცდელობა.

63. 1998 წლის შეკრებაზე ადამიანის უფლებათა დაცვის ქვეკომისია ნახსენებ თემატიკას შეეხო. ამ საკითხის ირგვლივ მოსაზრებებს ამავე მოხსენებაში გაეცნობით. თუმცა, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა და ეუთოს მისიის წარმომადგენლებთან შეხვედრით მომხსენებელი მიიჩნევს, რომ არსებობს პოლიტიკური უთანხმოების დროს (1991-1992) დაკავებულ პირთა საქმის ხელახლა განხილვის მიზეზები.

ომბუდსმენი

64. კანონი სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ხელისუფლებამ 1996 წლის მაისში მიიღო. სახალხო დამცველის ფუნქციას ბატონი დავით სალარიძე ასრულებს. რადგან ეს ინსტიტუტი ჩამოყალიბების პროცესშია (შტატი და შენობა) მას ჯერ არ ჰქონია შესაძლებლობა თავისი ეფექტურობა გამოევლინა. თუმცა მოქალაქეებს უკვე შეაქვთ საჩივრები.

65. სალარიძესთან შეხვედრისას მომხსენებელმა ვერ შეძლო შეეგროვებინა შესაბამისი ცნობები ომბუდსმენის ინსტიტუტის ფუნქციონირების შესახებ. იგი მიიჩნევს, რომ სალარიძემ მოხსენება თავისი საქმიანობის შესახებ პარლამენტისა და საზოგადოების წინაშე ყოველ ექვს თვეში ერთხელ უნდა წარადგინოს (თუმცა, გათვალისწინებულია, რომ ომბუდსმენმა თავისი მოხსენება წელიწადში ერთხელ უნდა გააკეთოს).

პენიტენციალური სისტემა

66. პატიმართა პირობები გაკრიტიკებულ იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციათა მიერ. ცნობილი იურისტების აზრით, საპატიმროებში საცხოვრებელი პირობები ძალზედ მძიმეა. თუმცა აქ პატიმრებისადმი დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას ადგილი არ ჰქონია.

67. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მომხსენებელთან საუბარში განაცხადეს, რომ ციხის პირობების გაუმჯობესებისა და, განსაკუთრებით კი, პატიმართა უფლებების დარღვევის აღკვეთის მიზნით ბევრი რამ გაკეთდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანება ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ.

68. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს უფლება აქვთ პირადად გაესაუბრონ პატიმრებს. ასეთი შეხვედრები შეიძლება შედგეს ციხის გარეთაც.

69. ადამიანის უფლებათა დაცვის ქვე-კომისია ესტუმრა ციხეებს, რომლის შესახებ დასკვნებს იგი თავისი მოხსენების ჩარჩოში მოგვახსენებს. მომხსენებელი მიიჩნევს, რომ პატიმართა უფლებათა სფეროს ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა. იგი აგრეთვე მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, გაითვალისწინონ გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები.

70. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იუსტიციის სამინისტროსადმი პენიტენციალური სისტემის გადაცემის იდეა ჯერ არ განხორციელებულა. მომხსენებელი მიიჩნევს, რომ ეს პროცესი უმოკლეს დროში დაიწყება.

აზრის გამოხატვის თავისუფლება

71. მომხსენებელი თვლის, რომ საქართველოში არსებობს პრესის თავისუფლება. სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პრესის 300-მდე ორგანო მოქმედებს. მთავრობის შესახებ კრიტიკული სტატიების გამოქვეყნება შეუფერხელად ხდება. მზადების პროცესშია კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ.[28]

72. სახელმწიფო ტელევიზია გაკრიტიკებულია ოპოზიციის მიერ. არსებობს ორი დამოუკიდებელი არხი, თუმცა, მთელს ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი სახელმწიფო არხის მაუწყებლობა ვრცელდება. ამ კრიტიკის პასუხად მზადდება კანონი ელექტრონული ინფორმაციის შესახებ, რომლის მიზანია სახელმწიფო არხთა საზოგადოებრივ არხებად გარდაქმნა, რასაც დამოუკიდებელი წევრებისგან შემდგარი ადმინისტრაციული საბჭო გაუწევს მეთვალყურეობას. აქედან გამომდინარე, მოისპობა ხელისუფლების კონტროლი. ეს კანონი, რაც შეიძლება, უმოკლეს დროში უნდა იქნეს მიღებული.

საზოგადოების შექმნისა და შეკრების თავისუფლება

73. საქართველოში გარანტირებულია პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების შექმნის თავისუფლება.

74. შეკრების თავისუფლება კონსტიტუციითაა გარანტირებული. ნებისმიერი სახის დემონსტრაციის გამართვისათვის ნებართვის მოთხოვნა საჭირო არ არის. ამასთან, საჭიროა გარკვეული სახის შეტყობინება და დემონსტრანტებმა უნდა დაიცვან შესაბამისი პირობები (არ უნდა შეფერხდეს ტრანსპორტის მოძრაობა, არანაირი შეკრება არ უნდა ჩატარდეს საზოგადოებრივი შენობების წინ).

75. 1996-97 წლებში ადგილი ჰქონდა ორ სერიოზულ ინცი-

[28] იგულისხმება კანონი "პრესის შესახებ".

დენტს. პოლიციამ დაარბია ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართული მიტინგი. ხელისუფლება ითვალისწინებს რა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებულ კრიტიკას, ამტკიცებს, რომ ეს იყო კონფლიქტის პროვოცირების მიზნით მოწყობილი აქცია. 1998 წლის 31 მარტს "ზვიადისტთა" მიერ ქალაქის ცენტრში ჩატარებულმა მანიფესტაციამ მშვიდობიანად ჩაიარა.

პროფკავშირების თავისუფლება

76. მომხსენებელი საქართველოს პროფკავშირთა სამ წარმომადგენელს შეხვდა, რომელთაც აღიარეს, რომ ამ დარგში საქმიანობა ყოველგვარ პოლიტიკურ პარტიათა და ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩარევის გარეშე, დემოკრატიის პირობებში მიმდინარეობს. მიღებული იქნა კანონი პროფკავშირთა უფლებამოსილების შესახებ.

77. რაც შეეხება ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის საკითხს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამუშაო ადგილებში არავითარი დისკრიმინაცია არ შეიმჩნევა.

რელიგიის თავისუფლება

78. მართმადიდებლურ ეკლესიის პატრიარქთან და სომხური ეკლესიის წინამძღვართან შეხვედრისას გამოაშკარავდა რელიგიური თავისუფლება. აქ ყოველგვარი აკრძალვის გარეშე ტარდება განსხვავებული რელიგიური რიტუალები.

უმცირესობათა უფლებები

79. 1989 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგები ასეთია: 70,1% ქართველი, 8,1% სომეხი, 6,3% რუსი, 5,7% აზერბაიჯანელი, 3% ოსი, 1,9% ბერძენი, 1,8% აფხაზი, 1% უკრაინელი.

80. მომხსენებელი შეხვდა აზერბაიჯანელ, სომეხ და იეზიდ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს. რუსეთისა და საბერძნეთის საელჩოებისგან მას მიეწოდა გარკვეული ინფორმაცია რუს და ბერძენ უმცირესობათა შესახებ. საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს უმცირესობის უფლებათა ისევე, როგორც საქართველოში მცხოვრები ყოველი მოქალაქის უფლებათა, დაცვას. ეროვნულ უმცირესობათა ენისა და კულტურის განვითარების მიზნით საქართველოს ბიუჯეტიდან მთავრობის მიერ გამოყოფილია სათანადო თანხები.

81. აზერბაიჯანელ, სომეხ და ქურთ უმცირესობათა წარმომადგენლები აუცილებლად არ მიიჩნევენ უმცირესობათა შესახებ სპეციალური კანონის მიღებას, ისინი მხოლოდ ენის ბარიერის გადალახვის მიზნით, უმცირესობისათვის ქართული ენის სწავლების განმტკიცების სურვილს გამოხატავენ. თუმცა, ფინანსური მდგომარეობის გამო ეს საკითხი გადაუჭრელი რჩება.

82. მომხსენებელი აუცილებლად მიიჩნევს საქართველოს მიერ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენციისა და და უმცირესობათა და რეგიონალურ ენათა ქარტიის ხელმოწერასა და რატიფიცირებას. 1201 (1993) რეკომენდაციაზე დაყრდნობით, უმცირესობასთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეძლოს შესაბამისი პოლიტიკის გატარება ისევე, როგორც ამ პრინციპთა ქვეყნის ადმინისტრაციულ და იურიდიულ სისტემასა და პრაქტიკაში გამოყენება.

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები

83. ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის შესახებ ფაქტები ოსეთსა და აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტში სრული სახითაა წარმოდგენილი. იგივე პრობლემა დგას "თურქ-მესხთა" წინაშე, რომლებიც სტალინის მიერ 1944 წელს ციმბირსა და ცენტრალურ აზიაში

იქნენ გადასახლებული. პრეზიდენტმა, ამ პირთა მოთხოვნის გათვალისწინებით (დღესდღეობით მათი რიცხვი 200-300 ათას კაცს შეადგენს), გამოსცა ბრძანება საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნების შესახებ, რომლის განხორციელება ბიუროკრატიულმა დაბრკოლებებმა და მუნიციპალიტეტთა წინააღმდეგობამ შეაფერხა.

84. ხელისუფლებამ, "თუქ-მესხთა" დაბრუნების ხელშესაწყობად (საქართველოს მოქალაქეობის მიღების ჩათვლით), უმოკლეს ვადაში უნდა მიიღოს კანონი რეპატრიაციისა და ინტეგრაციის შესახებ. მომხსენებელი იწონებს ამ საკითხის განხორციელების საქმეში ევროპის საბჭოსა და ეუთოს წარმომადგენლთა მხრიდან საქართველოს ხელისუფლებისადმი მხარდაჭერას.

85. მომხსენებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს ურჩევს, საქართველო გახდეს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენციის წევრი (1967 წლის ოქმის ჩათვლით), რადგან იგი კავკასიის ქვეყანათაგან ერთადერთია, რომელსაც ეს ნაბიჯი ჯერ არ გადაუდგამს.

დასკვნა

86. საქართველო ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებზე დაყრდნობით დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საქმეში პროგრესულ გზას ადგას. აქ პოლიტიკური სისტემა ითვალისწინებს ხელისუფლების სეპარაციის პრინციპს. პარლამენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საპრეზიდენტო მმართველობის საქმეში. დაცულია მულტიპარტიულობა, ოპოზიციას უფლება აქვს, გააკრიტიკოს და გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე.

87. პარლამენტის მიერ გაღებული ძალისხმევის შედეგად სრულად ამოქმედდა კანონმდებლობა. საქართველოში დაცულია ყოველი მოქალაქის უფლება, განურჩევლად ეროვნებისა და რელიგიური რწმენისა.

88. ამ შთამბეჭდავ რეზულტატთა ფონზე მომხსენებელი აღნი-

შნავს, რომ ამა თუ იმ პოლიტიკის გატარება, თუ კანონთა განხორციელება საქართველოში სრულყოფილი არ არის. ეს კი წარსულში ქვეყანაში არსებული ტოტალიტარული რეჟიმისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შედეგია. ამ პრობლემათა გადასაჭრელად დღეისათვის, სხვა დემოკრატიის აღმშენებლობის გზაზე მყოფ ქვეყანათა მსგავსად, საჭირო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ნელი ტემპით ხორციელდება სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება. იმედის მომცემია ის ფაქტი, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს შეგნებული აქვთ არსებული სიტუაციის სერიოზულობა და ისინი ამ სირთულეთა დასაძლევად საჭირო ზომებს იღებენ.

89. რაც შეეხება ავტონომიურ ტერიტორიებს, მომხსენებელი მიიჩნევს, რომ საქართველო კონფლიქტთა მშვიდობიანი მოგვარების მომხრეა, მისი სურვილია, ავტონომიურ რესპუბლიკებს შეძლებისდაგვარად მიანიჭოს ფართო ავტონომია. ავტონომიის უფრო ვრცელი განსაზღვრა კონსტიტუციის მიერ უნდა იქნეს დადგენილი. მომხსენებელი წუხს იმ გარემოების გამო, რომ აფხაზთა მხარე უარს აცხადებს საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკების წარმოებაზე.

90. მომხსენებელი დარწმუნებულია, რომ საქართველოს აქვს სურვილი და შესაძლებლობა თავის თავზე აიღოს სრული ვალდებულებები, რომლებიც ქვეყანას ევროპის საბჭოში გაწევრიანებას უქადის. მომხსენებელი მიმართავს ასამბლეას, მისცეს მინისტრთა კომიტეტს რეკომენდაცია საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების თაობაზე. მომხსენებელი იმედოვნებს, რომ საქართველო გადაუდებლად შეასრულებს მოხსენების პროექტში წარმოდგენილ ვალდებულებებს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მომხსენებელი დაარწმუნა ამ ვალდებულებათა შესრულების უეჭველობაში.

91. ევროპის საბჭო მხარში უდგას საქართველოს, ჩამოყალიბდეს სტაბილურ, დემოკრატიულ საზოგადოებად. სწორედ ამ

შეგნებით უნდა ანხორციელებდეს თავის საქმიანობას ყველა ის პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების მომხრეა.

დანართი I

საქართველოს შესახებ 33-ე რეზოლუცია (96)

(მიღებულია მინისტრთა კაბინეტის მიერ 1996 წლის 11 სექტემბერს მინისტრთა 573-ე შეკრებაზე)

მინისტრთა კომიტეტი იშველიებს რა 1951 წლის 8-ე სესიაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც მან სტატუსის მითითებათა შეთანხმებით, საპარლამენტო ასამბლეასთან ერთად უნდა განიხილოს ამა თუ იმ სახელმწიფოს გაწევრიანებისა თუ ასოცირებულ წევრად აღიარების საკითხი.

იხსენებს 1996 წლის 14 მაისს გენერალური სამდივნოსადმი მიმართულ წერილს, სადაც ნათლადაა ნაჩვენები საქართველოს მონდომება გახდეს ევროპის საბჭოს წევრი და მისი მზადყოფნა წესდების 3-ე მუხლით გათვალისწინებული პრინციპების დასაცავად.

ითვალისწინებს რა საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან დაინტერესებას ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების თაობაზე, იგი იწვევს საპარლამენტო ასამბლეას, რათა მან ჩამოაყალიბოს გარკვეული მოსაზრება საქართველოს გაწევრიანების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით, მინისტრთა კომიტეტი საპარლამენტო ასამბლეას მთელ რიგ შენიშვნებს წარმოუდგენს:

მინისტრთა კომიტეტი ასამბლეას აცნობებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა მხარდაჭერას საქართველოს კანდიდატურის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო შეასრულებს სტატუსის შემდეგ მოთხოვნებს: დაიცავს დემოკრატიულ პრინციპებს, აღიარებს კანონის უზენაესობას და დაიცავს ადამიანის უფლებებს, უზრუნველყოფს ქვეყნის სამართლებრივ და საკანონმდებლო სისტემათა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებთან შეფარდებას.

მინისტრთა კომიტეტი იხსენებს საპარლამენტო ასამბლეის 1247 (1994 წ.) რეკომენდაციას ევროპის საბჭოს გაფართოების შესახებ, რომელშიაც აღნიშნულია: "მომავალ კანდიდატურათა ხელახლა გადამოწმება მათივე დამსახურების საფუძველზე მოხდება, იმავე სახით, როგორც ეს წინარე პუნქტში ჩამოთვლილ სახელმწიფოებს შეეხოთ. კავკასიის სამი ქვეყანა (სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო) ევროპის საბჭოსთან მჭიდრო კავშირის დამყარების განსაკუთრებულ სურვილს გამოხატავს. მინისტრთა კომიტეტი იხსენებს 1992 წლის სექტემბერში სტამბოლის სესიაზე პრეზიდიუმის მიერ გაკეთებულ დასკვნებს, რომლის მიხედვითაც მრავალმნიშვნელოვანი დაახლოება "მოითხოვს არა მარტო დემოკრატიულ რეფორმათა გატარებას, არამედ კონფლიქტთა მშვიდობიანი გზით გადაჭრას."

1996 წლის 14 ივლისის ევროპის საბჭოსადმი მიმართულ წერილში საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნავს, რომ ყველა სხვა წევრი ქვეყნების მსგავსად, მომავალში საქართველო მზად იქნება გახდეს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის წევრი, რასაც მომხსენებელი მხედველობაში იღებს. იგი საქართველოს მხრიდან ინდივიდუალურ სარჩელთა და ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციის აღიარებას მოელის.

საქართველოს რესპუბლიკა ვალდებულია, ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეზე, ტერიტორიის მთლიანობის შესახებ კონვენციაში წარმოდგენილი ვალდებულებები შეასრულოს.

მინისტრთა კომიტეტი ამტკიცებს თავის მზადყოფნას, დახმარებისა და თანაშრომლობის პროგრამებით დაეხმაროს საქართველოს დემოკრატიულ საწყისებზე იოლი და სწრაფი ტემპით გადასვლის საქმეში, რათა ქვეყანამ უმოკლეს ვადაში შეძლოს ევროპის საბჭოში გაწევრიანება.

დანართი II

საქართველოს იურიდიული სისტემის ევროპის საბჭოს ნორმებთან შესაბამისობის შესახებ ცნობილ იურისტთა მოხსენების დასკვნები

(რეკაპიტულაცია და დასკვნები)

როგორც შესავალში ვაცხადებდით, ჩვენს ამოცანას შეადგენდა ევროპის საბჭოს პრინციპებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გათვალისწინებით.

ჩვენ განვმარტეთ, რომ ჩვენი მოხსენება შემოიფარგლება არსებული სიტუაციის ასახვით იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოკლებით.

ჩვენ ყოველი ნაწილისა და თავის ბოლოს, საბოლოო შენიშვნები წარმოვადგინეთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ ჩვენს მიერ გაკეთებულ დასკვნებს წამოჭრილი საკითხის სამ ასპექტზე:

პირველი, დემოკრატიასთან მიმართებაში საქართველო წარმატებით მიისწრაფვის დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ, რაც ძალაუფლების ეფექტურ გადანაწილებას, დემოკრატიული გზით არჩეულ ხელისუფლებასა და კანონიერების ფუნქციონირებას გულისხმობს. მიზანი სახელმწიფო დონეზე მთავრობის კონტროლსგარეთ მყოფ ტერიტორიათა გამოკლებით (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) უფრო ფართოდ შეიძლება იქნეს მიღწეული. ადგილობრივ დონეზე ჯერჯერობით მნიშვნელოვანი დეფიციტი შეიმჩნევა. თუმცა ამ გზით პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია და არსებული გამოცდილება იძლევა იმედს, რომ ის წარმატებით იქნება მიღწეული.

მეორე, რაც შეეხება კანონის უზენაესობას, შეიძლება ითქვას, რომ გამოხატული ძალისხმევა და მისი გაგრძელება საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოდ აქცევს, უეჭველია, რომ

საკანონმდებლო პროცესი სახელმწიფოს სრულყოფისთვის გამოიყენება, რომელსაც შეიძლება მყარი ნორმატიული ინფრასტრუქტურა ეწოდოს. უეჭველია, რომ ეს ძალისხმევა დადებით შედეგს გამოიღებს. ის, რამაც ჩვენზე შთაბეჭდილება მოახდინა, ესაა მყარი შემრიგებლობის გადაწყვეტილება. დღესდღეობით საქართველო არ მიილტვის განსაკუთრებული ორიგინალური, "ეროვნული" გადაწყვეტილებისკენ. პირიქით, ყველა დონეზე არსებობს ინტერესი და ექსპერტთა დახმარების იმედი, რომლებიც უკეთ არიან გარკვეული კანონის უზენაესობაში.

მხოლოდ არსებული ნორმატიული აპარატის ხარისხის შესაფასებლად რეალობას მოკლებული იქნება ვეძიოთ,. თუ რომელი კანონია ინტეგრირებული სახელმწიფოში. უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს ყველა დონეზე ამ ნორმებისათვის მმართველი ორგანოების დამოკიდებულება. ჩვენ აგრეთვე შეგახსენებთ, პოლიციისა და სამართალდამცავ სფეროებში არსებულ კორუმპირებულობის ფაქტებს. ამრიგად, საქართველო ნამდვილად ადგას გზას, რომელიც მას კანონიერებაზე დამყარებულ სახელმწიფოდ აქცევს. თუმცა ეს მიზანი ჯერჯერობით არ არის მიღწეული. ჩვენი აზრით, საფუძველმოკლებულია უკეთეს შედეგებზე ოცნება, მით უმეტეს, რომ ქვეყანამ სულ ახლახან დააღწია თავი ტოტალიტარულ რეჟიმს.

მესამე, რაც შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხს, უკანასკნელ პერიოდში ამ სფეროში აშკარა გაუმჯობესება შეიმჩნევა. დღესდღეობით ქვეყანაში მოქმედებს ტრადიციულ დემოკრატიულ საფუძველზე აგებული კონსტიტუცია, დაცულია ფუნდამენტური უფლებები (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, რომელიც პოლიციისა და პირველი რანგის მოსამართლეთა წრეებში მექრთამეობას ეხება) თუმცა არსებობს საშიშროება შეირყეს შეკრების თავისუფლება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს სტატუსის III მუხლით გათვალისწინებული კანონი განხორციელებულია. თუმცა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილი დაძაბული სიტუაციის მოგვარება საკმაო დროს მოითხოვს. უნდა ვაღიაროთ ის ფაქტიც, რომ კონფლიქტური ზონების არსებობამ ქვეყანაში კვლავ შეი-

ძლება არასტაბილური მდგომარეობა გამოიწვიოს. მეორე პრობლემად დგას ექს-პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა დაუმორჩილებლობა. იმედი ვიქონიოთ, რომ კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით წარიმართება. დელეგაციამ აღნიშნა, რომ "ზვიადისტთა" გარკვეული ნაწილი ფანატიზმითაა შეპყრობილი, რამაც შეიძლება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა შეაფერხოს.

ანდრას კელემენის მოხსენება

"საქართველოს განცხადება ევროპის საბჭოში გაწევრიანების თაობაზე"
შეხედულება
დოკ.<<8296>>

12 იანვარი 1999 წელი

სამართლებრივ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტი
მომხსენებელი: ანდრას კელემენი, უნგრეთი, ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფი

შესავალი

1. სამართლებრივი საკითხებისა და ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 1998 წლის 23 ივნისის შეხვედრაზე დამნიშნა ევროპის საბჭოში გაწევრიანების თაობაზე საქართველოს შესახებ მომხსენებლად ბატონი ნემეტის ადგილზე, რომელიც ასამბლეის წევრი აღარ არის.

2. მე ვერ შევძელი მონაწილეობა მიმეღო საქართველოში ადამიანის უფლებათა ქვეკომიტეტის 9-10 ივლისის ვიზიტში. მაგრამ გავეცანი ამ ვიზიტის მოხსენებას (AS/Bur/Georgia (1978) PV 6 rev.). აქედან გამომდინარე, მე მოგვიანებით, 1998 წლის 27 ივლისიდან 4 აგვისტომდე, ვეწვიე საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის მომხსენებელთან ერთად.

3. ასევე გავეცანი „გამოჩენილი იურისტების“ მოხსენებას საქართველოს სამართლებრივი რეჟიმის ევროპის საბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე (AS/Bur/Georgia (1977) 1).

4. მიწვეული ვიყავი პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის მომხსენებლის – ტერი დევისის მოხსენების პროექტზე ჩემი მოსაზრების გამოსათქმელად (Doc 8275). სამართლებრივ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის წინაშე მთელი ჩემი ანგარიში ეხება საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობას. ამასთანავე, შევეხები ტერი დევისის მოხსენების სხვადასხვა პუნქტებს, რომელიც ამ საკითხებთან არის დაკავშირებული.

5. ისმის კითხვა, აქვს თუ არა საქართველოს სურვილი და შესაძლებლობა შეასრულოს ევროპის საბჭოს წევრებისათვის წაყენებული მოთხოვნები და თუ აქვს, რა დონეზე შეძლებს ამას. ევროპის საბჭოს წესდების მე-3 მუხლის შესაბამისად შეფასების საბაზისო მოთხოვნებია:

კანონის უზენაესობის აღიარება

ადამიანის უფლებათა პატივისცემა

- საერთო პრინციპების საფუძველზე ევროპის საბჭოსთან კარგი ურთიერთთანამშრომლობა

საერთო მიმოხილვა

6. რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფოდ დაარსების საფუძველს, მე შემიძლია მხოლოდ დავეთანხმო პოლიტიკურ საქმეთა კომიტეტის მომხსენებლის მიერ მოყვანილ ძირითად პრინციპებს. დავამატებ, რომ საქართველო არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი 1993 წლიდან, პრეზიდენტ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. საქართველოს დსთ-ს წევრობა მოსვენებას არ აძლევს ოპოზიციის გარკვეულ ჯგუფს, რომელიც მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობების გაწყვეტასა და დსთ-ში საქართველოს წევრობას მიიჩნევს, როგორც რუსეთის ფედერაციის შესაძლებლობად აკონტროლოს ქვეყანა. პრეზიდენტი შევარდნაძე თვლის, რომ დსთ-ს წევრობა მხოლოდ იმიტომ არის სასარგებლო, რომ იგი ხელს უწყობს დსთ-ს წევრების დემოკრატიულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებას.

7. რადგანაც შევეხეთ რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობას, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის სამხედრო ნაწილები ჯერ კიდევ იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე და მათი გაყვანა დაგეგმილია 2000 წლისათვის.

სეპარატიზმის პრობლემა საქართველოში

8. ვინაიდან მე მქონდა შესაძლებლობა ვწვეოდი საქართველოს იმ სამ რეგიონს, სადაც საქართველოს იურისდიქცია შესუსტებულია ან საერთოდ არ ერცელდება და შევხვედროდი აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და აჭარის „პრეზიდენტებს", ვთვლი, რომ შევძლებ საკუთარი შეფასება მივცე სეპარატიზმის პრობლემას ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.

აფხაზეთი

9. აფხაზთა ლიდერმა არძინბამ განაცხადა, რომ საქართველოს შესვლა ევროპის საბჭოში ეხება საქართველოს და არა დამოუკიდებელ აფხაზეთს. უფრო მეტიც, მისი კერძო მოსაზრებაა, რომ საქართველოს გაწევრიანება ევროპის საბჭოში იქნება აფხაზეთის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი. საერთოდ, მან უნდობლობა გამოხატა ევროპის საბჭოს როლის მიმართ და მისი აზრით, პრეზიდენტი შევარდნაძე იყო „ის, ვინც დაანგრია სსრკ". თავის უნდობლობასა და საქართველოსთან წინააღმდეგობას იგი იმით ხსნის, რომ მან ვერ შეძლო მიეღწია მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის საქართველოსა და აფხაზეთის გამყოფ ზონაში.

აჭარა

10. ეს პროვინცია ადგას ეკონომიკური გაძლიერებისა და თავისი გეოპოლიტიკური პოტენციალის გამოყენების გზას. პრეზიდენტ აბაშიძეს აქვს დიპლომატის კარგი ალღო. მან შეძლო შეექმნა ძლიერი პოლიტიკური პარტია საქართველოს აღორძინება, და მკაცრად აკრიტიკებს საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. ის ითვალისწინებს მასმედიისა და საზოგადოების აზრს. მან

ხაზი გაუსვა, რომ აჭარა უკვე არის ევროპული ორგანიზაციის, ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრი. ავტონომიური რესპუბლიკის შეზღუდული დამოუკიდებლობის მხარდაჭერის ნიშნით, იგი ხაზს უსვამდა, რომ აჭარა არის საქართველოს ნაწილი და მხარს უჭერდა საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებას.

სამხრეთ ოსეთი

11. ჩიბიროვმა, სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა გამოხატა თავისი ხალხის უკმაყოფილება ქართულ-ოსური კონფლიქტით, მაგრამ მან მიიჩნია, რომ საქართველოს ამჟამინდელმა მთავრობამ თავის თავზე აიღო კონფლიქტზე პასუხისმგებლობა. ოსები მზად არიან ითანამშრომლონ საქართველოს მთავრობასთან ავტონომიის შენარჩუნებით. ამ რეგიონში განლაგებული გაერთიანებული სამშვიდობო ძალების რუსი მეთაურის თქმით, ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში არ ყოფილა გართულებები.

12. ერთი-ერთი მთავარი პრობლემა გახლავთ ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება. ასევე, ეკონომიკის გადარჩენა. განსაკუთრებით მტკივნეულია ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის უქონლობა. პრეზიდენტი ჩიბიროვი მიესალმა საქართველოს გაწევრიანებას ევროპის საბჭოში.

13. ავტონომიური ტერიტორიების სიტუაციასთან დაკავშირებით, ვეთანხმები პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის მომხსენებლის დასკვნებს, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველოს სურს თავისი ტერიტორიული პრობლემების მოგვარება მშვიდობიანი გზით. პრეზიდენტმა შევარდნაძემ წამოაყენა ასიმეტრიული ფედერალიზმის იდეა, რომლის მიხედვითაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ექნებოდათ ავტონომია, მთავრობებითა და წარმომადგენლობის უფლებით პარლამენტის მეორე პალატაში, რომელიც მომავალში უნდა შეიქმნას.

14. 1998 წლის 15 ნოემბერს გამართულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს თვალყურს ადევნებდა ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების კონგრესის დელეგაცია, რომელმაც არჩევნების შემდეგ გააკეთა შემდეგი განცხადება:

კონგრესის დელეგაცია, ეუთოს მისიასთან კოორდინირებულად თვალყურს ადევნებდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს საქართველოში. ის მთლიანად იზიარებს ეუთოს შემაჯამებელ მოხსენებაში ჩამოყალიბებულ მოსაზრებას, რომ ეს არჩევნები არის თვითმმართველობის ჩამოყალიბებისკენ გადადგმული ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ეფექტურად უპასუხებს ადგილობრივი გაერთიანებების მოთხოვნებს.

".

ის ფაქტი, რომ საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მრავალმა პარტიამ, სერიოზული დარღვევების გარეშე ჩაიარა, მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანამ სერიოზული პროგრესული ნაბიჯები გადადგა ევროპის საბჭოს სახით წარმოდგენილ ევროპული ერების ოჯახში გაერთიანებისაკენ.

შემდეგი ნაბიჯი, ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებისთვის იქნება ადგილობრივი მთავრობებისთვის საჭირო კომპეტენციის მინიჭება, რათა მათ შეძლონ ამომრჩეველთა სურვილის შესაბამისად მოქმედება. ეს იქნება ევროპის ამ ნაწილში მშვიდობისა და დემოკრატიული სტაბილურობისათვის მნიშვნელოვანი კონტრიბუცია."

15. ვეთანხმები პოლიტიკურ საქმეთა კომიტეტის მომხსენებლის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს, რომელიც ეხება მიღებულ კანონმდებლობას პრეზიდენტის მიერ მერთა დანიშვნის შესახებ. ფაქტიურად მხოლოდ ხუთი დიდი ქალაქის მერს, ისევე როგორც გუბერნატორებს, ნიშნავს პრეზიდენტი, ხოლო დანარჩენები აირჩევიან. პრეზიდენტმა შევარდნაძემ თავად გამოთქვა ეჭვი არჩევნების შესახებ, რადგანაც, მისი აზრით, იგრძნობა პოლიტიკური ცნობიერების ნაკლებობა.

16. რამდენადაც გავეცანით პოლიტიკურ სიტუაციას, პრეზიდენტი და პარლამენტი ცდილობენ იმოქმედონ დემოკრატიულად. საქართველო ამერიკული მოდელის საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, სადაც ქვეყნის სათავეში დგას პრეზიდენტი, რომელიც იმავდროულად

არის მთავრობის მეთაური და ამრიგად სარგებლობს მნიშვნელოვანი ძალაუფლებით. ადამიანის უფლებათა ქვეკომიტეტს აცნობეს, რომ იყო ამ სისტემის ფრანგული მოდელით შეცვლის მცდელობა, სადაც მთავრობის მეთაური პრემიერ-მინისტრია. პარლამენტის სპიკერის თქმით, ოპოზიცია არ უჭერს მხარს ამ ცვლილებას.

17. კონსტიტუცია განამტკიცებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. პრეზიდენტს არ აქვს პარლამენტის დათხოვის უფლება, ხოლო პარლამენტს არ შეუძლია გადაირჩიოს პრეზიდენტი. მაგრამ გათვალისწინებულია იმპიჩმენტის პროცედურა და ოთხი მინისტრი იძულებული გახდა გადამდგარიყო.

სასამართლო ხელისუფლება

18. პოლიტიკურ საქმეთა კომიტეტის მომხსენებელი იზიარებს გამოჩენილ იურისტთა აზრს, რომ „მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა და კვლავ გრძელდება, რათა საქართველო იქცეს კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ ქვეყანად."

19. მე ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ პარლამენტი ამჟამად ჩართულია სასამართლო სისტემის რეფორმათა ფართო რიგში, რომელსაც სათავეში უდგას იუსტიციის მინისტრი. სამართლებრივი რეფორმა, რომელიც ხორციელდება ევროპის საბჭოს დახმარებით, შეიცავს სამართლებრივ ინსტრუმენტებს მოსამართლეთა კორპუსის ჩამოყალიბებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

20. პარლამენტმა 1996 წელს მიიღო ახალი სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები. სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი წარდგენილია პარლამენტში. ახალი კანონი საერთო სასამართლოების შესახებ მიღებული იქნა 1997 წლის ივნისში და მიზნად ისახავს, ინტერ ალია, მაღალი მორალური სტანდარტების მქონე მოსამართლეების სამსახურში აყვანას. მოსამართლეებს ხშირად ბრალს დებენ არაკომპეტენტურობაში და ამასთან ერთად კორუფციაში, რომელიც ქვეყნის ამჟამინდელი მძიმე მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზად ითვლება. ის ფაქტი, რომ დღეს კორუფციაზე ხმამაღლა საუბრობენ,

დემოკრატიის კიდევ ერთი ნიშანია. ახალი კანონის თანახმად, კანდიდატებმა მოსამართლის პოსტზე უნდა ჩააბარონ გამოცდა, რათა შეფასდეს მათი ცოდნა ძალაში შესულ ახალ კანონმდებლობაში. პირველი გამოცდის შემდეგ 140-230 კანდიდატიდან შერჩეული იქნა 30. საკვალიფიკაციო გამოცდები დაგეგმილია მომავალშიც. იმისათვის, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა იყოს ეფექტური, საჭიროა მოსამართლეებს ჰქონდეთ შესაბამისი ანაზღაურება. მთავრობასა და პარლამენტს, როგორც ჩანს, ეს კარგად ესმით და აპირებენ შესაბამისი ზომების მიღებას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა

21. კონსტიტუცია უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვას. მისასალმებელია საქართველოს მიერ სიკვდილით დასჯის გაუქმება და გაეროს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების შესახებ კონვენციის რატიფიცირება.

22. ადამიანის უფლებათა ქვეკომიტეტის ვიზიტისას შედგა შეხვედრები ადამიანის უფლებებზე მომუშავე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან. მათი შეხედულებით ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთო სიტუაცია არ იწვევს განსაკუთრებულ სირთულეს.

23. აფხაზეთში, ადგილობრივი პარლამენტის წევრებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში ახლახან მოკლული იქნა სამი აფხაზი ტყვე. ჩემი იქ ყოფნის პერიოდში საქართველოში ეუთოს მისიის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ჩაატარა ფაქტების შემსწავლელი მისია და დაადგინეს, რომ ეს ბრალდება შეესაბამებოდა სინამდვილეს.

24. ქართველმა ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ აფხაზები ტყვედ აიყვანეს ე. წ. ქართველმა პარტიზანებმა და მკვლელობაც მათვე ჩაიდინეს. აფხაზეთის მხარე ამტკიცებდა, რომ ქართველი ოფიციალური პირები ჩაბმულნი იყვნენ იმ მოვ-

ლენებში, რომლებმაც გამოიწვიეს სამი აფხაზი ტყვის სიკვდილი.

25. აფხაზი ტყვეების გვამები გადაეცა აფხაზურ მხარეს ტყვეთა გაცვლის ქართული კომისიის მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც კავშირში იყო ქართველ პარტიზანებთან, მაგრამ კომისიამ ვერ მიიღო დეტალური ინფორმაცია ტყვეთა დაკავებისა და სიკვდილის შესახებ. არც საქართველოს და არც აფხაზთა მხარის მიერ გვამებზე არ განხორციელებულა სიკვდილის შემდგომი გამოკვლევა (აუტოფსია).

26. აქედან გამომდინარე, ძალიან ძნელია ჩავთვალოთ, რომ არცერთი მხრიდან არ არსებობს სამხედრო დანაშაულის ჩადენის შემთხვევები. ამიტომ შესაძლებელია საქართველოს ხელისუფლების გაკრიტიკება ამ საქმეში შესაბამისი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის არასრულყოფილად წარმართვისათვის.

პატიმრობის პირობები

27. ადამიანის უფლებათა ქვეკომიტეტმა მიიღო ადამიანის უფლებათა მეთვალყურისაგან იმ პატიმართა სია, რომელთაც უნდა ეწვეოდით. ზოგი მათგანი იმყოფებოდა პირველ იზოლატორში, ხოლო დანარჩენი შინაგან საქმეთა სამინისტროს მე-5 იზოლატორში.

28. ქვეკომიტეტი ეწვია მხოლოდ ქალთა ციხეს. ამ დროისათვის აქ მოთავსებული იყო 187 ქალი, რომელთა 1/3 სასჯელს იხდიდა ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის. ისინი მოთავსებული იყვნენ 66 საწოლიან საკნებში. სანიტარიული მდგომარეობა უკიდურესად რთული იყო და ქალები ფაქტიურად უმოქმედობას იჩენდნენ ამ პირობების მიმართ.

29. ორთაჭალის ციხის დათვალიერებისას ქვეკომიტეტს ჰქონდა შესაძლებლობა შეხვედროდა ადამიანის უფლებათა მეთვალყურის მიერ მითითებულ რამდენიმე პატიმარს. საკნები იყო გადატვირთული და სანიტარიული მდგომარეობა - უკიდურესად მძიმე. გამოკითხულ პატიმართა უმრავლესობა უჩიოდა პატიმრობის უკიდურესად მძიმე პირობებს და პატიმრობის პერიოდში ცუდ მკურნალობას.

30. ქვეკომიტეტს ჰქონდა შესაძლებლობა, შეხვედროდა იმ

პატიმარს, რომელსაც პატიმრობისას არასრული მკურნალობის შედეგად მოაჭრეს ფეხი. მისი განცხადებით, იგი დაჭრილი იქნა ტერორისტული აქტის დროს და საავადმყოფოში არ აღმოუჩინეს საჭირო სამედიცინო დახმარება. უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრის გამოკითხვის დროს ციხის ექიმები, რომელთაც სთხოვეს დაეტოვებინათ ოთახი, იდგნენ კარებთან და სხვადასხვა მიზეზით რამდენჯერმე შემოვიდნენ ოთახში.

31. ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებულია პროფესორ პეტრე გელბახიანის საქმე, რომელსაც 1998 წლის 10 ივნისს ეწვია ბატონი კევინ მაკნამარა. ამ ვიზიტისთვის ხელი არ შეუშლიათ ხელმძღვანელ პირებს, მაგრამ ამის შემდეგ მალევე გელბახიანს თავს დაესხა ახალგაზრდა პატიმარი, რომელმაც მას სახე და კისერი ბრიტვით რამდენჯერმე გადაუსერა.

32. როგორც შემდგომ აღინიშნა, სხვადასხვა წყაროს მიერ, ამ ორ პირს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა პოლიტიკური საკითხი. აქამდე ოფიციალური პირები გელბახიანს აიძულებენ განაცხადოს, რომ ეს იყო თვითმკვლელობის მცდელობა. საქართველოს მთავრობამ უნდა გამოიძიოს სიმართლე ამ საკითხთან დაკავშირებით. განსაკუთრებით იმის გამო, რომ გელბახიანი არის არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგე.

33. პირობები ციხეებში არადამაკმაყოფილებელია, თუმცა პრეზიდენტმა შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ეს ასახავს საერთო ეკონომიკურ სიტუაციას.

34. მეტად მტკივნეული პრობლემა, რომელიც წითელმა ჯვარმა დააყენა, არის ტუბერკულიოზით დაავადების ისეთი შემთხვევები, რომლებიც არ ექვემდებარება მკურნალობას. წითელი ჯვარი უფლებამოსილია ეწვიოს ნებისმიერ საპატიმროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორების ჩათვლით.

35. ქვეკომიტეტის ორმა წევრმა ქალბატონმა გელდერ-ბლომლენქაითმა და ბატონმა მაკნამარამ მოინახულეს ეს იზოლატორები (მე-5 იზოლატორი). მათ საშუალება ჰქონდათ გასაუბრებოდნენ ყოფილ ფინანსთა მინისტრს. წინასწარი დაკავების ადგილებში პირობები იგივე იყო, რაც ციხეებში, მაგრამ პატიმართა პროტესტის მთავარი მიზეზს ოჯახის წევრების ნახვასთან დაკავშირებული პრობლემა წარმოადგენდა.

36. ქვეკომიტეტმა ასევე მიიღო „პოლიტიკურ პატიმართა“ სია, რომელიც შედგება დაახლოებით 100 სახელისაგან. ზოგიერთი პატიმარი, რომელსაც ესაუბრა ქვეკომიტეტი, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დასახელებულ იქნა პოლიტიკურ პატიმრად. რთულია იმის თქმა, ეს ხალხი ნამდვილად მათი პოლიტიკური მისაზრებების გამო იქნა დაკავებული, თუ არა. ისინი არიან ყოფილი პრეზიდენტის, გამსახურდიას მომხრეები და დასჯილნი არიან ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის ან ბანდიტიზმისათვის.

37. უნდა გაკეთდეს შემდეგი რეკომენდაციები პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით:

პატიმართა რიცხვის შემცირება. პრეზიდენტმა შევარდნაძემ უკვე შეიწყალა 2 500 პატიმარი (1997 წლის შობას);

იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ ის საჭიროდ თვლის დანაშაულთა დეკრიმინალიზაციას. ყოფილი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით უმუშევრობაც დანაშაულად ითვლებოდა.

უნდა შემცირდეს სასჯელთა ხანგრძლივობა და შემოღებულ უნდა იქნეს პირობითი პატიმრობის ინსტიტუტი.

ციხეების თანამშრომლებმა უნდა გაიარონ მომზადება ადამიანის უფლებათა სფეროში.

38. მე ვუერთდები პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის მომხსენებელს იმ იმედით, რომ საპატიმროებზე პასუხისმგებლობა შინაგან საქმეთა სამინიტროსაგან რაც შეიძლება მალე გადაეცემა იუსტიციის სამინისტროს.

უმცირესობათა უფლებები

39. ქვეკომიტეტი შეხვდა საქართველოში უმცირესობათა წარმომადგენლებს, აღსანიშნავია, რომ რუსები არ ესწრებოდნენ იმ მოსაზრებით, რომ ისინი არ თვლიან თავიანთ თავს უმცირესობად.

40. საქართველოს კონსტიტუცია აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეებს „აქვთ უფლება განავითარონ თავიანთი კულტურა ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე. მათ

შეუძლიათ გამოიყენენონ თავიანთი ენა პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში." (მუხლი 38. 1). სამწუხაროა, რომ აქამდე მხოლოდ კანონთა პროექტი არსებობს ეროვნულ უმცირესობათა შესახებ და ძალიან ნელი, თითქმის არარსებული პროგრესი შეიმჩნევა. ის ფაქტი, რომ საქართველოში უკვე მიღებული კანონები განუხრელად ძალიან იშვიათად სრულდება, მათ მიმართ გულგრილობაზე მიუთითებს. არაპირდაპირად ეს გულგრილობა დასტურდება უმცირესობათა წარმომადგენლების მიერ. შეგიძლიათ წაიკითხოთ ცნობილ იურისტთა მოხსენებაში, რომ „საჭირო იყო აგრეთვე ეთნიკურ უმრავლესობათა უფლებების დაცვა." (As/Bur/Georgia (1997), 1, #262, p.48) პოლიტიკურ საქმეთა კომიტეტის მოხსენებაში ხაზგასმულია: „აზერბაიჯანული, სომხური და იეზიდი უმცირესობების წარმომადგენლები არ ხედავენ უმცირესობათა შესახებ რაიმე სპეციალური კანონის საჭიროებას. მათ სურთ დიდი მხარდაჭერა უმცირესობებისათვის ქართული ენის შესწავლის საქმეში."

41. ამ განცხადებით, შეიძლება ვინმემ მიიჩნიოს, რომ ამ ადამიანებს არ ყოფნით სიმამაცე, მოითხოვონ უფლებები თავიანთი ეროვნებებისათვის. არსი საქართველოს თანამედროვე ისტორიაში, ეთნიკურობის საფუძველზე იძულებით ემიგრაციაში მდგომარეობს.

42. ამის საილუსტრაციოდ მე შემიძლია მოვიყვანო მესხების საკითხი. ე. წ. თურქი მესხები ანუ მესხები, სინამდვილეში არიან მუსულმანი ქართველები, აჭარლების მსგავსად. მაგრამ ისინი სტალინის მიერ გადასახლებულნი იყვნენ ციმბირსა და შუა აზიაში. „ისინი მოითხოვენ თავიანთ მშობლიურ მიწაზე დაბრუნების უფლებას". ეს უფლება ოფიციალურად იქნა აღიარებული პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ ბრძანებულებაში, მაგრამ დაბრუნება შეჩერებულ იქნა ბიუროკრატიისა და შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების წინააღმდეგობის გამო. (იხ. პოლიტიკურ საქმეთა კომიტეტის მოხსენება). როდესაც, რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია გამოიყენოს ცენტრალიზებული ძალაუფლების საშუალებები (როგორც ეს ცნობილ იურისტთა მოხსენებაშია აღნიშნული) ისმის კითხვა: როგორ შეიძლება შეაჩერო პრეზიდენტის ბრძანებულება? პასუხად შეიძლება გამოდგეს

საქართველოს რეპატრიაციის სამსახურის უფროსის გურამ მამულიას განცხადება. მან აღნიშნა, რომ საქართველოს კანონი პოლიტიკურ მსხვერპლთა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ არ ცნობს 1944 წელს საქართველოდან გადასახლებულ მესხებს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად. მათ ჩამორთმეული აქვთ ლტოლვილთა სტატუსი და ამჟამად დგანან გადასახლების რეალური საშიშროების წინაშე, რის გამოც შეიძლება აღიარებული იყვნენ არალეგალურ მიგრანტებად. (იხ. მოკლე შენიშვნა საქართველოში დეპორტირებული მესხების განცხადების თაობაზე, რომელიც წარედგინა ევროპის საბჭოს მომხსენებელთა მისიას. თბილისი, 31 ივლისი, 1998 წელი).

დასკვნა

43. საქართველოში მიმდინარეობს ფუნდამენტური დემოკრატიული რეფორმები. სტუმარმაც უნდა გააცნობიეროს, რომ რეალური ძალისხმევა კეთდება დემოკრატიული ინსტიტუტებისათვის, რომელიც ეფუძნება კანონის უზენაესობას. ამის კარგი მაგალითებია:

ორგანიზებული საპარლამენტო მუშაობა;

ხელისუფლების დანაწილება;

კონსტიტუციის უზენაესობა, რომელსაც გარანტად უდგას საკონსტიტუციო სასამართლო;

ადგილობრივი და რეგიონალური არჩევნები;

- სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირება;

სიკვდილით დასჯის გაუქმება;

სამართლებრივი სისტემის რეფორმები;

მოსამართლეთა მიმდინარე გამოცდები;

ციხეებზე პასუხისმგებლობის გადაცემა შინაგან საქმეთა. სამინისტროსაგან იუსტიციის სამინისტროზე;

- იუსტიციის საბჭოს შექმნა;

ომბუდსმენის დანიშვნა.

44. მე განსაკუთრებით მოვიხიბლე ადამიანის უფლებებზე დაპირებების მაღალი დონით, რომელიც აჩვენა რამდენიმე ახალ-

გაზრდამ, რომლებსაც შევხვდი ომბუდსმენის ოფისსა და იუსტიციის საბჭოში.

45. საქართველომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები იმ მენტალიტეტისაგან თავის დასაღწევად, რომელიც კომუნისტური მმართველობის ნაწილს შეადგენდა. შეიძლება სიმართლე იყოს, რომ ქვეყანა ჯერ არ არის ძალიან ახლოს დემოკრატიულ მიზნებთან. მაგრამ ადამიანები ქუჩაში, ასევე მოხელეთა ახალი თაობა მხარს უჭერს დასავლეთისაკენ სწრაფვას. გარდა ამისა, სახელმწიფოს ლიდერებმა: - პრეზიდენტმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა, პარლამენტის უმრავლესობის ლიდერმა - ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოს აქვს მიზანმიმართული ინტერესი მიიღოს სისტემატური ევროპული დახმარება, თუ მას სურს შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა და დემოკრატიულობა. ამიტომაა, რომ ევროპის საბჭოს ექსპერტებმა დაინახეს „ძლიერი სწრაფვა, შერწყმული გარკვეულ მზადყოფნასთან" (ცნობილ იურისტთა მოხსენება №134), არსებობს ინტერესი უცხოელი ექსპერტებისაგან დახმარებაში. და რაც მთავარია, ძირითადი შთაბეჭდილება არის ის, რომ მთავრობისათვის მისაღებია დემოკრატიის საშუალებები პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად.

46. მე მსურს, დავამატო ამ შეფასებას ის, რომ ნათელ და ახლო მიზანს ევროპის საბჭოში გაერთიანებისა, გააჩნია ზეგავლენის ძალა დემოკრატიისაკენ, როგორც საქართველოს შიგნით, ასევე მთლიანად კავკასიის რეგიონში. თუ ჩვენ ამ პროცესის მომხრეები ვართ, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ უნდა მოვუწოდოთ და ვაკონტროლოთ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც ამისათვის მზად არიან.

47. ამიტომ მე რეკომენდაციას ვაძლევ საქართველოს, რათა მისი მიღება ევროპის საბჭოში, პოლიტიკურ საქმეთა კომიტეტის მოსაზრებათა პროექტის მე-10 პუნქტში ჩამოთვლილი პირობების საფუძველზე (დოკ. 8275) დასრულდეს დადგენილ ვადებში.

48. ადამიანის უფლებებთან და განსაკუთრებით საპატიმროებში არსებულ პირობებთან დაკავშირებით, მე ვურჩევ, გატარებული იქნეს შემდეგი:

შემცირდეს ციხეების დატვირთვა; მაგალითად, შესწავლილ

იქნეს სასჯელის ხანგრძლივობის შემცირებისა და შეწყალებების შესაძლებლობები მათთვის, ვისაც ჩადენილი აქვს მსუბუქი დანაშაული.

გარკვეულ დანაშაულებზე სასჯელის სახედ შემოღებულ იქნეს პატიმრობისაგან განსხვავებული (ალტერნატიული) ფორმები.

- ევროპის საბჭოს დახმარებით უზრუნველყოფილ იქნეს ციხეების თანამშრომლებისა და პოლიციის მომზადება ადამიანის უფლებათა სფეროში.

- წინასწარი დაკავების დროს მიღწეულ იქნეს ხანგრძლივობის მაქსიმუმის პატივისცემა.

შემოთავაზებული დამატებები

49. მე ვთავაზობ შემდეგ დამატებებს პოლიტიკურ საქმეთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილ შეხედულებათა პროექტში:

პარაგრაფი 10 III
პუნქტ c-ს შემდეგ უნდა დაემატოს შემდეგი ახალი d პუნქტი:

„სანქციების სახეთა განახლება სასჯელის ხანგრძლივობის შემცირების მიზნით და პატიმრობის ალტერნატიული სასჯელის ფორმის შემოღება;“

პარაგრაფი 10 IV

პუნქტ a-ს უნდა დაემატოს შემდეგი b პუნქტი:

„ევროპის საბჭოს დახმარებით, ციხეების თანამშრომლებსა და პოლიციას ჩაუტარდეს სწავლება ადამიანის უფლებათა სფეროში.“

პუნქტ a-ს უნდა დაემატოს შემდეგი c პუნქტი:

„პრევენციული დაკავებისათვის მაქსიმალური ხანგრძლივობის პატივისცემა“

პუნქტი d შეიცვალოს შემდეგი ტექსტით:

„შეერთებიდან ორი წლის განმავლობაში მიღებული იქნეს კანონი უმცირესობათა შესახებ ასამბლეის 1201-ე რეკომენდაციაზე დაფუძნებით“

პარაგრაფი 10 V

დაემატოს ახალი პუნქტი c:

„გაწევრიანებიდან ოთხი წლის განმავლობაში კონსტიტუციურ მოთხოვნათა შესაბამისად, მეორე პალატის ჩამოსაყალიბებლად, სამართლებრივი ბაზისის შექმნა;“

თუ ეს დამატებითი მოთხოვნები იქნება გათვალისწინებული, მე მხარს დავუჭერ რეკომენდაციას მინისტრთა კომიტეტისადმი საქართველოს ევროპის საბჭოს წევრად მოწვევის თაობაზე. მე ვისურვებდი, აღვნიშნო, რომ ჩემი მხარდაჭერა არის გულწრფელი, ისევე, როგორც მათი, ვისაც ადამიანის უფლებათა ქვეკომიტეტი ესაუბრა საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებაზე და ისევე, როგორც ქართველები მიიჩნევენ თავიანთ თავს ევროპელებად და იღვწიან ევროპაში დაბრუნებისაკენ. ეს სურვილი იგრძნობა არა მხოლოდ მთავრობაში, არამედ ოპოზიციის მხრიდანაც. ოპოზიციის რიგმა წევრებმა გამოთქვეს შიში, რომ საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებით ქვეყანა აღიარებული იქნებოდა დემოკრატიულ სახელმწიფოდ. მე მინდა ხაზი გავუსვა, რომ გაწევრიანება არის მხოლოდ დასაწყისი ევროპის საბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესისა და ევროპის საბჭოს დახმარება დააჩქარებს ამ პროცესს.

დებატები ევროპის საბჭოს 1999 წლის 27 იანვრის სხდომაზე

ასამბლეამ მოისმინა ბატონი ტერი დევისის მოკლე გამოსვლა. მან მადლობა გადაუხადა ყველა პირსა და ორგანიზაციას, რომლებიც მონაწილეობდნენ მოხსენების მომზადებაში და დახმარება აღმოუჩინეს მას. მადლობით მოიხსენია, ასევე, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, საქართველოს მთავრობის წევრები, საპარლამენტო და პარლამენტსგარეთ მოქმედი პარტიების ხელმძღვანელები, რეგიონების ლიდერები კონსტრუქციული თანამშრომლობისა და დახმარებისათვის.

მიმოიხილა რა გაწეული საქმიანობა, ძირითადად დადებითად შეაფასა საქართველოში მიმდინარე მოვლენები. "საქართველოს ევროპის საბჭოში მიღებით, ჩვენ არა მხოლოდ ვაღიარებთ იმ პროგრესს, რომელიც მიღწეულ იქნა ამ ქვეყანაში, არამედ წავახალისებთ შემდგომ ძალისხმევას. ჩვენ ასევე შეგვიძლია მისთვის დახმარების აღმოჩენა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ასამბლეის სამონიტორინგო პროცედურის მეშვეობით",[29] აღნიშნა მან.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ასამბლეის წევრი უნგრეთის პარლამენტიდან, ბატონი ანდრას კელემენი, რომელმაც თავის მხრივ წარადგინა სამართლებრივ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოხსენება.. გამოსვლის ბოლოს მან განაცხადა, რომ რამდენადაც საქართველო აკმაყოფილებს პოლიტიკურ საქმეთა კომიტეტის მოთხოვნებს, სამართლებრივ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტის სახელით იგი მხარს უჭერს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, ასამბლეა რეკომენდაციით მიმართავს მინისტრთა კომიტეტს საქართველოს ევროპის საბჭოს წევრად მოწვევის თაობაზე.

სიტყვით გამოვიდა ევროპის გაერთიანებულ მემარცხენეთა წარმომადგენელი, რუსეთის ფედერაციის სათათბიროს წევრი

---

[29] Parliamentary Assembly of the Council of Europe, 1999 Ordinary session, Official report Fourth Sitting . Tuesday 27 January 1999 at 10 a. m. p.116-117.

გლოტოვი. მან განაცხადა, რომ არ არის საქართველოს გაწევრიანების წინააღმდეგი, თუმცა ვერ ხედავს მიზეზს, თუ რატომ მოხდა დამოკიდებულებათა დიფერენციაცია კავკასიის სახელმწიფოების მიმართ. მან, ასევე, ხაზი გაუსვა აფხაზეთის საკითხს და აღნიშნა, რომ მისაღები იქნებოდა კონფედერაციის ან ავტონომიის ფორმები, რაც შეეხება "თურქი მესხების" საკითხს, მისი აზრით, მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა საქართველოში დაბრუნებისა და საქართველოს მოქალაქეობის მიღებისა. მიუხედავად გარკვეული დათქმებისა, ჩვენი ჯგუფი არ არის წინააღმდეგი საქართველოს გაწევრიანებისა, აღნიშნა ბატონმა გლოტოვმა.

ევროპის სახალხო პარტიის სახელით სიტყვით გამოვიდა კვიპროსის წარმომადგენელი, ბატონი დემეტრიუ, რომელმაც თავისი პარტიის სახელით განაცხადა, რომ მხარს უჭერს საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებას.

მომდევნო გამომსვლელმა ბატონმა ატკინსონმა (დიდი ბრიტანეთი, ევროპის დემოკრატიული ჯგუფი), დაუჭირა რა მხარი ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანებას, იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს ლიდერობით შესაძლებელი გახდება ასამბლეის პრინციპების დანერგვა და ხელშეწყობა კავკასიაში.

საფრანგეთის წარმომადგენელმა, ქალბატონმა დურიომ თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაიწყო: "შესაძლოა რამდენიმე წუთში საქართველო გახდეს ევროპის საბჭოს რიგით 41-ე წევრი სახელმწიფო და პირველი - კავკასიის სახელმწიფოთა შორის."[30] მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველო არის მართლმადიდებელ ქრისტიანთა სახელმწიფო, სადაც ერთმანეთს უერთდება ხალხები და ცივილიზაციები და რომ საქართველო არის ევროპის ნაწილი. ამასთან, — თქვა მან, — კავკასიის სამი რესპუბლიკა — საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი წარმოადგენენ რეგიონს, რომელიც უმნიშვნელოვანესია ევროპის კონტინენტზე სტაბილურობის შენარჩუნებისათვის.

ლიბერალ-დემოკრატთა და რეფორმატორთა ჯგუფის სახელით ასამბლეას სიტყვით მიმართა შვეიცარიელმა დეპუტატმა ბატონმა

---

[30] Parliamentary Assembly of the Council of Europe: 1999 Ordinary session, Official report Fourth Sitting . Tuesday 27 January 1999 at 10 a. m., p.119.

მულემანმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ახალი აბრეშუმის გზის პროექტზე და მიესალმა საქართველოს გაწევრიანებას ევროპის საბჭოში.

თავის გამოსვლებში ასამბლეაზე, საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებას ასევე დაუჭირეს მხარი ბატონმა ტოშევმა (ბულგარეთი), გრაფმა ელტციმ (ხორვატია), ბატონმა იასკიერნიამ (პოლონეთი), ქალბატონმა მარკოვიჩ-დიმოვამ (იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია).

რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ბატონმა ვიშნიაკოვმა, თავის სიტყვაში, საქართველოზე დასაკისრებელი ვალდებულებები შეადარა რუსეთის ფედერაციაზე დაკისრებულ ვალდებულებებს. მან მიულოცა საქართველოს მხარეს რუსეთთან შედარებით უფრო რეალისტურ და "მიღწევად" პირობებზე შეთანხმება. მან აღნიშნა საქართველოში არსებული კონფლიქტის შესახებ, თუმცა, დაამატა, რომ არ არსებობს ამაში საქართველოსა და რუსეთს შორის კონფრონტაციის მიზეზს ვხედავდეთ. მისი აზრით, არ შეესაბამებოდა სიმართლეს ბატონი კელემენის მიერ გამოთქმული აზრი იმის თაობაზე, რომ "კომუნიზმის 70 წელი არ იყო უთანხმოების წლები და რომ საქართველო განიცდიდა ჩაგვრას."[31] მან ასევე დასძინა, რომ საქართველო ყოველთვის იყო სტაბილური, მშვიდობიანი და განვითარებული ეკონომიკის სახელმწიფო და, თუ არსებობდა გარკვეული არასტაბილურობა, ეს გამოწვეული იყო სამხრეთიდან წარმოებული საგარეო ზეწოლით. დასასრულს, გამოთქვა იმედი, რომ საქართველოს სპორტული გუნდები კვლავ შეძლებენ თავის წარმოჩენას საერთაშორისო ტურნირებზე.

ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს დელეგაციის წევრი ბატონი მიხეილ სააკაშვილი.

ბატონი მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა[32]

ქართველებისათვის ევროპისაკენ ლტოლვა თავისუფლების სიყვარულის გამოხატულებაა. უინსტონ ჩერჩილი ევროპას აღწერდა, როგორც ერთობას ყველა ქვეყნის იმ მოქალაქეებისა,

[31] Parliamentary Assembly of the Council of Europe. 1999 Ordinary session. Official report Fourth Sitting . Tuesday 27 January 1999 at 10 a. m . p.122.

[32] "საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან", თბილისი, 1998, ტ. IV-V. გვ. 47.

რომლებიც თავიანთ ევროპელობას საკუთარი მიწა-წყლის ერთგულებაში ხედავდნენ. ქართველებისათვის ევროპა მათ სამშობლოში, მათ ისტორიაში იღებს დასაბამს. 2000 წლის წინ საქართველო უკვე ევროპული სახელმწიფო იყო. საუკუნეების განმავლობაში, მაშინაც კი, როცა ჩვენს შორის ნაპრალები იზრდებოდა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქართული სახელმწიფოებრიობა მხოლოდ ისტორიულ მეხსიერებაში იყო შემორჩენილი, ჩვენ მაინც გადავრჩით. ჩვენ გადაგვარჩინა თავისუფლების დაუოკებელმა სიყვარულმა, რწმენამ და იმის შეგრძნებამ, რომ არსებობს უმთავრესი ფასეულობები, რომლებიც არამარტო ჩვენთვის, არამედ სხვა ერებისათვის სისხლხორცეული არის. ამ ფასეულობების დამარცხება და მოსპობა შეუძლებელია. საუკუნეების განმავლობაში მრავალი ქართველი მამულიშვილი ცდილობდა დანარჩენ ევროპასთან დაკავშირების ისტორიული ოცნების განხორციელებას, ვინაიდან ამაში საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტიას ხედავდა. ეს მცდელობა ბევრჯერ წარუმატებლად დასრულდა, ხშირად, ახალი მცდელობის წამოწყებამდე საუკუნეები იკარგებოდა. ასეთივე პირი უჩანდა მე-20 საუკუნესაც. სწორედ ამ საუკუნეში, 1921 წელს ქართველი ერის გათავისუფლების იმედად ქცეული დემოკრატიული ქართული რესპუბლიკა, რომლის აღიარებაზეც ერთა ლიგა ბოლომდე უარს აცხადებდა, რუსეთის ბოლშევიკურმა ძალებმა ფეხქვეშ გათელეს. ბევრს მიაჩნდა, რომ საქართველოს თავისუფლების ოცნების ასრულება, ამით კიდევ ერთხელ გადაიდო მომავალი საუკუნეებისათვის. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ გავარღვიეთ ალყა, გადავლახეთ ყველა დაბრკოლება და ახლა, ამ საუკუნის ბოლო წელიწადს, ევროპის საბჭოს ზღურბლზე მდგარნი, პირველ უმთავრეს ნაბიჯს ვდგამთ დიდ ევროპაში გასასვლელად.

საქართველოს ამის მისაღწევად რვა გრძელი წელიწადი დასჭირდა. ჩვენ ქაოსი, ნგრევა, შიდა კონფლიქტები გავიარეთ. უცხო ქვეყნის ცინიკური და ბარბაროსული აგრესიის მსხვერპლად ვიქეცით. იყო დრო, როდესაც თითქმის არავის სჯეროდა ფეხზე თუ წამოვდგებოდით და მაინც, ჩვენ თითქმის უკვე გადავრჩით. რამდენიმე წელიწადში ახალი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლო-

ბის დაწყება მოვახერხეთ, ჩვენი კანონები ტოტალიტარიზმის სულისკვეთებისაგან ძირითადად გავათავისუფლეთ, დავიწყეთ ახალი სასამართლო ხელისუფლების შექმნა და წნეხისა და კორუფციისაგან სასამართლოს გათავისუფლება, გავაუქმეთ სიკვდილით დასჯა, რასაც ბევრი ჩვენი მოქალაქე გაგებით შეხვდა და მხარი დაუჭირა. ყველაფერი ეს, ევროპის საბჭოს მიერ დანიშნულ მომხსენებელთა ანგარიშებში დაწვრილებით, ობიექტურად არის ასახული.

და მაინც, ჩვენ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი. ჩვენი მიწა-წყლის უმშვენიერესი ნაწილი, აფხაზეთი, გაჩანაგებული და დაცარიელებულია. უცხო ქვეყნის ჩარევის შედეგად, იგი დანარჩენ საქართველოს არის მოწყვეტილი. ეთნიკური წმენდის მსხვერპლი ასობით ათასი ქართველი მშობლიურ კერას ვერ უბრუნდება. ბოლო წლების განმავლობაში არ შეწყვეტილა ჩვენზე მუდმივი ზეწოლა ჩრდილოეთიდან, იმ გენერლებისა და პოლიტიკოსების მხრიდან, რომელთაც ჯერ კიდევ აბოდებთ იმპერიის აღდგენა და ექსკლუზიური გავლენის სფეროს მონიშვნა, და რატომღაც, ისევ სჯერათ, რომ სრული უფლება აქვთ მიგვითითონ, რა მოვიმოქმედოთ და რა გზას დავადგეთ.

ჩვენში ძლიერია კომუნისტური სიცრუის რეჟიმის ინერცია. ჩვენი საკუთარი შიდა დემონები თავს მუდმივად გვახსენებენ. ამიტომ ზოგიერთი ჩვენი მიღწევა ჯერ კიდევ მყიფე და შექცევადია.

მართალია, ჩვენი კანონმდებლობა ევროპულ სტანდარტებს სრულიად პასუხობს, მაგრამ ამ ბოლო წლებში ისიც დავინახეთ, რომ კანონების, განსაკუთრებით, ჭეშმარიტად რეფორმისტული კანონების მიღებიდან მათ განხორციელებამდე, ხშირად, გრძელი გზაა გასავლელი. ჩვენ, ასევე მივხვდით, რომ ამ გზაზე ჩვენი უმთავრესი მოკავშირეები თავისუფალი პრესა, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა შემადგენელი ნაწილებია.

ამგვარად, თქვენი ყურადღება და დახმარება კიდევ უფრო დიდხანს და უფრო მეტად დაგვჭირდება. ღრმად გვწამს, რომ ქართველ ხალხს არავისზე ნაკლებად არ შესწევს ძალა ააშენოს

თავისუფალი და ღია საზოგადოება, დაფუძნებული კანონის უზენაესობაზე. ჩვენ, ქართველები, არა მხოლოდ ევროპელები ვართ, ჩვენ ვართ მგზნებარე ევროპელები.

ჩვენში თაობები იზრდებოდა ისე, რომ საკუთარ შვილებს ევროპულ ენებს, ევროპულ კულტურას ასწავლიდნენ და ეს იმ პირობებში, როდესაც არანაირი იმედიც კი არ არსებობდა იმისა, რომ ოდესმე დანარჩენი ევროპის ცალი თვალით დანახვას მოესწრებოდნენ. რატომ ხდებოდა ასე? სწორედ იმიტომ, რომ ჩვენთვის ევროპა მხოლოდ წასასვლელი ადგილი როდია. იგი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფალი განვითარების სიმბოლოდ იქცა.

საქართველოსათვის ევროპისაკენ ლტოლვა - თავისუფლების სიყვარულის გამოხატულებაა, ხოლო ევროპული საქართველო თავისუფალი საქართველოა.

ქართველებისათვის ევროპელობა ნიშნავს თვისებას, ვიამაყოთ ჩვენი წარმომავლობითა და მიწა-წყლით ისე, როგორც სხვა ევროპელები ამაყობენ თავიანთი წარმომავლობითა და მიწა-წყლით. ევროპელობა ჩვენთვის ტოლერანტობისა და სხვა კულტურების დაფასების უნარს ნიშნავს და, ამ მხრივაც, ჩვენ არავის ტოლს არ დავუდებთ. ევროპელობა ჩვენთვის ნიშნავს უნარს, ვისწავლოთ სხვისგან, მაგრამ ასევე გავუზიაროთ მათ ჩვენი უნიკალური ცოდნა.

დღეს ჩვენი ისტორიული დღეა. ბოლო 2,5 წლის განმავლობაში ჩვენი დელეგაცია გამოდიოდა ფრანგულად და ინგლისურად. ნება მიბოძეთ, დღეს რამდენიმე სიტყვა, ასამბლეის და საქართველოს გასაგონად, ჩემს მშობლიურ ენაზე ვთქვა:

დღეს საქართველო საბოლოოდ ბრუნდება ევროპაში. დღეს, ჩვენ, საქართველოს პარლამენტის წევრები ვაცხადებთ: საქართველოს დამოუკიდებლობა ხელშეუხებელია, ქართველი ერის თვითმყოფადობა დაცულია და საქართველოს ევროპული არჩევანი შეუქცევადია.

ქართველი ერის დღევანდელი თაობა ვალდებულია, ყოველი წინა თაობის სანუკვარი ოცნება განახორციელოს. დღეს აქ, ევროპის მთავარ საპარლამენტო დარბაზში ჩვენთან ერთად სულხან-საბა

ორბელიანის სული იმყოფება. სამი საუკუნის წინ მისი ყველა მცდელობა თუ თხოვნა პასუხგაუცემელი დარჩა. დღეს, სულხან-საბა თავისი ოცნების აღსრულებას ჩვენთან ერთად ზეიმობს. (ისევ გადადის ინგლისურზე):

საქართველო ბრუნდება იქ, სადაც ნამდვილად ღირსია იყოს, თავისუფალ, დემოკრატიულ ევროპაში. ამ დაბრუნებაში, საპარ-ლამენტო ასამბლეის წევრებსაც დიდი წვლილი მიუძღვით.

მე მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი მოთმენისა და დახმარებისათვის, იმისათვის, რომ თქვენ იყავით ერთდროულად მკაცრნი და იყავით სამართლიანნი, ამავე დროს, ნამდვილი მეგო-ბრობა გაგვიწიეთ.

ახლა, სანამ კენჭისყრა შედგებოდეს, მე ერთი საბოლოო თხოვნა მაქვს თქვენდამი, ევროპის ყველა დემოკრატიული პარლამენტის წარმომადგენლებისადმი: დაგვიახლოვეთ და მიგვიღეთ, მოდით, ერთმანეთს დავეხმაროთ, რათა ვიყოთ კარგი ევროპელები დიდ გამოწვევათა მომავალ საუკუნეში.

ბატონმა რიზიმ (იტალია) თავის გამოსვლაში გაიხსენა ვიზ-იტი საქართველოში და შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან. მან უსურვა საქართველოს ხალხსა და პრეზიდენტს იმ მიზნების მიღწევა, რომლებისაკენაც ისინი ისწრაფვიან.

თურქეთის წარმომადგენელმა ბატონმა ტეკირმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველო არის თურქეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეზობელი და დასაფასებელი პარტნიორი დემოკრატიულ მსოფ-ლიოში. დელეგატმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს საქართველოს გაწევრიანებას, ვინაიდან ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ, რომელიც სწრაფად და შედეგიანად გადის გარდამავალ პერიოდს, დაიკავა თავისი კუთვნილი ადგილი საერთაშორისო ფორუმებზე, როგორც დამოუკიდებელმა და სუვერენულმა სახელმწიფომ.

თურქეთის წამომადგენლის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ესპან-ეთის წარმომადგენელი ბატონი სოლე ტურა.

ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი ქალბატონი ლანა ღოღობერიძე.

ქალბატონი ლანა ღოღობერიძის გამოსვლა[33]

უპირველეს ყოვლისა, მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო მომხსენებელს, განსაკუთრებით, ტერი დევისს, რომელიც ორჯერ ჩამოვიდა საქართველოში და შეეცადა ჩასწვდომოდა მოვლენათა არსს. შედეგად გვაქვს სერიოზული მოხსენება, სავსე პატივისცემით ქვეყნისადმი და მისი ხალხისადმი. ამავე დროს, მკაცრი, მომთხოვნი. მე თავიდანვე მინდა ვთქვა, რომ, ჩვენ არამარტო ვეთანხმებით ამ მოთხოვნებს, არამედ მთელი არსებით გვესმის მათი განხორციელების აუცილებლობა.

მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე, რომელიც სავსე იყო განსაცდელით, შემოსევებითა და დარბევებით, ჩვენ არაერთხელ ვაკაკუნეთ ევროპის კარზე. მაგრამ პირველად ხდება, რომ ევროპის დიდ და მშვენიერ სახლში ერთი პატარა ოთახი გვქონდეს. ამავე დროს, ჩვენი დიდი წვლილი შევიტანოთ ევროპის არქიტექტურის შეცვლაში, რომელიც ჩვენმა პრეზიდენტმა წამოიწყო. იმისათვის, რომ ინსტიტუტები უფრო ქმედითი გახდეს, რომ ურთიერთდახმარებამ და ერთმანეთზე დამოკიდებულებამ რეალური შინაარსი შეიძინონ.

ერებმა კარგად უნდა გაიზიარონ ის საერთო, რაც მათ სხვებთან ერთად მთლიანობად აქცევს. ამ თვალსაზრისით, მე მთლიანად ვხედავ, ჩვენი ისტორიული ფასეულობანი რამდენად ემთხვევა ევროპის საბჭოს ფასეულობებს: შემწყნარებლობა, ჩვენი მეფეების განსაკუთრებული დემოკრატიულობა, რაც მეღავნდებოდა გლეხებთან ურთიერთობაში, თამარ მეფის დეკრეტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. ალბათ, ამ საერთო ფასეულობათა გამო, ყველა მოქალაქის ოცნებაა საქართველო ეკუთვნოდეს ევროპას, ცხადია, მისი თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნებით.

ეს სახე იმდენად მომხიბვლელია, დიდი ევროპის დაპირისპირებათა გარეშე, რომ ეჭვიც კი ჩნდება: არის კი შესაძლებელი, რომ ეს იდეა რეალობად იქცეს? ეს არის უბრწყინვალესი, მაგრამ ძნელად მისაღწევი მიზანი.

მე ნათლად ვხედავ ამ დიდი ევროპის ძალას და სისუსტეებს. რაშია მისი ძალა? სხვადასხვა ისტორიული გზის, კულტურ-

---

[33] (წარმოთქმულია ფრანგულ ენაზე) "საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან", თბილისი, 1998, ტ. IV-V, გვ. 52.

ისა და პოლიტიკური დონის ქვეყნების გაერთიანებით, საერთო პრინციპები და იდეალები ძალას იკრებენ, იძენენ მეტ დინამიურობას. ეს შესაძლებელი გახდა, რადგანაც ჩვენ შევძელით იდეოლოგიური ქიმერების დამარცხება, არა მარტო ქვეყნის ჯერ კიდევ მყიფე დემოკრატიული წყობისათვის, არამედ მთელი ევროპული ერთობისათვის.

ნება მომეცით, დავასრულო ქართველი ფილოსოფოსის, მერაბ მამარდაშვილის სიტყვებით: თუ შენ გჯერა, რომ იესო ქრისტეს წამება დასრულდა სადღაც და ოდესღაც, 2000 წლის წინათ, შენ დაკარგული ხარ. იფიქრე, რომ ეს წამება ყოველთვის, ამ წუთას, აი აქ, შენს გვერდითაა და იმოქმედე.

მე ვფიქრობ, რომ აქ არის ევროპის საბჭოს ყველაზე მაღალი, სუფთა მისწრაფება.

დროის უკმარისობის გამო ვერ მოახერხეს გამოსვლა და სხდომის თავმჯდომარეს წერილობით გადასცეს თავისი დადებითი დასკვნები და მილოცვები: ბატონმა ანდრეოლიმ (სან მარინო); ბატონმა კლერფაიტმა (ბელგია); ბატონმა გულემ (საფრანგეთი) და ბატონმა მოროზოვმა (რუსეთი).

ამის შემდეგ გაიმართა დებატები, რომელზეც ბატონმა კელემენმა და ბატონმა დევისმა კვლავ დაადასტურეს თავისი კომიტეტების დადებითი პოზიცია საქართველოს გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების საკითხის განხილვის დასკვნით ეტაპზე სხდომას თავმჯდომარეობდა საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე, ლორდ რასელ ჯონსტონი, რომელმაც დებატები დახურულად გამოაცხადა.

თუმცა, დააკმაყოფილა შვეიცარიის წარმომადგენელის ბატონ რაფიის თხოვნა, რომელმაც განაცხადა: "მე მოვითხოვე 7 წამი, რათა გამომეხატა ჩემი შეხედულება, ვინაიდან, მსურს, ვთქვა რამდენიმე სიტყვა: ძვირფასო ქართველო კოლეგებო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!"[34]

სხდომის მონაწილეებმა პუნქტობრივად განიხილეს შეხედ-

---

[34] Parliamentary Assembly of the Council of Europe. 1999 Ordinary session. Official report Fourth Sitting . Tuesday 27 January 1999 at 10 a. m., p.130.

ულების პროექტი. განხილვაში მონაწილეობდნენ: ლორდ რასელ ჯონსტონი, სხდომის თავმჯდომარე; ბატონები - დევისი, კელემენი, რაფი, კოვალიოვი, ავერჩევი; ქალბატონები პობედინსკაია (რუსეთის ფედერაცია) და გელდერბლომ-ლანკჰაუტი (ნიდერლანდები), ლორდი ჯადი (დიდი ბრიტანეთი).

ჩატარდა კენჭისყრა. ასამბლეამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი შეხედულების პროექტს ევროპის საბჭოს წევრად საქართველოს მოწვევის შესახებ.

ასამბლეაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონი ზურაბ ჟვანიას გამოსვლა[15]

ბატონო პრეზიდენტო, პატივცემულო კოლეგებო,

ამ მომენტში უაღრესად აღელვებული და ემოციებით აღსავსე ვარ. პატივი მაქვს, მოგმართოთ ჩემი ქვეყნისათვის ამ ისტორიულ დღეს. ყოველგვარი გაზვიადების გარეშე მინდა ვთქვა, რომ ყოველი ქართველი, საქართველოს ყოველი მოქალაქე, ამ დარბაზიდან, ევროპის სასახლიდან ამბებს მოელის.

მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებას ეხმარებოდა, მათი ღვაწლი ფასდაუდებელია. ჩვენ ძალზე მადლობელი ვართ საპარლამენტო ასამბლეის ყოფილი პრეზიდენტის ქალბატონი ლენი ფიშერის, რომელმაც საქართველოს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეასთან თანამშრომლობის დაწყებისა და განვითარებისათვის უდიდესი ძალისხმევა გაიღო. მინდა გულითადად მივესალმო ლორდ რასელ ჯონსტონის ამ ასამბლეის პრეზიდენტად არჩევას.

ბატონო პრეზიდენტო, მადლობელი ვართ თქვენი თანადგომისათვის, მადლობელი ვართ მომხსენებლების, ბატონების - ტერი დევისისა და ანდრას კელემენის. ისინი, საქართველოში პირველი ჩამოსვლის დღიდანვე, პრინციპული და მკაცრი შემფასებლები იყვნენ, გაიღეს უდიდესი ენერგია და ძალისხმევა, რათა დეტალუ-

[15] (წარმოთქმულია ინგლისურ ენაზე) გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 24. 29 იანვარი.

რად შეესწავლათ საქართველოში მიმდინარე პროცესი და ვითარების ყველა წვრილმანი დეტალი. ახლა უკვე გვყავს ჩვენი ქვეყნის ნამდვილი მეგობრები, რომელთაც ზუსტი წარმოდგენა აქვთ იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოში და მის გარშემო.

მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა თქვენგანს, ვინც საქართველოს გაწევრიანებას ხმა მისცა, მადლობა გადავუხადო ყველა პოლიტიკური ჯგუფისა და სახელმწიფო დელეგაციის წარმომადგენელს. ყველა თქვენგანი გულწრფელად ეცადა, ჩვენი პრობლემები და ჩვენი სინამდვილე შეესწავლა და გაეგო, ჩვენი იმედები გაეზიარებინა. მინდა მადლობა მოვახსენო მათაც, ვინც ახალი ათასწლეულის ზღურბლზე, მსოფლიოს ამ ნაწილს რუსეთის მე-19 საუკუნის იმპერიული პოლიტიკური გეოგრაფიის კანონებით იხილავს. მადლობელი ვარ, რომ მათ ხელი არ შეუშალეს ასამბლეის კენჭისყრას, ისინიც მიესალმნენ საქართველოს ევროპის საბჭოში შესვლას.

ასამბლეას მოეხსენება, რომ საქართველო, მისი დამოუკიდებლობის პირველი წლიდან ისეთ ქაოსსა და განუკითხაობაში აღმოჩნდა, რომ ძნელად თუ ირწმუნებდა ვინმე ჩვენი სახელმწიფოს მომავალს გამოვცადეთ სამოქალაქო ომის სიმწარე, ეკონომიკის ნგრევისა და ურთულესი სოციალური კრიზისის მოწმენი გავხდით. დღეს საქართველო სულ სხვა ქვეყანაა. 1995 წლის აგვისტოში, ფართო პოლიტიკური კონსენსუსის შედეგად, კონსტიტუცია მივიღეთ. სწორედ ამიტომ კონსტიტუცია ერის გამთლიანებისა და ეროვნული თანხმობის ათვლის წერტილად იქცა. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებმა, რომლებიც ახალი კონსტიტუციის ბაზაზე გაიმართა, გზა გაუხსნა რადიკალურ რეფორმებს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში; ბოლო სამი წლის განმავლობაში ხუთასზე მეტი პრინციპული საკანონმდებლო აქტი მივიღეთ, წამოვიწყეთ კარდინალური იურიდიული რეფორმა, გავმართეთ ადგილობრივი არჩევნები. დღეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას პლურალისტური პოლიტიკის პოლიფონია წარმართავს. ძლიერი და დინამიკური სამოქალაქო სექტორი გავლენიან და დამოუკიდებელ მასმედიაზე დაყრდნობით ვითარდება. ასევე, ძლიერი და გავლენიანია არასამთავრობო ორგანიზაციები.

ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ის არის, რომ საქართველო ახალი რეგიონული არქიტექტურის ჩამოყალიბებაში მსოფლიოს ჩვენს ნაწილში საკვანძო როლს ასრულებს. რეგიონის მომავლის ჩვენეული ხედვა ეფუძნება ჩვენს რწმენას, რომ კასპიისა და შავი ზღვის რეგიონის უსაზღვრო ბუნებრივი რესურსები დაუსრულებელი კონფრონტაციის მაგივრად, რომლისგანაც ვერავინ ვერაფერს მოვიგებთ, საშუალებას გვაძლევს და უფრო მეტიც, რეგიონის ყველა ქვეყანას სთავაზობს ერთად მოვიგოთ თანამშრომლობით.

„ახალი აბრეშუმის გზის" კონცეფციას ახალ რეგიონულ წესრიგამდე მივყავართ, რომელიც მსოფლიოს ამ ნაწილში სტაბილურობასა და კეთილდღეობას ნიშნავს. ეს ჩვენი წვლილი იქნება ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში. არც ერთი ქვეყანა არ უნდა იყოს იზოლირებული ამ შესანიშნავი პერსპექტივისაგან.

შემთხვევით ვსარგებლობ და პატივცემულ კოლეგებს მივმართავ დაჩქარდეს ჩვენი უახლოესი მეზობლებისა და ძმების სომხეთისა და აზერბაიჯანის ევროპის საბჭოში გაწევრიანება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხელს შეუწყობს რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებას და მთელს რეგიონში თბილ და უფრო ძლიერი თანამშრომლობის სულისკვეთებას დაამკვიდრებს.

ჩვენ, როგორც ახალი დემოკრატიის ქვეყანას, ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს და მრავალი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. მე ვიზიარებ მომხსენებლებისა და პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის წევრების, დამატებების ავტორთა შენიშვნებს. ჩვენ ვცდილობთ, ყველა ეს პრობლემა საშინაო პოლიტიკის კონტექსტში მოვაგვაროთ. ჩვენთვის მისაღებია თქვენი პირობები და ვადები, რადგან თავისთავად, ეს პირობები და ვადები ჩვენი სამუშაო პროგრამის ნაწილია. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო ყველა იმ ვალდებულებას შეასრულებს, რომელთაც საპარლამენტო ასამბლეა მას აკისრებს.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დიდი წვლილი შეიტანა ახალი ევროპული წესრიგის ფორმირებაში, იმ წესრიგისა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გამყოფი ხაზებისა და კედლების გარეშე ვისაუბროთ დიდ ევროპაზე. ყველასათვის

თვალსაჩინოა მისი პირადი რწმენა და ძალისხმევა, საქართველო გამხდარიყო ამ ახალი არქიტექტურის, ახალი წესრიგის ნაწილი.

ევროპულ თანამეგობრობაში საქართველოს გაწევრიანება მხოლოდ მისი პრეზიდენტის ან პოლიტიკური ისტებლიშმენტის პრიორიტეტი არ არის. ეს ფუძემდებლური პრიორიტეტია, რომელიც ქართველი ხალხის სურვილს, ცნობიერებასა და მისწრაფებას ასახავს. ჩვენ გვჯერა საქართველოს მომავლის, რომელიც თავის ბუნებრივ ადგილსამყოფელს უბრუნდება, რომელიც თავის სახლში ბრუნდება, თავისუფალი ერების ევროპულ ოჯახში.

ევროპის საბჭოში გაერთიანება არის ჩვენი პოლიტიკური არჩევანი და იმის გაცხადება, რომ ის ფასეულობები, რომელთაც ქართული საზოგადოება ეფუძნება - პლურალიზმი, საზოგადოების მრავალფეროვნების პატივისცემა, ტრადიციული შემწყნარებლობა, პიროვნების ღირსების დაცვა და ყოველი ცალკეული ადამიანის უფლებების უზენაესობა, ქართველთათვის ჭეშმარიტი ღირებულებებია.

ჩვენ საუკუნეების განმავლობაში ვიბრძოდით, რომ შეგვენარჩუნებინა დამოუკიდებლობა და ეროვნული თვითმყოფადობა, ვოცნებობდით იმ დროზე, როდესაც ჩვენს სახლს, ევროპას დავუბრუნდებოდით.

მე ვფიქრობ, თქვენ შეძლებთ გაიგოთ ჩემი და ჩემი მეგობრების, საქართველოს დელეგაციის წევრების ემოციები, რადგან ჩვენ უაღრესად ბედნიერები და ამაყები ვართ იმით, რომ ჩვენს თაობას წილად ხვდა პრივილეგია, ამ დარბაზში განაცხადოს: მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი.

ბატონი ზურაბ ჟვანიას გამოსვლის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ, ლორდმა რასელ ჯონსტონმა დღის წესრიგის აღნიშნული საკითხის განხილვა დასრულებულად გამოაცხადა, მიმართა რა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ზურაბ ჟვანიას, თქვა: "ჩვენ გეუბნებით კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს რიგებში".[36]

ტერი დევისის მოხსენების განხილვის საფუძველზე,

---

[36] Parliamentary Assembly of the Council of Europe. 1999 Ordinary session. Official report Fourth Sitting . Tuesday 27 January 1999 at 10 a. m. p .136

საპარლამენტო ასამბლეამ 1999 წლის 27 იანვარს 209-ე რეზოლუციით რეკომენდაცია მისცა მინისტრთა კომიტეტს, მიეწვია საქართველო ევროპის საბჭოს სრულუფლებიან წევრად.

1999 წლის 28 იანვარს გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიმართვა თანამემამულეებისადმი, საქართველოსათვის ისტორიულ დღესთან დაკავშირებით. საქართველომ მიაღწია მიზანს, რომლისაკენაც ქვეყანა, მრავალჭირგამოვლილი ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ისწრაფვოდა. პრეზიდენტმა მიულოცა საქართველოს ყველა მოქალაქეს ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა, მადლიერების სიტყვებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, ევროპის საბჭოს, რომელთა ერთობლივ საქმიანობასაც საქართველოს ევროპის საბჭოს წევრად აღიარება მოჰყვა. ვაქვეყნებთ ამ მიმართვის სრულ ტექსტს.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიმართვა თანამემამულეებისადმი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით[37]

ძვირფასო თანამემამულენო,

დღეს, სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანებას.

ევროპის საბჭომ საქართველო მიიღო, როგორც მთლიანი და განუყოფელი ქვეყანა, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საზღვრებში.

ჩვენი ქვეყნისათვის ამ ისტორიულ სხდომას ესწრებოდა საქართველოს წარმომადგენლობითი საპარლამენტო დელეგაცია, პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონ ზურაბ ჟვანიას მეთაურობით.

უახლოეს მომავალში სტრასბურგში გაიმართება ასევე ისტორიული ცერემონიალი - საზეიმოდ აღიმართება საქართველოს დროშა.

---

[37] გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა". 23. 28 იანვარი, 1999 წელი.

ამ ისტორიული დღისაკენ ჩვენი ქვეყანა, მრავალჭირგამოვლილი ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ისწრაფოდა.

ქართული კულტურა, ქართული ცივილიზაცია ევროპული იყო თავისი შინაარსით. საქართველო ევროპულ სივრცეში ბრუნდება ამ შინაარსის, შინაგანი რწმენისა და სულისკვეთების დაუკარგავად. ჩვენს ქვეყანას ევროპული კულტურის საგანძურში შეაქვს სულიერი და მატერიალური კულტურის მრავალი ბრწყინვალე ძეგლი, რომელიც ელვარებას შემატებს დიდ საერთოევროპულ ცივილიზაციას. საქართველო ევროპაში ბრუნდება წვითა და დაგვით მოპოვებული, ომებში შენარჩუნებული ეროვნული სახელმწიფოებრიობით, რომლის სამი ათას წლისთავს სულ მალე აღვნიშნავთ.

ასრულდება ოცნება მრავალი თაობის გულმხურვალე მამულიშვილებისა, რომელთა ლტოლვა და ნატვრა ისევ და ისევ სრულიად საქართველოს, ქართველი ერის მისწრაფებებს გამოხატავდა.

ამ ბოლო წლებში მეც მქონდა ბედნიერება მევლო ჩვენს დიდ მამულიშვილთა ნაკვალევზე. 1997 წელს, სტრასბურგში, ევროსაბჭოს სამიტზე გამოსვლისას ჩემი ერის სახელით განვაცხადე: "ჩვენ შემოვდივართ ევროპაში, რათა შევესისხლხორცოთ მის ცხოველ ვაზს ლერწად და მტევნად. შემოვდივართ, რათა შევმატოთ ჩვენი წვლილი ევროპული კულტურის მხსნელ მისიას და ვპოვოთ მასში გზა საკუთარი ხსნისა".

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ხდება სწორედ ახლა, ჩვენი ისტორიის გადამწყვეტ მომენტში, როდესაც ყოველმხრივი რეფორმების, სახელმწიფოებრიობის საბოლოო დაფუძნებისა და სრულყოფის პროცესი უმთავრეს მიჯნას მიუახლოვდა, ხოლო საქართველო, როგორც გეოპოლიტიკის სუბიექტი, გლობალური მნიშვნელობის პროექტებში სულ უფრო მნიშვნელოვან ფუნქციას იძენს.

ევროპის საბჭოში გაწევრიანება არა მხოლოდ ამ ახალი ფუნქციის აღიარებაა ევროპის მიერ. ევროპული ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრობა, XXI საუკუნის ევროპული არქიტექტურის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა საქართველოს საშუ-

ალებას მისცემს, კიდევ უფრო განიმტკიცოს ეროვნული სახელმწიფოებრიობა, დამოუკიდებლობა, საბოლოოდ მოაგვაროს პრობლემები, რომლებიც ტრაგიკული, ძმათამკვლელი კონფლიქტების შედეგად წარმოიშვა. საქართველოსათვის ევროპის საბჭოს წევრობა ნიშნავს იმ ჰუმანისტური, დემოკრატიული და სამართლებრივი ფასეულობების აღიარებას, რომლებსაც ეფუძნება ევროპული ცივილიზაცია.

ევროპული ინტეგრაცია გულისხმობს ინტეგრაციას საერთო დემოკრატიულ და სამართლებრივ სივრცეში, კანონის უზენაესობით, ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უპირობო პატივისცემით, პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიული შერწყმით.

პარტნიორობა ევროპის სახელმწიფოებთან, საერთო ევროპული სახლის ფარგლებში, საქართველოს ავალდებულებს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ერთა და სახელმწიფოთა ცივილიზებული თანაარსებობისა და მჭიდრო, ურთიერთხელსაყრელი ინტეგრაციის საერთო ფორმულის შემუშავებაში, ისევე, როგორც ევროპულ ოჯახს აკისრებს პასუხისმგებლობას ყოველგვარი ხელყოფისა და აგრესიისაგან დაიცვას საქართველოს, როგორც სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოს კანონიერი უფლებები.

ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანება ხელს შეუწყობს მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას კავკასიაში. ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ერთდროულ მიღებას, მაგრამ რაკი ასე გადაწყდა, კვლავაც ვადასტურებთ, რომ ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის უსწრაფეს გაერთიანებას ამ ორგანიზაციაში, რათა კონსტრუქციული თანამშრომლობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების სულისკვეთება, საერთოევროპულთან ერთად, საერთოკავკასიურიც იყოს.

ჩემთვის, როგორც საქართველოს პრეზიდენტისათვის, განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა ერთიან პოზიციაზე იდგა. საპარლამენტო უმრავლესობისა თუ უმცირესობის, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიე-

ბის წარმომადგენლები, რომლებიც განურჩევლად მრწამსისა, შეხედულებებისა, საზოგადოებრივი თუ სოციალური კონცეფციისა, მაინც ერთიან, დემოკრატიულ პოლიტიკურ სპექტრს შეადგენენ, ერთმნიშვნელოვნად უჭერენ მხარს საქართველოს შესვლას დიდ საერთოევროპულ ოჯახში.

წინააღმდეგნი იყვნენ და არიან მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ავისმოსურნენი, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, რომელთა მიზანი კვლავინდებურად ერთია: ხელყონ ჩვენი ქვეყნის ინტერესები, მისი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

მინდა დიდი მადლობა ვუთხრა საქართველოს პარლამენტის ყველა წევრს, ვინც წლების განმავლობაში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში აქტიური მუშაობით გვაახლოებდა ამ გამარჯვებასთან. მადლობას მოვახსენებ ევროპის საბჭოს ხელმძღვანელობას, პირადად ქალბატონ ლენი ფიშერს, თითოეულ ევროპელ დეპუტატს, მივესალმები საპარლამენტო ასამბლეის ახალ ლიდერს, ლორდ რასელ ჯონსტონს და გამოვთქვამ შემდგომი აქტიური და სასარგებლო თანამშრომლობის გულწრფელ სურვილს.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ამ დიდ გამარჯვებას სრულიად საქართველოს, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს.

ევროპის საბჭოში გაწევრიანება გახდება ბრწყინვალე ნიშანსვეტი ახალი ათასწლეულისა, რომელშიც საქართველო ევროპული ოჯახის სრულუფლებიან წევრად შეაბიჯებს.

ედუარდ შევარდნაძე
27 იანვარი, 1999 წელი

საქართველოს მზადება ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრობისათვის

1999 წლის 12 თებერვალს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი ლორდი რასელ ჯონსტონი.

ლორდმა რასელ ჯონსტონმა პარლამენტის თავმჯდომარესთან საუბრისას აღნიშნა: "მე ჩამოვედი ევროპის წევრ სახელმწიფოში, რომელიც აღიარებს დემოკრატიულ ფასეულობებს და მათი ერთგულია. უაღრესად მოხარული ვარ, რომ აქ ვიმყოფები, ჩემს მეგობრებთან".

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა იმავე დღესვე ორთაჭალის ციხის მეთოთხმეტე იზოლატორი მოინახულა და გაეცნო იქ არსებულ მდგომარეობას. როგორც პარლამენტარ ელენე თევდორაძესთან და სასჯელთა აღსრულების ადგილების სამმართველოს უფროსთან გივი ყვარელაშვილთან საუბრისას სტუმარმა აღნიშნა, პენიტენციალური სისტემა ყველა სახელმწიფოში ურთულესი სფერეა. მასში მძაფრად აისახება ამა თუ იმ ქვეყნის სოციალური მდგომარეობა. პატიმართა უფლებების დაცვა და მათთვის სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავება საკმაოდ დიდ თანხებს უკავშირდება, მაგრამ ეს აუცილებელია და საზოგადოების ვალიცაა.

საქართველოში კეთდება და კლავაც გაკეთდება ყველაფერი იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა ევროპის საბჭოს მართლაც ღირსეული წევრი იყოს, აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ვაჟა ლორთქიფანიძისა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის, ლორდ რასელ ჯონსტონის შეხვედრაზე.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარეს მიაწოდა ინფორმაცია

საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, გააცნო კონფლიქტების მოწესრიგების პროცესის მიმდინარეობა, ქვეყნის განვითარების პერსპექტივები.

15 თებერვალს ლორდი რასელ ჯონსტონი მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველოს სახელმწიფო მეთაურმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა რასელ ჯონსტონს ჩვენი ქვეყნის ევროპის სტრუქტურაში მიღების საკითხის განხილვის დროს აქტიური თანადგომისა და მხარდაჭერისათვის და აღნიშნა: "ყოველმხრივ ვეცდებით შევასრულოთ არამხოლოდ ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას ნაკისრი ვალდებულებები, არამედ ვიყოთ ევროსაბჭოს სამაგალითო წევრი სახელმწიფო. ჩვენ ევროპის საბჭოში გაწევრიანებას განვიხილავთ, როგორც ჩვენი ქვეყნის უმძიმესი წარსულის დასრულებას, საუკუნეთა განმავლობაში ევროპაში დაბრუნების ოცნების რეალურ ხორცშესხმას."

საქართველო იმსახურებს, რომ ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი იყოს, განაცხადა რასელ ჯონსტონმა და აღნიშნა, რომ საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარედ ყოფნის პერიოდში ძალისხმევას არ დაიშურებს იმისთვის, რათა ხელი შეუწყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და არსებული სირთულეების დაძლევას. ევროპელმა სტუმარმა ხაზი გაუსვა, ასევე, კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების აუცილებლობას.

საქართველოს პრეზიდენტი მოწონებით შეხვდა საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის წინადადებას უახლოეს მომავალში სტრასბურგში საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის საკანონმდებლო ორგანოთა ხელმძღვანელების შეხვედრის შესახებ.

ედუარდ შევარდნაძემ და რასელ ჯონსტონმა ყურადღება მიაპყრეს, ასევე, რეგიონში არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას, განიხილეს საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა აქტუალური საკითხები.

რასელ ჯონსტონისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ევროპის საბჭოში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ საქართველოს, როგორც

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნის როლს სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ის გარემოება, რომ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს სომხეთსა და აზერბაიჯანთან, საპარლამენტო დელეგაციები მუშაობენ კანონმდებლობათა ჰარმონიზაციაზე, რასელ ჯონსტონის შეფასებით, რეგიონული თანამშრომლობის კარგი მაგალითია და ეს საფუძვლად დაედება რეგიონში სტაბილურობის დამყარებას. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მზად არის ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ამ პროცესს და გამოთქვა მოსაზრება, ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს ეგიდით მოეწყოს სპეციალური კონფერენცია.

ასევე, აღინიშნა, რომ სამხრეთ კავკასიაში ევროინტეგრაციის ტენდენცია მკაფიოდ არის გამოკვეთილი და ამ პროცესში სომხეთისა და აზერბაიჯანის აქტიური ჩართვა სულ ახლო მომავალში პრაქტიკულად რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური რეალობის ჩამოყალიბებას განაპირობებს. მით უმეტეს, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ლორდ რასელ ჯონსტონმა საინაუგურაციო სიტყვაში კავკასია თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ერთერთ პრიორიტეტად დაასახელა.

შეხვედრის დასასრულს ლორდმა რასელ ჯონსტონმა საქართველოს პარლამენტის საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი რასელ ჯონსტონი შეხვდა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრებს.

გაიმართა მისი შეხვედრა საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლებთანაც.

ფრაქციების „სახალხო პარტიის", „აღორძინებისა" და „მაჟორიტარი-სოციალისტის" წარმომადგენლებმა თავიანთი დამოკიდებულება ევროპის საბჭოში საქართველოს გაერთიანებასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გამოხატეს და აღნიშნეს, რომ სრულად იზიარებენ საქართველოს მთავრობისა და ხელისუფლების დამოკიდებულებას ამ მოვლენის მიმართ.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი 15

თებერვალს მიიღო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

„მადლობელი ვარ ყველაფრისათვის, რასაც საქართველოსთვის აკეთებთ, ეს ნაბიჯი დიდი მხარდაჭერაა ჩვენს ქვეყანასა და მთელ კავკასიაში სტაბილური მშვიდობის დასამყარებლად," აღნიშნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარეს შეხვედრები ჰქონდა ქ. ცხინვალში.

ლორდ რასელ ჯონსტონმა გამართა პრესკონფერენცია. ჟურნალისტებთან შეხვედრისას მან აღნიშნა, რომ ევროპის საბჭო ევროპის სუვერენული ქვეყნების თავისუფალი გაერთიანებაა და მასში შემავალი ქვეყნები ცდილობენ საერთო თანამშრომლობით ერთიანი სტანდარტების ჩამოყალიბებას, რაც, სხვა საკითხებთან ერთად, ამ ქვეყნებისა და ერების სულიერი კულტურის მხარდაჭერასა და თავისუფალ განვითარებას გულისხმობს. ჩემი ვიზიტის მიზანია, თქვა მან, რომ ერთხელ კიდევ გავუსვა ხაზი საქართველოს დიდ ევროპულ ოჯახში გაერთიანებას და, ამასთან, სურვილი მაქვს, როგორც საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარეს, სრული წარმოდგენა მქონდეს თქვენი ქვეყნის შესახებ.

სულ მალე ლორდ რასელ ჯონსტონის ინიციატივა რეალობად იქცა: ევროპის საბჭოს ეგიდით დაიწყო დიალოგი კავკასიაში მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

1999 წლის 15 მარტს სტრასბურგში ევროპის საბჭოს ეგიდით გაიმართა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა პარლამენტების თავმჯდომარეთა სამმხრივი შეხვედრა, რომელზედაც სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლებმა მოაწერეს ხელი ერთობლივ დეკლარაციას.

ეს ფაქტი შეიძლება შეფასდეს, როგორც ისტორიული შანსი რეგიონში ახალი ურთიერთობების განვითარებისათვის და წინაპირობა მშვიდობიანი კავკასიის იდეის განხორციელებისათვის. სამმხრივი შეხვედრა იყო უპრეცედენტო მოვლენა, როცა სომხეთისა და აზერბაიჯანის პარლამენტების ლიდერები ერთმანეთის პირდაპირ დასხდნენ მოლაპარაკებათა მაგიდასთან. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა, ლორდმა რასელ

ჯონსტონმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა შეხვედრის მონაწილეებს და ხაზი გაუსვა იმ წვლილს, რომელიც საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ და პირადად ბატონმა ზურაბ ჟვანიამ გაიღეს შეხვედრის წარმატებით ჩატარებისათვის.

დაიწყო დიალოგი და ეს დიალოგი საერთო ევროპულ კონტექსტში წარიმართება. სტრასბურგშივე გადაწყდა, რომ ანალოგიური სამმხრივი შეხვედრები რეგულარულად გაიმართება სამივე სახელმწიფოს დედაქალაქებში. პირველი შეხვედრის ადგილად დასახელდა თბილისი.

სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პარლამენტების თავმჯდომარეთა ერთობლივ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ სომხეთის პარლამენტის სპიკერი, ბატონი ხოსროვ არუთუნიანი, აზერბაიჯანის პარლამენტის სპიკერი, ბატონი მურთუზ ალესკეროვი და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ბატონი ზურაბ ჟვანია დიდად აფასებენ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის, ლორდ რასელ ჯონსტონის ინიციატივას 1999 წლის 15 მარტს სტრასბურგში მათი შეხვედრის გამართვის თაობაზე. მიუთითებენ თავიანთი ხალხების სურვილს, იცხოვრონ მშვიდობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ატმოსფეროში.

დემოკრატიულმა ცვლილებებმა, რითაც დასრულდა ტოტალიტარული ერა სამხრეთ კავკასიის სამსავე რესპუბლიკაში, შექმნა ისტორიული შესაძლებლობა ამ რეგიონში ახალი ურთიერთობების განვითარებისათვის. ასეთი ურთიერთობები უნდა დაეფუძნოს დიალოგსა და თანამშრომლობას. ამრიგად, სამხრეთ კავკასიას შეუძლია გახდეს სტაბილურობისა და დემოკრატიული უსაფრთხოების რეგიონი, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ განვითარებასა და რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. მშვიდობიანი და აყვავებული მომავლის იმედს საფრთხე არ უნდა შეუქმნან ტერიტორიულმა ამბიციებმა, აგრესიულმა ნაციონალიზმმა, აღნიშნულია დეკლარაციაში.

საკანონმდებლო ორგანოების ხელმძღვანელებმა მიიჩნიეს, რომ პარლამენტებმა უნდა შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი რეგიონული თანამშრომლობის განვითარებასა და ნდობის ატმოსფ-

ეროს შექმნაში, ტოლერანტობის დამკვიდრებაში. აქედან გამომდინარე, გადაწყვიტეს დაიწყონ დიალოგი საპარლამენტო დონეზე ისეთი საკითხების განხილვისათვის, როგორიცაა კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, ადამიანის უფლებების დაცვა, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა, ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა მდგომარეობა, სამხედრო ტყვეების და მძევლების გაცვლა და სასაზღვრო თანამშრომლობა.

განაცხადეს რა სურვილი, გახდნენ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, სომხეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ ნათლად გამოხატეს ნება გახდნენ ევროპული დემოკრატიული ოჯახის შემადგენელი ნაწილი და გაიზიარონ და დაიცვან ევროპული ღირებებულები.

არსებული პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს მოწვევას ევროპის საბჭოს წევრად წინ უძღოდა პროცედურები ევროპის საბჭოს სტრუქტურებში.

1999 წლის 19 თებერვალს ქ. სტრასბურგში გაიმართა ევროპის საბჭოში სახელმწიფოთა მუდმივი წარმომადგენლების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ერთი ნაწილი ეხებოდა ევროპის საბჭოში საქართველოს მიწვევის საკითხს.

უნგრეთის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ[38] შეიტანა წინადადება, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს საქართველოს მოწვევის საკითხი განეხილა 24 თებერვალს. გაიმართა დებატები.

ნიდერლანდების წარმომადგენელმა გამოთქვა გარკვეული შენიშვნები საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ დოკუმენტში (Opinion № 209) მოცემულ საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. კერძოდ:

იმისათვის, რომ საქართველომ შექმნას საკანონმდებლო ჩარჩოები, რომლითაც განისაზღვრება ავტონომიური ტერიტორიების სტატუსი მათი ფართო ავტონომიის გარანტიით, დადგენილია გაწევრიანებიდან ორი წლის ვადა. ეს დრო არ იქნება საკმარისი, რამდენადაც ავტონომიის პირობები უნდა გახდეს აღნიშნული

---

[38] ამ პერიოდში მინისტრთა კომიტეტს თავმჯდომარეობდა უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ტერიტორიების წარმომადგენლებთან მოლაპარაკების საგანი.

აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების შესახებ ჩაწერილ პუნქტთან დაკავშირებით კი ნიდერლანდების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ საჭიროა უფრო შესაფერისი რედაქციის მოძებნა.

რაც შეეხება პუნქტს რეფორმების განხორციელების შესახებ, ნიდერლანდების წარმომადგენელმა მიზანშეწონილად მიიჩნია მისი დეტალური განმარტება და ვადების მითითება.

საფრანგეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი დამოკიდებულება პოზიტიურია, მაგრამ ფრთხილი. იგი მომხრეა, რომ საქართველო ევროპის საბჭოს 50 წლისთავისათვის უკვე წევრი იყოს. მან, აგრეთვე, შენიშნა, რომ მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციაში საქართველოს ვალდებულებების ზოგადად მოხსენიება საკმარისი არ იქნება და საჭიროა საქართველოს მთავრობის განცხადება, რომელშიაც აისახება მისი ნება ვალდებულებებთან მიმართებაში.

უკრაინის წარმომადგენელიც მიესალმა საქართველოს მომავალ გაწევრიანებას და, ამასთან, აღნიშნა, რომ დოკუმენტის პუნქტში 10 I ჟენევის კონვენციის სახელი არ არის სწორად ფორმულირებული.

რუსეთის წარმომადგენელმა, არ მიიჩნია საჭიროდ წარმოდგენილი დოკუმენტის ნაწილებად დაშლა და გადაკეთება. მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ განცხადების გაკეთების წინადადებას.

თურქეთის წარმომადგენელმა დასვა შეკითხვა, თუ რატომ არის პუნქტში 10 II e ფორმულირება "მესხი მოსახლეობა" და არ არის ნახსენები "თურქები".

თავმჯდომარემ მას მისცა სათანადო განმარტება.

ელჩებმა ძირითადად მხარი დაუჭირეს საქართველოს გაწევრიანებას ევროპის საბჭოში და დაავალეს გენერალურ სამდივნოს სათანადო დოკუმენტის მომზადება.

უნგრეთის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ შეიტანა წინადადება, რომლის მიხედვითაც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს საქართველოს მიწვევის საკითხი უნდა განეხილა 24 თებერვალს. გაიმართა დებატები.

1999 წლის 10 მარტს, დემოკრატიულ სტაბილურობაზე მომხსენებელთა ჯგუფის სხდომის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოზე მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციის პროექტი. ჯგუფის სხდომაზე გამოითქვა წინადადებები ევროპის საბჭოში საქართველოს მოწვევასთან დაკავშირებულ რეზოლუციის პროექტში ორი ცვლილების შეტანის თაობაზე.

პირველი შეეხება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის რატიფიკაციას. რეზოლუციის პირველ ვარიანტში ჩაწერილი იყო, რომ დასახელებული კონვენციის რატიფიკაცია უნდა მოხდეს შესაძლებლად მოკლე ვადაში (As soon as possible). ახალ ვარიანტში ვადა კონკრეტულად არის განსაზღვრული გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში.

მეორე ცვლილება შეეხება იმ აბზაცს, სადაც ლაპარაკია ვალდებულებებზე (მე-6 აბზაცი). პირველ ვარიანტში ნათქვამი იყო: იმ ვალდებულებათა შუქზე ..., ახალ ვარიანტში კი მითითებულია: იმ ვალდებულებათა შუქზე, რომლებსაც შეიცავს საპარლამენტო ასამბლეის აზრი № 209 ანუ პირდაპირი მითითებაა დოკუმენტზე.

დემოკრატიული სტაბილურობის შესახებ მომხსენებელთა ჯგუფის სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ მინისტრთა კომიტეტმა წერილი გაუგზავნოს საქართველოს მთავრობას, რომლითაც გააცნობს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციას საქართველოს ევროპის საბჭოში მოწვევის შესახებ და, ამასთან, გამოთქვამს იმ სურვილებს, რასაც საქართველოსაგან ელის ევროპის საბჭო.

წერილში, აგრეთვე, ყურადღება მიექცევა შემდეგ მომენტებს:

საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხი;

ფართო ავტონომიის საკითხი;

კორუფციასთან ბრძოლა;

ევროპის საბჭოს დახმარება აღნიშნულ საკითხებში.

საინტერესოა ამ შეხვედრაზე ზოგიერთი ქვეყნის მუდმივი წარმომადგენლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

შვედეთის ელჩმა მიუთითა, რომ აღნიშნულ წერილში კონფლიქტების ხსენება ერთგვარი სიგნალი იქნება საქართველოს ორი მეზობლისათვის, რომლებსაც სურთ ევროპის საბჭოში გაწევრიანება.

რუსეთის ელჩმა შეიტანა წინადადება ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებით.

რუსეთმა კვლავ დაადასტურა თავისი პოზიცია, რომლითაც მოითხოვა რეზოლუციაში ყველა ვალდებულების გადმოტანა № 209 დოკუმენტიდან, ხოლო, როდესაც მის წინადადებას მხარი არ დაუჭირეს, მან სხდომას შესთავაზა ვალდებულებების მე-10 მუხლის II პუნქტის b ქვეპუნქტის (რომლითაც საქართველოს ევალება ორი წლის განმავლობაში ავტონომიური ტერიტორიების სტატუსის განმსაზღვრელი სამართლებრივი ბაზისის შემუშავება) ჩართვა რეზოლუციაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მითითებით.

ამას არ დაეთანხმა ევროპის საბჭოს პოლიტიკური დირექტორი ბატონი ჰანს-პეტერ ფურერი, რომელმაც ხაზი გაუსვა, რომ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების არსი სხვადასხვაა და, მისი აზრით, არ შეიძლება საქართველოს მოეთხოვოს ცალმხრივად განსაზღვროს აღნიშნული სტატუსი და შესაბამისად მას დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგით დადგინდება, რომ ეს ვალდებულება ვერ სრულდება.

დიდი ბრიტანეთის ელჩმა აღნიშნა, რომ 209-ე დოკუმენტიდან ზოგი ვალდებულების გადმოტანა ნიშნავს იმას, რომ გარკვეული ვალდებულებები უფრო თანაბარია, ვიდრე სხვა.

შეხვედრის შედეგად შედგენილი იქნა რეზიუმე, რომელიც გადაეცა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს. მომხსენებელთა ჯგუფმა პრინციპულად დაუჭირა მხარი საქართველოს მოწვევას ევროპის საბჭოში.

1999 წლის 18 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენალარიშვილმა წერილით მიმართა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ბატონ იანოშ მარტონს:

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის წერილი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ბატონი იანოშ მარტონისადმი[39]

ბატონო მინისტრო,

დიდი სიხარული მომანიჭა თქვენი წერილის მიღებამ, რომელიც ეხება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის განზრახვას, მოადგილეთა მორიგ სხდომაზე, 1999 წლის 23-24 მარტს, მიიღოს გადაწყვეტილება, მიიწვიოს საქართველო ევროპის საბჭოს წევრად.

დიდი პატივია ჩემთვის, კიდევ ერთხელ გამოვხატო გულწრფელი მადლიერება ყველას მიმართ, ვინც ხელი შეუწყო საქართველოს გაწევრიანებას ევროპის საბჭოში. ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ იმ დიდ ინტერესს, რომელიც წევრმა ქვეყნებმა გამოიჩინეს საქართველოს განაცხადისადმი, გაწევრიანდეს ევროპის საბჭოში. როგორც მოგეხსენებათ, ხსენებული განაცხადი და შემდგომ საპარლამენტო ასამბლეის აზრი № 209 (1999) იყო ზედმიწევნით შესწავლილი არა მხოლოდ პატივცემული მომხსენებლების მიერ, რომლებიც იყვნენ ამისათვის დანიშნულნი საპარლამენტო ასამბლეისა და მისი კომიტეტების მიერ, არამედ, აგრეთვე, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თითოეული ეროვნული დელეგაციის მიერ.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ევროპის საბჭოში გაწევრიანებას მიიჩნევს ევროპის დემოკრატიულ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხანგრძლივი პროცესის დასაწყისად.

№ 209 (1999) აზრში ჩამოყალიბებული ვალდებულებების სია არის ნაყოფი ერთობლივი ძალისხმევისა და დაძაბული მუშაობისა, რომელიც ჩვენ ევროპის საბჭოსთან ერთად დავიწყეთ 1996 წლის სექტემბერში.

საქართველოს მთავრობა მას მიიჩნევს როგორც ერთობლივ მიღწევას, რომელიც ჩვენს ქვეყანას დაეხმარება დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში, სადაც დაცული იქნება სამართ-

[39] არაოფიციალური თარგმანი.

ლის უზენაესობა და უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა.

ჩემთვის პატივია, დავარწმუნო მინისტრთა კომიტეტი, რომ საქართველოს მთავრობას გააჩნია მტკიცე ვალდებულება, შეასრულოს საპარლამენტო ასამბლეის № 209 (1999) მე-10 პუნქტში მოცემული ვალდებულებები დასახულ ვადებში.

მსურს გაცნობოთ, რომ რიგი საკითხებისა უკვე შესულია ჩვენი მთავრობის დღის წესრიგში. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 28 თებერვლის № 84 ბრძანებულების მე-5 პარაგრაფის მე-2 პუნქტის თანახმად, უახლოეს მომავალში დაგეგმილია ამ ვალდებულებათა შესრულების მთავრობის სამოქმედო გეგმის მიღება. მთავრობა მიესალმება მჭიდრო თანამშრომლობას ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტთან, აგრეთვე, საპარლამენტო ასამბლეასთან და ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მმართველობის კონგრესთან და დიდ იმედს ამყარებს მათ მხარდაჭერაზე საქართველოში რეფორმების გაძლიერებისა და დაჩქარების საქმეში.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოში რეფორმების გაგრძელება ხელისუფლების სამსავე შტოს შორის მტკიცე პოლიტიკური ნებისა და კონსენსუსის საგანია.

როგორც მოგეხსენებათ, ბატონო მინისტრო, სხვა სერიოზულ ნაბიჯებთან ერთად ჩვენ საქართველოში დავიწყეთ გაბედული სამართლებრივი რეფორმა. პროკურატურისა და პოლიციის სისტემებიც განიცდიან მნიშვნელოვან ცვლილებებს. მერწმუნეთ, რომ ეს პროცესი შეუქცევადია. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ საჭიროა მეტი ერთობლივი ძალისხმევა ამ საკითხებში. კორუფციასთან ბრძოლა უმნიშვნელოვანესი საზრუნავია საქართველოს მთავრობისათვის. საქართველოში უკვე მიღებულია კორუფციასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ემყარება "კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის 20 სახელმძღვანელო პრინციპს" და ამ დარგში ჩვენს საკუთარ გამოცდილებას. საქართველომ 1999 წლის იანვარში ხელი მოაწერა "კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციას" და ამჟამად მონაწილეობს "კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენციის" შემუშავებაში, ევროპის

საბჭოს "კორუფციის მრავალდარგობრივი ჯგუფის (GMC)" ფარგლებში.

საქართველოს მთავრობა კვლავაც არ დაიშურებს ძალისხმევას ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ევროპის საბჭოს, მათ შორის, ვენეციის კომისიის როლი მეტად მნიშვნელოვანია ავტონომიური ტერიტორიებისათვის სტატუსის განმსაზღვრელი სამართლებრივი ბაზის შემუშავებაში, რაც მათ ფართო ავტონომიის გარანტიას მისცემს. ჩვენ მივესალმებით ევროპის საბჭოს მზადყოფნას, ხელი შეუწყოს საქართველოს ამ საქმიანობაში ევროპის გამოცდილების გამოყენებით.

კიდევ ერთხელ მტკიცედ გარწმუნებთ, რომ საქართველოს მთავრობა სათანადოდ შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც დაეკისრა მას საპარლამენტო ასამბლეის აზრის თანახმად.

მოუთმენლად ველი, ბატონო მინისტრო, თქვენთან კვლავ შეხვედრას სტრასბურგში, გაწევრიანების ცერემონიალზე.

გარწმუნებთ თქვენდამი ჩემს ღრმა პატივისცემაში.

ირაკლი მენაღარიშვილი

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია საქართველოს ევროპის საბჭოს სრულუფლებიან წევრად მიწვევის შესახებ

მინისტრთა კომიტეტმა 23-24 მარტს გამართულ 665-ე შეხვედრაზე განიხილა საქართველოს მოწვევის საკითხი. აღიარა რა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების შეუქცევადი ხასიათი, მიიღო რეზოლუცია, რომლითაც საქართველო მიიწვია ევროპის საბჭოს სრულუფლებიან წევრად.

რეზოლუცია (99) 4
მოწვევა საქართველოს ევროპის საბჭოს წევრად მიღების შესახებ

(მიღებული 1999 წლის 24 მარტს მინისტრთა კომიტეტის მინისტრთა მოადგილეების 665-ე შეხვედრაზე)

მინისტრთა კომიტეტი,

ითვალისწინებს რა საქართველოს სურვილს გახდეს ევროპის საბჭოს წევრი;

მხედველობაში იღებს რა საქართველოს მთავრობის განზრახვას ხელი მოაწეროს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის კონვენციას, აღნიშნული მთავრობის მიერ ევროპის საბჭოს წესდებასთან შეერთების სიგელის დეპონირებისას;

იმედს გამოთქვამს რა, რომ აღნიშნული ინსტრუმენტი რატიფიცირებული იქნება გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში;

(51) 30 A სავალდებულო რეზოლუციის დებულებების თანახმად, საპარლამენტო ასამბლეასთან კონსულტაციების შემდგომ, რომელმაც გამოთქვა დადებითი აზრი (შეხედულება № 209);

კმაყოფილებით აღნიშნავს რა, რომ საქართველო ასრულებს წესდების მე-4 მუხლში გათვალისწინებულ პირობებს;

საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, რომელიც ჩამოყალიბებულია № 209 (1999) საპარლამენტო ასამბლეის შეხედულებაში და მათი შესრულების გარანტიებში, რომელიც საქართველოს მთავრობამ გამოხატა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის 1999 წლის 16 მარტის წერილის პასუხად საგარეო საქმეთა მინისტრის 1999 წლის 18 მარტის წერილში ევროპის საბჭოს წევრობასთან დაკავშირებით;

მხედველობაში იღებს რა ფინანსური წესების მე-16 მუხლს,

ადგენს:

1. მოიწვიოს საქართველო, გახდეს ევროპის საბჭოს წევრი და შეუერთდეს წესდებას;

2. ხუთი წევრით განისაზღვროს საქართველოს წარმომადგენლების რაოდენობა საპარლამენტო ასამბლეაში;

3. განისაზღვროს საქართველოს სხვადასხვა პროპორციული ფინანსური შესატანები ევროპის საბჭოში ამ რეზოლუციის დანართის შესაბამისად, რომლის განუყოფელ ნაწილსაც იგი წარმოადგენს;

მიუთითებს გენერალურ მდივანს, აცნობოს საქართველოს მთავრობას ამ გადაწყვეტილებათა შესახებ და მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა მათი შესრულების მიზნით.

(99) 4 რეზოლუციის დანართი

1. მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს ბიუჯეტში წევრი სახელმწიფოების შენატანების შკალის გამოთვლის მეთოდის შესახებ (94) 31 რეზოლუციის თანახმად, 1999 წლისათვის 0,13 პროცენტით განსაზღვრავს ორდინარულ ბიუჯეტში საქართველოს შენატანის ოდენობას, ექსტრაორდინარულ ბიუჯეტში ევროპარლამენტის გადასვლასთან დაკავშირებულ ხარჯებს (თავი 1,2), პენსიებსა და ევროპის ახალგაზრდული ფონდის ბიუჯეტს.

2. მინისტრთა კომიტეტი, (86) 30 რეზოლუციის თანახმად, 1999 წლისათვის 0,11 პროცენტით განსაზღვრავს საქართველოს შენატანების ოდენობას ექსტრაორდინარულ ბიუჯეტში ადამიანის უფლებათა შენობასთან დაკავშირებულ ხარჯებს (თავი 1.1).

3. თანხის ოდენობა, რომელიც საქართველომ უნდა შეიტანოს სამუშაო კაპიტალის ფონდში და გამოითვლება ორდინარული ბიუჯეტის პროცენტის შესაბამისად, შეადგენს 24.700 ფრანგულ ფრანკს, რომელიც ემატება ფონდის მთლიან თანხას.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება "ევროპის საბჭოს წესდების" რატიფიცირების შესახებ

1999 წლის 2 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა "ევროპის საბჭოს წესდების" რატიფიკაცია, საქართველოს პარლამენტის წევრებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი წესდების

რატიფიკაციას, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ საქართველოსა და მის საკანონმდებლო ხელისუფლებას მტკიცედ აქვს არჩეული ევროპული ორიენტაცია, თვლის თავს ევროპის განუყოფელ ნაწილად და მისთვის ძვირფასია დემოკრატიული ღირებულებები.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება "ევროპის საბჭოს წესდების" რატიფიცირების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს 1949 წლის 5 მაისის "ევროპის საბჭოს წესდება"

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე ედვარდ სურმანიძე

თბილისი
1999 წლის 2 აპრილი
№ 1872 110

ევროპის საბჭოს წესდება

1949 წელი, 5 მაისი

ბელგიის სამეფოს, დანიის სამეფოს, საფრანგეთის რესპუბლიკის, ირლანდიის რესპუბლიკის, იტალიის რესპუბლიკის, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს, ნიდერლანდების სამეფოს, ნორვეგიის სამეფოს, შვედეთის სამეფოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობები,

დარწმუნებულნი არიან, რომ მისწრაფება მშვიდობისაკენ, რომელიც ეფუძნება სამართლიანობასა და საერთაშორისო თან-

ამშრომლობას, არის სასიცოცხლო მნიშვნელობის კაცობრიობისა და ცივილიზაციის გადარჩენისათვის,

ხელახლა ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას იმ სულიერი და მორალური პრინციპებისადმი, რომლებიც მათი ხალხების საერთო მემკვიდრეობაა და პირადი თავისუფლების, პოლიტიკური თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის ნამდვილ წყაროს წარმოადგენს, პრინციპებისადმი, რომლებიც წარმოადგენენ ჭეშმარიტი დემოკრატიის საფუძველს,

სჯერათ, რომ ამ იდეალების შენარჩუნებისა და განხორციელებისათვის საჭიროა ერთნაირი მრწამსის მქონე ყველა ევროპულ სახელმწიფოს შორის უფრო მტკიცე კავშირის არსებობა,

თვლიან, რომ ამ საჭიროებაზე და ამ მიმართებით მათი ხალხების მიერ გამოხატულ მისწრაფებაზე რეაგირებისათვის, აუცილებელი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება შექმნა ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც უფრო დაახლოებს ევროპის ქვეყნებს,

შესაბამისად გადაწყვიტეს დააფუძნონ ევროპის საბჭო, შემდგარი მთავრობათა წარმომადგენლების კომიტეტისა და საკონსულტაციო ასამბლეისაგან და ამ მიზნით მიიღეს აღნიშნული წესდება.

თავი I – ევროპის საბჭოს მიზანი

მუხლი 1

ა. ევროპის საბჭოს მიზანია მიაღწიოს უფრო დიდ ერთობას მის წევრებს შორის იმ იდეალებისა და მიზნების დაცვისა და განხორციელებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას და ხელს უწყობენ მათ ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს.

ბ. ეს მიზანი უნდა იქნეს მიღწეული საბჭოს ორგანოების მიერ საერთო საკითხების განხილვით, ეკონომიკურ, სოციალურ, კულ-

ტურულ, სამეცნიერო, სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საკითხებზე შეთანხმებებით და საერთო ზომების მიღებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შენარჩუნებითა და შემდგომი განხორციელებით.

გ. ევროპის საბჭოს წევრობამ არ უნდა შეუშალოს ხელი მის წევრთა თანამშრომლობას გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ან კავშირების საქმიანობაში, რომელთა წევრებიც ისინი არიან.

დ. ეროვნულ თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხები არ ექვემდებარება ევროპის საბჭოს კომპეტენციას.

თავი II – წევრობა

მუხლი 2

ევროპის საბჭოს წევრები არიან ამ წესდების მხარეები.

მუხლი 3

ევროპის საბჭოს ყოველმა წევრმა უნდა აღიაროს კანონის უზენაესობისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა პირის ადამიანის უფლებებით და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობის პრინციპები და ითანამშრომლოს კეთილსინდისიერად და ნაყოფიერად საბჭოს პირველ თავში აღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის.

მუხლი 4

ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც მიიჩნევა მე-3 მუხლის დებულებების შესრულების უნარის მქონედ და მსურველად, შეიძლება მიწვეულ იქნეს მინისტრთა კომიტეტის მიერ ევროპის საბჭოში გასაწევრიანებლად. ნებისმიერი, ამგვარად მოწვეული სახელმწიფო, ევროპის საბჭოში გაწევრიანდება გენერალური მდივნისათვის აღნიშნულ წესდებასთან შეერთების სიგელის დეპონირების მომენტიდან.

მუხლი 5

ა. განსაკუთრებულ შემთხვევებში ევროპის ქვეყანა, რომელიც

მიიჩნევა მე-3 მუხლის დებულებების შესრულების უნარის მქონედ და მსურველად, მინისტრთა კომიტეტმა შეიძლება მოიწვიოს ევროპის საბჭოს ასოცირებულ წევრად გახდომის მიზნით. ნებისმიერი, ამგვარად მოწვეული სახელმწიფო, ხდება ასოცირებული წევრი, გენერალური მდივნისათვის აღნიშნული წესდების მიღების შესახებ სიგელის დეპონირების მომენტიდან. ასოცირებული წევრი უფლებამოსილია წარმოდგენილი იქნეს მხოლოდ საკონსულტაციო ასამბლეაზე.

ბ. წესდებაში ტერმინი „წევრი" მოიცავს ასოცირებულ წევრს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი გამოყენებულია მინისტრთა კომიტეტში წარმომადგენლობასთან დაკავშირებით.

მუხლი 6

მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად განსახორციელებელ მოწვევამდე, მინისტრთა კომიტეტი განსაზღვრავს ასამბლეაში წარმომადგენელთა იმ რაოდენობას, რა რაოდენობის წარმოდგენაზეც უფლებამოსილია წევრობის კანდიდატი და მის პროპორციულ ფინანსურ შესატანს.

მუხლი 7

ევროპის საბჭოს ნებისმიერი წევრი შეიძლება გავიდეს წევრობიდან გენერალური მდივნისათვის ამის შესახებ ფორმალური შეტყობინების წარდგენის საშუალებით. ასეთი გასვლა ძალაში შევა ფინანსური წლის ბოლოს, თუ შეტყობინება გაკეთებულია ფინანსური წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინება გაკეთებულია ფინანსური წლის უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში, იგი ძალაში შევა შემდგომი ფინანსური წლის დასასრულისათვის.

მუხლი 8

ევროპის საბჭოს ნებისმიერ წევრს, რომელმაც სერიოზულად დაარღვია მე-3 მუხლი, შეიძლება შეუჩერდეს წარმომადგენლობის უფლება და მინისტრთა კომიტეტის მიერ მოეთხოვოს გასვლა მე-7 მუხლის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ შეას-

რულებს ამ მოთხოვნას, კომიტეტს შეუძლია შეუწყვიტოს მას საბჭოს წევრობა, კომიტეტის მიერ დადგენილი დღიდან.

მუხლი 9

მინისტრთა კომიტეტს შეუძლია დროებით შეუჩეროს კომიტეტში და საკონსულტაციო ასამბლეაში წარმომადგენლობის უფლება იმ წევრს, რომელმაც ვერ შეასრულა თავისი ფინანსური ვალდებულებები მანამდე, სანამ ეს ვალდებულებები რჩება შეუსრულებელი.

თავი III – ზოგადი დებულებები

მუხლი 10

ევროპის საბჭოს ორგანოებია:

ა. მინისტრთა კომიტეტი;

ბ. საკონსულტაციო ასამბლეა.

ორივე ორგანოს ემსახურება ევროპის საბჭოს სამდივნო.

მუხლი 11

ევროპის საბჭო განლაგებულია ქ. სტრასბურგში.

მუხლი 12

ევროპის საბჭოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. მინისტრთა კომიტეტისა და საკონსულტაციო ასამბლეის პროცედურული წესები განსაზღვრავენ, თუ რა პირობებში და რა გარემოებებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა ენები.

თავი IV – მინისტრთა კომიტეტი

მუხლი 13

მინისტრთა კომიტეტი წარმოადგენს ორგანოს, რომელიც მოქმედებს

ევროპის საბჭოს სახელით მე-15 და მე-16 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 14

ყოველი წევრი უფლებამოსილია ჰყავდეს ერთი წარმომადგენელი მინისტრთა კომიტეტში და თითოეულ წარმომადგენელს აქვს ერთი ხმის უფლება. კომიტეტში წარმომადგენლები უნდა იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრები. იმ შემთხვევაში, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრის წარმოდგენა ვერ ხერხდება ან გარკვეული გარემოებების გამო არ არის ეს სასურველი, მისი მოვალეობების შესასრულებლად შეიძლება დასახელებულ იქნეს სხვა პირი, რომელიც შეძლებისდაგვარად უნდა იყოს მთავრობის წევრი.

მუხლი 15

ა. საკონსულტაციო ასამბლეის რეკომენდაციის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, მინისტრთა კომიტეტი განიხილავს ევროპის საბჭოს მიზნის მიღწევისათვის საჭირო ზომებს, კონკრეტულ საკითხებზე კონვენციათა და შეთანხმებათა დადების და მთავრობათა საერთო პოლიტიკის მიღების ჩათვლით. მისი გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობება წევრებს გენერალური მდივნის საშუალებით.

ბ. შესაბამის შემთხვევებში კომიტეტის გადაწყვეტილებებს შეიძლება მიეცეს სახელმწიფოების მთავრობებისათვის რეკომენდაციების ხასიათი, და კომიტეტს უფლება აქვს მოსთხოვოს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს შეატყობინონ მას იმ ზომების შესახებ, რომლებიც მათ ამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გაატარეს.

მუხლი 16

მინისტრთა კომიტეტი 24-ე, 28-ე, 30-ე, 32-ე, 33-ე და 35-ე მუხლების დებულებების შესაბამისად, რომლებიც დაკავშირებულია საკონსულტაციო ასამბლეის უფლებამოსილებებთან, იღებს სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილებებს ევროპის საბჭოს შიდა ორგანიზაციულ და მოწყობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

ამ მიზნით, მინისტრთა კომიტეტი იღებს ისეთ ფინანსურ და ადმინისტრაციულ ზომებს, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო.

მუხლი 17

მინისტრთა კომიტეტს შეუძლია ჩამოაყალიბოს რჩევითი და ტექნიკური კომიტეტები ან კომისიები ყველა იმ სპეციალური მიზნისათვის, რომელიც შეიძლება იქნეს სასურველად მიჩნეული.

მუხლი 18

მინისტრთა კომიტეტი იღებს საკუთარ პროცედურულ წესებს, რომლებიც სხვებთან ერთად განსაზღვრავენ შემდეგ საკითხებს:

I. ქვორუმი;

II. თავმჯდომარის დანიშვნის წესი და თანამდებობაზე ყოფნის ვადა;

III. დღის წესრიგში საკითხების შეტანის პროცედურა, რეზოლუციების თაობაზე წინადადებების შეტყობინებების ჩათვლით;

IV. მე-14 მუხლის შესაბამისად ალტერნატიული კანდიდატურის წარდგენის თაობაზე საჭირო შეტყობინებები.

მუხლი 19

საკონსულტაციო ასამბლეის ყოველ სესიაზე მინისტრთა კომიტეტი წარუდგენს ასამბლეას ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.

მუხლი 20

ა. მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციები ეხება შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს, კერძოდ:

I. მე-15 მუხლის "ა" პუნქტის რეკომენდაციებს;

II. მე-19 მუხლის საკითხებს;

III. 21-ე მუხლის „ა", "ი" და „ბ" პუნქტების საკითხებს;

IV. 33-ე მუხლის საკითხებს;

V. 1 მუხლის „დ" პუნქტში, მე-7, მე-15, მე-20 და 22-ე მუხლებში შესწორებების შემტან რეკომენდაციებს;

VI. ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელზეც კომიტეტი, ქვემოთ

მოცემულ "დ" პუნქტზე რეზოლუციის თანახმად გადაწყვეტს, რომ ექვემდებარება ერთხმად მიღებას მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროებს ხმის მიმცემთა ერთსულოვან მხარდაჭერას და კომიტეტში წარმოდგენილ წარმომადგენელთა ხმების უბრალო უმრავლესობას.

ბ. პროცედურული წესებიდან ან ფინანსური და ადმინისტრაციული ნორმებიდან წარმოშობილი საკითხები შეიძლება გადაწყდეს კომიტეტში წარდგენილი ყველა წარმომადგენლის ხმათა უბრალო უმრავლესობით.

გ. კომიტეტის მიერ მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად გაკეთებული რეზოლუციები საჭიროებენ კომიტეტში წარდგენილ ყველა წარმომადგენლის ხმათა ორ მესამედს.

დ. კომიტეტის ყველა სხვა რეზოლუცია, ბიუჯეტის მიღების, პროცედურული წესების და ფინანსური და ადმინისტრაციული ნორმების, ამ წესდების მუხლებში შესწორებების შემტანი რეკომენდაციების, გარდა ზემოთ მოცემულ "ა" "V" პუნქტში ჩამოთვლილისა, და გაურკვევლობის შემთხვევაში, თუ რომელი პუნქტი უნდა იქნეს გამოყენებული გადაწყვეტილების მიღების ჩათვლით, საჭიროებს ხმის მიმცემთა ორ მესამედს და კომიტეტში წარმოდგენილ წარმომადგენელთა უბრალო უმრავლესობას.

მუხლი 21

ა. თუ კომიტეტი სხვაგვარად არ გადაწყვეტს, მინისტრთა კომიტეტის შეხვედრები ტარდება:

I. დახურულ კარს მიღმა ან,

II. საბჭოს განლაგების ადგილზე.

ბ. კომიტეტი განსაზღვრავს იმ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება გამოქვეყნდეს დახურულ კარს მიღმა ჩატარებული შეხვედრების დასკვნებისა და დისკუსიების თაობაზე.

გ. კომიტეტი იკრიბება საკონსულტაციო ასამბლეის ყოველი სესიის დაწყებამდე და დაწყებისას, ასევე სხვა დროს, გადაწყვეტილებისამებრ.

თავი V – საკონსულტაციო ასამბლეა

მუხლი 22

საკონსულტაციო ასამბლეა ევროპის საბჭოს სათათბირო ორგანოა. იგი განიხილავს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს წესდების თანახმად და თავის დასკვნებს რეკომენდაციების სახით წარუდგენს მინისტრთა კომიტეტს.

მუხლი 23[40]

ა. საკონსულტაციო ასამბლეას შეუძლია იმსჯელოს და გასცეს რეკომენდაციები ნებისმიერ საკითხზე, 1-ლ თავში განსაზღვრული ევროპის საბჭოს მიზნისა და კომპეტენციის ფარგლებში. იგი, აგრეთვე, განიხილავს და იძლევა რეკომენდაციებს ნებისმიერ საკითხზე, რომელზეც შეხედულების გამოხატვა მოეთხოვება მინისტრთა კომიტეტს.

ბ. ასამბლეა ადგენს თავის დღის წესრიგს ზემოთ მოცემული "ა" პუნქტის დებულებების შესაბამისად. ამ პროცესში იგი ითვალისწინებს სხვა ევროპულ მთავრობათშორისი ორგანიზაციების საქმიანობას, რომელთა წევრებიც არიან ევროპის საბჭოს ზოგიერთი ან ყველა წევრი.

გ. გაურკვევლობის შემთხვევაში ასამბლეის თავმჯდომარე წყვეტს, სხდომის დროს წამოჭრილი საკითხი არის თუ არა დღის წესრიგით განსაზღვრული.

მუხლი 24

საკონსულტაციო ასამბლეა, 38-ე მუხლის „დ" პუნქტის დებულებების სრული დაცვით, 23-ე მუხლის შესაბამისად, მის კომპეტენციას დაქვემდებარებადი ნებისმიერი საკითხის განხილვის და მასზე მოსახსენებლად, დღის წესრიგის საკითხთა გამოსაკვლევად და მოსამზადებლად და ყველა პროცედურულ საკითხზე რჩევების გამოსამუშავებლად აყალიბებს კომიტეტებსა და კომისიებს.

---

[40] როგორც შესწორებულია 1951 წლის მაისში.

მუხლი 25[41]

ა. საკონსულტაციო ასამბლეა შედგება თითოეულ წევრთა წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც ირჩევს ქვეყნის პარლამენტი პარლამენტის წევრებიდან, ან ნიშნავს ქვეყნის პარლამენტი პარლამენტის წევრებიდან იმ ფორმით, როგორც ის გადაწყვეტს, თუმცა თითოეული წევრის მთავრობას აქვს უფლება დამატებითი დანიშვნების გაკეთებისა იმ აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც არ მიმდინარეობს პარლამენტის სესიები და პარლამენტს არ დაუდგენია პროცედურა, რომელიც უნდა იქნეს განხორციელებული აღნიშნულ შემთხვევაში. თითოეული წარმომადგენელი უნდა იყოს იმ წევრი ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც იგი წარმოადგენს და იმავდროულად არ უნდა იყოს მინისტრთა კომიტეტის წევრი.

ამგვარად დანიშნული წარმომადგენლების თანამდებობაზე ყოფნის ვადა იწყება მათი დანიშვნის შემდგომი პლენარული სესიის გახსნიდან; აღნიშნული ვადა ამოიწურება შემდგომი ან საბოლოო პლენარული სესიის გახსნისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი პარლამენტების არჩევნები ჩატარდა, ასეთ შემთხვევებში წევრებს ეძლევათ ახალი დანიშვნების გაკეთების უფლება.

იმ შემთხვევაში, თუ წევრი ავსებს გარდაცვალების ან გადადგომის შედეგად წარმოქმნილ ვაკანსიას, ან პარლამენტის ახალი არჩევნების ჩატარების შემდეგ იწყებს ახალი დანიშვნების გაკეთების პროცედურას, ახალი წარმომადგენლების თანამდებობაზე ყოფნის ვადა იწყება ასამბლეის მორიგი სხდომიდან, რომელიც მოჰყვა მათ დანიშვნას.

ბ. ასამბლეის სესიის დროს არც ერთ წარმომადგენელს არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი მანდატი ასამბლეის თანხმობის გარეშე.

გ. ყოველ წარმომადგენელს შეიძლება ჰყავდეს თავისი შემცვლელი, რომელსაც, მისი არყოფნის შემთხვევაში, შეუძლია დაესწროს სხდომას, გამოვიდეს სიტყვით და მისცეს ხმა. ზემოთ მოცემული "ა" პუნქტის დებულებები ვრცელდება შემცვლელის დანიშვნაზეც.

---

[41] "ა" პუნქტის პირველი წინადადება შესწორებულია 1951 წლის მაისში "ა" პუნქტის ორი უკანასკნელი ქვეპუნქტი დამატებულია 1953 წლის მაისში. "ა" პუნქტის პირველი ქვეპუნქტი შესწორებულია 1970 წლის ოქტომბერში

მუხლი 26[42]

წევრები უფლებამოსილნი არიან ჰყავდეთ შემდეგი რაოდენობის წარმომადგენლები:

ალბანეთი	4
ანდორა	2
ავსტრია	6
ბელგია	7
ბულგარეთი	6
ხორვატია	5
კვიპროსი	3
ჩეხეთის რესპუბლიკა	7
დანია	5
ესტონეთი	3
ფინეთი	5
საფრანგეთი	18
საქართველო	5
გერმანია	18
საბერძნეთი	7
უნგრეთი	7
ისლანდია	3
ირლანდია	4
იტალია	18
ლატვია	3
ლიხტენშტეინი	2
ლიტვა	4
ლუქსემბურგი	3
მალტა	3
მოლდოვა	5

[42] შესწორებულია 1951 წლის დეკემბერში, 1958 წლის მაისში, 1961 წლის ნოემბერში, 1963 წლის მაისში, 1965 წლის მაისში, 1971 წლის თებერვალში, 1974 წლის დეკემბერში, 1976 წლის ოქტომბერში, 1978 წლის იანვარში, 1978 წლის ნოემბერში, 1988 წლის ნოემბერში, 1989 წლის მაისში, 1990 წლის ნოემბერში, 1991 წლის ნოემბერში, 1992 წლის მაისში, 1993 წლის მაისში, 1993 წლის ივნისში, 1993 წლის ოქტომბერში, 1994 წლის ნოემბერში, 1995 წლის თებერვალში, 1995 წლის ნოემბერში, 1996 წლის თებერვალში და 1999 წლის აპრილში.

ნიდერლანდები	7
ნორვეგია	5
პოლონეთი	12
პორტუგალია	7
რუმინეთი	10
რუსეთი	18
სან-მარინო	2
სლოვაკეთის რესპუბლიკა	5
სლოვენია	3
ესპანეთი	12
შვედეთი	6
შვეიცარია	6
"იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია"	3
თურქეთი	12
უკრაინა	12
დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო	18

მუხლი 27[43]

პირობები, რომლებიც ითვალისწინებს მინისტრთა კომიტეტის შესაძლებლობას კოლექტიურად იქნეს წარმოდგენილი საკონსულტაციო ასამბლეის დებატებზე ან კომიტეტში პიროვნებების ან მათი შემცვლელების შესაძლებობას მიმართონ ასამბლეას, განისაზღვრება ამ საკითზე პროცედურის იმ წესებით, რომლებიც შეიძლება იქნეს მიღებული კომიტეტის მიერ ასამბლეასთან კონსულტაციების შემდეგ.

მუხლი 28

ა. საკონსულტაციო ასამბლეა იღებს პროცედურის საკუთარ წესებს

[43] შესწორებულია 1951 წლის მაისში.

და ირჩევს თავისი წევრებიდან თავმჯდომარეს, რომელიც თანამდებობაზე რჩება მომავალ პლენარულ სესიამდე.

ბ. თავმჯდომარე კონტროლს უწევს პროცესუალურ საქმიანობას, მაგრამ არ იღებს მონაწილეობას დებატებში ან კენჭისყრაში. თავმჯდომარის შემცვლელს შეუძლია დაესწროს სხდომას, სიტყვით გამოვიდეს და ხმა მისცეს მის მაგივრად.

გ. პროცედურული წესები inter alia განსაზღვრავს:

I. ქვორუმს;

II. თავმჯდომარისა და სხვა თანამდებობის პირების არჩევის წესსა და თანამდებობაზე ყოფნის ვადებს;

III. დღის წესრიგის შედგენისა და წარმომადგენელთათვის მისი გაცნობის წესს;

IV. წარმომადგენელთა და მათი შემცვლელების სახელების შეტყობინების დროსა და წესს.

მუხლი 29

30-ე მუხლის დებულებების თანახმად, საკონსულტაციო ასამბლეის ყველა რეზოლუცია, იმ რეზოლუციების ჩათვლით, რომლებიც:

I. მოიცავენ მინისტრთა კომიტეტისადმი გაკეთებულ რეზოლუციებს;

II. წარუდგენენ კომიტეტს ასამბლეაზე განსახილველ საკითხებს;

III. აყალიბებენ კომიტეტებს ან კომისიებს;

IV. განსაზღვრავენ სესიების დაწყების თარიღს;

V. განსაზღვრავენ თუ როგორი უმრავლესობაა საჭირო იმ რეზოლუციების მიღებისათვის, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ზემოთ მოცემული I IV სექციებით ან გაურკვევლობის შემთხვევაში განსაზღვრავენ თუ როგორი უმრავლესობაა საჭირო.

VI. საჭიროებენ კენჭისყრაში მონაწილე წარმომადგენელთა ხმების ორ მესამედს.

მუხლი 30

შიდა პროცედურასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც

მოიცავს თანამდებობის პირების არჩევას, კომიტეტებში და კომისიებში სამუშაოდ პირთა დასახელებას და პროცედურის წესების მიღებას, საკონსულტაციო ასამბლეა იღებს რეზოლუციებს ისეთი უმრავლესობით, როგორსაც ასამბლეა განსაზღვრავს და რისი განსაზღვრის უფლებაც მას 29-ე მუხლის "ვ" პუნქტის შესაბამისად აქვს.

მუხლი 31

დებატები წინადადებებზე, რომლებიც კეთდება მინისტრთა კომიტეტისათვის, და მიმართულია საკითხის საკონსულტაციო ასამბლეის დღის წესრიგში შეტანაზე, იფარგლება წარმოდგენილ საკითხზე მითითებით და მის დღის წესრიგში შეტანის მიზანშეწონილობისა და მიზანშეუწონლობის მიზეზებით.

მუხლი 32

საკონსულტაციო ასამბლეა იკრიბება პლენარულ სესიაზე წელიწადში ერთხელ, რომლის თარიღი და ხანგრძლივობა განისაზღვრება ასამბლეის მიერ ისე, რომ, შესაძლებლობის ფარგლებში, არ დაემთხვეს წევრთა საპარლამენტო სესიებს და გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებს. არც ერთ შემთხვევაში პლენარული სესიის ხანგრძლივობამ არ უნდა გადააჭარბოს ერთ თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასამბლეა და მინისტრთა კომიტეტი შეთანხმდება ამაზე.

მუხლი 33

ასამბლეის პლენარული სესიები ტარდება საბჭოს განლაგების ადგილას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასამბლეა და კომიტეტი შეთანხმდებიან მის სხვა ადგილზე ჩატარებაზე.

მუხლი 34[44]

საკონსულატაციო ასამბლეა შეიძლება შეიკრიბოს საგანგებო სესიაზე როგორც მინისტრთა კომიტეტის, ასევე ასამბლეის თავმჯდომარის ინიციატივით, მათ შორის შეთანხმების შემდეგ. ასეთი შეთანხმება, აგრეთვე, უნდა განსაზღვრავდეს სესიის ჩატარების თარიღსა და ადგილს.

---

[44] როგორც შესწორებულია 1951 წლის მაისში.

მუხლი 35

თუ ასამბლეა სხვაგვარად არ გადაწყვეტს, დებატები გაიმართება საჯაროდ.

თავი VI – სამდივნო

მუხლი 36

ა. სამდივნო შედგება გენერალური მდივნის, გენერალური მდივნის მოადგილისა და საჭირო რაოდენობის თანამშრომლებისაგან.

ბ. გენერალური მდივანი და გენერალური მდივნის მოადგილე ინიშნებიან საკონსულტაციო ასამბლეის მიერ, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციით.

გ. სამდივნოს დანარჩენი თანამშრომლები ინიშნებიან გენერალური მდივნის მიერ, ადმინისტრაციული ნორმების შესაბამისად.

დ. სამდივნოს არც ერთი წევრი არ უნდა მსახურობდეს რომელიმე მთავრობის ანაზღაურებად თანამდებობაზე ან იყოს ასამბლეის წევრი, ან ეროვნული საკანონმდებლო ხელისუფლების წევრი, ან ეწეოდეს მის მოვალეობასთან შეუთავსებელ რომელიმე საქმიანობას.

ე. სამდივნოს თითოეული თანამშრომელი საჯაროდ იღებს ვალდებულებებს ევროპის საბჭოს წინაშე ეროვნული ინტერესებიდან მიუკერძოებლად, კეთილსინდისიერად განახორციელოს თავისი საქმიანობა. აცხადებს, რომ არ მიიღებს და არ მოიძიებს ევროპის საბჭოსთვის უცხო ნებისმიერი მთავრობისა ან ხელისუფლებისაგან თავის საქმიანობის წარმოებასთან დაკავშირებულ მითითებებს, და თავს შეიკავებს ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც შეიძლება აისახოს მასზე, როგორც მხოლოდ ევროპის საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული საერთაშორისო მოხელის თანამდებობის მქონეზე. გენერალური მდივანი ან გენერალური მდივნის მოადგილე ასეთ განცხადებას აკეთებენ კომიტეტის წინაშე, სხვა წევრები კი გენერალური მდივნის წინაშე.

ვ. ყოველი წევრი პატივს სცემს გენერალური მდივნისა და სამდივნოს თანამშრომლების მოვალეობათა განსაკუთრებულ საერთაშორისო ხასიათს და არ უნდა შეეცადოს, ზეგავლენა მოახდინოს მათ მიერ მოვალეობების შესრულებაზე.

მუხლი 37

ა. სამდივნო განლაგებულია საბჭოს ადგილსამყოფელ ადგილას.

ბ. გენერალური მდივანი პასუხისმგებელია მინისტრთა კომიტეტის წინაშე სამდივნოს საქმიანობაზე. სხვა საქმიანობასთან ერთად, 38-ე მუხლის "დ" პუნქტის თანახმად, იგი უზრუნველყოფს საკონსულტაციო ასამბლეას ისეთი სამდივნოთი და სხვა დახმარებით, როგორსაც საკონსულტაციო ასამბლეა მოითხოვს.

თავი VII – ფინანსები

მუხლი 38[45]

ა. ყოველი წევრი ანაზღაურებს მინისტრთა კომიტეტსა და საკონსულტაციო ასამბლეაში თავისი წარმომადგენლობის ხარჯებს.

ბ. სამდივნოსა და ყველა სხვა საერთო ხარჯები განაწილდება ყველა წევრს შორის იმ პროპორციით, რომელიც განისაზღვრება კომიტეტის მიერ წევრთა მოსახლეობის შესაბამისად.

ასოცირებული წევრის შენატანს განსაზღვრავს კომიტეტი.

გ. ფინანსური ნორმების შესაბამისად, საბჭოს ბიუჯეტი გენერალური მდივნის მიერ წარედგინება კომიტეტს მისაღებად.

დ. გენერალური მდივანი კომიტეტს გადასცემს ასამბლეის იმ მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია ასამბლეასა და მისი საქმიანობისათვის ბიუჯეტით უკვე გათვალისწინებული თანხების ზემოთ ხარჯებთან.

ე. გენერალური მდივანი ასევე წარუდგენს მინისტრთა კომიტეტს იმ ხარჯების გამოანგარიშებულ რაოდენობას, რომელიც საჭიროა კომიტეტისთვის წარდგენილი ყოველი რეკომენდაციის განსახორციელებლად. ნებისმიერი რეზოლუცია, რომლის განხორციელებაც მოითხოვს დამატებით ხარჯებს, არ განიხილება მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულად, თუ კომიტეტი არ დაუმტკიცებს ამ დამატებითი ხარჯების გამოანგარიშებულ რაოდენობას.

---

[45] 8-ე მუხლის „ე" პუნქტი დამატებულია 1951 წლის მაისში.

მუხლი 39

გენერალური მდივანი ყოველწლიურად ატყობინებს წევრთა მთავრობებს მათი გადასახადის რაოდენობის შესახებ და თითოეული წევრი გენერალურ მდივანს უხდის მის მიერ გადასახდელ თანხას, რომელიც შეტყობინების დღიდან ჩაითვლება სავალდებულოდ, და გადახდილ უნდა იქნეს შეტყობინებიდან არა უგვიანეს ექვს თვეში.

თავი VIII – პრივილეგიები და იმუნიტეტები

მუხლი 40

ა. ევროპის საბჭო, წევრთა წარმომადგენლები და სამდივნო თითოეული მხარის ტერიტორიაზე სარგებლობენ იმ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც, გონივრულობის ფარგლებში აუცილებელია მათი ფუნქციების განსახორციელებლად. ეს იმუნიტეტები ასევე მოიცავს საკონსულტაციო ასამბლეაში ყველა წარმომადგენელის იმუნიტეტს დაკავებისაგან და სხვა სამართლებრივი პროცედურებისაგან ყველა წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, ასამბლეაში ან მის კომიტეტებსა და კომისიებში განხილვის დროს ნათქვამისა და ხმის მიცემის გამო.

ბ. მხარეები „ა" პუნქტის დებულებების შესრულების მიზნით, შეძლებისდაგვარად, დროულად დებენ შეთანხმებას. ამ მიზნით, მინისტრთა კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრების მთავრობებს, მიიღონ შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს ყველა წევრის ტერიტორიაზე მინიჭებულ პრივილეგიებსა და იმუნიტეტს. საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასთან დადებულ უნდა იქნეს სპეციალური შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს საბჭოს მიერ მის განლაგების ადგილას პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობას.

თავი IX – შესწორებები

მუხლი 41

ა. წინადადებები, აღნიშნულ წესდებაში შესწორებების შეტანასთან დაკავშირებით, შეიძლება გაკეთებულ იქნეს მინისტრთა კომიტეტის წინაშე ან 23-ე მუხლით გათვალისწინებული პირობებით საკონსულტაციო ასამბლეის წინაშე.

ბ. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს და უზრუნველყოფს ოქმში იმ შესწორებების შეტანას, რომელთაც იგი ჩათვლის საჭიროდ.

გ. შესწორებების შემტანი ოქმი ძალაში შედის მხარეთა 2/3-ის მიერ ხელმოწერისა და რატიფიცირების შემდეგ.

დ. მუხლის წინა პუნქტის დებულებების დაცვით, 23-35-ე, 38-ე და 39-ე მუხლებში შესწორებები, რომლებიც დამტკიცებული იქნა კომიტეტის და ასამბლეის მიერ, ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ სერტიფიცირების თარიღიდან, რომელიც გადაეგზავნება წევრების მთავრობებს ამ სახით დამტკიცების დადასტურების მიზნით. ეს პუნქტი არ მოქმედებს ასამბლეის მეორე პლენარული სესიის მიერ დასკვნის მიღებამდე.

თავი X – დასკვნითი დებულებები

მუხლი 42

ა. წინამდებარე წესდება ექვემდებარება რატიფიცირებას. სარატიფიკაციო სიგელები უნდა ჩაბარდეს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობას.

ბ. წინამდებარე წესდება ძალაში შედის შვიდი სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების დღიდან. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ყველა ხელისმომწერ მთავრობას უგზავნის საბუთს ევროპის საბჭოს წესდების ძალაში შესვლის შესახებ და წარუდგენს ამ თარიღისათვის ევროპის საბჭოს წევრთა ნუსხას.

გ. ამის შემდეგ, ყოველი სხვა ხელისმომწერი ხდება წესდების მხარე, მის მიერ სარატიფიკაციო სიგელების დეპონირების თარიღიდან.

ამის დასტურად, შესაბამისად უფლებამოსილმა ქვემორე ხელმომწერებმა, ხელი მოაწერეს წინამდებარე წესდებას.

შესრულებულია ლონდონში 1949 წლის 5 მაისს ერთ ასლად ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი, რომელიც თანაბრად აუთენტურია, შესანახად გადაეცემა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის არქივს, რომელიც შესაბამისად დამოწმებულ ასლებს გადაუგზავნის სხვა ხელისმომწერ მთავრობებს.

ევროპის საბჭოს წესდების სარატიფიკაციო სიგელი

1999 წლის 14 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა "ევროპის საბჭოს წესდების" სარატიფიკაციო სიგელს, რომელსაც, მიღებული წესისამებრ, შეერთების სიგელი ეწოდება.

შეერთების სიგელი

მე, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების შესაბამისად, ერთსულოვნად ვაცხადებ, რომ საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს წესდებას, შესრულებულს 1949 წლის 5 მაისს ქ. ლონდონში.

ამის დასტურად, მე ხელს ვაწერ შეერთების წარმოდგენილ სიგელს და ვამოწმებ ჩემი ოფიციალური ბეჭდით.

შესრულებულია თბილისში 1999 წლის 14 აპრილს

ედუარდ შევარდნაძე,
საქართველოს პრეზიდენტი

ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები

ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას საქართველომ იკისრა ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 209 შეხედულებითა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციით. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, შედგა აღნიშნულ ვალდებულებათა რეალიზაციის პროგრამა, რომელიც თანმიმდევრულად ხორციელდება.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 25 მარტის № 207 განკარგულების საფუძველზე, 1999 წლის 27 აპრილს, გაწევრი-

ანების მომენტში, ხელი მოეწერა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას მე-2 და მე-11 ოქმებით შეტანილ ცვლილებათა დართვით. საქართველოს პარლამენტის № 1940-II ს დადგენილებით, 1999 წლის 12 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია და მისი მე-2 და მე-11 ოქმები რატიფიცირებული იქნა და ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისს. ამდენად, შესრულებული იქნა დასახელებული პროგრამის პირველი პუნქტი.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 2 დეკემბრის № 683 ბრძანებულებთ, შეიქმნა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამთავრობო წარმომადგენლის სამსახური.

გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში უნდა მომხდარიყო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის 1-ლ, მე-4, მე-6 და მე-7 ოქმების ხელმოწერა და რატიფიცირება.

აღნიშნულ ოქმებს ხელი მოეწერა 1999 წლის 17 ივნისს. ისინი "საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 1999 წლის 20 ოქტომბერს შესაბამისი უწყებების დასკვნებით, წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს.

წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის აღკვეთის შესახებ კონვენციისა და მისი ოქმების ხელმოწერა და რატიფიცირება პროგრამით 2000 წლის პირველ ნახევარში უნდა განხორციელებულიყო.

საქართველოს პრეზიდენტმა, 2000 წლის 27 იანვრის № 74 ბრძანებულებით, გადაწყვეტილება მიიღო "წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის შესახებ კონვენციისა" და მისი დამატებითი ოქმების ხელმოწერის შესახებ.

გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში, უნდა განხორციელებულიყო რეგიონალურ და ეროვნულ უმცირესობათა ენების შესახებ ევროპულ ქარტიასთან ერთად, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო-კონვენციის ხელმოწერა და რატიფიცირება.

2000 წლის 21 იანვარს ხელმოწერილი იქნა და სარატიფიკა-

ციოდ წარდგენილია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო-კონვენცია.

"ეროვნულ უმცირესობათა ენების შესახებ" ევროპული ქარტიის ხელმოწერამდე განხორციელდება კანონით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2000 წლის დადგომამდე დაუგზავნა დასკვნებისათვის ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებას "ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია", რომელსაც საქართველო უნდა შეუერთდეს გაწევრიანებიდან სამი წლის განმავლობაში.

2002 წლამდე პერიოდში უნდა განხორციელდეს "ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ" ევროპული ჩარჩო-კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების, "ექსტრადიციის შესახებ" ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების, "დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის გათეთრების, ძებნის, ჩამორთმევის და კონფისკაციის შესახებ" ევროპული კონვენციის შესწავლა და ხელმოწერა. საქართველო, ევროპის საბჭოსთან ერთად, მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს ამ მიმართულებით. ასე მაგალითად, 1999 წლის 13 დეკემბერს, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, ჩატარდა საინფორმაციო სემინარი "ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობაზე". საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის 2000 წლის თანამშრომლობის პროგრამის 4. 2. 1. პუნქტით გათვალისწინებულია "დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის გათეთრების, ძებნის, ჩამორთმევის და კონფისკაციის შესახებ" ევროპული კონვენციის ფარგლებში ერთობლივი სემინარის ჩატარება ქ. თბილისში და ა. შ.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 25 მარტის № 207 განკარგულების საფუძველზე 1999 წლის 27 აპრილს ხელი მოეწერა "სისხლის სამართლებრივ საკითხებში ურთიერთდახმარების შესახებ" ევროპულ კონვენციას, საქართველოს პარლამენტის 2143-IIს დადგენილებით 1999 წლის 23 ივნისს კონვენცია რატიფიცირებული იქნა და ძალაში შევიდა 2000 წლის 11 იანვარს. [46]

გაწევრიანებიდან ასევე სამი წლის განმავლობაში განსახორ-

[46] უნდა განხორციელებულიყო გაწევრიანებიდან სამი წლის განმავლობაში.

ციელებელია ევროპის საბჭოს სოციალური ქარტიის გადასინჯული ვარიანტის ხელმოწერა და რატიფიცირება, იმავდროულად უნდა დაისახოს ქმედითი ღონისძიებები ქარტის პრინციპების რეალიზებისათვის.

1999 წლის 23-24 ნოემბერს, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, ჩატარდა სემინარი "სოციალურ ქარტიაზე"

2000 წლისათვის დაგეგმილია სემინარის ჩატარება თბილისში, სადაც განხილული იქნება შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები.

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქარტიის ხელმოწერა უკვე 2000 წელს, რაც შესაძლებლობას შექმნის საქართველომ დამკვირვებლის სტატუსით მიიღოს მონაწილეობა ქარტიაზე მომუშავე კომიტეტების საქმიანობაში.

2000 წლის დასაწყისში, დასახულ ვადაში - გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში განხორციელდა პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ ზოგადი შეთანხმებისა და მისი ოქმების რატიფიცირება;

ხელმოწერილ იქნა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ ჟენევის კონვენცია მისი 1967 წლის ოქმის ჩათვლით.[47]

კონვენცია და მისი ოქმი რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 28 მაისის 1996-IIს დადგენილებით. კონვენცია საქართველოსათვის ძალაში შევიდა 1999 წლის 7 ნოემბერს, ხოლო ოქმი 1999 წლის აგვისტოს.

საქართველოს მიერ ნაკისრი იქნა ვალდებულებები შიდა კანონმდებლობის მიმართებაში:

გაწევრიანებიდან ოთხი წლის განმავლობაში, კონსტიტუციურ მოთხოვნათა შესაბამისად, შექმნილ იქნეს სამართლებრივი ბაზა მეორე პალატის ჩამოსაყალიბებლად;[48]

გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში მიღებულ იქნეს

---

[47] გათვალისწინებული იყო გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში.

[48] საქართველოსა და ევროპის საბჭოს 2000 წლის თანამშრომლობის პროგრამის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულია ვენეციის კომისიის ეგიდით სემინარის ჩატარება საქართველოს პარლამენტის მეორე პალატის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის მომზადების ხელშეწყობის მიზნით.

სამართლებრივი აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ავტონომიური ტერიტორიების სტატუსს, მათთვის ფართო ავტონომიის გარანტიებით, რომლის ზუსტი პირობებიც შეთანხმებული იქნება შესაბამისი ტერიტორიების წარმომადგენლებთან;

ელექტრონული მედიის შესახებ კანონის მიღება გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში;[49]

გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში ადვოკატთა პროფესიის შესახებ კანონის მიღება.[50]

ევროპის საბჭოს პრინციპების გათვალისწინებით, საქართველომ იკისრა განსაკუთრებული ვალდებულებები 1944 წელს დეპორტირებულ მოსახლეობასთან დაკავშირებით. გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში შექმნილი უნდა იქნეს სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაუშვებს საბჭოთა რეჟიმის მიერ დეპორტირებული მესხეთის მოსახლეობის რეპატრიაციას და ინტეგრაციას, ქართველ ეროვნებაზე უფლების ჩათვლით, გაწეულ იქნეს კონსულტაციები ევროპის საბჭოსთან ამ სამართლებრივი საფუძველის შესახებ მის მიღებამდე, გაწევრიანებიდან სამი წლის განმავლობაში დაწყებულ იქნეს რეპატრიაციის და ინტეგრაციის პროცესი, ხოლო გაწევრიანებიდან თორმეტი წლის განმავლობაში დასრულდეს მესხეთის მოსახლეობის რეპატრიაციის პროცესი;

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 9 დეკემბრის № 802 ბრძანებულებით, დამტკიცდა "დეპორტირებული და საქართველოდან რეპატრირებული მესხების სამართლებრივ და სოციალურ პრობლემათა გადაჭრის სახელმწიფო პროგრამა."

1999 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროში შედგა შეხვედრა ეუთოსა და ევროპის საბჭოს ექსპერტებთან საქართველოდან რეპატრირებული მოსახლეობის საკითხებზე.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 14 მარტის № 104 ბრძანებულების თანახმად, შეიქმნა ორმოციან წლებში სამხრეთ

---

[49] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მზადდება კანონპროექტი "ელექტრონული მედიის შესახებ". მოსამზადებელ ეტაპად შეიძლება ჩითვალოს ახალი კანონი "კავშირგაბმულობის შესახებ", კანონპროექტები "პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ" და "ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის შესახებ", რომლებზეც პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა.

[50] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავდა და საქართველოს პარლამენტში წარდგენილი იქნა კანონპროექტი "ადვოკატურის შესახებ".

საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეაბილიტაციისა და რეპატრიაციის სამთავრობო კომისია საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თავმჯდომარეობით. კომისიას დაევალა საკანონმდებლო ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, რომლებიც შექმნიან რეპატრიაციის ეტაპობრივი განხორციელების სამართლებრივ ბაზას.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადდა კანონპროექტი "რეაბილიტაციისა და რეპატრიაციის შესახებ".

შესრულებული იქნა მთელი რიგი სხვა ვალდებულებებისა, 1999 წლის 23 ივნისს შეტანილია ცვლილებები "სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს კანონში, რომელიც ითვალისწინებს სახალხო დამცველის მიერ ყოველ ექვს თვეში პარლამენტის წინაშე მოხსენებით წარდგომას და ამ მოხსენების საზოგადოების ფართო ფენებისათვის გაცნობას.

გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში ვალდებულებებით განისაზღვრებოდა საჭირო საკანონმდებლო ზომების და გაწევრიანებიდან სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული ზომების მიღება, რომელიც უზრუნველყოფს 1990-1994 წლებში შექმნილი კონფლიქტების განმავლობაში იმ ხალხის საკუთრების და საიჯარო უფლებების აღდგენას ან დაკარგული ქონების კომპენსაციას ფულადი სახდელების სახით, რომლებიც, 1990-1994 წლებში შექმნილი კონფლიქტების გამო, იძულებულები იყვნენ, დაეტოვებინათ საკუთარი სახლ-კარი;

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით (№ 295, 1999 წლის 30 აპრილი), რომლის თანახმადაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა საბინაო და ქონებრივი უფლებების აღდგენისა და დაცვის ღონისძიებათა შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით.

შესაბამისი ცვლილება საქართველოს კანონში საქართველოს მოქალაქეობის შესახებ წარდგენილია საქართველოს პარლამენტში განსახილველად.

ვალდებულებებით დასახულია სასამართლო სისტემაში, პროკურატურასა და პოლიციაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის განმტკიცება და გაგრძელება;

1999 წლის ოქტომბერში მიღებული იქნა კანონი "სამოქალაქო სამსახურში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის" შესახებ. ასევე შემუშავდა კანონპროექტი კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო სამსახურის შესახებ, რომელიც ახლო მომავალში იქნება მიღებული. საქართველო მონაწილეობს ევროპის საბჭოს კორუფციის მრავალდარგობრივი ჯგუფის საქმიანობაში, სადაც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის 20 ძირითადი პრინციპი იქნა შემუშავებული და დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის მიერ. საქართველოს წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართული საჯარო მოსამსახურეთა ქცევის მორალური კოდექსის შემუშავებაში. საქართველომ მონაწილეობა მიიღო კორუფციის შესახებ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის კონვენციების შემუშავების პროცესში და შემდგომ ხელი მოაწერა მათ. გარდა ამისა, საქართველო გახდა იმ ნაწილობრივი შეთანხმების მე-20 წევრი, რომლითაც დაფუძნდა სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO) და ამჟამად ნებაყოფლობით წარმოადგენს ერთ-ერთ იმ 10 სახელმწიფოთაგანს, რომლებშიც ხსენებული ჯგუფის მიერ განხორციელდება მონიტორინგის პროცედურა 2000 წელს. საერთაშორისო თანამშრომლობას ამ სფეროში საქართველო მიიჩნევს როგორც აუცილებელსა და მნიშვნელოვან საშუალებას შესაბამისი მიზნების მისაღწევად და მიესალმება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (OECD) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ამ სფეროში გადადგმულ ნაბიჯებს.

1999 წლის 28 დეკემბრის 1549 განკარგულებით შექმნილია "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა კოორდინაციის საკონსულტაციო საბჭო".

მისაღებია ზოგიერთი სხვა საკანონმდებლო და სამართლებრივი ცვლილებები:

- გაწევრიანებიდან სამი წლის განმავლობაში ავტონომიის და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის შესწორება, რომელიც გამგებლების და მერების ინსტიტუტს გახდის არჩევითს დანიშვნითის ნაცვლად;

გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში უმცირესობების შესახებ კანონის მიღება, ასამბლეის 1201 (1993) რეკომენდაციის პრინციპებზე დაყრდნობით;

საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სასამართლო სისტემის, პროკურატურისა და პოლიციის რეფორმათა განმტკიცებასა და განვითარებას, რაც გულისხმობს გაწევრიანებიდან სამი თვის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში პენიტენციალური სისტემის გადასვლის შესახებ კანონის მიღებასა და მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში ამ კანონის ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფას, ასევე სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

მიღებულია კანონი "პატიმრობის შესახებ", რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის 1 იანვარს. კანონის რეალიზაციის მიზნით, გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 12 ოქტომბრის 591 ბრძანებულება "სასჯელაღსრულებითი სისტემის რეფორმის შესახებ".

საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის 2000 წლის თანამშრომლობის პროგრამაში გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელთა მიზანია მოცემული კანონის ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა.

ძალაში შევიდა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომელიც დაარეგულირებს პრევენციული დაკავების მაქსიმალური ხანგრძლივობის პატივისცემის საკითხებს; უზრუნველყოფს სანქციათა გადასინჯვას დაკავების ხანგრძლივობის შემცირების და თავისუფლების აღმკვეთ სასჯელთა ალტერნატიული სანქციების გათვალისწინების თვალსაზრისით;

დაკავებულ პირთა უფლებათა დაცვის მიზნით, ქ. თბილისში შეიქმნა ქალაქის ადვოკატის ინსტიტუტი.

გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში, ე. ი. 2002 წლამდე, ხელახლა გადაისინჯება 1991-1992 წლებში პოლიტიკური არეულობის დროს დაკავებულ პირთა საქმეები. ამ მიმართებით დაწყებულია მუშაობა. 1999 წლის ივნისში შექმნილია საქართველოში 1991-92 წლებში მომხდარი მოვლენების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისია.

ჩამოყალიბებულია საქართველოს ვალდებულებები აფხაზეთში, საქართველო კონფლიქტის მიმართებით:

კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მცდელობის გაგრძელება, კონფლიქტის ზონაში არარეგულარული შეიარაღებულ ჯგუფთა საქმიანობის აღკვეთისათვის ყველაფრის გაკეთება, გაეროს დამკვირვებელთა, დსთ-ს სამშვიდობო ძალების და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების უსაფრთხოების გარანტირება;

- კონფლიქტის შედეგებით მოსახლეობის ყველაზე დაზარალებულ ჯგუფებში ჰუმანიტარული დახმარების გაწევის ხელშეწყობა;

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დროს სამხედრო დანაშაულის განმეორებით ჩამდენ პირთა მიუკერძოებელი და ორგანიზებული სისხლის სამართლებრივი დევნა, იმ პირების ჩათვლით, რომლებიც იმყოფებოდნენ საკუთარ შეიარაღებულ ძალებში;

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიღებული რეზოლუციის ადმინისტრაციული და ფინანსური ასპექტები

ვალდებულება	ევროპის საბჭოს მიერ ვალდებულების შესრულების დადგენილი ვადა	შესრულება
1. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-20 და 22-ე მუხლების შესაბამისად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მოსამართლის კანდიდატურების წარდგენა	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირების შემდეგ	შესრულებულია
2. პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ ზოგად შეთანხმებასთან და მის ოქმებთან შეერთება	გაწევრიანებიდან ერთი წლის განმავლობაში	მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები. გაგზავნილია სარატიფიკაციოდ საქართველოს პარლამენტში.
3. მინისტრთა კომიტეტის რეგლამენტის მე-14 მუხლის შესაბამისად კომიტეტში წარმომადგენლის (ელჩის) მოადგილის დანიშვნა; ევროპის საბჭოში საქართველოს ელჩის დანიშვნა	ვადა არ არის განსაზღვრული	შესრულებულია
4. საქართველოს მიერ დემოკრატია სამართლის მეშვეობით ევროპულ კომისიათან (ვენეციის კომისიათან) ხელახლა შეერთება	ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ	შესრულებულია
5. ევროპის საბჭოს ბიუჯეტში საქართველოს წლიური შენატანები	საშუალოდ წელიწადში 232 ათასი აშშ დოლარი[51]	

[51] 2000 წლის ბიუჯეტით დაზუსტდა და განისაზღვრა 217 047,74 ეკიუ.

ევროპის საბჭოს დოკუმენტები, რომელთა მონაწილეა საქართველო

2000 წლის იანვრის მდგომარეობით საქართველოსათვის ძალაში შესული ევროპული კონვენციები:

ევროპის საბჭოს წესდება
(ძალაშია 1999 წლის 27 აპრილიდან),

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და მისი მე-2, მე-3, მე-5, მე-8 და მე-11 ოქმები,
(ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან),

კულტურის ევროპული კონვენცია
(ძალაშია 1997 წლის 25 აპრილიდან),

ევროპული კონვენცია მსჯავრდებულ პირთა გადაყვანის შესახებ
(ძალაშია 1998 წლის 1 თებერვლიდან),

კონვენცია უცხოურ კანონმდებლობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ
(ძალაშია 1999 წლის 19 ივნისიდან),

ევროპული კონვენცია "სისხლის სამართლებრივ საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ"
(ძალაშია 2000 წლის 11 იანვრიდან).

საქართველოს სახელით ხელმოწერილი ევროპის საბჭოს კონვენციები და დოკუმენტები

გარდა ამისა, საქართველოს სახელით ხელმოწერილია ევროპის საბჭოს შემდეგი კონვენციები და დოკუმენტები:

კონვენცია ევროპულ რეგიონებში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღიარების შესახებ;

ევროპული კონვენცია არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;

ევროპული კონვენცია არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ;

სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციაზე;

სამოქალაქო სამართლის კონვენცია კორუფციაზე;

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენცია;

საგზაო მოძრაობის დანაშაულების დასჯის შესახებ ევროპული კონვენცია;

ევროპული კონვენცია წამების და არადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის აღკვეთის შესახებ და მისი ოქმები;

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 1-ლი, მე-4, მე-6 და მე-7 ოქმები;

უცხოურ კანონმდებლობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი;

მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი;

პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ გენერალური შეთანხმება. [52]

ევროპის საბჭოს დოკუმენტები, რომლებზეც მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები

ევროპის საბჭოს მთელ რიგ დოკუმენტებზე მიმდინარეობს საქართველოს კანონით "საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები მათი ხელმოწერის ან მათთან შეერთების მიზნით:

ევროპული კონვენცია უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ექვივალენტურობის შესახებ;

შიდა ვაჭრობის შესახებ ევროპული კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი;

ევროპული კონვენცია საზღვარგარეთის ფულადი ვალდებულებების შესახებ;

ევროპული კონვენცია სისხლის სამართლებრივი განაჩენების საერთაშორისო ეფექტურობის შესახებ;

---

[52] არ საჭიროებს ხელმოწერას, ძალაში შედის ქვეყნისათვის რატიფიკაციის შემდეგ. წარდგენილია სარატიფიკაციოდ საქართველოს პარლამენტში.

ევროპული კონვენცია კულტურულ საკუთრებასთან დაკავშირებული დანაშაულების შესახებ;

ევროპული კონვენცია ტრანს-სასაზღვრო ტელევიზიის შესახებ;

ევროპული კონვენცია ანტიდოპინგის შესახებ;

ევროპული კონვენცია მოქალაქეობის შესახებ;

ევროპის სოციალური ქარტია;

ევროპული ქარტია რეგიონალურ ან უმცირესობათა ენების შესახებ;

ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ;

ევროპული კონვენცია ტერორიზმის აღკვეთის შესახებ.

საქართველოში 1997 წლიდან მოქმედებს კანონი "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ", რომლითაც რეგლამენტირებულია საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება, შესრულება და მოქმედების შეწყვეტა. კანონი გამოიყენება საქართველოს ნებისმიერი საერთაშორისო ხელშეკრულების მიმართ, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმებით რეგულირდება, მიუხედავად მისი სახელწოდებისა (ხელშეკრულება, შეთანხმება, კონვენცია, პაქტი, ოქმი და ა. შ.).

აღნიშნული კანონით დაწესებულია საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, ხელმოწერის, შეერთების, დამტკიცებისა თუ რატიფიკაციის წესი, რაც გულისხმობს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების ჩატარებას. პროცედურებით უპირველესად გათვალისწინებულია საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ წინადადების შემუშავება საერთაშორისო ხელშეკრულების (იგულისხმება კონვენციის) გაფორმების (ხელშეკრულებასთან შეერთების) შესახებ. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების წინადადებებს ყველა საჭირო დასკვნით წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს. წინადადება უნდა შეიცავდეს: "ხელშეკრულების პროექტს (ქართულ ენაზე), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნას საქართველოს კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობისა და შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნას

ამ ხელშეკრულების დადების შესაძლო საფინანსო-ეკონომიკური შედეგების შესახებ."[53] საჭიროების შემთხვევაში წინადადებებს თან დაერთვება პროექტი საქართველოს ნორმატიულ აქტებში აუცილებელი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით საქართველოს პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას ბრძანებულების გამოცემის ფორმით.

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ხელმომწერის ვინაობა, ფორმდება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება ხელმოწერაზე (შეერთებაზე) უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. "საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს უფლება აქვთ განახორციელონ საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული ყველა სახის მოქმედება უფლებამოსილების წარდგენის გარეშე."[54]

კანონით დადგენილი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების ჩატარებისა და ხელმოწერის შემდეგ საერთაშორისო ხელშეკრულება ძალაში შედის იმ წესითა და ვადაში, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში ან შეთანხმებულია მხარეებს შორის, ძირითადად კი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციის (ან შეერთების) შესახებ გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ.

ევროპის საბჭოს დოკუმენტებთან საქართველოს შეერთების პროცესი ფორმალური პროცედურების ჩატარებით არ შემოიფარგლება; როგორც აღინიშნა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ნებისმიერი საერთაშორისო ხელშეკრულება იდება, სრულდება და წყდება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და შიდაკანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედებს კანონი "საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ", რომლითაც დადგენილია საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, მისი სავალდებულოდ აღიარების (ხელმოწერა, რატიფიცირება, დამტკიცება, შეერთება და ა. შ.) წესი. კანონის განუხრელად შესრულება პრაქტიკულად გამორიცხავს საქართველოსათვის მი-

---

[53] საქართველოს კანონი "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ", მუხლი 7, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 44, 1997, გვ. 33.

[54] საქართველოს კანონი "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ", მუხლი 12, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 44, 1997, გვ. 35.

ულებელი საერთაშორისო ვალდებულებების აღიარებას, მისი ინტერესების საზიანო ხელშეკრულების გაფორმებას, ან ისეთ საერთაშორისო დოკუმენტთან მიერთებას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან ან შიდაკანონმდებლობასთან. აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს შესაბამისმა სტრუქტურებმა ევროპის საბჭოს უმაღლესი დონის ექსპერტებთან ერთად (ბატონი გი დე ველი, ევროპის საბჭოს სამართლებრივი საკითხების გენერალური დეპარტამენტის დირექტორი, რობერტო ლამპონი, სამართლებრივი საკითხების გენერალური დეპარტამენტის ცენტრალური სექციის ხელმძღვანელი, იურიდიულ კონსულტანტთა და სახელშეკრულებო ბიუროს თავმჯდომარე) სპეციალურ სემინარზე განიხილეს და შეარჩიეს ევროპის საბჭოს 30-მდე დოკუმენტი, რომლებიც პირველ რიგში იქნება შესწავლილი და განხილული.

აღნიშნული დოკუმენტების ძირითადი ნაწილი ევროპის საბჭოს სტანდარტებს განსაზღვრავს:

ევროპის სოციალური დაცვის კოდექსი და ევროპის სოციალური დაცვის კოდექსის ოქმი; ევროპული კონვენცია ინდივიდების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისა და შეძენის შესახებ; ევროპული კონვენცია ბავშვთა მეურვეობასთან მიმართებაში გადაწყვეტილებებისა და ბავშვთა მეურვეობის გაუქმების ცნობისა და ძალაში შესვლის შესახებ; ევროპული კონვენცია მაყურებელთა ძალადობისა და უზნეო მოქმედების შესახებ სპორტული შეჯიბრებებისას, განსაკუთრებით კი ფეხბურთის მატჩების დროს; ევროპის ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

ასევე აქტუალურია ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სივრცეში მოქმედ სხვა ხელშეკრულებებთან საქართველოს შეერთების საკითხი. მათი რიგითობა განისაზღვრება შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების ჩატარების კვალობაზე. ქვემოთ მოყვანილი სია მეტყველებს მოცემული დოკუმენტების აქტუალობასა და მნიშვნელობაზე:

ევროპული კონვენცია ტერიტორიულ გაერთიანებებსა და ხელისუფლებებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ;

- ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ;

- კონვენცია ევროპული ფარმაცევტიკის შემუშავების შესახებ; ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის განაჩენთა საერთაშორისო მოქმედების შესახებ;

- ევროპული კონვენცია სახელმწიფო იმუნიტეტების შესახებ და დამატებითი ოქმი;

ევროპული კონვენცია სოფლის მეურნეობის მიზნებისთვის ცხოველთა დაცვის შესახებ;

- ევროპული შეთანხმება ლეგალური დახმარების გამოყენების გადაცემის შესახებ;

კონვენცია ევროპული გარეული სამყაროსა და ბუნების ბინადართა შენარჩუნების შესახებ;

კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური პროცესისაგან პირთა დაცვის შესახებ;

ევროპული კონვენცია ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ;

ევროპული კონვენცია ქვეწარმავალთა დაცვის შესახებ, რომლებიც გამოიყენებიან ექპერიმენტებისა და სამეცნიერო მიზნებისათვის;

კონვენცია საგადასახადო საქმეებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ;

კონვენცია დოპინგის წინააღმდეგ;

- შეთანხმება უკანონო საზღვაო გადაზიდვების შესახებ, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო გადაზიდვის შესახებ გაეროს კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენებით;

ბავშვთა უფლებების განხორციელების შესახებ ევროპული კონვენცია;

კონვენცია ბიოლოგიასა და მედიცინაში ადამიანის უფლებების და ღირსების დაცვის შესახებ;

სისხლის სამართლის მეშვეობით გარემოს დაცვის შესახებ კონვენცია;

ცხოვრების დინამიკა, საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკა თავის კორექტივებს შეიტანს ევროპულ კონვენციებზე ხელმოწერის რიგითობაში; შეიძლება დღის წესრიგში დადგეს ი მ

ხელშეკრულებებთან შეერთება, რომლებიც ზემოჩამოთვლილ კონ-ვენციათა შორის არ არის მითითებული. ყოველ ცალკეულ შემთხ-ვევაში საქართველო გამოხატავს თავის ნებას სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, ასევე, რომ საქართველოს ხელისუფლება ევროპის საბჭოს დო-კუმენტებთან საქართველოს შეერთების საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს არა მარტო აღმასრულებელი ხელისუ-ფლების ორგანოების, არამედ, პოლიტიკური ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის აზრს.

ზეიმი ევროპის სასახლეში – საქართველოს ევროპის ოჯახში დაბრუნების ისტორიული მნიშვნელობა

1999 წლის 27 აპრილს ქ. სტრასბურგში საქართველოს დელეგაცია საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად, ისტორიული მოვლენის მონაწილე გახდა.

ევროპის სასახლის წინამდებარე მოედანზე, სადაც აღმართულია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა დროშები, საქართველოს დროშაც აღიმართა.

ევროპის სასახლის შესასვლელთან საქართველოს დელეგაციას შეხვდნენ: ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე, ლორდი რასელ ჯონსტონი, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იანოშ მარტონი, გენერალური მდივანი დანიელ ტარშისი და სხვა მაღალი თანამდებობის პირი.

ევროპის სასახლის პირველ სართულზე გაიმართა საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების საზეიმო ცერემონიალი.

სიტყვა წარმოთქვა ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა დანიელ ტარშისმა.

ევროსაბჭოს გენერალური მდივნის დანიელ ტარშისის სიტყვა[33]

რამდენიმე წუთში ამ შენობის წინ აღიმართება საქართველოს დროშა, რომელიც ქართულ ფერებს შეიტანს ევროპის ეროვნულ

---

[33] გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 110, 28 აპრილი. 1999 წელი.

ფერებში. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ევროპისათვის, მოვლენა, რომელიც ერთი ნაბიჯით გვაახლოებს ევროპის საბჭოს დამაარსებელთა თავდაპირველ იდეასთან - გაეერთიანებინათ მთელი ევროპა დემოკრატიული ერების ერთ ოჯახად. კეთილი იყოს ქართველი მეგობრების შემობრძანება ჩვენს ოჯახში.

ბატონო საქართველოს პრეზიდენტო, თქვენ კარგად გიცნობდნენ ევროპაში მანამ, სანამ საქართველოს პრეზიდენტი გახდებოდით. თქვენ იმ პოლიტიკას ედექით სათავეში, რომელმაც შესაძლებელი გახადა ბერლინის კედლის დანგრევა, ევროპაში ცივი ომის დასრულება და ევროპის გაერთიანება. თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ისტორია იქმნება უცნობი მომავლის ჭვრეტით, უცნობი მომავლის, დაბრკოლებათა გადალახვით, მომავლისათვის გზის გაკვლევით. ამიტომ ჩვენ თქვენნაირი გამბედაობა და ლიდერობის უნარი გვჭირდება ერთიანი დემოკრატიული ევროპის იდეის განსახორციელებლად. ბოლოს, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ სტრასბურგს ეწვიეთ, როგორც სამიტის ერთ-ერთი მონაწილე. ახლა თქვენი ქვეყანა - საქართველო უერთდება იმ დემოკრატიულ იდეალებზე დაფუძნებულ ქვეყანათა მთელ სპექტრს, რომლებიც პატივს სცემენ ადამიანის უფლებებს და აღიარებენ კანონის უზენაესობას. ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი ამ მიზნის მისაღწევად, მაგრამ ბოლო 50 წლის განმავლობაში ძალზე კარგი და მყარი საფუძველი შევქმენით. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის გამყოფი კედელი დაინგრა და ევროპის საბჭო დაადგა ახალი წევრების მიღების გზას. ჩვენ არ ველით, რომ ქვეყნად ეთნიკური დაპირისპირება შეწყდება და ტოლერანტობა დამკვიდრდება. დღეს ჩვენ ყველანი კოსოვოს ტრაგედიისა და მოსახლეობის მასობრივი განდევნის მომსწრენი ვართ. საქართველომ კარგად იცის ეს და თავად გამოუცდია ასიათასობით ადგილნაცვალი პირის გაჭირვება, ის სიზიფის შრომა, გახლეჩილი საზოგადოების გასაერთიანებლად რომ სჭირდება.

დროა, ვისწავლოთ შეცდომებზე, ერთმანეთის მაგალითზე სწავლაა ევროპის საბჭოს საქმიანობის არსი. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს, ვისწავლოთ ერთმანეთის შეცდომებზე, დავეხმაროთ ერთმანეთს იმაში, რომ არ გავიმეოროთ წარსულის შეცდომები.

საბჭოს სხვა წევრებმა ეს უკვე იციან, ხოლო საქართველო ახლა დაინახავს, რომ გაწევრიანების ცერემონია მალე დასრულდება, შემდეგ კი იწყება დიდი და რთული შრომა. გაწევრიანება არ არის დასასრული, ეს მხოლოდ დასაწყისია.

ბატონო საგარეო საქმეთა მინისტრო! თქვენ მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის ხელმოწერით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება ამ გზაზე. საქართველო, როგორც ევროპული ოჯახის წევრი, კეთილსინდისიერად შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რომელიც იკისრა წევრი ქვეყნების წინაშე.

ევროპის საბჭოს საქმიანობა ევროპის მოქალაქეთა ერთობლივი საქმიანობაა, ეს არის, საერთო პასუხისმგებლობა. მოქალაქეების სურვილია შესრულდეს მოცემული პირობები. მათ სურთ, მივაღწიოთ წარმატებას. ჩვენდამი ნდობის შესანარჩუნებლად უნდა ვაკეთოთ ეს, უნდა ვიღვაწოთ ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი შვილებისათვის.

გულთბილად მივესალმები ქართველ ხალხს. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება იქ, სადაც თქვენი ადგილია, ანუ ევროპის დემოკრატიული ერების ოჯახში.

გენერალურმა მდივანმა დანიელ ტარშისმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი მიიწვია და მათ ხელი მოაწერეს საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების ოქმს.

ევროპის საბჭოს წესდებასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების სიგელი

1999 წლის 27 აპრილს ქ. სტრასბურგში, ევროპის საბჭოს შტაბ-ბინაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს შესანახად გადასცა 1949 წლის 5 მაისს ქ. ლონდონში მიღებული ევროპის საბჭოს წესდებასთან (ETS № 1) საქართველოს შეერთების სიგელი.

ამის დასტურად, ბატონი ირაკლი მენაღარიშვილისა

და ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის, ბატონი დანიელ ტარშისის მიერ მომზადებული და ხელმოწერილი იქნა წერილობითი შეტყობინება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ხოლო მეორე დეპონირდა ევროპის საბჭოს არქივებში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი

ირაკლი მენაღარიშვილმა ხელი მოაწერა, ასევე, "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციასა" და 1-ლ, მე-4, მე-6, მე-7 და მე-11 ოქმებს.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა[56]

ქალბატონებო და ბატონებო!

გამოგიტყდებით, მსოფლიოს ტრიბუნებსა და აუდიტორიებს შეჩვეული არცთუ ახალგაზრდა კაცი, მღელვარებას ვერ ვფარავ. აუწერელია ის სიხარული და პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელსაც ახლა განვიცდი, ვლაპარაკობ რა არა მარტო ჩემს თანამედროვეთა და თანამოქალაქეთა სახელით. ასე მგონია, აქ - ევროპის ცენტრში თავს დაგვტრიალებენ ჩვენს დიდ წინაპართა სულები და მათი სახელითაც გამოვდივარ თქვენს წინაშე.

დღეს აღსრულდა ყველა დროის, ყველა თაობის ქართველთა ოცნება საქართველო დიდი ევროპის ბინადარი გახდა.

მადლობა შენ, უფალო, საუკუნეთა და ათასწლეულთა ოცნება რომ აუხდინე ჩემს ხალხს.

---

[56] გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა". 110, 28 აპრილი, 1999 წელი.

მე წარმოვადგენ ერს, რომლის მრავალი თაობა ათასწლეულთა და საუკუნეთა განმავლობაში ოცნებობდა ევროპულ ცივილიზაციასთან ერთობაზე. ქართული კულტურა, ჩვენი ეროვნული თვითშეგნება, ღირებულებათა სისტემა, შუა საუკუნეების ის სოციალური წყობაც კი ევროპული იყო თავისი არსით. თუმცა, არც აზიური აზროვნების მწვერვალები იყო მიუწვდომელი ჩემი ერისათვის.

ჩემი დიდი წინაპარი, ქართველი განმანათლებელი და დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი აქ, საფრანგეთში, ამ შესანიშნავი ქვეყნის დედაქალაქში, მეფე-მზე ლუი მეთოთხმეტის ბრწყინვალე კარზე დიდი ყურადღებით, პატივითა და ზარ-ზეიმით მიიღეს. მაშინ საფრანგეთმა და მისი სახით ევროპამ ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო. მაგრამ, ვაი რომ, საქართველო მაშინ ცოტა შორს იყო ევროპისაგან, ისევე როგორც ევროპა - საქართველოსაგან.

თქვენ მოგმართავთ, ჩემი მრავალტანჯული სამშობლოს შვილებო! ბედნიერი ვართ, რომ საქართველოს ხანგრძლივი და გმირული ისტორიის მესამე ათასწლეულის მიწურულს, სწორედ ჩვენს თაობას ხვდა წილად, ეტვირთა აწ უკვე აღსრულებული აზრის სიმძიმე. ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანება იმავდროულად ხომ უდიდესი პასუხისმგებლობაც არის.

ჩვენი მრავალჭირგამოვლილი სამშობლოსათვის ევროპული ოჯახის წევრობა გულისხმობს როგორც ადამიანის უფლებებისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვას, ასევე საკუთარ სახელმწიფოში სუვერენული ძალმოსილებისა და რეალური დამოუკიდებლობის ყოველდღიურ დადასტურებას, ვინაიდან ევროპული თანამეგობრობა თავისუფალ ერთა კავშირია.

რამდენიმე წუთში საქართველოს დროშა აღიმართება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შენობასთან. ჩვენი სახელმწიფო დროშა ქართველი ერის გმირული ისტორიის ანარეკლია.

მინდა ყველამ, ვინც ამ საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობს, ნათლად გაიცნობიეროს, რომ ეს არის ტრიუმფი, დაგვირგვინება, გამარჯვებით დასრულება იმ მრავალსაუკუნოვანი ბრძოლისა, რომელსაც მცირერიცხოვანი, მაგრამ მაღალი კულტურის მქონე ერი აწარმოებდა ენის, მამულისა და სარწმუნოების გადასარჩენად.

საქართველო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ევროპული ცივილიზაციის განაპირა გოდოლი, მისი პირველი და უკანასკნელი ციხესიმაგრე გახდა. ეს დროშა, სიმბოლურად რომ ვთქვათ, არასდროს დაშვებულა. იგი კვლავაც ფრიალებს, ვითარცა ნიშანი ბედნიერებისა და თავისუფლებისაკენ ერის მარადიული სწრაფვისა.

ჩემი ქვეყნის სახელით დიდ მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც შენიშნა და აღიარა საქართველოს კეთილშობილური, გულწრფელი სწრაფვა და ყველაფერი იღონა ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად.

გმადლობთ.

საზეიმო ცერემონიალის მონაწილეებს მიესალმა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იანოშ მარტონი.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იანოშ მარტონის სიტყვა[57]

ბატონო მდივანო, ქალბატონებო და ბატონებო, მოგესალმებით მე წილად მხვდა დიდი პატივი წარვდგე თქვენს წინაშე და მოგილოცოთ ეს ბრწყინვალე დღესასწაული. და მინდა მივულოცო იგი ბატონ შევარდნაძეს. ჩვენ ახლა მოვისმინეთ თქვენი სიტყვა, რომელმაც პირადად ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ ყველაზე უფრო ძნელ პერიოდში, ყველაზე გარდამტეხ პერიოდებში მსოფლიო პოლიტიკის წარმატებით წარმართვისათვის. ასევე ბევრი რამ გააკეთეთ ჩვენი ორგანიზაციისთვისაც. ბოლოს თქვენ ოქტომბერში მოგვმართეთ. თქვენ ჩვენი ორგანიზაცია მიიჩნიეთ არა მარტო საერთაშორისო ორგანიზაციად, არამედ მნიშვნელოვან იარაღად მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად, პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების განსახორციელებლად. მაშინ იმედი გამოვთქვით, რომ

[57] გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა". 110, 28 აპრილი, 1999 წელი.

საქართველო გახდებოდა ჩვენი ორგანიზაციის წევრი და, რომ ეს მოხდებოდა ჩვენი ორგანიზაციის დაარსების 50-ე წლისთავზე. ყველანი ბედნიერნი ვართ, რომ ეს დღეც დადგა.

ჩვენ ვიცით, საიდან ჩამობრძანდით. ეს არის ქვეყანა, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს და იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვანძო ქვეყანაა შავი ზღვის რეგიონში. მოხარული ვართ, რომ საქართველო - ამიერკავკასიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი - ჩვენი დიდი ორგანიზაციის, ჩვენი ოჯახის წევრი გახდება. თქვენ გაამდიდრეთ ჩვენი ოჯახი. მინდა დიდი სიხარული გამოვთქვა ამის გამო.

საქართველო ამავე დროს დიდი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრიც არის. თქვენ დიდ მოღვაწეობას ეწევით იმისათვის, რომ საქართველოში გაიაროს იმ ისტორიულმა გზამ, რომელსაც „აბრეშუმის გზა" ჰქვია, და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო სულ მალე ჩაებმება ამ დიდ ფერხულში.

ბედნიერი ვარ, რომ გავეცანით იმ წერილებს, ირაკლი მენალარიშვილმა რომ გამოგვიგზავნა, დავესწარით, აგრეთვე, ევროკავშირის წესდებასთან შეერთების ცერემონიას. მოხარული ვართ, რომ საქართველო ჩვენთან ერთად განახორციელებს ამ პოლიტიკას რეგიონში, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს კონფლიქტები და სადაც ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა პოლიტიკური დავა.

საქართველო უკვე მონაწილეობდა და აქტიურადაც მონაწილეობდა ჩვენი ორგანიზაციის სხვადასხვა საქმიანობაში. საქართველო იყო ჩვენი ასამბლეის წარმომადგენელი და ჰქონდა გარკვეული ვალდებულებანი, რომელთაც მშვენივრად გაართვა თავი, ის განსაკუთრებით გააქტიურდა ამა წლის იანვრის შემდეგ. ახლა უკვე ვიმედოვნებთ, რომ საქართველო მშვენივრად გაართმევს თავს იმ ვალდებულებებსაც, რომლებსაც მას ჩვენი ორგანიზაცია უსახავს. საქართველო გახდება ამ დიდი ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი, საქართველო იქნება ქვეყანა, რომელიც დიდ ტოლერანტობას გამოიჩენს სხვა ქვეყნების მიმართ. საქართველოს ბევრი რამ აქვს სხვა ქვეყნებთან გასაზიარებელი, მაგრამ სხვა ქვეყნებისგანაც ბევრ რამეს ისწავლის, როგორც ჩვენი ოჯახის წევრი.

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო მინისტრო, კეთილი იყოს თქვენი

მობრძანება ამ დიდ ევროპულ ოჯახში ევროსაბჭოში, რომელსაც დემოკრატიის ტაძარი ჰქვია. მინდა კიდევ ერთხელ მოგახსენოთ მადლობა და დიდი კმაყოფილება გამოვთქვა იმის გამო, რომ საშუალება მეძლევა, მოგილოცოთ ეს დიდი დღესასწაული.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე, ლორდი რასელ ჯონსტონი.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის, ლორდ რასელ ჯონსტონის სიტყვა[58]

ამა წლის 27 იანვარს საპარლამენტო ასამბლეამ რეკომენდაცია მისცა საქართველოს გაწევრიანებას ევროპის საბჭოში. ახლა ჩვენ უკვე ვესწრებით საქართველოს გაწევრიანების ცერემონიას და მინდა ეს ღირსშესანიშნავი დღე მივულოცო ქართველ ხალხს.

საქართველოში ჩემი ვიზიტის დროს ლანა ღოღობერიძემ და ზურაბ ჟვანიამ წამიყვანეს მაღალმთიან სოფელ შატილში. საქართველოს ამ მთიანი რეგიონის მოსახლეობა ძალიან რთულ პირობებში ცხოვრობს, მაგრამ ხალხი აქაც გარკვეულია იმ საკითხებში, რასაც ევროპულ ოჯახში საქართველოს გაწევრიანება და მისი აღიარება ჰქვია. ჩვენ ძალზე სასიამოვნო გრძნობებით ვართ აღსავსე. საქართველო ოდითგანვე ძალიან მჭიდრო კავშირურთიერთობას ამყარებდა ევროპასთან ჯერ კიდევ პრომეთეს დროიდან, როცა კავკასიის მთაზე მიჯაჭვულ პრომეთეს, ზევსის ბრძანებით სხეულს არწივი უკორტნიდა. ზევსმა წამების სანაცვლოდ კავკასიის შესანიშნავი ბუნება შესთავაზა, რომელსაც პრომეთე ყოველდღე ხედავდა.

ამ ქვეყანაში არის გადაუჭრელი პრობლემები - მოუგვარებელი ორი კონფლიქტი. ჯერ კიდევ სახეზეა შეიარაღებული კონფლიქტი და დაძაბულობა აფხაზეთში. თუმცა საქართველომ გარკვეულწილად წარმატებებსაც მიაღწია ცხინვალის რეგიონში, ყოველგვარი ასეთი დადებითი მოვლენების სათავეში ქვეყნის გამოჩენილი პრეზიდენტი შევარდნაძე დგას. იგი იმ თვისებების მქონე კაცია, რომელიც ძალინ სჭირდება დღევანდელ ევროპასაც.

---

[58] გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", №№. 28 აპრილი, 1999 წელი.

ევროპის საბჭოში გაწევრიანება დასასრული კი არა, დასაწყისია. ჩვენ ვართ ორგანიზაცია, რომელსაც ძალიან ბევრი წევრი სჭირდება, მაგრამ ძალიან ბევრსაც მოითხოვს სანაცვლოდ. 41-ე წევრის შემოერთებით ჩვენ კიდევ უფრო გავმდიდრდით და გავიზარდეთ.

დიდი მადლობა, ბატონო პრეზიდენტო, საქართველოვ, კეთილი იყოს თქვენი შინ დაბრუნება!

საზეიმო ცერემონიალის პირველი ნაწილის დასასრულს, ევროპის სასახლის თაღებს ქვეშ, ანსამბლმა "ქართულმა ხმებმა" შეასრულა "მრავალჟამიერი".

ცერემონიალი გაგრძელდა ევროპის სასახლის წინამდებარე მოედანზე, სადაც საქართველოსა და ევროპის ჰიმნების თანხლებით აღიმართა საქართველოს დროშა.

იმავე საღამოს გაიმართა საზეიმო მიღება საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სახელით. მიღებას ესწრებოდნენ საპარლამენტო ასამბლეის წევრები და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის წევრები, ასევე, საქართველოსა და საფრანგეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანების საზეიმო ცერემონიალს მნიშვნელოვანი მოვლენა დაემთხვა. ევროპის საბჭოს ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საპარლამენტო ასამბლეაზე ქვეყნის პრეზიდენტი მიიწვიეს სწორედ იმ დღეს, როდესაც მისი სახელმწიფოს ევროპის საბჭოში გაწევრიანება მოხდა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა და ესაუბრა საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარეს, ლორდ რასელ ჯონსტონს, ჩანაწერი გააკეთა "ოქროს წიგნში", ესაუბრა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარესა და გენერალურ მდივანს, სიტყვა წარმოთქვა საპარლამენტო ასამბლეაზე.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე
სტრასბურგი, 1999 წლის 27 აპრილი[59]

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარე,
პატივცემულო დეპუტატებო,
ქალბატონებო და ბატონებო,

ნება მიბოძეთ, მადლობის სიტყვებით მოგმართოთ საპარლამენტო ასამბლეის ყველა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელს და ეროვნული დელეგაციების წევრებს ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანების დიდ საქმეში ერთსულოვანი მხარდაჭერისათვის. დიდი მადლობა თქვენ.

ამ მაღალი ტრიბუნიდან მსურს მადლიერებით აღვნიშნო ევროპის საბჭოს ერთგულება დემოკრატიის და ადამიანის უფლებების, პლურალიზმის და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეებისადმი, რითაც ორგანიზაციამ, მთელი თავისი 50 წლიანი არსებობით, უდიდესი წვლილი შეიტანა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა განმტკიცებაში.

უპირველეს ყოვლისა ეს გამოვლინდა „ევროპული საჯარო წესრიგის", როგორც ერთიანი პოლიტიკური, სამართლებრივი და, მე დავუმატებდი, კულტურული სივრცის ფორმირებაში.

ევროპის საბჭო, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების უმრავლესობა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის პირმშოა. იგი ჩამოყალიბდა, როგორც ევროპის სულიერი აღორძინების ინსტიტუტი, თუმცა, მისი მოქმედების არეალი ცივი ომის გამო მხოლოდ დასავლური დემოკრატიებით შემოიფარგლა. იმ პირობებში საერთო-ევროპული ოჯახის იდეას განხორციელება არ ეწერა, რადგან „რკინის ფარდის" მიღმა დარჩენილი აღმოსავლეთ ევროპის დიდი ნაწილი, მათ შორის საბჭოთა იმპერიაში შემავალი ხალხები, რამდენიმე ათეული წლით ჩამოსცილდნენ დემოკრატიულ ფასეულობებზე დაფუძნებულ დასავლურ ცივილიზაციას.

---

[59] გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 110, 28 აპრილი, 1999 წელი.

ასეთი თვალთახედვით, „ცივი ომის“ დასრულება ფაშიზმის დამარცხების შემდეგ, ევროპის ცხოვრებაში, მართლაც, მეორე უდიდეს მოვლენად აღიქმება: მან კვლავ მოგვცა ევროპის სულიერი სივრცის აღდგენა-განვითარების ისტორიული საშუალება და იგი განახლებული ევროპის საბჭოს ახალ, უმნიშვნელოვანეს ფუნქციად ჩამოაყალიბა.

ევროპამ ახალი სუნთქვა შეიძინა და საერთო ოჯახში თავიანთი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრეს აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცეში შემავალმა მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა.

დამოუკიდებელი საქართველოც ამ მოვლენების წიაღში იშვა. ჩვენ საკუთარ თავს ევროპის ერთიანი სივრცის ნაწილად განვიხილავდით და განვიხილავთ. ეს ის სივრცეა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული და უსაფრთხო განვითარება უნდა უზრუნველყოს.

საქართველოსათვის „ევროპის საჯარო წესრიგის“ ფარგლებში ყოფნა ნიშნავს არა მარტო საერთო ფასეულობების გაზიარებას, არამედ საკუთარი, კონკრეტული წვლილის შეტანას ამ წესრიგის განვითარებასა და განმტკიცებაში. ევროპის საბჭოში მიღება, რომელიც თავისთავად საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს, საშინაო და საგარეო პოლიტიკის აღიარებაა, ამ მიმართებით საქმიანობის მშვენიერ წინაპირობას გვიქმნის.

საქართველო ევროპაში დაბრუნდა არა მარტო და არა იმდენად დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მრავალათასწლოვანი ისტორიით, არამედ მომავალზე ორიენტირებული აწყმოთი - უმძიმეს პირობებში, დროის მცირე მონაკვეთში ჩამოყალიბებული სამართლებრივი სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მყარი საფუძვლებით.

საქართველოში დემოკრატიული კონსტიტუციის მიღებამ, პრეზიდენტისა და პარლამენტის თავისუფალმა და სამართლიანმა არჩევნებმა, აგრეთვე, სასამართლო რეფორმის პროცესის დაწყებამ, საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსებამ განსაზღვრა ზემოაღნიშნული პროცესის განვითარების ძირითადი ორიენტირები.

ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რეფორმები ად-

ამიანის უფლებების დაცვისა და განმტკიცების სამართლებრივი და ინსტიტუციური უზრუნველყოფის ნიშნით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს: მიღებული იქნა სამოქალაქო და სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსები, პენიტენციალური სისტემა შინაგან საქმეთა სამინიტროდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადადის. გაუქმდა სიკვდილით დასჯა, შეიქმნა სახალხო დამცველის ინსტიტუტი.

ცვლილებები თითქმის ყველა სფეროს შეეხო: გადაადგილების თავისუფლების და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოში ჩაწერის სისტემის გაუქმება. აღსანიშნავია, აგრეთვე, ქვეყანაში დამოუკიდებელი მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საქართველოსა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობა საქართველოს სამართლებრივი სისტემის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის ასპექტში, როგორც პლურალისტური დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით და სხვა მრავალი მიმართულებით.

საქართველო უკვე შეუერთდა ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებულ რამდენიმე კონვენციას. ჩვენი ურთიერთობის მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო ევროპის საბჭოს მიერ საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის სამართლებრივ და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში თანამშრომლობის 1999 წლის პროგრამის განხილვითა და დამტკიცებით.

ჩვენი წარმომადგენლები მეთვალყურის სტატუსით მონაწილეობენ ევროპის საბჭოს კორუფციასთან ბრძოლის კომიტეტის საქმიანობაში, სადაც მუშავდება სამოქალაქო სამართლის კონვენცია კორუფციაზე. საქართველომ კორუფციასთან ბრძოლა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანა. ჩვენ არა მარტო ხელი მოვაწერეთ ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებულ „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციას", არამედ ვაპირებთ კორუფციასთან ბრძოლის სპეციალური სამსახურის შექმნას საქართველოს პრეზიდენტის ეგიდით.

საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური მხარდაჭერით დასრულდა სასამართლო სისტემის რეფორმის პირველი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებდა ხელისუფლების დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი შტოს ჩამოყალიბებას. რეფორმების განხორციელების ფორმების შესახებ არსებულ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ჩვენი საზოგადოების მხარდაჭერა ამ პროცესისადმი ერთმნიშვნელოვანია. რეფორმის შეუქცევადობის თვალსაზრისით სერიოზული განაცხადი გაკეთდა კანონით „საერთო სასამართლოს შესახებ", ამ კანონის მიღებითა და ახალი მოთხოვნების შესაბამისად მოსამართლეთა კორპუსის დაკომპლექტებით.

ვფიქრობ, ცალკე უნდა გამოიყოს საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს ვალდებულებების შესრულება. ჩვენ სრულად ვაცნობიერებთ, რომ ისინი უკავშირდება ჩვენი საზოგადოების წინაშე მდგარ ამ პრობლემებს, რომელთა გადაჭრის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის დემოკრატიული განვითარება. ამ მიმართებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება აბსოლუტურად თანხვდება საქართველოს მომავლის ჩვენეულ აღქმას და ხედვას.

ევროპის საბჭოში ღირსეული ადგილის დამკვიდრება ხანგრძლივ და სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. ჩვენ ეს კარგად გვესმის. აღნიშნული პროცესი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ევროპის საბჭოში თანამშრომლობას განიხილავს, როგორც ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შეუქცევადობის გარანტიას.

ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ფუნქციას ჩვენ არა მარტო „ევროპული საჯარო წესრიგის" გაღრმავებაგანვითარებაში, არამედ ამ წესრიგის სამხრეთ კავკასიაზე გავრცელების ხელშეწყობაში ვხედავთ. ამ მხრივ აღსანიშნავია 15 მარტს სტრასბურგში ევროპის საბჭოს ეგიდით და საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის, ლორდ რასელ ჯონსტონის ინიციატივით შემდგარი აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეთა შეხვედრა. ამ რამდენიმე დღის წინათ ვაშინგტონში შევხვდით სამი პრეზიდენტი აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს პრეზიდენტები. შეხვედრა იყო საინტერესო და მოვილაპარაკეთ, რომ შემდეგი ასეთი საუბარი, ასეთი დიალოგი გაიმართება უკვე თბილისში.

ევროპული წესრიგის განვრცობა ჩვენს მეზობელ კავკასიის სახელმწიფოებზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება კავკასიური სახელმწიფოების ურთიერთობის ინსტიტუციონალიზაციისა და განვითარების თვალსაზრისით; იგი პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს რეგიონში კონფლიქტების მოწესრიგებისა და ევროპაში უსაფრთხოების განმტკიცების პროცესზე.

ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში აზერბაიჯანსა და სომხეთს ევროპის საბჭოს სრულუფლებიან წევრებად ვიხილავთ.

"ევროპული საჯარო წესრიგის" ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვა, როგორც პიროვნების უსაფრთხოების გარანტია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ერთგვარი კვინტესენციაა. ჩვენი შეხედულებით, „ევროპული საჯარო წესრიგის" ფორმირების ამოცანა უფრო ფართოდ უნდა იყოს გააზრებული. კერძოდ, მან უნდა მოიცვას უსაფრთხოება სოციალური იერარქიის ყველა დონეზე, იქნება ეს ინდივიდი, ინდივიდთა ჯგუფი, საზოგადოება თუ სახელმწიფო. სწორედ ეს კრიტერიუმი უნდა გახდეს განმსაზღვრელი, როდესაც ვლაპარაკობთ ევროპული "ურთიერთშემავსებელი და ურთიერთდამაკავშირებელი ინსტიტუტების" საქმიანობის ეფექტიანობაზე.

ასეთი წესრიგის ფარგლებში დაუშვებელია ევროპულ სივრცეში არსებული კონფლიქტების გრადაცია და ზოგიერთი მათგანის, ასე ვთქვათ, „გაყინული კონფლიქტების" ან "დაკონსერვებული კონფლიქტების" კატეგორიაში გადაყვანა. ევროპული წესრიგისათვის კოსოვოში განხორციელებული "ეთნიკური წმენდა" ისევე კატასტროფულია, როგორც აფხაზეთში, საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ ჩატარებული ანალოგიური ქმედება, რის შედეგადაც 300 ათასი ადამიანი, უმეტესად ქართველი, განიდევნა მამა-პაპათა მიწა-წყლიდან და ათასობით ადამიანი დაიხვრიტა და განადგურდა.

ჩვენ არაერთხელ გაგვიფრთხილებია საერთაშორისო თანამეგობრობა, რომ მსოფლიოში გახშირებული "მცირე ინტენსივობის" კონფლიქტები დამანგრეველი, დესტრუქციული მუხტის მატარებელია. პოსტტოტალიტარულ სივრცეში არსებულ, ერთი შეხედვით მცირემასშტაბიან ეთნიკურ დაპირისპირებებს, რასაც

ზოგჯერ ლოკალურ კონფლიქტებსაც უწოდებენ, შეიძლება ჯაჭვური რეაქცია მოჰყვეს და მსოფლიო ომის საფრთხის წინაშეც კი დაგვაყენოს. ყოველ შემთხვევაში, კოსოვოს მაგალითი ამ მხრივ ძალზე დამაფიქრებელია. მე არაფერს ვაჭარბებ, ეს არის რეალური საფრთხე.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში უკვე კარგა ხანია განიხილება ისეთი გამოწვევები, როგორიცაა აგრესიული სეპარატიზმი, ეთნიკური თუ კონფესიური კონფლიქტები, საქმე რიტორიკასა და დეკლარაციებს არ გასცდენია. ეს უნდა ვაღიაროთ.

შიდა კონფლიქტების გამო საერთაშორისო წესრიგის ამგვარი „მოუწესრიგებლობის" შედეგები მძიმე და, მე ვიტყოდი, ტრაგიკულ ტვირთად აწევს საქართველოსაც.

ამდენად, ცოტაოდენ კატეგორიულობასაც თუ მომიტევებთ, ვიტყვი, რომ ევროპული წესრიგი ვერ იარსებებს და აზრსაც კი კარგავს იმის გაცნობიერების გარეშე, რომ ევროპულ სივრცეში მიმდინარე ყველა კონფლიქტს თანაბარი ყურადღება და ძალისხმევა სჭირდება.

ამ საკითხზე ფიქრი მართებს ევროპის საბჭოსაც, რადგან, ის რაც კოსოვოში ხდება, გაცილებით უფრო რთული და მასშტაბური მოვლენაა, ვიდრე ცალკეული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნიკური კონფლიქტი. ფაქტობრივად, ერთმანეთს უპირისპირდება ორი დიამეტრულად საწინააღმდეგო წარმოდგენა საერთაშორისო წესრიგზე, რომელთაგან ერთის საფუძველი ტოტალიტარული რეჟიმია, ხოლო მეორე - დემოკრატიულ ფასეულობებზეა დაფუძნებული. საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტიც სწორედ ასეთი დაპირისპირების შედეგია.

ჩვენთვის აფხაზეთში, საქართველო, კონფლიქტის მოგვარების ძირითად გზად გაეროს ეგიდით სამშვიდობო პროცესის წარმართვა ისახება: ჩვენ დიდი ხანია განვსაზღვრეთ ჩვენი პოლიტიკა ამ თვალსაზრისით. საქართველოს მთავრობის მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი უცვლელია - აფხაზეთს უნდა ჰქონდეს ფედერაციის სუბიექტის მაღალი სტატუსი, რომლის ფარგლებში, ისევე როგორც სხვაგან საქართველოში, უზრუნველყოფილი იქნება ად-

ამიანის უფლებები, აგრეთვე, აფხაზების, როგორც ეთნიკური ჯგუფის, უსაფრთხო და ყოველმხრივი განვითარება.

ჩვენი მიღწევები ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საქმეში, დღესდღეობით მიმდინარე ორმხრივი პოზიტიური დიალოგი, საქართველოს კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკის გენერალური ხაზის ანარეკლია, რომელიც სრულად პასუხობს საქართველოში მცხოვრები ხალხების ინტერესებს.

პატივცემულო დეპუტატებო!

სტრასბურგში ვაშინგტონიდან ჩამოვედი, სადაც ნატოსა და ევროატლანტიკური საბჭოს უმაღლესი დონის შეხვედრა გაიმართა. მასზე მიღებული დოკუმენტები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ იმას, თუ როგორი იქნება ევროპა და არა მხოლოდ ევროპა მომავალში. ეს მომავალი კი, ამ საუკუნეში გადატანილი ორი მსოფლიო ომისა და ლამის ნახევარსაუკუნოვანი ცივი ომის მიუხედავად, კვლავაც არაა უღრუბლო და ამის მიზეზი, ალბათ, ისიც გახლავთ, რომ რაღაც სერიოზული, ძნელადასახსნელი მოხდა ჩვენს ცხოვრებაში. როგორც ჩანს, ჩვენ მოგვიდუნდა საფრთხის ადეკვატურად შეგრძნების უნარი და ყველაფრის პატიება, განურჩეველი შემწყნარებლობა ლამის მაღალი ცივილიზებულობის ნიშნად ვაქციეთ. ადამიანურობის წინაალმდეგ, კაცობრიობის წინაალმდეგ დღეს ჩადენილ დანაშაულზე ზანტი რეაქცია ფაშისტების მიერ დატრიალებულ ტრაგედიაზე თვალის დახუჭვის ტოლფასია. ცხადია, ჯერჯერობით მასშტაბები განსხვავდება, მაგრამ მათი ბუნება მსგავსია და გვაქვს კი იმის გარანტია, რომ ჩვენი უმოქმედობისა და ზღვარსგადასული მიტევების წყალობით ეს დანაშაულობანი იგივე შედეგს არ მოგვიტანს?

სხვათა შორის, თავის დროზე, არც ბოლშევიზმის მიერ ჩადენილ დანაშაულს ელირსა სამართლიანი შეფასება. ეთნიკური წმენდა, რომელსაც დღეს ახორციელებენ დანაშაულებრივი რეჟიმები, იმ ავადსახსენებელი ბოლშევიზმის პირმშოა, როცა საბჭოეთის თვალუწვდენელ სივრცეზე, მათ შორის კავკასიაშიც, ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით, ერთი ღამის მანძილზე „წმენდნენ", თუ ასე შეიძლება ითქვას, ქალაქებსა და სოფლებს, და ხანდახან მთელ ხალხებს ატოვებინებდნენ სამშობლოს, მშობლიურ კუთხეებს.

ეთნოწმენდისა და გენოციდის დღევანდელი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები საკმაოდ ოსტატურად იყენებენ მოლაპარაკების ინსტიტუტს და ამ პროცესის უსასრულოდ გაჭიმვით ჩადენილი დანაშაულის შედეგების დაკანონებას, უსამართლო სტატუს-კვოს სამარადჟამოდ დამკვიდრებას ცდილობენ. არ შეიძლება, დაუსრულებელი მოლაპარაკებები თვითმიზანი იყოს. იგი უნდა იყოს სამართლიანობის უსამართლობაზე ზეიმის საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით მოლაპარაკებები საზოგადოდ სამშვიდობო პროცესი აბსოლუტურად დისკრედიტირებული იქნება.

ამას რომ ვამბობ, მარტო რომელიმე კონკრეტულ კონფლიქტს არ ვგულისხმობ, არამედ ზოგად პრინციპებსა და ზოგად დამოკიდებულებას. უნარის გამომუშავება, უსაფრთხოების მტკიცე გარანტიების, ძალით ზურგგამაგრებული დიპლომატიის, მათ შორის, მშვიდობის ძალდატანებითი დამყარების პრინციპის რეალური ამოქმედების გარეშე მსოფლიო ვერ განიკურნება კონფლიქტების ეპიდემიისაგან, რომელსაც ბოლოს და ბოლოს საყოველთაო განუკითხაობისა და ქაოსისაკენ მივყავართ.

ამ ახალ საფრთხეებს უნდა დავუპირისპიროთ ისეთი პარტნიორობა, რომლის ამოსავალი წერტილი იქნება არა მარტო გეოპოლიტიკა და ძალთა ბალანსი, არამედ ზნეობრივი მიდგომები და ერთიანი მსოფლმხედველობის სივრცე, იმის რწმენა, რომ ყველა პარტნიორი ქვეყნის, დიდის თუ პატარის სატკივარი ჩვენი ევროატლანტიკური ოჯახის ერთობლივი საზრუნავია.

ევროპული სივრცის ფორმირების თვალსაზრისით აქტუალურად გვესახება რეგიონული ინტეგრაციის საკითხების „ევროპა ცვალებადი გეომეტრიით“ ჭრილში ხედვა. ვგულისხმობ ისეთ რეგიონულ გაერთიანებებს, რომლებიც თავიანთი გეოგრაფიული, პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით ევროპული სივრცის ნაწილად მოიაზრება.

ამ მიმართებით, თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ 1992 წელს თურქეთის ინიციატივით სტამბოლში შექმნილ შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოც გახლავთ. შარშან იალტის სამიტზე "ბისეკი" საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც საერ-

თაშორისო რეგიონალური ორგანიზაცია. მის დღითიდღე მზარდ ავტორიტეტზე მეტყველებს ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დაინტერესება. ორგანიზაციაში მეთვალყურის სტატუსით შემოსვლის სურვილი გამოთქვეს გერმანიამ, საფრანგეთმა და ზოგიერთმა სხვა სახელმწიფომ. სულ რამდენიმე დღეში საქართველო, როგორც ბისეკის ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყანა, უმასპინძლებს ორგანიზაციაში მონაწილე 11 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს, მეთვალყურის სტატუსის მქონე სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რაც, ვიმედოვნებ, "ბისეკის" განვითარებას ახალ იმპულსს შესძენს.

შავი ზღვისა და კასპიისპირეთის სახელმწიფოთა სუბრეგიონული თანამშრომლობის პროცესში პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების თანხვედრამ შესაძლებელი გახადა ტრასეკას, ინოგეიტის, „განახლებული დიდი აბრეშუმის გზის" პროექტების რეალური ამოქმედება, რომელთაც ჩვენ განვიხილავთ როგორც ევრაზიის სივრცეზე სტაბილურობისა და კეთილდღეობის გლობალურ სარტყელს. გასული წლის ბაქოს სამიტზე 14 სახლმწიფოს პრეზიდენტმა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იურიდიულად გააფორმეს თავიანთი ნება გადააქციონ „განახლებული დიდი აბრეშუმის გზა" ურთიერთგაგებისა და საერთო ინტერესების არედ.

დიდი აბრეშუმის გზის პროექტის განხორციელებაში უკვე გამოიკვეთა საქართველოს საკვანძო როლი. ამ დღეებში დამთავრდა კასპიის ადრეული ნავთობის დასავლეთის მიმართულების მილსადენისა და ტერმინალის მშენებლობა, კასპიის ნავთობით დატვირთულმა პირველმა ტანკერებმა ევროპისაკენ აიღეს კურსი.

გადაწყვეტილია კასპიისა და ყაზახეთის დიდი ნავთობსადენის - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი დაპროექტების საკითხი, უმოკლეს დროში უნდა დაიწყოს და დამთავრდეს თურქმენეთის გაზის თურქეთისა და დასავლეთის ბაზრებისათვის მიწოდების პროექტის რეალიზაცია აზერბაიჯანსა და საქართველოზე გავლით.

საქართველოს ნავსადგურებში აიგო და მოქმედებს სარკინიგზო საბორნე გადასასვლელები, რომლებიც ჩვენს რეგიონს უკრაინასთან, ბალკანეთისა და დუნაისპირა ქვეყნებთან დააკავშირებს.

გვაქვს სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების მშენებლობის დიდი პროექტები, რასაც ტვირთნაკადების გარდა მილიონობით ტურისტთა მასები შეუერთდება.

საქართველომ, როგორც ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე სახელმწიფომ, უკვე დაიმკვიდრა ამ პროექტის განხორციელებაში საიმედო პარტნიორის სახელი. ყველაფერს ამას ხელი შეუწყო თვით ქვეყანაში გატარებულმა მნიშვნელოვანმა ეკონომიკურმა რეფორმებმა. მწვანე ენერგეტიკული კრიზისის მიუხედავად, სახეზეა წინა წლებში გაჩერებული მრეწველობის ცალკეული დარგებისა და აგრარული სექტორის მნიშვნელოვანი გამოცოცხლება.

სწორედ ამგვარი ფუნქციონალური დატვირთვით, როგორც სუბრეგიონალური პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების მნიშვნელოვანი სუბიექტი, შემოვიდა საქართველო ევროპაში.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობისა და ინტელექტუალური პოტენციალის სრულად რეალიზებისათვის კეთილგანწყობილი საერთაშორისო გარემოს ფორმირება წარმოადგენს. მით უმეტეს, მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს ჩვენი ქვეყნის შეერთება ევროპის კულტურულ კონვენციასთან, რომელიც საქართველოს თვითმყოფადი კულტურის მისთვის მშობლიურ, ევროპულ გარემოში დაბრუნებისა და დამკვიდრების, მისი განვითარების ხელშესაწყობად გადადგმული ნაბიჯია.

ჩვენ გვესმის ამ საკითხის მთელი სერიოზულობა და მაქსიმალურად ვცდილობთ, შევასრულოთ კონვენციის ყველა მოთხოვნა. ჩვენი ქვეყანა მონაწილეობს ევროპის საბჭოს შესაბამისი კომიტეტების მიერ ორგანიზებულ სხდომებსა და სხვადასხვა ღონისძიებაში. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ევროპის საბჭოს კულტურის, განათლებისა და სპორტის დირექტორატი დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს შესაბამის სტრუქტურებთან ურთიერთობას.

2000 წლის თებერვალში თბილისში გაიმართება კონფერენცია „დემოკრატია, საბაზრო ეკონომიკა და კულტურული მემკვი-

დრეობის დაცვა". საგულისხმოა, რომ ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ბატონმა დანიელ ტარშისმა უყურადღებოდ არ დატოვა ჩვენი ინიციატივა ზემოაღნიშნული კონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებით. ჩვენ უკვე დავიწყეთ მზადება, შევქმენით საორგანიზაციო კომიტეტი და ვიმედოვნებთ, რომ ის დიდი ვალდებულება, რომელიც ქართულმა მხარემ აიღო ევროპის საბჭოს წინაშე, წარმატებით იქნება შესრულებული. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქვეყნის სამინისტროები და უწყებები, რომლებიც ემსახურებიან განათლებისა და კულტურის სფეროს, აქტიურად თანამშრომლობენ ევროპის საბჭოს მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა პროექტების შედგენასა და განხორციელებაში.

ჩვენ ვადასტურებთ XXI საუკუნის ევროპაში ეკონომიკური განვითარების, ჰუმანიზაციის, სოციალური სამართლიანობის, შემოქმედებითი თვითრეალიზაციისა და ინდივიდუალიზაციისაკენ სწრაფვაში ადამიანისათვის ხელისშემწყობი პირობების შექმნის აუცილებლობას.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ევროპის საბჭოს წიაღში შობილ და „ბრძენთა კომიტეტის" რეკომენდაციებით მიმდინარე თვითგანახლების პროცესებს.

პატივცემულო დეპუტატებო,

ევროპის საბჭო ევროპის სახელმწიფოსათვის მყუდრო და საიმედო ბინა იქნება.

მაგრამ იგი განსაკუთრებული ღირებულებისაა მცირე სახელმწიფოებისათვის, მათი თვითგამოხატვის, თვითდამკვიდრების, ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნების გარანტიაა, რაც, ამავე დროს, თითოეული ჩვენგანის მიერ ევროპული და მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში შეტანილ წვლილსაც მოასწავებს.

დღეისათვის განახლებული ევროპის სახეს ჩემთვისა და ჩემი თანამემამულეებისათვის განსაზღვრავს ის რწმენა, რომ სტრასბურგი ისევე ახლოა თბილისთან, როგორც ევროპული სახელმწიფოს ნებისმიერ სხვა დედაქალაქთან.

სწორედ ასეთი რწმენით აპირებს საქართველო თანამშრომლობას ევროპის საბჭოსა და საპარლამენტთაშორისო ასამბლეასთან XXI საუკუნის ევროპული წესრიგის ფორმირების საქმეში.

ამ საკითხში, როგორც პოლიტიკის ნებისმიერ სხვა სფეროში, ნება მიბოძეთ, გამოუსწორებელ ოპტიმისტად დავრჩე.

გმადლობთ, ყურადღებისათვის.

საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების ცერემონიალი და საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა გადაიცემოდა საქართველოს ტელევიზიით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით პირდაპირი ტრანსლაცია საზღვარგარეთიდან პირველად განხორციელდა.

საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 27 აპრილის სხდომა

საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 27 აპრილის პლენარული სხდომა განსაკუთრებული მოვლენას, საქართველოს ევროპის საბჭოს გაწევრიანებას მიეძღვნა.

სხდომა გახსნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ედვარდ სურმანიძემ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია სხდომათა დარბაზში შემოუძღვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

პარლამენტის სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე, მთავრობის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური დაწესებულებების მეთაურები, საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები, შემოქმედებითი კავშირებისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, მოსწავლეები და სტუდენტები, ჟურნალისტები.

პარლამენტის სხდომის მონაწილეებს მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ.

ბატონი ზურაბ ჟვანია მიესალმა დეპუტატებს, უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II, საქართველოს მთავრობის წევრებს, საქართველოში აკრედ-

იტებულ დიპლომატებს, ელჩებს, სესიაზე დამსწრე ყველა სტუმარს. მან აღნიშნა, რომ ევროპის საბჭო ევროპის კონტინენტზე მოქმედ ორგანიზაციებს შორის ერთ-ერთი უძველესი და განსაკუთრებული ტრადიციების მქონე გაერთიანებაა. საქართველოს გაწევრიანების დღეებში, ევროპის საბჭო ზეიმობს თავისი დაარსების 50 წლისთავს. 50 წელია, ევროპის საბჭო იბრძვის ევროპის კონტინენტზე ადამიანის უფლებათა განმტკიცებისა და დემოკრატიული ღირებულებების დასამკვიდრებლად. ევროპის ხალხებისათვის ეს არის უნიკალური ორგანიზაცია. უნიკალური იმითი, რომ მისი წევრობა არ ნიშნავს განსაკუთრებულ ეკონომიკურ პრივილეგიებს, არ უკავშირდება თავდაცვითი ხასიათის შეთანხმებებს, არამედ ადასტურებს, რომ ქვეყანა, რომელიც შედის მის შემადგენლობაში, მიეკუთვნება იმ თანამეგობრობას, სადაც რეალურად აღიარებულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პრიორიტეტები, დემოკრატიული ცხოვრების პრინციპების უზენაესობა.

საქართველო კავკასიის ქვეყნებს შორის პირველი ხდება ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი, მაგრამ ეს თავისთავად არ მომხდარა. ევროპის საბჭოში გაწევრიანების აქტს წლების განმავლობაში ამზადებდა ასეულობით თანამემამულე, ამზადებდნენ უმრავლესობისა და ოპოზიციის, პოლიტიკური წრეების თუ არასამთავრობო ორგანიზაციების, ცალკეულ ეროვნულ უმცირესობათა თუ სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გაწევრიანება ევროპის საბჭოში, ეს არის იმ ურთულესი გზის აღიარება, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში გამოიარა სრულიად საქართველომ ევროპის საბჭოს სრულუფლებიან წევრად აღიარებამდე.

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ სხდომის მონაწილეებს შეახსენა, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანების პროცესი წინააღმდეგობრივად და რთულად წარიმართა; მიმდინარეობდა დებატები, გეოგრაფიულად შეიძლებოდა თუ არა საქართველო ევროპას მიკუთვნებოდა. მოგვიანებით ათეულობით დელეგაცია და მისია, ექსპერტები, ევროპის წამყვანი იურისტები ეწვივნენ საქართველოს. შეხედულებების სათანადო ანალიზის შედეგად დაგროვდა უამრავი მასალა,

რომელიც თვალნათლივ ასახავდა ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის მდგომარეობას. ეს მასალა დაედო საფუძვლად კენჭისყრას, რომელიც ჩატარდა 1999 წლის 27 იანვარს სტრასბურგში, ევროპის სასახლეში.

პარლამენტის თავმჯდომარემ, საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან მადლობა მოახსენა ყველას, ვინც იმ დღეს, საპარლამენტო ასამბლეის საქართველოსათვის იმ განსაკუთრებულ სხდომაზე, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს მიღებას ევროპის საბჭოში. ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ ასეთი ერთსულოვანი კენჭისყრა უპრეცედენტო იყო ბოლო ათწლეულის განმავლობაში ევროპის საბჭოში გამართული დისკუსიების დროს ამა თუ იმ ქვეყნის გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

მადლობა მოახსენა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილ პრეზიდენტს, ქალბატონ ლენი ფიშერს, რომელმაც უზარმაზარი შრომა გასწია ევროპაში საქართველოს პოპულარიზაციისათვის, ასამბლეის მოქმედ პრეზიდენტს, ლორდ რასელ ჯონსტონს, რომელმაც თავის საინაუგურაციო გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ კავკასიაში მუშაობა მისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი იქნება და დაადასტურა კიდეც ეს სიტყვები, როდესაც არჩევის შემდეგ პირველი ვიზიტით სწორედ საქართველოში ჩამოვიდა. ნიშანდობლივია, რომ ამ ვიზიტის შემდეგ მისი ინიციატივით სტრასბურგში ჩატარდა სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს პარლამენტის თავმჯდომარეების უაღრესად საინტერესო შეხვედრა.

ბატონი ზურაბ ჟვანია დეტალურად შეჩერდა ასამბლეის დადგენილებით საქართველოზე დაკისრებულ ვალდებულებებზე. მიუთითა, რომ ვალდებულებები ძირითადად იმ საკითხებს მოიცავს, რომელზედაც საქართველოს პარლამენტი და ხელისუფლება მუშაობდა და მუშაობს დემოკრატიული რეფორმების განხორციელების მიზნით და აღნიშნა: "მე კიდევ და კიდევ ერთხელ მინდა დავარწმუნო ჩვენი კოლეგები ევროპის საბჭოში, განსაკუთრებით, საპარლამენტო ასამბლეაში, რომ საქართველოს გააჩნია იმის პოლიტიკური ნებაც და შესაძლებლობაც, რომ ყველა საკითხი, რომელიც ჩადებული იქნა ასამბლეის რეზოლუციაში საქართველოს გაწ-

ევრიანებასთან დაკავშირებით იმ ვადებში, რაც არის იქ მითითებული, იქნას აღსრულებული და ეს მთლიანად შეესაბამება ჩვენს ინტერესებს, ჩვენს ხედვას და ჩვენს მისწრაფებებს."

პარლამენტის თავმჯდომარემ მიუთითა, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანებით საქართველომ მოიპოვა მაღალი ტრიბუნა. ტრიბუნა, საიდანაც წარმოთქმული მისი სატკივარი გაგონილი იქნება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ დაიწყო სხვა ევროპულ სტრუქტურებთან და ორგანიზაციებთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესი.

1999 წლის 27 აპრილი მართლაც ისტორიული დღეა საქართველოს ყველა მკვიდრისათვის, დღე, როდესაც "ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ თამამად, საქართველო დაუბრუნდა ევროპულ ოჯახს, დღე, როდესაც საქართველომ დაიბრუნა თავისი ადგილი ევროპის პოლიტიკურ რუკაზე. შეიძლება სხვა ხალხებისათვის, სხვა ერებისათვის, რომლებიც ცენტრალურ თუ აღმოსავლეთ ევროპაში მდებარეობენ, ევროპის საბჭოში გაწევრიანება არც ყოფილიყო ისეთი საერთო, სახალხო, საყოველთაო აღფრთოვანების და ენთუზიაზმის საგანი იმიტომ, რომ მათ წინაშე მათი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში არავის დაუსვამს კითხვის ნიშანი იყვნენ თუ არა ისინი ევროპული თანასაზოგადოების წევრები, იქ შეიძლება იცვლებოდა რეჟიმები, იცვლებოდა მთავრობები, საზოგადოების ფორმაციები, მაგრამ არავის უცდია მათი გამოცალკევება იმ ერთიანი ცივილიზაციიდან, რომელსაც ისინი მიეკუთვნებოდნენ."- აღნიშნა მან. საქართველოს ბედი ბევრად უფრო ტრაგიკული იყო იმიტომ, რომ საუკუნეების განმავლობაში მას გზას უკეტავდნენ, ართმევდნენ იმის შესაძლებლობას, რომ ყოფილიყო თავის ერთადერთ ბუნებრივ გარემოში, რასაც ევროპული გარემო ჰქვია.

საქართველოს არჩევანი არ არის განპირობებული პოლიტიკური კონიუნქტურით, ეს არის სულიერი კულტურით ნაკარნახევი ერთადერთი მისაღები არჩევანი. როდესაც ლაპარაკობენ ევროპულ სივრცეზე და ევროპულ ღირებულებებზე, ლაპარაკია ქართულ ღირებულებებზეც, ვინაიდან ქართველები, ევროპელები არიან ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ევროპა განუმეორებელია თავისი მრავალფეროვნებით. ევროპული სისტემა დამყარებულია თითოეული

ერის თვითმყოფადობაზე. "არსად არ უფრთხილდებიან კულტურული მემკვიდრეობის თითოეულ მისხალს ისე, როგორც ევროპაში, არსად არ არის აღიარებული ყოველივე, რაც შეუქმნია წინა თაობებს სულიერების, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ისეთ უზენაეს და ხელშეუხებელ შეუვალ პრიორიტეტად, როგორც ევროპულ თანამეგობრობაში" - აღნიშნა ზ. ჟვანიამ.

ევროპული ოჯახის წევრობა საქართველოსათვის ბევრი საკითხის მოგვარების წინა პირობაა. ეს არის იმის გარანტია, რომ იგი სრულფასოვნად იქნება ინტეგრირებული იმ ერთიან ეკონომიკურ სივრცეში, რომელში შესვლაც შექმნის თითოეული ქართული ოჯახის კეთილდღეობის პირობებს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენია ქართველი მოღვაწეები, უდიდესი განმანათლებლები, ვინც ევროპული აზროვნების ტრადიციებს უყრიდა საფუძველს. პატივი მიაგო პირველი ქართული რესპუბლიკის დამფუძნებლებს, "ვინც პირველ ქართულ კონსტიტუციაში ქართულ ენაზე ჩამოაყალიბა ის პრინციპები, ის ღირებულებები, რასაც მთელი დღევანდელი ევროპა ეფუძნება." ბატონმა ზ. ჟვანიამ საქართველოს პარლამენტის სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს დელეგაციის წევრებს ევროპის საბჭოში ქალბატონი ლანა ღოღობერიძის ხელმძღვანელობით, რომლებმაც ფასდაუდებელი შრომა გასწიეს საქართველოს ერთსულოვანი მხარდაჭერის მოსაპოვებლად. მადლობის სიტყვებით მიმართა პარლამენტში მოქმედ თითოეულ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელთა შეთანხმებული საქმიანობით ნათლად გამოიხატა, რომ ევროპული არჩევანი არ არის ერთი პარტიის, ერთი დაჯგუფების არჩევანი, არამედ ეს ზეპარტიული, საერთო ეროვნული კონსესუსია. "როდესაც ბატონი გიორგი კობახიძე ბრიუსელში ხელმძღვანელობს პარლამენტის დელეგაციას ევროპარლამენტში და იღვწის, რომ ჩვენი კავშირები ევროკავშირთან განმტკიცდეს და ბევრად უფრო ღრმა გახდეს, როდესაც თითოეული პოლიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელი, იქნებიან ეს სოციალისტები, ლეიბორისტები, ედპ-ელები თუ სხვები, მოღვაწეობენ ევროპულ პოლიტიკურ გაერთიანებებში და აცხადებენ თავიანთ პრიორიტეტებს, როდესაც აჭარაში ევრო-

პული ინტეგრაცია ცხადდება ერთ-ერთ უმაღლეს პრიორიტეტად და ცენტრალურ მოედანს ევროპის მოედანი ეწოდება, როდესაც საქართველოს თითოეული რეგიონის ხელმძღვანელი უერთდება აი, ამ პრიორიტეტის გამოცხადებას, ყველა რწმუნდება, რომ განსხვავებები ყოველგვარი პოლიტიკური დაპირისპირების მიუხედავად, ამ საკითხში არ არსებობს", - თქვა ბატონმა ზ. ჟვანიამ.

პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლაში აღინიშნა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების განსაკუთრებული როლის შესახებ ევროპის საბჭოში გაწევრიანების პროცესში. გამოითქვა მისალმება ახალგაზრდობის მიმართ, რომლებიც თავისი სამშობლოს ხვალინდელი დღის ნათელი ხედვით გამოირჩევიან. ბატონმა ზურაბ ჟვანიამ განსაკუთრებული მადლიერების სიტყვებით მიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს, რომლის სულიერმა წინამძღოლობამ დიდი როლი შეასრულა საქართველოს ევროპული არჩევანის საქმეში. განსაკუთრებული ადგილი დაეთმო პარლამენტის თავმჯდომარის გამოსვლაში საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის როლსა და ღვაწლს საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზის არჩევისა და სწორი წინამძღოლობის საქმეში.

დასასრულ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ კიდევ ერთხელ მიულოცა სხდომის მონაწილეებს, საქართველოს მოსახლეობას ღირსშესანიშნავი დღე, რწმენა გამოთქვა, რომ მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა, საქართველოს გააერთიანებს უზენაესი იდეალებისადმი ერთგულება, რასაც სამშობლოს თავისუფლება, დემოკრატია, თითოეული მოქალაქის ღირსება და თავისუფლებია ჰქვია. "აი ამ იდეალების ერთგულების თვალსაზრისით ყოველთვის ერთიანი ვყოფილიყავით, როგორც ეს ხშირად ყოფილა აქამდე. დარწმუნებული ვარ, თუკი ჩვენ ამას მოვახერხებთ, საქართველოს მრავალი, ძალიან დიდი გამარჯვება ელის უკვე ევროპის კონტექსტში, ევროპის ოჯახში", აღნიშნა მან.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე.

სახელმწიფო მინისტრის, ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძის სიტყვა:

თქვენო უწმინდესობავ, ღრმად პატივცემულო დეპუტატებო, ღრმად პატივცემულო მთავრობის წევრებო, ქალბატონებო და ბატონებო, ნება მიბოძეთ, მეც, საქართველოს მთავრობის სახელით, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სახელით შევუერთდე დღევანდელი დღით გამოწვეულ სიხარულს, მოგილოცოთ თქვენ და მთელ საქართველოს, საქართველოს ყოველ გულშემატკივარს ამ ისტორიული დღის დადგომა საქართველოს სახელმწიფოს ევროსაბჭოში მიღება.

ამ აქტით წარმატებით დაგვირგვინდა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტისა და მის თანამოაზრეთა, თანამებრძოლთა, თითოეული თქვენგანის მრავალწლიანი და მიზანმიმართული მუშაობა. ამ აქტით მარტო საქართველომ კი არ დაადასტურა კიდევ ერთხელ, რომ იგი უბრუნდება საკუთარ თავს, არამედ ევროპამაც დაგვიდასტურა, რომ ჩვენი მცდელობანი საკუთარ თავთან დაბრუნებისა, კანონიერია, პერსპექტიული და მიღწევადია.

დღეს საქართველოს პარლამენტი, ალბათ, ერთსულოვანი იქნება იმის აღნიშვნით, რომ დღევანდელი აქტი არა მარტო საერთო სახალხო მნიშვნელობის მოვლენაა, არამედ იმ საუკუნეთა შთამბეჭდავი გამოძახილიც, როდესაც საქართველო დასავლური ცივილიზაციის, დასავლური ხალხების ოჯახის წევრად მოიაზრებდა საკუთარ თავს.

საკუთარი სუვერენული სახელმწიფოებრიობის დასაწყისშივე, მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პოლიტიკურ გარდატეხათა ფონზე საქართველოს შეექმნა ევროპასთან პოლიტიკური ინტეგრაციის ისტორიული შესაძლებლობა. ახლადშექმნილი ქვეყნისათვის ყოველივე ეს მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის, მდგრადი განვითარების საიმედო გარანტიაა.

ჩვენმა ხალხმა, რომელიც ძნელად, მაგრამ მაინც ბოლომდე იბრძვის ეროვნული მთლიანობის შენარჩუნებისათვის, კიდევ ერთხელ გააკეთა ისტორიული არჩევანი ევროპის სასარგებლოდ, ლოგიკური არჩევანი, საუკუნეობრივი ტრადიციებით ნაკარნახევი და განპირობებული.

დღეს ჩვენ გულმშვიდად და სიხარულით შეიძლება ვაუწყოთ ამის შესახებ, როგორც ბრძანებდა ბატონი ზურაბი, წინაპართა აჩრდილებს, რომელნიც მუდმივად იბრძოდნენ დასავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ არეალში ყოფნისათვის; კულტურის მოღვაწეებს, რომელნიც ბევრს იღებდნენ დასავლეთიდან, მაგრამ უშურველადაც აძლევდნენ დასავლეთს იმ ყოველივე საუკეთესოს, რასაც ქართული ნიჭი და ქართული გარჯა ქმნიდა, იმ შეგირდებს, რომელნიც განსწავლისათვის დასავლეთში მიდიოდნენ; იმ დიდ საეკლესიო მოღვაწეებს, რომელნიც დასავლეთში აშენებდნენ ქართული კულტურის კერებს, ეწეოდნენ მთარგმნელობითსა თუ განმანათლებელ მოღვაწეობას; იმ ჩვენს წინაპრებს, რომელნიც ეწამნენ ქრისტესათვის... ქრისტეს გზა ხომ დასავლეთის ცივილიზაციის ყველაზე დიდი გზაა...

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჩვენს ამ ლტოლვას დასავლეთისაკენ, ევროპისაკენ, უამრავი ვინმე და რამე უშლიდა ხელს, რადგან ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარე ქვეყანას მისი საუკეთესო გეოგრაფიული მდებარეობა, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად საუკეთესო სამიზნედაც აქცევდა ხოლმე.

ახლაც კი, მეოცე საუკუნის ბოლოს, ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში, საქართველოს ეს მუდმივი სწრაფვა დასავლეთისაკენ ხშირად კვლავაც მოითხოვს მსხვერპლს, კვლავაც აჩენს იარებს ჩვენს ეროვნულსა და საზოგადოებრივ სხეულზე აფხაზეთისა და შიდა ქართლის კონფლიქტები ამის ტრაგიკული მაგალითებია, გაუთავებელი მცდელობა ეროვნული ერთიანობის შიგნიდან დაშლისა კი, სამწუხაროდ, ამის საზღაური გახლავთ.

მაგრამ ჩვენ მაინც მოვედით დღემდე.

ყოველივე ამას ბიძგი კი ჩვენმა დამოუკიდებლობამ მისცა. როგორც კი ხალხსა და თავისუფალ ქვეყანას თავისუფალი არჩევანის საშუალება მიეცა და საკუთარი ნების შეუზღუდავი გამოხატვის უფლება მიეცა, მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი თავს დასავლური ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს, კულტურათა გზაჯვარედინზე მყოფ ევროპულ ქვეყნად, რომელსაც აღმოსავლეთიდან თუ აზიიდანაც ბევრი სიკეთე აქვს მიღებული.

ჩვენი ქვეყნის წარსულისა თუ მომავლის ჩვენეული ხედვა ამჯერად დასავლეთმაც გაიზიარა და, თუ სულხან-საბა ორბელიანის დროს ჩვენ ევროპის გეოპოლიტიკურ ინტერესებში არ შევდიოდით, ახლა, სწორედ ამ გზაჯვარედინის გამო, ჩვენ მსოფლიო ყურადღებისა და ინტერესთა არეალში აღმოვჩნდით, საბედნიეროდ.

რით შევდივართ ჩვენ ევროპაში, რას ვთავაზობთ მსოფლიოს ქართული ცივილიზაციის სახით?

რას მივიღებთ თავად ჩვენ ევროპულ ფასეულობათაგან?

როგორი იქნება ჩვენი თვალსაზრისების ახალი შეხვედრა, რას მოგვიტანს იგი და რას დაგვაკარგვინებს?

ეს ის კითხვებია, რომელთა პასუხებიც ჩვენ ყოველდღიურად უნდა ვეძებოთ.

რა ადგილი გვექნება ჩვენ ევროპაში, ვინ ვიქნებით, რა ფუნქციას შევასრულებთ?

ეს ყოველივე თავად ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, მთლიანად სახელმწიფომაც და თითოეულმა ჩვენგანმაც ცალ-ცალკე.

ევროპის გაღებულ კარში შესვლისას ნათლად უნდა გვესმოდეს, რომ იქ ადგილი თავად ჩვენ უნდა დავიმკვიდროთ. ევროპაში ღირსეული ინტეგრაცია საქართველოს წინაშე დიდ მოთხოვნებს აყენებს. ჩვენ დაგვჭირდება ახალ უნართა შეძენა და ზოგჯერ ჩამოყალიბებული ცხოვრებისეული წესის შეცვლაც კი ისე, რომ არ დაგვეკარგოს ჩვენი თვითმყოფადობა. ჩვენ უნდა ვიპოვოთ ჩვენი ადგილი ერთიანი ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ სივრცეში და საგულდაგულოდ უნდა მოვემზადოთ, რომ მასში ჩვენი ეროვნული ინტერესების შესაბამისად ვიმოქმედოთ. დღეს ევროპა ევროსაბჭოს სახით გვიდასტურებს ჩვენს პრეტენზიებს და სამომავლო დიდ იმედებსაც გვისახავს. სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღვნიშნოთ, როგორც ბრძანებდა ბატონი ზურაბი, რომ საქართველოს მიმართ აქ ბევრი ფორმალური ბარიერი საკმაოდ სწრაფად იქნა დაძლეული, რაც რამდენიმე მიზეზითაა, ალბათ, განპირობებული. პირველი, ჩემის აზრით, არსებული ისტორიული და პოლიტიკური რეალიები გახლავთ, რომლის შესახებაც მე მოგახსენებდით, მეორე, დღევანდე-

ლი საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნა, მხედველობაში მაქვს პრეზიდენტი, პარლამენტი, მთლიანად აღმასრულებელი ხელისუფლება, იცხოვროს, იარსებოს და იაზროვნოს ევრომოთხოვნებით და, რა თქმა უნდა, რაც მთავარია, ჩვენი პრეზიდენტის პიროვნებით, რომელიც საქართველოში მიმდინარე პროცესების შეუქცევად გარანტად არის აღიარებული მთელ მსოფლიოში, მაგრამ ყოველივე ეს დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს ჩვენს ქვეყანას და ხელისუფლებას და პასუხისმგებლობას აკისრებს არამარტო ევროსაბჭოს წინაშე, არამხოლოდ ევროპის წინაშე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თავისი მოქალაქეების წინაშე, თავისი ხალხის წინაშე, რადგანაც ევროპული ცივილიზაციის უპირველესი ფასეულობა არის ადამიანი. სწორედ აქ ჩვენ ბევრი და ბევრი ძნელად გადასაწყვეტი ნაბიჯების გადადგმა მოგვიწევს, რომ იმ ადამიანთა უფლებანი დავიცვათ ბოლომდე, რომელიც გარედან ინსპირირებული კონფლიქტების დროს დაზარალდნენ. ის ასეულ ათასობით ლტოლვილი მყავს, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში, რომელნიც აფხაზეთსა და შიდა ქართლიდან არიან გამოდევნილნი და თავის კერაზე აუცილებლად დაბრუნებას ელიან დღემდე. თუ არ გვინდა, რომ აქაც განვითარდეს, კვლავ განვითარდეს სისხლიანი მოვლენები, ყველა ადამიანს აქვს უფლება თავის ჭერქვეშ ცხოვრებისა, თავის წინაპართა საფლავების დაცვისა, თავისი ცოლ-შვილის უსაფრთხოებისა. ეს ადამიანთა ელემენტარული უფლებებია. ამ მიმართულებით პროცესი, სამწუხაროდ, ძალიან რთულად და ნელა მიმდინარეობს, თუმცა ჩვენ შევძელით ჟენევის პროცესის შექმნა და გააქტიურება, კონფლიქტის მოგვარებაში ეუთოს ჩართვა, ახლა კი ევროსაბჭოს ინსტიტუტებთან ამ კუთხით მუშაობა სრულიად ახალ პერსპექტივებს გვიშლის. ევროსაბჭოს წევრობა, ჩვენი აზრით, მხოლოდ პოლიტიკური და იურიდიული აქტი კი არ გახლავთ, არამედ იმის აუცილებელი პირობაც, რომ საქართველოში ადამიანს არ შიოდეს, არ სწყუროდეს, არ სციოდეს. სამწუხაროდ, მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, ადამიანისთვის საქართველოში პრობლემად იქცა სამუშაოს შოვნა, საარსებოდ აუცილებელი ხელფასი და საარსებოდ აუცილებელი პენსია. ევროსაბჭოს წევრობა, უპირველეს ყოვლისა, რიგითმა ადამიანმა,

რიგითმა მოქალაქემ, თითოეულმა მოქალაქემ უნდა იგრძნოს. საერთო ევროპული ეკონომიკისათვის დამახასიათებელია კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა, ადამიანისთვის მრავალი არჩევანის მინიჭების შესაძლებლობა და ამავე დროს, მისთვის საიმედო სოციალური გარანტიების შექმნა. სწორედ ამიტომ ევროსაბჭოს წევრობა ქმნის, ჩვენი აზრით, ჩვენი თანამემამულეებისათვის შემოსავლიანი სამუშაო ადგილების შექმნის შესანიშნავ პერსპექტივას, ცხოვრების დონის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების შესანიშნავ შესაძლებლობას და საქართველოს ხელისუფლება აუცილებლად გამოიყენებს ამ შესაძლებლობებს. აუცილებლად გამოიყენებს ამ პერსპექტივებს. ევროსაბჭოს წევრმა საქართველომ უნდა გადაარჩინოს ნებისმიერი კონფლიქტისა და ნგრევის უპირველესი მსხვერპლი, უნდა გადაარჩინოს ადამიანი და წარმატებით განახორციელოს ის რეფორმები, რომელიც სწორედ ამ ადამიანის გადარჩენისათვის არის უპირველესად აუცილებელი და საქართველოს ხელისუფლება კიდევ უფრო გააღრმავებს და დააჩქარებს ამ რეფორმებს, კიდევ უფრო უკომპრომისოდ განავითარებს და განახორციელებს. ესაა ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა საქართველოსა და ხალხის წინაშე. საქართველო უსათუოდ დააღწევს თავს ამ გაჭირვებას. დააღწევს თავს შიდა კონფლიქტებს. შინაური და გარეშე მტრის მიერ დაგებულ ხაფანგებს. დააღწევს თავს კორუფციასა და უპასუხისმგებლობას და იქცევა იმ ქვეყნად, რომელზედაც ასე ოცნებობდნენ ჩვენი დიდი წინაპრები, რომელზედაც დიდი ქართველები ოცნებობდნენ. კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დღეს. დღემდე მოვედით და დღეის იქითაც ღირსეულად ვიელით.

სახელმწიფო მინისტრის გამოსვლის შემდეგ სხდომას თავმჯდომარეობდა ბატონი ზურაბ ჟვანია.

პარლამენტის სხდომის განსაკუთრებულობისა და უნიკალურობის გათვალისწინებით მოგვყავს ნაწყვეტი სხდომის საზეიმო ნაწილის სტენოგრამიდან.

თავმჯდომარე: ქალბატონებო და ბატონებო, დღეს ჩვენ კიდევ ერთი ისტორიული მოვლენის მომსწრენი გავხდებით. პირველად ქართული რესპუბლიკის ისტორიაში, ქართული პარლამენ-

ტარიზმის ისტორიაში, საქართველოს პარლამენტს და საქართველოს ხალხს პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართავს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელი, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. (ტაში).

ილია მეორე: თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარეე, თქვენო აღმატებულებავ, სახელმწიფო მინისტრო, ქალბატონებო და ბატონებო, მართლაც ისტორიული დღეა. ჩვენი ყურადღება მიპყრობილია იმ დიდი მოვლენისაკენ, რაც ეხება საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებას. მე გულითადად მოგესალმებით ყველას, პარლამენტის წევრებს და მე ვსარგებლობ საშუალებით, მივმართავ სრულიად საქართველოს, მშვიდობა, წყალობა, სიხარული და სიყვარული სუფევდეს თქვენთან და მთელს საქართველოში.

ჩვენ ვფიქრობთ იმის შესახებ, თუ რას მოგვიტანს ჩვენ ევროპის საბჭოში გაწევრიანება. აი, ერთი საათის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ-გიორგი შევარდნაძე, ევროპის საბჭოს ხელმძღვანელებთან ერთად აღმართავს საქართველოს დროშას. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი გასაკეთებელი საქმე ჩვენ თვითონ უნდა გავაკეთოთ და ჩვენ ზედმეტი იმედები არ უნდა გექონდეს არც ევროპის, არც აზიის, არც სხვისი. მე მინდა ვთქვა, რომ დღეს მიდის მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა არის ევროპა, რა ფარგლებს მოიცავს ევროპა. მე მახსენდება ჩემი შეხვედრა ბატონ გენშერთან გერმანიაში. ჩვენ ვსაუბრობდით ევროპის პრობლემებზე და მისი თქმით, ეს ევროპა უფრო ვრცელია, ეს არის ვანკუვერიდან, ე. ი. კანადის ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე. საოცარია ასეთი შეხედულება. რა თქმა უნდა, იხსნება დიდი პერსპექტივები, მაგრამ ჩვენ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს ევროპა წარმოუდგენელია სხვა კონტინენტების გარეშე. ევროპა წარმოუდგენელია აზიის, ამერიკის და სხვა კონტინენტების გარეშე. ისეთი კომუნიკაციებია დღეს, რომ, ევროპის ინტერესები არ შეიძლება მხოლოდ ევროპით შემოიფარგლოს. ჩვენ ძალიან რეალურად უნდა ვუყუროთ ყველა მოვლენას და ჩვენ უნდა გვახსოვდეს წარსულიც, ჩვენ უნდა ვხედავდეთ

დღევანდელ დღეს, ჩვენ უნდა განვჭვრიტოთ მომავალი. მართლაც, ევროპა, ეს მაღალი კულტურის, მაღალი მეცნიერების, დიდი ტრადიციების კონტინენტია, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპამ წარმოშვა ორი მსოფლიო ომი. ჩვენ ძალიან რეალურად უნდა ვუყუროთ იმასაც, თუ რა ხდება დღეს... კაცობრიობა მივიდა არა მარტო უფსკრულის პირამდე, არამედ ჩაიხედა ამ უფსკრულში. ღმერთმა დაიფაროს, თუ წარმოიშვა მესამე მსოფლიო ომი, ეს იქნება უკანასკნელი ომი და ამით დასრულდება, ალბათ, სიცოცხლე დედამიწაზე. შეიძლება ასეც მოხდეს. მე მახსენდება ერთ-ერთი საერთაშორისო სხდომა, რომელიც ჩატარდა საქართველოში და იქ ერთ-ერთმა უცხოელმა ასეთი შედარება გააკეთა: რომ წარმოიდგინოთ, რომ ჩვენ ვსხედვართ ნავთობის რაღაც ჭურჭელში და მნიშვნელობა არ აქვს იმას, ვინ აანთებს ასანთს. ყველა იღუპება. აი, ეს არ უნდა მოხდეს. ევროპას და მთელ მსოფლიოს უნდა ყოფნიდეს ძალა, რომ ამ კატასტროფამდე არ მივიდეს. თქვენ კარგად იცით, არის ასეთი პოლიტიკოსი, როგორიც არის ზბიგნევ ბჟეზინსკი, მას აქვს დაწერილი წიგნი, ის ამბობს იმის შესახებ, რომ აი ის ჭადრაკის დიდი დაფა არის არა მარტო ევროპა, არამედ ევრაზია და ვინც ფლობს ევრაზიას, იგი ფლობს მთელს მსოფლიოს და იგი აკეთებს დასკვნას, რომ დღეს ერთადერთი სახელმწიფოა აშშ, როგორც ამბობს ის, რომელსაც უნარი შესწევს, რომ ფლობდეს ევრაზიას და მთელ მსოფლიოს. აი, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ევრაზიაზე, ჩვენ აუცილებლად უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, რომ თუ რა არის ქვეყნის უშიშროების კონცეფცია, რა გადაარჩენს ევროპას, აზიას და მთელ მსოფლიოს. მე მინდა ვთქვა, თუ დროულად არ იქნება გამომუშავებული აი, ეს უშიშროების მექანიზმი, კონფლიქტი გარდაუვალია. დღეს ამერიკა ნამდვილად არის სუპერსახელმწიფო, მაგრამ არ არის გამორიცხული ის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, თუ ათეული წლის შემდეგ, წარმოიშვას ახალი სუპერსახელმწიფოები. ჩვენ გვახსოვს საბჭოთა კავშირი, მიუხედავად ეკონომიკური სიღატაკისა, ითვლებოდა სუპერსახელმწიფოდ იმიტომ, რომ მას გააჩნდა საშინელი იარაღი, გამანადგურებელი იარაღი, ამიტომ, თუ არ იქნება შეცვლილი აი ეს უშიშროების

კონცეფცია, ასეთი დაპირისპირება ამ სახელმწიფოთა, უფრო სწორად, სუპერსახელმწიფოთა შორის, გარდაუვალია. მე ვფიქრობ, რომ ევროპა და განსაკუთრებით ამერიკა, რომელიც დღეს ღებულობს ასეთ პასუხისმგებლობას, უნდა ფიქრობდეს ამ უშიშროების მექანიზმებზე. საქართველო, როგორც ჩვენ ვიცით, არის ევროპისა და აზიის გზაზე, უფრო სწორედ გზაჯვარედინზე. ეს შემთხვევით არ არის, რომ საქართველოზე გადიოდა დიდი აბრეშუმის გზა და სტრატეგიული თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა გააჩნია და მე ვფიქრობ, რომ ევროპის, ამერიკის და სხვა კონტინენტების ლიდერები და პოლიტიკოსები დაინახავენ საქართველოს მნიშვნელობას ამ გზაჯვარედინზე. მე მინდა ვთქვა, რომ საქართველოს ეკლესია აქტიურად უჭერს მხარს ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენ ქვეყანას ამ პროცესში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. თქვენ იცით, რომ საქართველოს ეკლესია უდიდესია თავისი სულიერებით და უძველესი ეკლესიაა. უძველესი ეკლესიაა იმიტომ, რომ იგი დაარსდა პირველ საუკუნეში, როცა საქართველოში მოვიდნენ მოციქულები და იქადაგეს სახარება.

ჩვენ არ შეგვიძლია ვიცხოვროთ მხოლოდ ჩვენი წარსულით და ვიამაყოთ მხოლოდ ჩვენი წარსულით. მართლაც საქართველო და საქართველოს ეკლესია არის ისეთი ქვეყანა, სადაც ათასობით და ათი ათასობით წმინდანია, თავდადებული და შეწირული, ჭეშმარიტებისათვის შეწირული წმინდანი, ჩვენ მუდამ ვეძებდით ჭეშმარიტებას. ეს იყო მთავარი საძიებელი ჩვენი ერისათვის და, როგორც ამბობს პავლე მოციქული, ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამვე გაგათავისუფლოს თქვენ. ჩვენ ასევე უნდა გვახსოვდეს უფლის სიტყვები, უფალი ამბობს, მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. ბედნიერია ქართველი ერი, რომ მივიდა ამ ჭეშმარიტების გზაზე და იგი დაიმკვიდრებს ცხოვრებას, სიცოცხლეს. მე მინდა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთი ფიქრობს, რომ თითქოს ეკლესია, ეს მხოლოდ სულიერი სამყაროა, თითქოს ეს მხოლოდ წირვა-ლოცვაა. ეს ძალიან ვიწრო და არასწორი შეხედულებაა. მე მინდა მოგახსენოთ, რომ ეკლესიას აქვს ძალიან დიდი საშუალება და ერმა უნდა გამოიყენოს ეკლესიის ეს საშუალება. აქ არის სოციალური პრობლემების საკითხი, ამ პრობლემებში მონაწ-

ილეობა, აქ არის ახალგაზრდობის, ბავშვების, ახალგაზრდების აღზრდა, განათლება. მე მინდა მოგახსენოთ, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას ჩვენ ვაქცევთ განათლებას და ეს არ არის ჩემი წამოწყება. ეს ტრადიცია ქართული ეკლესიისაა. თქვენ გახსოვთ, როცა დაარსდა პეტრიწონის მონასტერი, ერთ-ერთ დარბაზში სხვა წმინდანებთან ერთად მოხატულ იქნა ანტიკური ფილოსოფოსებიც. თქვენ გახსოვთ, როცა დავით აღმაშენებელმა დააარსა გელათის აკადემია, მან თქვა, რომ ის უნდა იყოს მეორე იერუსალიმი და ახალი ათინა. იერუსალიმი თავისი მაღალი სულიერებით და ათინა თავისი დიდი განათლებით. აი, ეს ტრადიცია მოდის ჩვენში. თქვენ იცით, რომ იმ მძიმე წლებში, რომლებიც განვლო საქართველომ, თუნდაც ამ სამოცდაათი წლის განმავლობაში და იმის წინაც, ადვილი წლები არ იყო 1811 წლიდან, უფრო სწორად, 1800-დან, როცა საქართველომ დაკარგა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა. თქვენ გახსოვთ, იმ დროს საქართველოს საპატრიარქოს ტახტზე ბრძანდებოდა ერეკლე II-ის შვილი, ანტონ მეორე, კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსი და ანტონ II-მ გაუძლო კიდევ ათი წელი, შემდეგ 1811 წელს იგი იყო წაყვანილი საქართველოდან, არის საოცარი აღწერილობა, როგორ გოდებით და ცრემლებით ემშვიდობებოდა ანტონ II სვეტიცხოველს, თითქოს გრძნობდა, რომ მას აღარ ეღირსებოდა საქართველოში დაბრუნება და, მართლაც, იგი წაიყვანეს ჯერ პეტერბურგში და შემდეგ ნიჟნი-ნოვგოროდში და იგი გარდაიცვალა და როცა ჩვენ მივწერეთ ნიჟნი-ნოვგოროდის მთავარეპისკოპოსს, თუ რა მდგომარეობაშია კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის საფლავი, ჩვენ ვიცოდით, რომ ერთ-ერთ ტაძარში იყო იგი დასაფლავებული, მან გვიპასუხა, მთავარეპისკოპოსმა გვიპასუხა, რომ აღარ არსებობს აღარც ის ტაძარი და აღარც ის საფლავი. ის ტაძარი ააფეთქეს და იმ ადგილზე აშენებულია რაღაც სხვა შენობა. ეს მძიმე ბედი თუ განსაცდელი სულ თან გვახლდა და როცა აღდგენილი იყო საქართველოს ავტოკეფალია, თქვენ იცით, როგორი პერიოდი იყო, ერთი წელიც ვერ შეძლო უწმინდესმა და უნეტარესმა, კირიონ III-მ, რომ ყოფილიყო საქართველოს ეკლესიის მმართველი. იგი მოკლეს. თქვენ კარგად იცით ბედი

უწმინდესისა და უნეტარესის ამბროსი ხელაიასი. ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა ჯარი შემოვიდა საქართველოში და მან აიღო მთელი პასუხისმგებლობა, დაწერა მემორანდუმი, მიმართვა გენუის კონფერენციაზე და მიმართა პროტესტით, მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქმა გააკეთა ეს. ამის გამო იგი დააპატიმრეს და მიდიოდა პროცესი მასზე. მთელი სინოდი იყო დაპატიმრებული და როცა მას მიუსაჯეს დახვრეტა, მან წარმოთქვა აი ეს ისტორიული სიტყვები, რომ ჩემი სული ეკუთვნის ღმერთს, გული — სამშობლოს და ამ სხეულს, რაც გინდათ, ის უქენითო. მე მახსენდება ძალიან მძიმე წლები, უწმინდესის და უნეტარესის, კალისტრატესი. 32-დან 52-მდე, 20 წელი, ყველაზე მძიმე წლები და უწმინდესი და უნეტარესი კალისტრატე ახერხებდა კიდევ იმას, რომ მის გარშემო იკრიბებოდნენ მეცნიერები და საუბრობდნენ ჩვენს ბედზე, ჩვენ მომავალზე და გამოყოფილი იყო ხუთშაბათი დღის საღამო და ამ ხუთშაბათ დღეს, მეცნიერებმა იცოდნენ, რომ შესაძლებელი იყო მისულიყვნენ უწმინდეს და უნეტარეს კალისტრატესთან. ასე რომ, მე მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ ძალიან დიდი საშუალებები გააჩნია საქართველოს ეკლესიას და, განსაკუთრებით, მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, განათლების, ახალგაზრდობის, მომავალი თაობის აღზრდაში. დღეს ღვთის მადლით და ღვთის წყალობით ფუნქციონირებს ორი სასულიერო აკადემია, თბილისში და ქუთაისში — გელათის აკადემია. ოთხი სასულიერო სემინარია, გიმნაზიები, სასწავლებლები და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გელათის მეცნიერებათა აკადემიას, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს ეკლესიის ეგიდის ქვეშ. მე მახსენდება ის დღე, როცა საზეიმოდ მოვაწერეთ ხელი, პრეზიდენტმა, საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა ედუარდ-გიორგი შევარდნაძემ და მე იმ საბუთს, რომელიც ადასტურებდა ამ გელათის მეცნიერებათა აკადემიის გახსნას და მე მახსენდება მისი სიტყვები, რომ მე ჩემს ცხოვრებაში მრავალი საბუთისთვის მომიწერია ხელიო, მაგრამ ასეთი მნიშვნელობის საბუთი, არც ერთი არ ყოფილაო. აი გელათის მეცნიერებათა აკადემია, სადაც მუშაობს 21 ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი, ამასთან ერთად სხვა მეცნიერები. ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ჩვენი რწმენა და მეცნიერება დაუახლოვონ ერთმანეთს.

მე ასევე მინდა, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ დღეს საქართველოს ეკლესიის როლზე და მის შესაძლებლობებზე, მე მინდა მოგახსენოთ, რომ უკანასკნელი პერიოდი გამოირჩევა იმით, რომ მრავალი სექტა ცდილობს შემოვიდეს საქართველოში. ზოგიერთს ჰგონია, რომ ეს რაღაც დემოკრატიის ნიშანია. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რას ნიშნავს ეს. ჩვენ უნდა ღრმად გავაანალიზოთ, ჩვენ უნდა გავიხსენოთ რელიგიური ომები, რომელიც მსოფლიოში არსებობდა და დღესაც არსებობს, და თუ ჩვენ რაღაც საშუალებები არ გამოვნახეთ, რომლითაც შევზღუდავთ ამ არაკანონიერ შემოსვლას ამ სექტებისას, ჩვენ ძალიან მძიმე შედეგებს მივიღებთ. აი სულ რამდენიმე დღის წინ, მე შემატყობინეს, რომ ექვსნახევარი ტონა ლიტერატურა შემოვიდა იეღოველთა, არაკანონიერად, იეღოველებისათვის და აი ამიტომ, ზოგიერთს ჰგონია, რომ ეს მხოლოდ ეკლესიის საკითხია და ეკლესიამ უნდა გადაწყვიტოს. არა, სახელმწიფო საკითხია ეს, უპირველეს ყოვლისა. რატომ, ეს საკითხი ძალიან მარტივად, ძალიან უბრალოდ გადაწყვიტა სომხეთმა, გადაწყვიტა აზერბაიჯანმა და ჩვენ არ შეგვიძლია? ეს არის რელიგიური ექსპანსია და უფრო მეტიც — რელიგიური აგრესია. ძალიან ხშირი შემთხვევაა, როცა აი, ეს სექტანტები გაჭირვებულ ხალხს ყიდულობენ, აძლევენ რაღაც ჰუმანიტარულ დახმარებას და იპყრობენ ჩვენს ქართველებს. მე როცა გახლდით აშშ-ში და როცა მე მქონდა იქ სახელმწიფო მოღვაწეებთან ურთიერთობა, მე ვუთხარი მათ, რომ ეს არ არის სწორი გზა, აი, ამ სექტანტების შემოსვლა საქართველოში. მე ვუთხარი იქაც, რომ ევროპას და ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია საყრდენი ნახოს თვითონ საქარათველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში. ჩვენ ყველაფერში, რაც საჭიროა და რაც სასარგებლოა, აი ეს, მე ხაზს ვუსვამ, სასარგებლოა საქართველოსთვის, ჩვენ ყველაფერში მხარს დავუჭერთ, მაგრამ ის, რაც ავნებს ჩვენს რწმენას, ჩვენს ტრადიციებს, ჩვენს ისტორიას, მე მინდა გითხრათ, იმას არ დავუჭერთ, რა თქმა უნდა. მე მინდა გითხრათ, ეს სექტანტები უარყოფენ საქართველოს ისტორიას და საქართველოს ტრადიციებს და, როცა იწყებენ ისინი ქადაგებას, ისინი იწკებენ ასეთი სიტყვებით: ღმერთო, გვიხსენი ჩვენ ტრადიციებისაგან. თუ ჩვენ დავკარგავთ ქართულ

ტრადიციებს, ჩვენს წარსულს, ვინ ვიქნებით ჩვენ და საერთოდ ვიქნებით თუ არა? ბოლოს, მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ საკითხს. ძალიან ხშირად ჩემთან მოდიან საქმიანი ადამიანები, მწარმოებლები, რომელნიც ამბობენ, რომ თუ არ შეიქმნება საქართველოში მცირე და საშუალო წარმოება, ვერაფერი ვერ ეშველება ხალხს, ვერ დასაქმდება ხალხი. ამისი საშუალება არის. საქმე იმაშია, ბატონო თავმჯდომარევ, მე მინდა თქვენი ყურადღება და ჩვენი პარლამენტის წევრების ყურადღება მივაქციო იმას, რომ თუ ეს დამწყები წარმოებები არ გათავისუფლდებიან ამ მძიმე გადასახადებიდან, ვერაფერი ვერ გაიხარებს, ვერაფერი ვერ მოიკიდებს ფეხს და ჩვენ ვერ შევძლებთ აი, ამ მთელი დიდი არმიის, დიდი რაოდენობით ადამიანების დასაქმებას. აი, მე ძალიან ბევრს ვფიქრობ იმის შესახებ, თუ რა წარმოებები შეიძლება იყოს. ძალიან მაღალი დონეა ჩვენთან ხელოვნების, ოქრომჭედლობის. თქვენ გახსოვთ, რუსეთში იყო ასეთი შემთხვევა. ერთი მაგალითი, როცა რუსეთის მეფემ ჩამოიყვანა უცხოეთიდან ფაბერჟე და აი ამ ჭკვიანმა და განათლებულმა ადამიანმა თავი მოუყარა ყველა მწარმოებელს ერთად და დღეს ფაბერჟეს ნაწარმოები ითვლება ერთ-ერთი საუკეთესოდ მსოფლიოში. ძალიან მაღალი, მე კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, ჩვენ გვყავს ძალიან მაღალი გემოვნების, საოცარი მხატვრები. და უმრავლეს შემთხვევაში ეს მხატვრები გაჭირვებულებია. ჩვენთან არ იყიდება მათი ნაწარმოებები იმიტომ, რომ ხალხს ფული არა აქვს. ხომ შეიძლება, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ თავი მოუყაროს მათ ნაწარმოებებს, გაიტანოს უცხოეთში და იქ შედგეს გამოფენა და ამასთან ერთად გაყიდვა კიდეც. ამით ისარგებლებს სახელმწიფოც, ამით ისარგებლებენ ჩვენი მხატვრები და აი ის ხალხი, ხელოვნების ხალხი. ასე, რომ მრავალი საშუალება არის იმისა, რომ ჩამოყალიბდეს მცირე და საშუალო წარმოებები, თუ ისინი რაღაც, აი პირველ ეტაპზე იქნებიან გათავისუფლებულები ამ რაღაცა გადასახადებისაგან.

მე მინდა ყველას მოგილოცოთ დღევანდელი დღე. მართლაც დიდი მიღწევა არის ევროპის საბჭოში გაწევრიანება: როგორც ბრძანა პარლამენტის თავმჯდომარემ და სახელმწიფო მინისტრმა,

ეს მთელი საქართველოს დამსახურებაა. ჩვენი წარსულის დამსახურებაა. დღეს აღიმართება დროშა. სამწუხაროა ის, რომ ჩვენ ვერა და ვერ გამოვიმუშავეთ და ვერ მივიღეთ ახალი დროშის და ახალის გერბის სახე და მინდა გთხოვოთ, ჩვენი სახელით, საქართველოს ეკლესიის სახელით, რომ იქნებ მოასწროთ თქვენ ამ დიდი საქმის გაკეთება, საქართველოს დროშის და გერბის ახალი ვარიანტი. ეს აუცილებელია. აი ის დროშა, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, უშინაარსოა. როცა მე ერთ-ერთ დიდ პიროვნებას ვკითხე, რომ თქვენ როგორ უყურებთ, რას ნიშნავს-მეთქი ეს შავი ხაზი და თეთრი ხაზი, მან თქვა, რომ ეს არის დღე და ღამეო. მე ვუთხარი, კაცო, დღე და ღამე მარტო საქართველოსთვის არსებობს მეთქი? ე. ი. ახსნაც კი შეუძლებელია, ახსნაც კი არ შეიძლება. მე მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ტრადიციული დროშა იყო ჯვრის და ამას მე იმიტომ არ ვამბობ, რომ მე ვარ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. თქვენ კარგად იცით, რომ მე-4 საუკუნეში, როცა ტახტზე ავიდა დიდი კონსტანტინე იმპერატორი, მას ჰყავდა მოწინააღმდეგეები და აი იმ დროს ცაზე გამოისახა ჯვარი და იყო ბრძანება, ამით გაიმარჯვებო. დროშებზე გამოსახე ესაო და ამით გაიმარჯვებო. ასე რომ ჩვენ, ნუ წარმოვიდგენთ, რომ დროშა, ეს რაღაც ნაჭერია და ლამაზი ნაჭერი უნდა იყოს. არა, მას აქვს თავისი ძალა, ძალიან დიდი ძალა და არსებობდა ვახტანგისეული დროშა, სადაც იყო ერთი ჯვარი გამოსახული, დავითის დროშა, ბაგრატიონების დროშა, სადაც იყო ხუთი ჯვარი. ერთი დიდი და პატარა ოთხი ჯვარი. სხვათაშორის, ბევრმა არ იცის, რას ნიშნავს ხუთი ჯვარი. ეს არის ხუთი სამსჭვალი უფლისა იესო ქრისტესი. ხელებზე, ფეხებზე ორ-ორი და ერთი გვერდის. აი იმიტომ ბარგატიონებმა გამოსახეს ეს ხუთი ჯვარი და ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ჩვენ გერბს აღვადგენთ, ბაგრატიონთა გერბს. აი, როგორც, მაგალითად, რუსეთმა აღადგინა თავის სახელმწიფოში. ეს გერბი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმას, რომ უძველესი ერია, იმიტომ, რომ მასზე გამოსახულია დავით წინასწარმეტყველის შურდული, მისი ქამარი, კვართი უფლისა. ასე, რომ მე გისურვებთ, რომ თქვენ აღადგინოთ. მე მინდა დასასრულს ვთქვა, რომ ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ თქვენს მუშაობას, თქვენს

სხდომებს, და მე მინდა ვთქვა, რომ, ალბათ ისტორიაში შევა თქვენი პარლამენტი, როგორც ერთ-ერთი საქმიანი და ერთ-ერთი მშვიდობიანი პარლამენტი და მე მინდა ვთქვა, რომ ეს დიდი დამსახურებაა ბატონი ზურაბისა და ჩვენ ვმადლობთ მას. აი, დღეს, როცა აღიმართება საქართველოს დროშა სტრასბურგში, მე ასევე მინდა ვთქვა, რომ აქამდე ჩვენ მივედით საერთო შრომით, ჩვენი კულტურით, ჩვენი დღევანდელი დღით, მაგრამ ძალიან დიდი დამსახურებაა ჩვენი პრეზიდენტის, ბატონი ედუარდ-გიორგი შევარდნაძის და მე დასასრულს მინდა დავლოცო პარლამენტი და თქვენთან ერთად დავლოცო სრულიად საქართველო. ღმერთმა დაგლოცოთ. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ზ. ჟვანია: დიდი მადლობა, თქვენო უწმინდესობავ, თქვენი მომართვისათვის და ჩვენთვის ძალიან ბევრი საფიქრალი საკითხი წამოჭრა თქვენმა უწმინდესობამ. პატივცემულო მეგობრებო, მე შეგახსენებთ, რომ ჩვენ ასეთი პროცედურები გვექნება, თხუთმეტ წუთში დაიწყება ტრანსლაცია პირდაპირ სტრასბურგიდან, დროშის აღმართვის ცერემონიალი, როგორც თქვენ ხედავთ, დარბაზში დამონტაჟებულია მონიტორები ისე, რომ ყველას შეუძლია დარბაზში თვალყური ადევნოს მას, რაც მოხდება სტრასბურგში. როგორც კი დასრულდება ეს პირდაპირი ტრანსლაცია, დაახლოებით პირველ საათზე, მე გიწვევთ ყველას საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატებთან ერთად. პარლამენტის წინ აღიმართება დღევანდელი დღის აღსანიშნავად ევროპის დროშა, პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით (ტაში).

ეს არის სიმბოლური ჟესტი, რომლითაც ჩვენ გვინდა გამოვხატოთ ჩვენი პატივისცემა ჩვენი ევროპელი კოლეგების მიმართ და ამ სასესიო კვირის ბოლომდე ეს დროშა იქნება აღმართული პარლამენტის შენობის წინ. მე იმედი მაქვს, რომ არც ისე შორეული არის ის დღე, როდესაც საქართველო უკვე როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ვალდებული იქნება აღიაროს ეს ატრიბუტიკა თავის ეროვნულ ატრიბუტიკასთან ერთად.[60]

---

[60] საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 27 აპრილის პლენარული სხდომის სტენოგრამა, გვ. 5.

დარბაზში დადგმული მონიტორების საშუალებით პარლამენტის დარბაზში მყოფნი თვალყურს ადევნებდნენ საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების საზეიმო ცერემონიალის პირდაპირ ტრანსლაციას.

საქართველოს პარლამენტის კარიბჭესთან საზეიმოდ აღიმართა ევროპის საბჭოს დროშა. შესრულდა ევროპისა და საქართველოს ჰიმნები.

პარლამენტის რუსთაველის დარბაზში გაიმართა მიღება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელით.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა ქ. თბილისის აეროპორტში შეკრებილთა წინაშე 1999 წლის 27 აპრილს

საქართველოში დაბრუნებულ დელეგაციას უამრავი ხალხი დახვდა თბილისის აეროპორტში. შეკრებილებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.[61] მან აღნიშნა:

ასეთი ხალხმრავლობა ჩვენს აეროპორტში იყო მაშინ, როცა 1992 წელს საქართველოში ჩამოვედი. სხვა წელი იყო, სხვა დრო, სხვა გასაჭირი. არც დღეს ვართ დალხინებული, მაგრამ დღეს სხვა ქვეყანა ვართ. დღეს სახელმწიფო ვართ მსოფლიოს და, განსაკუთრებით, ევროპის მიერ აღიარებული.

გილოცავთ ამ აღიარებას!

გუშინ, სტრასბურგში დროშის აღმართვამდე მართლაც სრულიად გულახდილად ვთქვი, რომ არცთუ ახალგაზრდა კაცი, მრავალი და მრავალი ფორუმის მომსწრე, რომლისთვისაც უცხო არ არის არც ერთი ტრიბუნა, ნამდვილად ვღელავ, ვღელავ სულის სიღრმემდე. ახლაც ვღელავ, იმიტომ, რომ თქვენთან ერთად ვარ, ჩემს სამშობლოში, ჩემს მიწა-წყალზე. ვღელავ იმიტომ, რომ ჩვენ თქვენთან ერთად გვერგო უდიდესი ბედნიერება, რომელიც არ ღირსებია ჩვენს წინაპართა არც ერთ თაობას. საქართველოს ყველა თაობა ოცნებობდა ევროპასთან დაახლოებაზე, ევროპის სივრცეში მოხვედრაზე. მაგრამ მაშინ, იმ წლებში, იმ საუკუნეებში, იმ ათასწლეულებში განგებამ ისე ინება, რომ საქართველო შორს აღმოჩნდა ევროპისაგან და ევროპა საქართველოსაგან. ამიტომაც იყო უამრავი ქარტეხილი, რომელიც ჩვენმა ხალხმა ამ ათასწლეულებში გადაიტანა.

დღეს ჩვენ ევროპის საბჭოს, ესე იგი, ევროპის, ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ვართ. კიდევ ერთხელ გილოცავთ! არ შეშიძლია არ მოგილოცოთ იმიტომ, რომ ეს ის მოვლენაა, რომელსაც მომავალი თაობები დააფასებენ. ეს ნიშნავს ჩვენს თვითდამკვიდრებას, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ თუ არჩეულ

---

[61] გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა". III, 29 აპრილი, 1999 წელი.

გზას - დემოკრატიის განვითარების გზას, ადამიანის უფლებების დაცვის გზას, ცივილიზებული ქვეყნის მშენებლობის გზას არ ვუღალატებთ, ჩვენი დამოუკიდებლობა და ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ერის კულტურა დაცული და გარანტირებულია, ჩვენ საიმედო ფარი შევიძინეთ, გავხდით რა დიდი ევროპის მცხოვრები, მისი ღირსეული და სრულფასოვანი წევრი.

ახლა მართლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამიერიდან „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის". ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. თუ ჩვენი ქვეყანა შეკავშირდება, თუ წვრილმანი ინტრიგები, პატარ-პატარა ამბიციები, ერთმანეთის მტრობა არ მოგვიტანს განსაკუთრებულ ზიანს, ისეთ გარემოში, ისეთ გარემოცვაში მოვხვდით, რომ, ალბათ, ვერც ერთი ჩვენი წინაპარი ამას ვერ წარმოიდგენდა და ვერ იოცნებებდა.

შემთხვევით როდი ვახსენე დიდი სულხან-საბა ორბელიანი. ალბათ, იმ საუკუნეში ყველაზე მეტად მას ესმოდა, რას ნიშნავს ევროპა. და მე გავიხსენე, როგორ ამაოდ დადიოდა იგი კარიდან კარზე, როგორ ეახლა ლუი მეთოთხმეტის ბრწყინვალე სასახლეს, დარბაზებს, როგორი ზარ-ზეიმით მიიღეს და რა ხელცარიელი დაბრუნდა, რადგან ევროპა მართლა შორს იყო მაშინდელი საქართველოსაგან და მეტის გაკეთება არ შეეძლო.

დღეს ჩვენ იმ ეტაპს მივაღწიეთ, როცა ჩვენი დემოკრატიული ღირებულებანი, ქართული დემოკრატიის ღირებულებანი, წარსულში რომ აქვს ფესვები გადგმული, აღიარებულია, შეფასებულია, დაფასებული და გაფორმებულია ისე, როგორც უნდა იყოს და ამას ჰქვია ევროპის საბჭოს წევრობა და ევროპის დიდი ოჯახის წევრობა. აი, ამ ღირებულებებს უნდა გავუფრთხილდეთ, გავუფრთხილდეთ იმას, რაც უკვე მოვიპოვეთ - დამოუკიდებლობას, დამოუკიდებლობის გზას, დამოუკიდებლობის განმტკიცებას, ქვეყნის ერთიანობას, მის მთლიანობას და სტაბილურობას. ასეთია ჩვენი მიზანი. დანარჩენი დიდ არეალში, დიდ სივრცეებში გასვლა საქართველოს უკვე გარანტირებული აქვს.

აქ არიან ჩემი მეგობრები, რომლებიც ესწრებოდნენ ევროპის საბჭოში ჩვენს შეხვედრას და დამიდასტურებენ, ან სხვა დროს იტყვიან, რომ საქართველოს უსმენენ, უსმენენ როგორც სერიო-

ზულ ქვეყანას, როგორც მაღალი ინტელექტის მქონე ხალხს და მის წარმომადგენლებს - როგორც დემოკრატიისა და ახალი სამყაროს დამცველ ადამიანებს.

მინდა დღეს აქედან, თბილისიდან მადლობა შევუთვალო ყველას, ვინც ხმა მისცა საქართველოს საქართველოს არჩევა თითქმის ერთსულოვნად მოხდა, არა მგონია, რომ იქ ვინმე წინააღმდეგი ყოფილიყო, არც ერთი არ ყოფილა წინააღმდეგი. ესე იგი, მთელმა ევროპამ აღიარა საქართველო თავისი ღირებულებებით, თავისი დიდი წარსულით, დღევანდელი აწმყოთი და ხვალინდელი დიდი მომავლით. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს გვექნება საშუალება არაერთხელ გამოვთქვათ ჩვენი სხვადასხვა მოსაზრებანი არა მარტო საკუთარი ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით, არამედ ევროპის წესრიგის, მსოფლიო წესრიგის სხვადასხვა პრობლემების შესახებ. საქართველომ დაიკავა თავისი ღირსეული ადგილი ევროსაბჭოსა და მსოფლიოს თანამეგობრობაში.

ახლა ორიოდე სიტყვა ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტთან დაკავშირებით. ეს იყო დაძაბული, დატვირთული სამუშაო დღეები. დაიწყო იგი ჰიუსტონიდან ამერიკის შეერთებული შტატების ამ უდიდესი სამრეწველო ცენტრიდან. მე მხოლოდ ძირითად შთაბეჭდილებებს მოგახსენებთ. ჩვენ საჭირო გავხდით, განსაკუთრებით სუფსის ნავთობსადენის ამუშავების შემდეგ. კონკურსი იყო ჩვენთან შეხვედრაზე, ლაპარაკია მსოფლიო გიგანტებზე. თქვენ იცით, ჰიუსტონი ეს არის მენავთობეების, გაზის მფლობელთა გიგანტების ცენტრი. და ეს უაღრესად მნიშვნელოვანი შეხვედრები იყო საქართველოსათვის. ბევრ მათგანს სჯერა, რომ საქართველო არა მარტო ენერგოშემცველების ტრანსპორტირების თვალსაზრისით არის უმნიშვნელოვანესი ქვეყანა, არამედ სულ მალე გადაიქცევა დიდი ნავთობის საბადოდ, აქედან გამომდინარე მთელი სიკეთითა და სიმდიდრით, თუ გნებავთ, კეთილდღეობითაც.

სხვათა შორის (ეს ცოტა ლირიკული გადახვევაა), შეეხვდი ჩემს ძველ მეგობრებს, ასე ვიტყოდი, ჩემს ძველ თანამოაზრეებს. ეს გახლავთ პრეზიდენტი ბუში და მისი მეუღლე, საოცრად საინტერესო საუბრები გაიმართა. ეს გახლავთ ჩემი დიდი მეგობარი და ძმა ჯეიმს ბეიკერი, რომელთან ერთადაც მოვაწყვეთ „პატარა

შოუ“ 1500 კაცის წინაშე. ალბათ, საქართველოს ტელევიზია აჩვენებს მას ჩვენს ხალხს როგორ დავამთავრეთ ცივი ომი, როგორ დავიწყეთ ახალი ცხოვრება, როგორ გავხსენით ყველა სარქველი იმისათვის, რომ დღევანდელმა მსოფლიომ იცხოვროს სწორედ აყვავების, ბედნიერებისა და სრული დემოკრატიის განვითარების პირობებში.

ვაშინგტონში მე გამოვყოფდი განსაკუთრებულ შეხვედრებს. ეს არის ნატოს ახლი კონცეფციის შემუშავება. ეს არ არის აგრესიული ორგანიზაცია - ეს არის რეალური ძალა, რომელმაც მსოფლიოში მშვიდობა უნდა დაამკვიდროს იქ, სადაც საჭიროა, იქ, სადაც აუცილებელია. ეს სრულიად ახალი მისიაა და ყველაზე რეალური ძალა გახლავთ დღევანდელ მსოფლიოში. მინდა სრული პასუხისმგებლობით გითხრათ: ძალზე გვაინტერესებს ჩვენს დიდ მეზობელთან - რუსეთთან ურთიერთობა და უგუნური უნდა იყოს პოლიტიკოსი, რომ ამ პრობლემას გაექცეს. თუმცა, ამავე დროს შემიძლია განვაცხადო, რომ ასეთი, თუნდაც სამხედრო გაერთიანება, სამხედრო პოტენციალის გაერთიანება, რომელმაც თავი მოიყარა ნატოში, არ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს, პირიქით, შეესაბამება მათ. საქმე მხოლოდ იმას ეხება, რომ ყველა ქვეყანამ თავისი ადგილი უნდა დაიკავოს, ისტორიის მიერ მისთვის განკუთვნილი ადგილი საქართველომაც, უკრაინამაც, უზბეკეთმაც, აზერბაიჯანმაც, სომხეთმაც და, რა თქმა უნდა, რუსეთმაც. თუ ცოტა მეტს მოითხოვ, და მოითხოვ იმას, რაც არ გერგება, რაც არ გეკუთვნის, მაშინ, ალბათ, საქმე კარგად ვერ წაგივა.

რუსეთმა დღეს, ამ ურთულეს სიტუაციაში, რომლის პირისპირაც ევროპა აღმოჩნდა კოსოვოს მოვლენებთან დაკავშირებით, თავისი ადგილი უნდა მოძებნოს. მართლაც ჩამწყდა გულს ერთი ძარღვი, როცა გავიგე, რომ რუსეთი გამოთიშულია ამ პროცესიდან. მთელი მსოფლიო ამ პრობლემებით ცხოვრობს და რუსეთი კი ცალკე დგას. არ მინდა, რომ რუსეთი ცალკე იდგეს. რუსეთი უნდა ჩაერთოს პროცესში და რუსეთმა ხელი უნდა შეუწყოს ამ პრობლემის, ისე როგორც სხვა პრობლემების მოგვარებასა და გადაწყვეტას.

ვაშინგტონში იყო რამდენიმე საინტერესო მოვლენა. ეს არის სუამის ახალი სუნთქვა. ოთხი სახელმწიფო ვიყავით ერთად. ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხის თაობაზე გამოიკვეთა ოთხი სახელმწიფოს ინტერესების დამთხვევა. ეს გახლავთ აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა. როცა იქ ჩვენი ინტერესები დავიცავით, მერე გადავწყვიტეთ ვითანამშრომლოთ სხვა სფეროებშიც. ჩვენმა შესანიშნავმა მეგობარმა და ძლიერმა პრეზიდენტმა ისლამ კარიმოვმაც მიიღო გადაწყვეტილება, შემოუერთდეს ამ დაჯგუფებას. ჩვენ შევხვდით უზბეკეთის საელჩოში და გავაფორმეთ ახალი დეკლარაცია იმ პრინციპების შესახებ, რომლებზეც უნდა აიგოს ჩვენი თანამშრომლობა. ეს სულაც არ ნიშნავს ვიღაცის გარიყვას, ხვალ შეიძლება შემოგვიერთდეს სომხეთი, ზეგ სხვა ქვეყნები, შავიზღვისპირა ან ცენტრალური აზიის ქვეყნები. ასეთი განაცხადებები კულუარებში უკვე ისმოდა. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორგანიზაციას, ისევე როგორც შავიზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობას, დიდი მომავალი აქვს.

მოხდა კიდევ ძალიან საინტერესო რამ: ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში შევიკრიბეთ 11 ქვეყნის პრეზიდენტები. ისინი იყვნენ იმ ქვეყნების ხელმძღვანელები, რომლებიც საკვანძო ქვეყნები არიან დიდი აბრეშუმის გზის განვითარების თვალსაზრისით. გახსოვთ, როგორ დავიწყეთ ჩვენი საუბარი დიდი აბრეშუმის გზის შესახებ? ფანტასტიკური და განყენებულ ფრაზებად მიაჩნდათ მაშინ ყველაფერი ეს. დღეს დიდი აბრეშუმის გზა, ეს იდეა, ეს პროექტი უკვე მსოფლიოს კუთვნილებაა, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი სპეციალურ კანონპროექტს იღებს. უკვე მოგახსენეთ, რომ იაპონიაცაა ჩართული, რომელმაც სპეციალური სამთავრობო პროგრამა შეიმუშავა ამ იდეის განხორციელებისათვის. დიდი ჩინეთია ჩართული და დაინტერესებული, ჩართული არიან ცენტრალური აზიის ქვეყნები, კავკასიის, ბალკანეთის, ევროპის სახელმწიფოები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ჩვენ უნდა ვიამაყოთ, რომ ერთ-ერთი ავტორი ამ იდეისა აბრეშუმის გზის აღორძინებისა (ვიღაცამ შემახსენა, თავის დროზე ფარნავაზი იყოო, მაგრამ ფარნავაზის შემდეგ დიდი დრო გავიდა) ჩვენ თქვენთან ერთად ვართ, დღევანდელი საქართველოა და ეს

უნდა გვეამაყებოდეს. ამ პროექტს უზარმაზარი მომავალი აქვს და დიდ სიკეთეს მოუტანს არა მარტო საქართველოს, არამედ ყველა ქვეყანას, რომელიც დაინტერესებულია მისი რეალიზაციითა და განვითარებით.

ძალიან საინტერესო შეხვედრები მქონდა მსოფლიოს საფინანსო ცენტრებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდში, მის გენერალურ დირექტორთან ბატონ კამდესიუსთან, ჩვენს მეგობართან, რომელიც ყოველთვის კეთილად გვხვდება, ღიმილით, მაგრამ ყოველთვის ამ ღიმილის შესაბამის გადაწყვეტილებას როდი იღებს. ამჯერად დარწმუნებული ვარ, რომ იგი მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც საქართველოს ინტერესებს, ესე იგი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინტერესებს შეესაბამება. ვფიქრობ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი აანთებს იმ მწვანე შუქს, რომელიც მოგვცემს საშუალებას მივიღოთ მატერიალური და ფინანსური დახმარება იმ სახელმწიფოებისაგან, იმ ცენტრებისაგან, რომლებიც ჩვენთან თანამშრომლობენ.

უნიკალური შეხვედრა მქონდა მსოფლიო ბანკის პრეზიდენტთან, ბატონ ვოლფენსონთან. იგი ჩვენი დიდი მეგობარია. სხვათა შორის, ქართველთა და ებრაელთა თანაცხოვრების 26-საუკუნოვანი იუბილეს დღეებში უნდა ჩამოსულიყო და ვერ ჩამოვიდა, შემპირდა, რომ ახლა გამოასწორებს ამ „შეცდომას" და მაისის დამლევს ან ივნისის დამდეგს საქართველოს ესტუმრება. ეს არის ასეულობით მილიონი დოლარი ინვესტიციები თითქმის ყველა სფეროში - განათლებით დაწყებული და ენერგეტიკით დამთავრებული.

იყო სხვა შეხვედრები. იყო საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ბილ კლინტონთან. უნდა გითხრათ, რომ ეს იყო მართლაც გამორჩეულის ხვედრი იმიტომ, რომ 50 ქვეყანა იყო ჩასული, ყველას ჰქონდა პრეტენზია და მხოლოდ ერთი თუ ორი პრეზიდენტი შეხვდა პრეზიდენტ კლინტონს. მან კვლავ დაადასტურა თავისი ერთგულება საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრობის, ურთიერთობისა და პარტნიორობის პრინციპებისადმი. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა ამერიკის შეერთებული შტატე-

ბის მზადყოფნა კვლავაც დაეხმაროს საქართველოს კიდევ უფრო მეტად და კიდევ უფრო გამოკვეთილად იმ დარგების, იმ სფეროების განვითარებაში, რომლებიც ჩვენთვის აუცილებელია. აუცილებელი კი ბევრი რამ არის. ისინი უკვე მონაწილეობენ საზღვრის დაცვის ორგანიზაციის საქმეში, ეკონომიკის განვითარებაში, განსაკუთრებით მცირე ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხთა მოგვარებაში, გადაწყვეტაში, მხარდაჭერაში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

და კიდევ ერთი რამ: ეს არის კოსოვოს ამბებთან დაკავშირებით საქართველოს პოზიცია (არ ვიცი, გქონდათ თუ არა საშუალება მოგესმინათ ჩემი გამოსვლები ამერიკის შეერთებულ შტატებში და განსაკუთრებით ევროპის საბჭოში). მე ასე მგონია, რომ საქართველომ ყველაზე გამოკვეთილად, ყველაზე ნათლად თქვა ის, რაც უნდა ითქვას დღევანდელ მსოფლიოში.

ორი სიტყვით მოგახსენებთ. მე განვაცხადე: ციივი ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც გადავლახეთ უზარმაზარი წინააღმდეგობანი და დაპირისპირება იდეოლოგიური თუ კლასობრივი და ასე შემდეგ და მსოფლიო ასე თუ ისე ერთიან მსოფლმხედველობრივ სივრცეში მოექცა, როგორ შეიძლება, დღეს კაცობრიობა გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას შეურიგდეს, სადაც უნდა ხდებოდეს, ეს იქნება კოსოვო, ალბანეთი, აფხაზეთი თუ სხვა რომელიმე სახელმწიფო და ქვეყანა? მე ვთქვი, რომ თუ ამას შეეურიგდებით, მაშინ რატომღა დავსაჯეთ ფაშიზმი და მისი ორგანიზატორები და ბელადები? მაშინ რატომღა ვგმობთ იმას, რასაც აკეთებდა ბოლშევიზმის რეჟიმი, როცა მილიონობით ადამიანი გადაასახლეს ერთ ღამეში მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი რომელიღაც ეროვნებას არ ეკუთვნოდნენ, სხვა ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ? და ეს გაკვეთილები უნდა გვახსოვდეს. მე ვთქვი ისიც, რომ დიპლომატია, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა, რომლის ზურგს უკან არა დგას რეალური ძალა, ეს დიპლომატია შეიძლება მხოლოდ ფრაზებად და მოწოდებებად იქცეს. ჩემი მეგობრები დამიდასტურებენ, რომ საქართველოს ამ პოზიციას ევროსაბჭოშიც, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც სხვადასხვა ქვეყნის მრავალი და მრავალი წარმომადგენელი მიესალმა, მხარი დაუ-

ჭირა და ალიარა, როგორც ყველაზე ნათლად გამოკვეთილი პოზიცია.

მინდა ვისურვო, რომ ყველაფერი, რაც კეთდება ამ წლების განმავლობაში საქართველოს ჩართვისათვის მსოფლიოს სივრცეში, ევროპის დიდ სივრცეში, ევროპულ ცივილიზაციაში, ყველაფერი ეს დაგვირგვინდეს იმით, რომ ჩვენ შევძლებთ ავაშენოთ მართლაც დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქვეყანა, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფო. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ყოველივე ამან სიკეთე მოუტანოს საქართველოს თითოეულ ოჯახს, თითოეულ მოქალაქეს, ქართველი იქნება ის თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელი. სხვათა შორის, ერთ-ერთი ვალდებულება, რომელიც ვიკისრეთ, ეს არის განსაკუთრებული ყურადღება ეროვნული უმცირესობებისადმი და მე ვამაყობ იმით, რომ ჩვენი ისტორია ამის საუკეთესო მაგალითია.

მინდა ვუსურვო ყველა ქართველს, საქართველოს ყველა მოქალაქეს კარგად, მარჯვედ ისარგებლოს ამ დიდი შესაძლებლობით, ამ დიდი სივრცით, დიდი ასპარეზით და დამკვიდრდეს ევროპულ ოჯახში უზარმაზარი კულტურული მემკვიდრეობით, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში იქმნებოდა.

მე ვთქვი, რომ ჩვენ ხელცარიელი არ მოვსულვართ, ჩვენ მოვედით უზარმაზარი ნიჭიერებით, უზარმაზარი გამოცდილებით, უზარმაზარი ინტელექტითა და დიდი კულტურით.

გაუმარჯოს ჩვენს შესვლას ამ ოჯახში! ბედნიერება ვუსურვოთ საქართველოს.

მილოცვები საქართველოს ევროპის საბჭოში მიღებასთან დაკავშირებით

საქართველოს ევროპის საბჭოში შესვლას მიესალმენ მთელი რიგი ქვეყნების ლიდერები. მილოცვებში გამოთქმულია კმაყოფილება საქართველოს ევროპის ოჯახში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მილოცვაში საქართველოს პრეზიდენტისადმი ნათქვამია: „მე ვიცი, რომ თქვენ ბევრი სიძნელე გადალახეთ დემოკრატიული რეფორმების პროცესის

განვითარებისათვის",[62]- წერს ინგლისის პრემიერი. „ევროპის საბჭოში შესვლა ადასტურებს თქვენს წარმატებას. დიდ ბრიტანეთი კვლავაც დაგეხმარებათ ძალისხმევაში, რომლის მიზანია ევროპის საბჭოს მიერ რეკომენდებული რეფორმების პროგრამის შესრულება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს განამტკიცებს საქართველოსა და ევროპის სხვა ქვეყნებს შორის კავშირურთიერთობას".[63]

კოსოვოს მოვლენებმა ცხადყო, აღნიშნავს ტონი ბლერი, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ, რომ ეკისრებათ პასუხისმგებლობა დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამინის უფლებათა დაცვისათვის.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი წერს, რომ დიდად აფასებს რეგიონში მშვიდობის დამყარებისათვის ნატოს ღონისძიებებისადმი საქართველოს ხელმძღვანელობის მხარდაჭერას.

„საქართველოს ხალხმა თავად გამოსცადა ტრაგედიის შედეგები, რომლებიც მოჰყვა ეთნიკურ კონფლიქტს. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სიტუაცია საერთაშორისო გაერთიანების შეშფოთებას იწვევს. დიდი ბრიტანეთი, რომელიც აფხაზეთის, საქართველო საკითხში გაეროს გენერალური მდივანის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წევრია, კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს თქვენს რეგიონში მშვიდობის დამყარებისათვის.

საქართველოსა და მთელი რეგიონისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყველა მხარე დათანხმდეს მოლაპარაკებას კონფლიქტის გრძელვადიანი მოწესრიგების მიღწევას. ვიცი, რომ თქვენ კვლავაც დაუთმობთ ყურადღებას ამ კონფლიქტების გადაწყვეტას და განახორციელებთ თქვენს მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის პოლიტიკას რეგიონის, როგორც დიდი ევროპული ოჯახის ნაწილის, სტაბილურობისა და აყვავებისათვის",[64] - წერს ტონი ბლერი.

---

[62] გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", №2, 30 აპრილი, 1999 წელი.
[63] იქვე.
[64] იქვე.

საქართველო ევროპის საბჭოში

ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანებიდან დაიწყო ახალი ეტაპი ევროპის საბჭოსთან და ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებთან ურთიერთობაში. საქართველოს დელეგაცია წარმოდგენილია საპარლამენტო ასამბლეაში სრულუფლებიანი წევრის სტატუსით. საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის მეთაური მიხეილ სააკაშვილი არჩეულ იქნა საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილედ. საქართველოს წარმომადგენლები ხმის უფლებით მონაწილეობენ მინისტრთა კომიტეტისა და მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის მუშაობაში.

ევროპის საბჭოში საქართველოს მიღების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამუშაოს მოცულობა. დაიხვეწა სამინისტროსა და ევროპის საბჭოში საქართველოს წარმომადგენლობის ერთობლივი საქმიანობის ფორმები და მეთოდები. სამინისტროს აპარატში საჭირო გახდა და განხორციელდა სათანადო სტრუქტურული ცვლილებები.

ადრე ევროპის საბჭოსთან სამინისტროს ურთიერთობას წარმართავდა საგარეო საქმეთა სამინისტროს ორი საერთაშორისო-სამართლებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი. საქმიანობის გარკვეული ნაწილი მოდიოდა სამინისტროს კულტურის, ჰუმანიტარულ და პარტნიორულ ურთიერთობათა დეპარტამენტზე. რამდენადაც ეს დეპარტამენტი ახორციელებდა თანამშრომლობას ევროპის კულტურული კონვენციით შექმნილ ორგანოებთან.

დღის წესრიგში დადგა საგარეო საქმეთა სამინისტროში ქვედანაყოფის შექმნის საკითხი, რომელიც ორგანიზაციას გაუწევდა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისა და ევროპის საბჭოს სტრუქტურების ურთიერთობებს.

ასეთი ქვედანაყოფი შეიქმნა სამმართველოს სახით საერთაშორისო-სამართლებრივ დეპარტამენტში.

იმის გათვალისწინებით, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებს საერთო ზედამხედველობის ფუნქციას, სამმართველოს ეკისრება სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის რეკომენდაციების შემუშავების ფუნქცია. ამასთან, ახლად შექმნილი რგოლი მნიშვნელოვნად დაეხმარება საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის ფარგლებში არსებულ საკონვენციო სამსახურს ევროპულ კონვენციებთან საქართველოს შეერთების საკითხების გადაჭრაში.

ევროსაბჭოსა და ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს დაკისრებული აქვს შემდეგი ფუნქციები:

1. ევროპის საბჭოსთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით სამართლებრივი პოლიტიკის წარმართვის ხელშეწყობა;

2. ზედამხედველობის განხორციელება ევროპის საბჭოს ფარგლებში საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებებზე;

3. საქართველოს სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა ევროპის საბჭოსთან ურთიერთობის საკითხებში;

4. ევროპის საბჭოსა და საქართველოს შორის ყოველწლიური პროგრამების განხორციელების გეგმების შემუშავება და კონტროლი;

5. ევროპის საბჭოს ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის მიღება;

6. ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებულ კონვენციებთან საქართველოს შეერთების საკითხის შესწავლა და შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების გატარება და სხვა.

საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ევროპის საბჭოს შორის კონსულტაციებმა უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო.

1999 წლის 29-30 აპრილს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს შოთა დოღონაძესა და სამინისტროს საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტის დირექტორს გელა ბეჟუაშვილს[65] შეხვედრები ჰქონდათ ევროპის საბჭოში. შეხვედრებში მონაწილეობდნენ ევროპის საბჭოში საქართველოს დროებითი

---

[65] ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის კოორდინატორები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

რწმუნებული გიორგი ქაჯაია და წარმომადგენლობის პირველი მდივანი ზურაბ კაჭკაჭიშვილი.

შეხვედრების დროს მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის აქტუალური საკითხები.

ევროპის საბჭოს პოლიტიკურ დირექტორთან ჰანს-პეტერ ფურერთან შეხვედრისას გაანალიზებული იქნა საკითხები, რომლებიც შეეხებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში სტრუქტურის ჩამოყალიბებას. აღინიშნა, რომ რიგ ქვეყნებში ერთ დანაყოფად არის გაერთიანებული ეუთო-სთან და ევროპის საბჭოსთან ურთიერთობის სამსახურები, რაც ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის უკეთ კოორდინაციას უწყობს ხელს, ხაზგასმული იყო, რომ ბევრ სახელმწიფოს საგარო-პოლიტიკურ უწყებაში სხვა პრაქტიკა არსებობს. ევროპის საბჭოს პოლიტიკური დირექტორი შეეხო ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობაში რეგიონების უფრო აქტიურად ჩაბმის ამოცანებს. უფრო უნდა გაფართოვდეს აჭარის მონაწილეობა, საჭიროა შემუშავდეს სპეციფიკური პროგრამები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ყოფილი სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები. საქმიანობა ისე უნდა წარიმართოს, რომ იგი მიმზიდველი და საინტერესო გახდეს აფხაზეთისათვისაც. კავკასიის საერთო პრობლემებზე მსჯელობის დროს, შეეხენ რა სამი სახელმწიფოს თანამშრომლობის პერსპექტივებს, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული არსებული პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული სამმხრივი ღონისძიებების თბილისში ჩატარება.

რეგიონებთან ურთიერთობებისა და მათი ევროპის საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობის საკითხებზე საუბარი გაგრძელდა ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის კონგრესის თავმჯდომარესთან ალენ შენართან შეხვედრის დროსაც.

დეტალურად გაანალიზდა რეგიონალიზაციისა და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პრობლემები.

შეხვედრებზე ადამიანის უფლებათა დირექტორის მოადგილესთან, ქალბატონ ჯოან დინსელთან და სხვა დირექტორატებში ხაზგასმით აღინიშნა ევროპის საბჭოს განწყობაზე, აქტიურად დაეხმაროს საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესის განვითარების,

სამართლებრივი რეფორმის განხორციელებისა და ფართო საზოგადოებრიობისათვის ევროპის საბჭოს პრინციპების გაცნობის საქმეში. აღინიშნა, რომ ევროპის საბჭო ყურადღებას ამახვილებს ეროვნული უმცირესობების, პენიტენციალური სისტემის იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გადაცემის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კონვენციასთან და სოციალურ ქარტიასთან მიერთების საკითხებზე.

1999 წლის 7 მაისს ქ. ბუდაპეშტში გაიმართა ევროპის საბჭოს შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებული მინისტრთა კომიტეტის 104-ე სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა.[66]

ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრებმა განიხილეს მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი და მიიღეს რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

ევროპის საბჭოს მეორე სამიტის (ქ. სტრასბურგი, 1997 წლის 10-11 ოქტომბერი) რეკომენდაციების განხილვის შედეგად მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა "ბუდაპეშტის დეკლარაცია უფრო დიდი ევროპისათვის საზღვრების გარეშე". აღნიშნული დეკლარაცია აყალიბებს ევროპის შემდგომი განვითარებისა და ინტეგრაციის ერთგვარ საპროგრამო პრინციპებს. მიღებულ იქნა, ასევე, "დეკლარაცია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ".

მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეზოლუცია (99)50 შეეხებოდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისის შექმნის საკითხებს.

მინისტრებმა განიხილეს ე. წ. "ბრძენთა კომიტეტის" მოხსენება ევროპის საბჭოს სტრუქტურის რეფორმის თაობაზე. სესიის მონაწილეთა მიერ ყურადღება იქნა გამახვილებული იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებულ სიტუაციასა და კოსოვოს კრიზისზე.

1999 წლის 14 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინ-

[66] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის პირველი სხდომა, რომელსაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ესწრებოდა, როგორც ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი ქვეყნის მინისტრი.

ისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა მიიღო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის მოადგილე ვალტერ შვიმერი.

მინისტრმა მადლობა გადაუხადა სტუმარს იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც ევროპის საბჭომ აღმოუჩინა საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ უკვე შემუშავებულია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ საქართველოზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გეგმა. პარალელურად საქართველოში გრძელდება სამართლებრივი რეფორმა, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწილიცაა მართლმსაჯულების სისტემის გარდაქმნა.

ქვეყანაში შექმნილი ვითარების, მთლიანად რეგიონსა და მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ ვ. შვიმერმა აღნიშნა, რომ ევროპის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრუქტურაში გაწევრიანება ნათელი მაგალითია იმისა, რომ საქართველო მტკიცედ ადგას დემოკრატიის, რეფორმისტული კურსის გზას. მიუხედავად მთელი რიგი ხელისშემშლელი პირობებისა, ქვეყანამ შეძლო კრიზისიდან გამოსვლა და სამართლიანად მოიკიდა ფეხი ევროპულ ოჯახში.

1999 წლის 17 სექტემბერს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის კონგრესის თავმჯდომარე ალენ შენარი. მას შეხვედები ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში, პარლამენტში, საგარეო საქმეთა სამინისტროში და ქ. თბილისის მერიაში.

1999 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით[67] ქალბატონი ლანა ღოღობერიძე დაინიშნა ევროპის საბჭოსთან საქართველოს პირველ მუდმივ წარმომადგენლად, მას მიენიჭა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

1999 წლის 11-14 ოქტომბერს ევროპის საბჭოში გაიმართა ყოველწლიური შეხვედრა, რომელზედაც განხილულ იქნა ევროპის საბჭოსა და მის წევრ სახელმწიფოთა შორის 2000 წლის თანამშრომლობის პროგრამები. აღნიშნული თანამშრომლობა ევრო-

---

[67] საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ოქტომბრის №1204 განკარგულება.

პის საბჭოსა და წევრ ქვეყნებს შორის ხორციელდება ევროპის საბჭოს დემოკრატიის განვითარებისა და გაერთიანების ღონისძიებათა პროგრამის ფარგლებში. აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს სამთავრობო დელეგაცია.

დელეგაციის მიერ შეხვედრის პირველ დღეს გაკეთდა მოხსენება საქართველოში 1999 წლის პროგრამის განხორციელების დინამიკაზე, მის კონკრეტულ შედეგებზე, განსაკუთრებულად აღინიშნა ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

ევროპის საბჭოს სამართლებრივ, პოლიტიკურ და ადამიანის უფლებათა დირექტორატებთან ორმხრივი შეხვედრებისას საქართველოს დელეგაციამ შეაჯერა ღონისძიებების პროგრამა, განხორციელდა სათანადო კორექტირება.

საქართველოს დელეგაციის საქმიანობას მაღალი შეფასება მიეცა ევროპის საბჭოს კომიტეტების მხრიდან. თანამშრომლობის პროგრამა დამტკიცებულია და იგი დაეგზავნა საქართველოს შესაბამის უწყებებს.

სამართლებრივი თანამშრომლობის პროგრამა – 2000 მიმართულია საქართველოში დემოკრატული სტაბილურობის განვითარებისა და გამტკიცებისაკენ. მართლმსაჯულების დამკვიდრების მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს სემინარებს: " მოსამართლეთა დისციპლინარულ დევნაზე"; "მოსამართლეთა კონფერენციაზე და მოსამართლეთა დამოუკიდებელი ასოციაციის საქმიანობის განვითარებაზე", დახმარების აღმოჩენას ევროსაბჭოს ექსპერტების მიერ მოსამართლეთა სწავლებაში.

სამართლებრივ სახელმწიფოში ადვოკატის პროფესიის მარეგულირებელი ნორმების ჰარმონიზაციის მიზნით გათვალისწინებულია:

"ადვოკატურის შესახებ" კანონპროექტის ექსპერტიზა; ევროპის საბჭოს ექსპერტთა შეხვედრა ადვოკატთა სტატუსზე და ადვოკატურის ორგანიზაციაზე.

სამართლებრივ ნორმათა შემუშავებისა და სამართლებრივი დახმარების თვალსაზრისით იგეგმება რეგიონალური სემინარი სამართლებრივი დახმარების სისტემაზე (სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად); სასწავლო ვიზიტი კანონმდებლობის იმპლემენ-

ტაციის შემფასებელი ორგანოს შექმნის თაობაზე; სემინარი "კანონმდებლობის იმპლემენტაციის შემფასებელი ორგანოს შექმნის შესახებ".

ევროპის საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს ინდივიდის პრობლემებს. ინდივიდთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების სფეროში განსაზღვრულია ექსპერტთა დახმარება იძულებით გადაადგილებულ პირთა ქონებრივი უფლებების პრობლემების გადაწყვეტაზე და ამ უფლებების აღდგენის გზებზე; რეგიონალური შეხვედრის ორგანიზაცია ნოტარიუსის სტატუსსა და როლზე.

დანაშაულის პრობლემებისა და სამართალაღსრულების კუთხით განსაზღვრულია, ჩატარდეს სასწავლო სემინარი "სისხლის სამართლის სფეროში ურთიერთდახმარებაზე ევროპული კონვენციის განხორციელების საკითხებზე" და სასწავლო სემინარი იმ მასწავლებლებისათვის, რომლებიც ასწავლიან ოპერატიულ-საგამოძიებო საქმიანობას.

განხორციელდება "სასჯელთა აღსრულების შესახებ" კანონპროექტის ექსპერტიზა. მოეწყობა სემინარი "დანაშულით მოპოვებული ფულის გათეთრების, ჩხრეკის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ კონვენციისა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული შესაძლო სირთულეების შესახებ."

ევროპის საბჭოს ექსპერტები დაეხმარებიან სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ტერორიზმთან ბრძოლის დეპარტამენტის თანამშრომლებს ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში წევრ სახელმწიფოთა გამოცდილების შესწავლაში.

კორუფციასთან ბრძოლის საკითხებს მიეძღვნება სემინარი შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის "კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციის შესახებ და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაზე."

მნიშვნელოვანი სემინარები და სასწავლო კურსებია დაგეგმილი პენიტენციალური სისტემის სრულყოფის თვალსაზრისით პროექტით "პარტნიორობა პენიტენციალურ სფეროში."

სემინარი "წინასწარი პატიმრობის პირობებისა და პროცედურების შესახებ";

სასწავლო ვიზიტი წინასწარი პატიმრობის პირობებისა და პროცედურების შესახებ;

- სემინარი და სასწავლო ვიზიტი "ხანგრძლივი ვადით და სამუდამოდ თავისუფლებააღკვეთილთა მიმართ მოპყრობის შესახებ":

- ექპერტთა შეხვედრა თანამშრომელთა მომზადებისა და სასწავლო პროგრამის განვითარების მიზნით;

- ექსპერტთა შეხვედრა ციხეებში შრომის განვითარების თაობაზე;

სემინარი "ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ მოპყრობის შესახებ".

ევროპის საბჭო გეგმავს სემინარებს უცხოელ მოქალაქეთა და თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ ევროპის საბჭოს დოკუმენტებით განსაზღვრული პრინციპების განხორციელებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით.

დაგეგმილია უცხოელებისა და თავშესაფრის უფლების შესახებ კანონების ექსპერტიზა; სემინარი: "წევრ სახელმწიფოებში და საქართველოში ლტოლვილთა საკითხებზე მოქმედი კანონმდებლობის შესახებ"; სასწავლო სემინარი სპეციალისტებისათვის მოქალაქეობის საკითხებზე და სხვა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები დაისახა საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის ადამიანის უფლებათა სფეროში 2000 წლის თანამშრომლობის პროგრამით. ასე მაგალითად, საქართველოს იუსტიციის საბჭოსთან ერთად დაგეგმილია:

სატრენინგო პროგრამები იურისტებისათვის, მოსამართლეების, პროკურორების, პრაქტიკოსი იურისტების, სტაჟირებაზე მყოფი იურისტების, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და სახელმწიფო მოხელეების ჩათვლით.

იუსტიციის საბჭოსა და აპარატის, იუსტიციის სასწავლო ცენტრისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი სტრასბურგში ევროპის საბჭოს საქმიანობის გასაცნობდ.

ევროპის საბჭოსა და იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელდება სატრენინგო პროგრამები იურისტებისათვის, მოსამართლეების, პროკურორების, პრაქტიკოსი იურისტების, სტაჟირებაზე მყოფი იურისტების, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და სახელმწიფო მოხელეების ჩათვლით.

ევროპის საბჭოს ექსპერტები დახმარებას აღმოუჩენენ იუსტიციის სასწავლო ცენტრს მის მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსების ჩატარებაში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ევროპის საბჭოსთან ერთად, დაგეგმილი აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებთან შიდა კანონმდებლობის შესაბამისობის, საქართველოს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული შედარებითი ანალიზის მეორე ნაწილის განსახილველად ევროპის საბჭოს ექსპერტთა შეხვედრის ორგანიზაცია.

ევროპის საბჭო დაეხმარება იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში სამთავრობო წარმომადგენლის ოფისის ჩამოყალიბებაში და ფუნქციონირების განხორციელებაში.

განხორციელდება სამთავრობო წარმომადგენლის ოფისის თანამშრომლების სასწავლო ვიზიტები სამთავრობო წარმომადგენლის როლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმიანობის გასაცნობად და სხვა წევრი ქვეყნების სამთავრობო წარმომადგენლების გამოცდილების გასაზიარებლად.

საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის ადამიანის უფლებათა სფეროში 2000 წლის თანამშრომლობის პროგრამით უზენაესი სასამართლოს მიერ ჩატარდება სასწავლო სემინარი "ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცენდენტულ სამართალზე" საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. დაგეგმილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ძირითადი გადაწყვეტილებების თარგმნა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ევროპის საბჭო, ევროპულ კომისიასთან "დემოკრატია სამართლის მეშვეობით" (ვენეციის კომისია) თანამშრომლობით მოაწყობენ სემინარს: "საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა დაცვაზე"

იგეგმება წიგნის "European Convention guidelines on Human Rights issues" თარგმნა და გამოცემა.

ევროპის საბჭო დაეხმარება ევროპის საბჭოს მიზნების ხელშეწყობის საქართველოს ასოციაციას "Law and practice of the

European Convention on Human Rights and the European Social Charter" (Gomien, Harris & Zwaak) წიგნის თარგმნისა და გამოცემის საქმეში.

ევროპის საბჭოს ხელშეწყობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაატარებს სემინარებს თემაზე: სასწავლო სემინარი "მასწავლებელთა სწავლება", პოლიციის აკადემიის მასწავლებლებისათვის და "ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე".

ევროპის საბჭო დაეხმარება საქართველოს ადამიანის უფლებათა დამცველი და ხელისშემწყობი ეროვნული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში. ამ მიმართულებით პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია სემინარი "სახალხო დამცველსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ფორმებზე" და სახალხო დამცველის სასწავლო ვიზიტი ევროპის საბჭოს საქმიანობის გასაცნობად.

ქ. სტრასბურგში 1999 წლის 3-4 ნოემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 105-ე სესიაში, რომელსაც თავმჯდომარეობდა ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ჰალდორ აგრიმსონი, მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა.

აღნიშნულ სესიაზე განხილულ იქნა ევროპის საბჭოს წვლილი კოსოვოს კონფლიქტის მოგვარებაში და სამხრეთ-აღმოსავლეთის სტაბილურობის პაქტი.

თავის მოკლე გამოსვლაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის მოგვარებაში ევროპის საბჭოს უფრო აქტიური მონაწილეობის აუცილებლობასა და ამ კონტექსტში მიუთითა კოსოვოში ევროპის საბჭოს წარმომადგენლობის მსგავსი ოფისის საქართველოში შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ.

აღნიშნულ სესიაზე მიღებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის კომუნიკე, რომელიც განსაზღვრავს ევროპის საბჭოს მოქმედებას კოსოვოსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშ-

ვილმა 4 ნოემბერს, მინისტრთა კომიტეტის სესიის მუშაობის პერიოდში ხელი მოაწერა "კორუფციაზე სამოქალაქო სამართლის კონვენციას".

დასკვნის მაგიერ

ევროპის საბჭომ თავისი 50-წლიანი არსებობის მანძილზე უდიდესი წვლილი შეიტანა ევროპის კონტინენტზე კაცობრიობის ისეთი ფასეულობების განმტკიცებაში, როგორიცაა ადამიანის უფლებები, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო.

ევროპის საბჭო, რომელიც შეიქმნა დასავლეთ ევროპის მხოლოდ 10 სახელმწიფოსაგან, დღეს აერთიანებს დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის 41 სახელმწიფოს, არაწევრ ევროპულ სახელმწიფოებს კი სურთ მასში გაწევრიანება. ეს ყოველივე მიუთითებს ამ ორგანიზაციის მიზნებისა და ფასეულობების გაზიარებაზე კონტინენტის ყველა სახელმწიფოს მიერ, რაც აძლევს ორგანიზაციას საყოველთაო აღიარებას და ანიჭებს მას გლობალურ მნიშვნელობას.

ევროპის საბჭოს მიზნები ემსახურება რეგიონში სტაბილურობისა და კეთილდღეობის დამკვიდრებას. ევროპის საბჭო სხვა ევროპულ ორგანიზაციებთან ერთად, იქნება ეს ეუთო თუ ევროკავშირი, ემსახურება საერთო ევროპული არქიტექტურის მშენებლობას, რომლის საშუალებითაც ევროპა იქცევა სტაბილურ და ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ რეგიონად, სადაც ევროპის მასშტაბით უკლებლივ ყველა ქვეყანაში მაღალ ფასეულობად მიჩნეული იქნება პიროვნება და მისი უფლებები.

ევროპული ინსტიტუტები, ევროპის დროშა, ჰიმნი და დღე

ევროპული ინსტიტუტები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საინფორმაციო საშუალებებით საზოგადოებრიობისათვის ბევრი რამ არის ცნობილი ევროპაში მოქმედი სტრუქტურების შესახებ, ხშირად ევროპული ორგანიზაციების ერთმანეთისაგან გარჩევა უჭირთ. **ევროპის საბჭო** საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც ევროპის 41 დემოკრატიულ სახელმწიფოს აერთიანებს, შტაბ-ბინით სტრასბურგში. მისგან ფუნქციონალურად განსხვავდება ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა ან მთავრობათა მეთაურების რეგულარული თათბირი - **ევროპული საბჭო**, რომელიც წელიწადში 2-ჯერ მაინც ტარდება ევროპის კავშირის პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ევროპის საბჭოს სათათბირო ორგანოა. იგი შედგება 41 წევრი სახელმწიფოს ეროვნული პარლამენტების მიერ დანიშნული 291 წევრისაგან (ასამბლეის წევრის ამავე რაოდენობის შემცვლელისაგან)[68], **ევროპის პარლამენტი** კი ევროპის კავშირის საპარლამენტო ორგანოს წარმოადგენს. იგი შედგება ევროპის კავშირის 15 წევრ ქვეყანაში საყოველთაო არჩევნების შედეგად არჩეული 626 წევრისაგან.

უნდა განვასხვაოთ **ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია**, საერთაშორისო ორგანო, რომელიც იხილავს რომელიმე წევრი სახელმწიფოს მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ცალკეულ პირთა ან სახელმწიფოთა საჩივრების

---

[68] ევროპის საბჭოს წესდების 25-ე მუხლის პუნქტი "გ".

შესაბამისობას და **ევროპის კომისია,** ევროპის კავშირის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც კონტროლს ახორციელებს ევროკავშირის გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებების გამოყენების სისწორეზე.

ქ. სტრასბურგში მოქმედი **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო** ერთადერთი ჭეშმარიტად სასამართლო ორგანოა, რომელიც ადამიანთა უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად შეიქმნა. მის შემადგენლობაში 41 წევრია და იგი წარმოადგენს ბოლო ინსტანციის სასამართლოს, გამოაქვს გადაწყვეტილებები წევრ სახელმწიფოთა მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე. **ევროპის კავშირის სასამართლო** კი, რომელიც განთავსებულია ლუქსემბურგში, უზრუნველყოფს კანონმდებლობის დაცვას ევროპის კავშირის შეთანხმებების განმარტებებისა და გამოყენების საქმეში. მათგან ფუნქციებით სრულიად განსხვავებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სასამართლო ორგანო — **საერთაშორისო სასამართლო,** რომლის შტაბ-ბინა განთავსებულია ჰააგაში.

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ შემუშავებულია **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენცია–შეთანხმება,** რომლითაც ევროპის საბჭოს წევრმა ყველა სახელმწიფომ ვალდებულება იკისრა დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

ის განსხვავდება **გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისგან,** რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების მიზნით მიღებულია 1948 წელს.

ევროპის დროშა

ევროპის დროშა წარმოადგენს ღია ლურჯ ტილოს, რომლის ცენტრშია თორმეტი ოქროსფერი ხუთქიმიანი ვარსკვლავისაგან შეკრული წრე. ეს დროშა დამტკიცებულ იქნა 1955 წელს მინისტრთა კომიტეტის მიერ საპარლამენტო ასამბლეის წინადადებით.

ვარსკვლავთა წრიული განლაგება სიმბოლურად გამოხატავს

ევროპის ხალხების კავშირს. ვარსკვლავთა რაოდენობა უცვლელია, რამდენადაც ციფრი თორმეტი არის დასრულებულისა და სრულყოფილების სიმბოლო. 1986 წელს მაისიდან ევროპის დროშა ასევე გადაიქცა ევროპის კავშირის ოფიციალურ ემბლემად.

ევროპის ჰიმნი

1972 წელს მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა ევროპის ჰიმნად ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის პრელუდიის გერბერტ ფონ კარაიანის მიერ შესრულებული მუსიკალური ორანჟირება. ჰიმნი სრულდება ოფიციალური ევროპული ცერემონიების დროს.

ევროპის დღე

1964 წლის მინისტრთა კომიტეტმა გადაწყვიტა იზეიმოს ევროპის დღედ 5 მაისი ევროპის საბჭოს შექმნის დღე. ამ ზეიმის მიზანია ევროპის გაერთიანების პროცესში მოქალაქეთა უფრო ფართოდ ჩაბმა.

ევროპული ჯილდოები

ადამიანის უფლებათა ევროპული პრემია

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის დებულებების შესაბამისად ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის აღსანიშნავად 1980 წელს მინისტრთა კომიტეტის მიერ დაწესებული იქნა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული პრემია. პრემიის მინიჭება ხდება სტრასბურგში სამ წელიწადში ერთხელ მინისტრთა კომიტეტის მიერ.

პრემია ენიჭება ცალკეულ პირს, პირთა ჯგუფს, დაწესებულებას ან არასამთავრობო ორგანიზაციას იმ სიიდან, რომელიც წარდგენილია საპარლამენტო ასამბლეის მიერ.

პრემირებულს გადაეცემა ოქროს მედალი და დიპლომი, რომელშიც ასახულია ლაურეატის კონკრეტული წვლილი ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში.

განმასხვავებელი ნიშნები ქალაქებისათვის

საპარლამენტო ასამბლეის გარემოს დაცვის, ტერიტორიათა მოწყობისა და ადგილობრივი ორგანოების კომიტეტი ევროპის მასშტაბით აჯილდოებს ქალაქებსა და ადგილობრივ ხელისუფლებებს სხვადასხვა განმასხვავებელი ნიშნებით მათი წვლილის აღსანიშნავად. მათ ენიჭებათ: ევროპული დიპლომები, საპატიო ალმები, საპატიო ფირფიტები ან ევროპის პრიზი.

ევროპის პრიზი

ევროპის პრიზი უმაღლესი განმასხვავებელი ნიშანია, რომელიც 1955 წლიდან ყოველწლიურად მიენიჭება მუნიციპალიტეტს ევროპული თანამშრომლობის საქმეში დამსახურებისათვის. ლაურეატს, რომელიც შეირჩევა საპარლამენტო ასამბლეის გარემოს

დაცვის, ტერიტორიების მოწყობისა და ადგილობრივი ხელისუფლების კომიტეტის მიერ, გადაეცემა გარდამავალი თასი (იგი ინახება ლაურეატთან წლის განმავლობაში), ბრინჯაოს მედალი და საპატიო სიგელი. ამასთან ერთად, დაჯილდოებული მუნიციპალიტეტი იღებს ფულად პრემიას, დაახლოებით 400 000 ფრანგული ფრანკის ოდენობით. ეს თანხა განკუთვნილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების ევროპის ქვეყნებში მოგზაურობის დასაფინანსებლად.

ევროპული დიპლომი ბუნების დაცვაში მიღწეული წარმატებებისათვის

ამ დიპლომის მინიჭება მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებით, ყოველწლიურად, 1965 წლიდან მოყოლებული, ხორციელდება გარემოსა და ბინადრობის ბუნებრივი გარემოს დაცვის მუდმივმოქმედი კომიტეტის წარდგინებით ბუნებრივი ლანდშაფტების დაცვაში განსაკუთრებული მიღწევების ან ბუნების დაცვის საერთაშორისო მნიშვნელობის სქემებისათვის. დიპლომით ჯილდოვდებიან ტყეპარკები, ნაკრძალები და ბუნებრივი ზონები, მათი სამეცნიერო, კულტურული ან რეკრეაციული ფასეულობის გათვალისწინებით, ასევე თუ ისინი უპასუხებენ ბუნების დაცვის გარკვეულ კრიტერიუმებს.

ევროპის საბჭოს პრემია მუზეუმებისათვის

ეს პრემია დაწესებულ იქნა 1977 წელს და ყოველწლიურად ენიჭება იმ მუზეუმს, რომელმაც შეიტანა განსაკუთრებული წვლილი ევროპის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში. პრემია წარმოადგენს უდიდესი ესპანელი ოსტატის ხუან მარიოს მიერ შესრულებულ ბრინჯაოს სტატუეტს და ფულად ჯილდოს 33000-მდე ფრანგული ფრანკის ოდენობით. ლაურეატი შეირჩევა საპარლამეტო ასამბლეის კულტურისა და განათლების კომიტეტის მიერ იმ კანდიდატ მუზეუმთა სიიდან, რომელსაც წარმოადგენს მუზეუმის ევროპის პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტი.

სატელევიზიო პროგრამების ევროპული პრემია

პრემიით „ევროპა“ ყოველწლიურად ჯილდოვდებიან საუკეთესო სატელევიზიო პროგრამები „მხატვრული ფილმის“, „დოკუმენტური ფილმის“ და „ევროპის ახალგაზრდობის“ ჟანრში. კონკურსი ტარდება ევროპის საბჭოსა და სხვა ევროპული ორგანიზაციების მიერ. კონკურსის მიზანია ნაციონალური, რეგიონალური და ადგილობრივი კულტურისა და შემოქმედების მხარდაჭერა, ტელეგადაცემების ხარისხის ამაღლების სტიმულირება.

სკოლების ევროპული დღე

ეს ყოველწლიური ღონისძიება ტარდება ევროპასთან დაკავშირებით მოცემულ თემაზე მოსწავლეთა საუკეთესო თხზულებებისა და ნახატების წახალისების მიზნით 1986 წლიდან. „ევროპული სკოლების დღეს“ ერთობლივად ატარებენ ევროპის საბჭო, ევროკავშირის კომისია და კულტურის ევროპული ფონდი, რომლის შტაბ-ბინა განთავსებულია ამსტერდამში. პრიზებად გაიცემა ფულადი პრემიები, საგზურები, მედლები, წიგნები და ა. შ.

ძირითადი თარიღები

1949 წლის 5 მაისი

ლონდონის შეთანხმება ევროპის საბჭოს შექმნის თაობაზე ხელმოწერილ იქნა ათი სახელმწიფოს: ბელგიის, დანიის, ირლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთისა და შვეიცარიის მიერ.

1950 წლის 4 ნოემბერი

რომში ხელმოწერილ იქნა ადამიანის უფლებათა და მისი ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის კონვენცია, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში პირველი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი.

1954 წლის 19 დეკემბერი

ევროპის კულტურული კონვენციის ხელმოწერა, რომელიც განსაზღვრავს საბჭოს საქმიანობას განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროში.

1956 წლის 16 აპრილი

შეიქმნა შრომათმოწყობის ფონდი (ამჟამად სოციალური განვითარების ფონდი) წევრ სახელმწიფოთათვის სოციალურად ორიენტირებული პროექტების განხორციელებაში ხელშეწყობის მიზნით.

1957 წლის 12 იანვარი

ევროპის საბჭოში შეიქმნა ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების მუდმივმოქმედი კონფერენცია (ამჟამად, ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესი) იმ მიზნით, რომ გაეერთიანებინა ადგილობრივი და რეგიონალურ ხელისუფლებათა წარმომადგენლები.

1959 წლის 18 სექტემბერი

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის შესაბამისად, ევროპის

საბჭომ სტრასბურგში შექმნა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, წევრ სახელმწიფოთა მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით.

1961 წლის 18 ოქტომბერი

ტურინში ხელმოწერილ იქნა ევროპის საბჭოს ევროპული სოციალური ქარტია, როგორც ადამიანის უფლებათა კონვენციის ეკონომიკური და სოციალური დამატება.

1972 წლის 1 ივლისი

სტრასბურგში გაიხსნა ევროპის საბჭოს პირველი ევროპული ახალგაზრდული ცენტრი.

1980 წლის 27 მარტი

ევროპის საბჭომ შექმნა "პომპიდუს ჯგუფი", სხვადასხვა სახელმწიფოების მინისტრთა დისციპლინათაშორისი ფორუმი მიმართული ნარკოტიკების გამოყენებისა და მისი უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

1987 წლის 26 ნოემბერი

ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული "წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის თავიდან აცილების" ევროპული კონვენციის ხელმოწერა.

1989 წლის 8 ივნისი

საპარლამენტო ასამბლეამ შემოიღო სპეციალურად მოწვეული სტუმრის სტატუსი, იმისათვის, რომ განემტკიცებინა კავშირები განვითარებადი დემოკრატიის ახალი წევრი-ქვეყნების პარლამენტებთან.

1990 წლის 30 აპრილი

ლისაბონში (პორტუგალია) გაიხსნა ევროპის საბჭოს ცენტრი ჩრდილოეთი — სამხრეთი.

1990 წლის 10 მაისი

ევროპის საბჭომ შექმნა ევროპული კომისია დემოკრატიისათვის — კანონის საშუალებით (ვენეციის კომისია), რომელიც მოწოდებულია დემოკრატიის საკანონმდებლო უზრუნველყოფისაკენ.

1993 წლის 8/9 ოქტომბერი

ვენაში (ავსტრია) გაიმართა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების პირველი შეხვედრა უმაღლეს დონეზე, რომელმაც მიიღო სრულიადევროპული დეკლარაცია, მიმა-

რთული ახალი პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრისაკენ, ნაციონალური უმცირესობების დაცვის, ყველა ფორმის რასიზმის, ქსენოფობიისა და შეუგუებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

1994 წლის 17 იანვარი

ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების მუდმივმოქმედი კონფერენციის ნაცვლად ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა შექმნა ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესი.

1995 წლის 1 თებერვალი

ხელი მოეწერა ევროპის საბჭოს მიერ მომზადებულ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენციას.

1997 წლის 4 აპრილი

ბიომედიცინისა და ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის ხელმოწერა.

1997 წლის 10/11 ოქტომბერი

ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა მეთაურების მეორე შეხვედრა უმაღლეს დონეზე სტრასბურგში (საფრანგეთი).

1998 წლის 12 იანვარი

ბიომედიცინისა და ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმის ხელმოწერა, რომელიც კრძალავს ადამიანის კლონირებას.

1998 წლის 1 ნოემბერი

ადამიანის უფლებების ერთიანი სასამართლოს დაწესება სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის № 11 ოქმის შესაბამისად, რის თანახმადაც შეიცვალა არსებული სისტემა.

ევროპის საბჭოს კონვენციები და შეთანხმებები[69]

1. ევროპის საბჭოს წესდება (1949);

2. ევროპის საბჭოს პრივილეგიებზე და იმუნიტეტებზე გენერალური შეთანხმება (1949);

3. სპეციალური შეთანხმება ევროპის საბჭოს შტაბ-ბინის შესახებ (1949);

4. დამატებითი შეთანხმება ევროპის საბჭოს პრივილეგიებზე და იმუნიტეტებზე გენერალურ შეთანხმებაზე (1950);

5. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (1959);

6. ცვლილებები წესდებაში (მაისი, 1951);

7. ცვლილებები წესდებაში (დეკემბერი, 1951);

8. 1951 წლის მაისსა და აგვისტოში მიღებული საწესდებო ხასიათის ფუნდამენტური ცვლილებები და ტექსტი ევროპის საბჭოს წესდების მიმართ;

9. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის ოქმი (1952);

10. ევროპის საბჭოს პრივილეგიებზე და იმუნიტეტებზე გენერალური შეთანხმების ოქმი (1952);

11. ცვლილებები ევროპის საბჭოს წესდებაში (1953);

12. ევროპული დროებითი შეთანხმება მოხუცების, ინვალიდებისა და გადარჩენილთა სოციალური დაცვის გეგმაზე და მისი ოქმი (1953);

13. ევროპული დროებითი შეთანხმება მოხუცების, ინვალიდებისა და გადარჩენილთა გეგმის გარდა სხვა სახის სოციალური დაცვის შესახებ (1953);

---

[69]. მოცემულია ქრონოლოგიურად, მათზე ხელმოწერის წლების მიხედვით.

14. ევროპული კონვენცია სოციალური და სამედიცინო დახმარების შესახებ და მისი ოქმი (1953);

15. ევროპული კონვენცია უნივერსიტეტებში მისაღები დიპლომების ექვივალენტურობის შესახებ (1953);

16. პატენტის მოთხოვნასთან დაკავშირებული ფორმალურობების შესახებ ევროპული კონვენცია (1953);

17. ევროპული კონვენცია გამოგონებების პატენტების საერთაშორისო კლასიფიკაციის შესახებ (1954);

18. ევროპის კულტურული კონვენცია (1954);

19. ევროპული კონვენცია დაფუძნების შესახებ (1955);

20. შეთანხმება ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის სამედიცინო დახმარების მიზნით სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ (1955);

21. ევროპული კონვენცია უნივერსიტეტში სწავლის პერიოდის ექვივალენტურობის შესახებ (1956);

22. ევროპის საბჭოს პრივილეგიებზე და იმუნიტეტებზე გენერალური შეთანხმების მე-2 ოქმი (1956);

23. ევროპული კონვენცია დავათა მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ (1957);

24. ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ (1957);

25. ევროპული შეთანხმება ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის პირთა გადაადგილების მარეგულირებელი წესების შესახებ (1957);

26. ადამიანის თერაპიული ნივთიერებების გაცვლის შესახებ ევროპული შეთანხმება (1958);

27. ევროპული შეთანხმება სატელევიზიო ფილმების პროგრამების გაცვლის შესახებ (1958);

28. ევროპის საბჭოს პრივილეგიებზე და იმუნიტეტებზე გენერალური შეთანხმების მე-3 ოქმი (1959);

29. ევროპული კონვენცია ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სავალდებულო დაზღვევის შესახებ (1959);

30. ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებში ურთიერთდახმარების შესახებ (1959);

31. ევროპული შეთანხმება დევნილთა ვიზების ანულირების შესახებ (1959);

32. ევროპული კონვენცია უნივერსიტეტის კვალიფიკაციის აკადემიური აღიარების შესახებ (1959);

33. შეთანხმება დროებითი, რიგგარეშე, სამედიცინო, ქირურგიული და ლაბორატორიული მოწყობილობების იმპორტზე გადასახადების გარეშე საავადმყოფოებსა და სხვა სამედიცინო ინსტიტუტებში დიაგნოზისა და მკურნალობის მიზნით გამოყენების შესახებ (1960);

34. ევროპული შეთანხმება სატელევიზიო გადაცემების დაცვის შესახებ (1960);

35. ევროპის სოციალური ქარტია (1961);

36. ევროპის საბჭოს პრივილეგიებზე და იმუნიტეტებზე გენერალური შეთანხმების მე-4 ოქმი (1961);

37. ევროპული შეთანხმება ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის კოლექტიური პასპორტებით ახალგაზრდათა მგზავრობის შესახებ (1961);

38. ევროპული შეთანხმება სამედიცინო დახმარებისა და კლიმატური მოწყობილობების სფეროში ურთიერთდახმარების შესახებ (1962);

39. ევროპული შეთანხმება სისხლის ჯგუფების დასადგენი რეაქტივების გაცვლის შესახებ (1962);

40. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა შეთანხმება სამხედრო და სამოქალაქო ომის ინვალიდებისათვის საერთაშორისო ვაუჩერის წიგნის გამოცემაზე, პროტეზების შეკეთებისა და ორთოპედიული დახმარების მიზნით (1962);

41. კონვენცია სასტუმროს მფლობელთა ვალდებულებების შესახებ თავიანთი სტუმრების ქონების შენახვასთან დაკავშირებით (1962);

42. შეთანხმება საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ ევროპული კონვენციის გამოყენების თაობაზე (1962);

43. კონვენცია ბიპატრიდობის შემთხვევების შემცირებისა და ბიპატრიდობის შემთხვევაში სამხედრო ვალდებულებათა შესახებ (1963);

44. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 ოქმი (1963);

45. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 ოქმი (1963);

46. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-4 ოქმი (1963);

47. კონვენცია გამოგონების პატენტზე სპეციალური კანონის გარკვეული საკითხების უნიფიკაციის შესახებ (1963);

48. ევროპის სოციალური დაცვის კოდექსი და ევროპის სოციალური დაცვის კოდექსის ოქმი (1963);

49. უნივერსიტეტებში მისაღები დიპლომების ექვივალენტობის შესახებ ევროპული კონვენციის ოქმი (1964);

50. კონვენცია ევროპული ფარმაკოპიის შემუშავების შესახებ (1964);

51. ევროპული კონვენცია პირობითი მსჯავრდებულებისა და პირობით გათავისუფლებული დამნაშავეების ზედამხედველობის შესახებ (1964);

52. ევროპული კონვენცია საგზაო-სატრანსპორტო დანაშაულთა დასჯის შესახებ (1964);

53. ევროპული შეთანხმება ეროვნული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ არსებული სადგურებიდან სატელევიზიო გადაცემების დაცვის შესახებ (1965);

54. სატელევიზიო გადაცემათა დაცვის შესახებ ევროპულ შეთანხმების ოქმი (1965);

55. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 ოქმი (1966);

56. ევროპული კონვენცია უნიფიცირებული სამედიატორო სამართლის განმტკიცების შესახებ (1966);

57. ევროპული კონვენცია კომპანიათა დაფუძნების შესახებ (1966);

58. ევროპული კონვენცია შვილად აყვანის შესახებ (1967);

59. ევროპული შეთანხმება ძიძების წესებისა და განათლების შესახებ (1967);

60. ევროპული კონვენცია უცხოური ვალუტის ვალდებულებების შესახებ (1967);

61. ევროპული კონვენცია საკონსულო ფუნქციებზე (1967);

61. ა) ლტოლვილთა დაცვასთან დაკავშირებით საკონსულო ფუნქციების შესახებ ევროპული კონვენციის ოქმი (1967).

61. ბ) სამოქალაქო ავიაციასთან დაკავშირებით საკონსულო ფუნქციების შესახებ ევროპული კონვენციის ოქმი (1967);

62. ევროპული კონვენცია უცხოურ კანონმდებლობაზე ინ-ფორმაციის შესახებ (1968);

63. ევროპული კონვენცია დიპლომატიური აგენტებისა და საკონსულო მოხელეების მიერ გაცემული დოკუმენტების იურიდ-იული ძალის გაუქმების შესახებ (1968);

64. ევროპული შეთანხმება სარეცხ და საწმენდ საშუალებებ-ში გარკვეული სახის ნივთიერებების გამოყენების აკრძალვის შესახებ (1968);

65. ევროპული კონვენცია საერთაშორისო გადაზიდვების დროს ცხოველთა დაცვის შესახებ (1968);

66. ევროპული კონვენცია არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (1969);

67. ევროპული შეთანხმება ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის და სასამართლოს სამართალწარმოებაში მონაწილე პირე-ბის შესახებ (1969);

68. ევროპული შეთანხმება " უ პაირ"-ის ადგილმდებარეობის შესახებ (1969);

69. ევროპული შეთანხმება საზღვარგარეთ მყოფი სტუდენტ-ების სტიპენდიების გადახდის გაგრძელების შესახებ (1969);

70. ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის განაჩენთა საერთაშორისო მოქმედების შესახებ (1970);

71. ევროპული კონვენცია უმცირესობათა რეპატრიაციის შესახებ (1970);

72. კონვენცია საერთაშორისო მიმოქცევაში არსებული ფასი-ანი ქაღალდების მოქმედების შეზღუდვის შესახებ (1970);

73. ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების გადაცემის შესახებ (1972);

74. ევროპული კონვენცია სახელმწიფო იმუნიტეტების შესახ-ებ და დამატებითი ოქმი (1972);

75. ევროპული კონვენცია ფულადი ვალდებულებების შესახებ (1972);

76. ევროპული კონვენცია დროის ლიმიტის გამოთვლის შესახებ (1972);

77. კონვენცია ანდერძთა რეგისტრაციის სისტემის დაფუძნების შესახებ (1972);

78. ევროპული კონვენცია სოციალური დაცვის შესახებ და დამატებითი შეთანხმება სოციალური დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის გამოყენებაზე (1972);

79. ევროპული კონვენცია სამოქალაქო პასუხისმგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით გამოწვეული ზიანისათვის (1973);

80. შეთანხმება გვამების გადატანის შესახებ (1973);

81. ტელემაუწყებლობის დახმარების შესახებ ევროპული შეთანხმების ოქმის დამატებითი ოქმი (1974);

82. ევროპული კონვენცია კაცობრიობის წინაშე დანაშაულისა და ომის დანაშაულისათვის დადგენილი შეზღუდვების გამოუყენებლობის შესახებ (1974);

83. ევროპული კონვენცია ფერმერების სოციალური დაცვის შესახებ (1974);

84. ევროპული შეთანხმება ფერთა მიხედვით დაჯგუფებული ქსოვილების გაცვლაზე (1974);

85. ევროპული კონვენცია ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივი სტატუსის შესახებ (1975);

86. ექსტადიციის შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი (1975);

87. ევროპული კონვენცია სოფლის მეურნეობის მიზნებისათის ცხოველთა დაცვის შესახებ (1976);

88. ევროპული კონვენცია ავტომობილების მართვის უფლების ჩამორთმევის საერთაშორისო ეფექტების შესახებ (1976);

89. ფერთა მიხედვით დაჯგუფებული ქსოვილების გაცვლაზე ევროპული შეთანხმების დამატებითი ოქმი (1976);

90. ევროპული კონვენცია ტერორიზმის აღკვეთის შესახებ (1977);

91. ევროპული კონვენცია პროდუქტებზე პასუხისმგებლობის შესახებ პერსონალური დაზიანებისა და სიკვდილის დროს (1977);

92. ევროპული შეთანხმება სამართლებრივი დახმარების თხოვნის გადაცემის შესახებ (1977);

93. ევროპული კონვენცია მიგრანტი მუშების სამართლებრივი სტატუსის შესახებ (1977);

94. ევროპული კონვენცია ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებული დოკუმენტების საზღვარგარეთ მომსახურების შესახებ (1977);

95. მრავალი ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევების შემცირებაზე და მრავალი ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში სამხედრო ვალდებულებების შესახებ კონვენციის შესწორების ოქმი (1977);

96. მრავალი ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევების შემცირებაზე და მრავალი ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში სამხედრო ვალდებულებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი (1977);

97. უცხოურ სამართალზე ინფორმაციის შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი (1978);

98. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი (1978);

99. ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი სისხლის სამართლებრივ საქმეებში ურთიერთდახმარების შესახებ (1978);

100. ევროპული კონვენცია საზღვარგარეთ ინფორმაციის მოპოვებასა და ადმინისტრაციული საქმეების სამხილის შესახებ (1978);

101. ევროპული კონვენცია ინდივიდების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისა და შეძენის შესახებ (1987);

102. ევროპული კონვენცია ცხოველების დახოცვისაგან დაცვის შესახებ (1979);

103. ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი ცხოველების დაცვის შესახებ საერთაშორისო ტრანსპორტირების დროს (1979);

104. კონვენცია ევროპული გარეული სამყაროსა და ბუნების ბინადართა შენარჩუნების შესახებ (1979);

105. ევროპული კონვენცია ბავშვთა მეურვეობასთან მიმართებაში გადაწყვეტილებებისა და ბავშვთა მეურვეობის გაუქმების ცნობისა და ძალაში შესვლის შესახებ (1980);

106. ევროპული კონვენცია ტერიტორიულ გაერთიანებებსა და ხელისუფლებებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ (1980);

107. ევროპული შეთანხმება ლტოლვილებზე პასუხისმგებლობის გადაცემის შესახებ (1980);

108. კონვენცია პირთა დაცვის შესახებ პერსონალური მონაცემების ავტომატური შეგროვებისას (1981);

109. ევროპული შეთანხმების დამატებითი ოქმი ადამიანის ორგანოების თერაპიული ნივთიერების გაცვლის შესახებ (1983);

110. სამედიცინო, ქირურგიული და ლაბორატორიული მოწყობილობების იმპორტზე გადასახადების გარეშე საავადმყოფოებსა და სხვა სამედიცინო ინსტიტუტებში დიაგნოზისა და მკურნალობის მიზნით გამოყენების შესახებ დროებითი შეთახმების დამატებითი ოქმი (1983);

111. სისხლის ჯგუფების დასადგენი ნივთიერების გაცვლის შესახებ ევროპული შეთანხმების დამატებითი ოქმი (1983);

112. კონვენცია მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ (1983);

113. ტელემაუწყებლობის დაცვის შესახებ (1983) ევროპული შეთანხმების ოქმზე დამატებითი ოქმი (1983);

114. სიკვდილის დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 ოქმი (1983);

115. შესწორების ოქმი სარეცხ და საწმენდ პროდუქტებში ზოგიერთი ნივთიერების გამოყენების შემცირების შესახებ ევროპულ შეთახმებაზე (1983);

116. ევროპული კონვენცია ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთა ანაზღაურების შესახებ (1983);

117. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმი (1984);

118. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 ოქმი (1985);

119. ევროპული კონვენცია კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დანაშაულების შესახებ (1985);

120. ევროპული კონვენცია მაყურებელთა ძალადობისა და უზნეო მოქმედების შესახებ სპორტული შეჯიბრებებისას, განსაკუთრებით კი ფეხბურთის მატჩების დროს (1985);

121. კონვენცია ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (1985);

122. ევროპის ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ (1985);

123. ევროპული კონვენცია ხერხემლიან ცხოველთა დაცვის შესახებ, რომლებიც გამოიყენებიან ექპერიმენტებისა და სამეცნიერო მიზნებისათვის (1986);

124. ევროპული კონვენცია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული პირის სტატუსის აღიარების შესახებ (1986);

125. ევროპული კონვენცია შინაური ცხოველების დაცვის შესახებ (1987);

126. ევროპული კონვენცია წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თავიდან აცილების ან დასჯის შესახებ (1987);

127. კონვენცია საგადასახადო საქმეებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ (1988);

128. ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი (1988);

129. 1980 წლის 17 ოქტომბრის შეთანხმების გამოყენების შესახებ შეთანხმება, რომელიც შეეხება დროებით მცხოვრებ პირთა სამედიცინო უზრუნველყოფას (1988);

130. კონვენცია შიდა ვაჭრობის შესახებ (1989);

131. მესამე დამატებითი ოქმი ევროპული შეთანხმების ოქმზე ტელემაუწყებლობის დაცვის შესახებ (1989);

132. ევროპული კონვენცია ტრანსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ (1989);

133. კონვენციის ოქმი შიდა ვაჭრობის შესახებ (1989);

134. კონვენციის ოქმი ევროპული ფარმაცევტული პროდუქციის გამომუშავების შესახებ (1989);

135. კონვენცია დოპინგის წინააღმდეგ (1989);

136. ევროპული კონვენცია გაკოტრების ზოგიერთი საერთაშორისო ასპექტების შესახებ (1990);

137. ევროპის საბჭოს პრივილეგიებზე და იმუნიტეტებზე გენერალური შეათახმების მე-5 დამატებითი ოქმი (1990);

138. ევროპული კონვენცია უნივერსიტეტებში სწავლის ხანგრძლივობის ექვივალენტობის შესახებ (1990);

139. სოციალური დაცვის ევროპული კოდექსი (შესწორებული) (1990);

140. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 9-ე ოქმი (1990);

141. კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ (1990);

142. ევროპის სოციალურ ქარტიაში ცვლილებების შემტანი ოქმი (1991);

143. ევროპული კონვენცია არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (შესწორებული) (1992);

144. კონვენცია უცხოელთა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ადგილობრივ დონეზე მონაწილეობის შესახებ (1992);

145. სოფლის მეურნეობის მიზნით ცხოველთა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის შესწორების ოქმი (1992);

146. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 ოქმი (1992);

147. ევროპული კონვენცია კინემატოგრაფიის პროდუქციის შესახებ (1992);

148. ევროპის ქარტია რეგიონალურ და ეროვნულ უმცირესობათა ენებზე (1992);

149. ბიპატრიდობის შემცირებისა და ბიპატრიდობის შემთხვევაში სამხედრო ვალდებულებების შესახებ ევროპული კონვენციის მეორე შესწორების შემტანი ოქმი (1993);

150. გარემოსათვის საშიში საქმიანობით გამოწვეული ზიანისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ კონვენცია (1993);

151. წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თავიდან აცილების ან დასჯის შესახებ ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი (1993);

152. წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თავიდან აცილების ან დასჯის შესახებ ევროპული კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმი (1993);

153. კონვენცია სატელიტით ტრანსსასაზღვრო მაუწყებლობის სფეროში საავტორო სამართლისა და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე (1994);

154. სოციალურ უსაფრთხოებაზე ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი (1994);

155. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-11 დამატებითი ოქმი (1950);

156. შეთანხმება უკანონო საზღვაო გადაზიდვების შესახებ, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების უკანონო გადაზიდვის შესახებ გაეროს კონვენციის მე-17 მუხლის გამოყენებით (1995);

157. ჩარჩო-კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ (1995);

158. ევროპის სოციალური ქარტიის დამატებითი ოქმი კოლექტიური საჩივრების სისტემის თაობაზე (1995);

159. ტერიტორიულ გაერთიანებათა ან ხელისუფლებათა შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ევროპული ჩარჩო-კონვენციის დამატებითი ოქმი (1995);

160. ბავშვთა უფლებების განხორციელების შესახებ ევროპული კონვენცია (1996);

161. ევროპული შეთანხმება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოებაში პირთა მონაწილეობის თაობაზე (1996);

162. ევროპის საბჭოს პრივილეგიებზე და იმუნიტეტებზე გენერალური შეთანხმების მე-6 ოქმი (1996);

163. გადასინჯული ევროპის სოციალური ქარტია (1996);

164. ბიოლოგიასა და მედიცინაში ადამიანის უფლებების და ღირსების დაცვის შესახებ კონვენცია (1997);

165. ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღიარების შესახებ კონვენცია (1997);

166. მოქალაქეობის შესახებ ევროპული კონვენცია (1997);

167. მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი (1997);

168. ბიოლოგიასა და მედიცინაში ადამიანის უფლებების და ღირსების დაცვის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი ადამიანის კლონირების აკრძალვის შესახებ (1998);

169. ტერიტორიულ გაერთიანებათა ან ხელისუფლებათა შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ევროპული ჩარჩო-კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმი ტერიტორიებს შორის თანამშრომლობის შესახებ (1998);

170. ექსპერიმენტების ან სამეცნიერო მიზნებისათვის გამოყენებული ძუძუმწოვარი ცხოველების დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის შესწორების ოქმი (1998);

171. ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ ევროპული კონვენციის ოქმი (1998);

172. კონვენცია გარემოს სისხლის სამართლის მეშვეობით დაცვის შესახებ (1998);

173. სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციაზე (1999);

174. სამოქალაქო სამართლის კონვენცია კორუფციაზე (1999);

SHOTA
DOGONADZE

COUNCIL OF EUROPE AND GEORGIA

SUMMARY

The book presents the study of major aspects of relations between the Council of Europe and Georgia – the Member State. You can follow the path, which Georgia has embarked on, that eventually brought the country to its accession to this organization.

The work describes the structure of the Council of Europe and its main objectives.

The work also deals with the current efforts Georgia makes in order to fulfil the obligations, related to human rights and democracy, it has undertaken within the framework of the Council of Europe.

The book re-examines the European Conventions and documents signed by Georgia as a Member State of the Council of Europe and the importance of legal instruments in building a new democratic society.

The book reviews the work being carried out in various fields by the Ministry of Foreign Affairs, its subordinate bodies and experts giving the guidelines for continuing the work, aimed at determining priorities for the intergovernmental activities of the Council of Europe, in line with the orientation laid down by the Committee of Ministers.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ევროპის საბჭო 5
მიზნები 7
წევრი სახელმწიფოები 7
კანდიდატი ქვეყნები 8
დამკვირვებლის სტატუსის მქონე ქვეყნები 8
ევროპის სასახლე 8
მოქმედების დიაპაზონი 8
ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ თანამშრომლობას 9
შეხვედრები უმაღლეს დონეზე 9
დარგობრივი მინისტრების კონფერენცია 10
ყოველდღიური საქმიანობა ევროპული მშენებლობის
ინტერესებისათვის 10
თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან 11
დაფინანსება 11
ოფიციალური სამუშაო ენები 11
ევროპის საბჭოს საერთაშორისო პერსონალი 12
ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის, ბატონი
ვალტერ შვიმერის საპროგრამო სიტყვა 12

ევროპის საბჭოს სტრუქტურა 20
მინისტრთა კომიტეტი 20
საპარლამენტო ასამბლეა 24
ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური
ხელისუფლების კონგრესი 27

თანამშრომლობა სამართლებრივ საკითხებში 30
კონვენციები - სავალდებულო ძალის მქონე
სამართლებრივი აქტები 30
ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
დაცვის ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლო 32
ევროპის სოციალური ქარტია 38
წამების და სხვა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან

დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია	40
ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო-კონვენცია	43
კულტურის ევროპული კონვენცია	45
კორუფციასთან ბრძოლის სისხლის სამართლის კონვენცია	47
გენერალური ხაზის განმსაზღვრელი რეკომენდაციები	52
არაწევრი სახელმწიფოები და ევროპის კონვენციები	52
სოციალური განვითარების ფონდი	53
საქართველო და ევროპის საბჭო	59
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიმართვა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ მიგელ ანხელ მარტინესისადმი	59
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიმართვა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის დანიელ ტარშისისადმი	61
სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოსათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭების განხილვის პროცედურა საპარლამენტო ასამბლეაში	62
ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის მიგელ ანხელ მარტინესის წერილი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძისადმი	63
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის წერილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის მიგელ ანხელ მარტინესისადმი	64
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის წერილი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის დანიელ ტარშისისადმი	67
საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის შექმნის შესახებ	73
საქართველოს ევროპის საბჭოს წევრად მიწვევის საკითხის განხილვა ევროპის საბჭოში	82
ევროპის საბჭოს წევრად საქართველოს მიღების საკითხის განხილვა საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე	87
ტერი დევისის მოხსენება	87

ანდრას კელემენის მოხსენება 121
დებატები ევროპის საბჭოს 1999 წლის 27 იანვრის სხდომაზე 136
საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიმართვა
თანამემამულეებისადმი ევროპის საბჭოს საპარლამენტო
ასამბლეის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით 149

**საქართველოს მზადება ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი
წევრობისათვის** 153
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი
მენაღარიშვილის წერილი ევროპის საბჭოს მინისტრთა
კომიტეტის თავმჯდომარის, უნგრეთის საგარეო საქმეთა
მინისტრის იანოშ მარტონისადმი 162
ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია
საქართველოს ევროპის საბჭოს სრულუფლებიან წევრად
მიწვევის შესახებ 164
საქართველოს პარლამენტის დადგენილება "ევროპის საბჭოს
წესდების" რატიფიცირების შესახებ 166
ევროპის საბჭოს წესდება 167
ევროპის საბჭოს წესდების სარატიფიკაციო სიგელი 185
ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას
საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებები 185
ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ევროპის საბჭოში
საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიღებული
რეზოლუციის ადმინისტრაციული და ფინანსური ასპექტები 194
ევროპის საბჭოს დოკუმენტები, რომელთა მონაწილეა
საქართველო 195
საქართველოს სახელით ხელმოწერილი ევროპის საბჭოს
კონვენციები და დოკუმენტები 195
ევროპის საბჭოს დოკუმენტები, რომლებზაც მიმდინარეობს
შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები 196

**ზეიმი ევროპის სასახლეში. საქართველოს ევროპის ოჯახში
დაბრუნების ისტორიული მნიშვნელობა** 202
ევროსაბჭოს გენერალური მდივნის დანიელ ტარშისის სიტყვა 202
ევროპის საბჭოს წესდებასთან საქართველოს რესპუბლიკის
შეერთების სიგელი 204
საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა 205
ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის, უნგრეთის
საგარეო საქმეთა მინისტრის იანოშ მარტონის სიტყვა 207

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარის, ლორდ რასელ ჯონსტონის სიტყვა 209
საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე 1999 წლის 27 აპრილს 211

საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 27 აპრილის სხდომა 222

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა ქ. თბილისის აეროპორტში შეკრებილთა წინაშე 1999 წლის 27 აპრილს 243

მილოცვები საქართველოს ევროპის საბჭოში მიღებასთან დაკავშირებით 250

საქართველო ევროპის საბჭოში 252
დასკვნის მაგიერ 262

ევროპული ინსტიტუტები, ევროპის დროშა, ჰიმნი და დღე 263
ევროპული ინსტიტუტები 263
ევროპის დროშა 264
ევროპის ჰიმნი 265
ევროპის დღე 265

ევროპული ჯილდოები 266
ადამიანის უფლებათა ევროპული პრემია 266
განმასხვავებელი ნიშნები ქალაქებისათვის 266
ევროპის პრიზი 266
ევროპული დიპლომი ბუნების დაცვაში მიღწეული წარმატებებისათვის 267
ევროპის საბჭოს პრემია მუზეუმებისათვის 267
სატელევიზიო პროგრამების ევროპული პრემია 268
სკოლების ევროპული დღე 268

ძირითადი თარიღები 269

ევროპის საბჭოს კონვენციები და შეთანხმებები 272